# ალექსანდრე ყაზბეგი

ალექსანდრე ყაზბეგი, თბილისი, 1891 წ.
ფოტოგრაფი: ალექსანდრე როინაშვილი

ლიტერატურის მუზეუმი

# ნაცნობი და უცნობი აკაზანები

# სარჩევი


**წინათქმა** ... 14
**უცნობი ყაზბეგი**

**ავტობიოგრაფიული ცნობები**
მკითხველო! ... 38
ფაქტები ... 51

**დაუმთავრებელი მოთხრობები**
„ვინ გავამტყუნოთ?“ ... 62
პაწია გმირი ... 126

**პიესები**
ორი ქორწილი ერთათ ... 153
შეყვარებულები ... 190

**სცენები**
(„ერთი ზემოქართლ[ელ]ი თავადისშვილი“...) ... 200
(„ბულვარზედ ზის“...)

**ლექსები**
ლოცვა ... 208
ჩემს რვეულს ... 209
ვინც ლაჩრობს ... 215
ღრუბლიანი დღე
... 217

**პოემა**
გრძნობის კამათი ... 220

**ზღაპრები**
მეფის რაში ... 232
მეოცდაცხრამეტე ჯოხი ... 247

**გამოცანები** ... 252

**პუბლიცისტიკა** (წერილები სხვადასხვა საკითხზე)
ბ. რედაქტორო („საკვირველს ბედზედა ვარ გაჩენილი“...) ... 277
ბ. რედაქტორო! („ერთი უპირველეს ღირსება კაცისა“...) ... 273
* * * („მე გამაკვირვა“) ... 274
ბატონო რედაქტორო! („თქვენმა პატივცემულმა გაზეთმა“...) ... 277
ბ. რედაქტორო („რაოდენათაც შევიძელ გამომეკვლია“...) ... 279

**ჩანაწერები**
სურამის ბარაკები ... 290
მგზავრის წერილებიდამ ... 292
მგზავრის წერილები ... 295
შურდული... ... 297

**პირადი წერილები**
წერილი დედისადმი ... 300
წერილი გამზრდელისადმი ... 305
წერილი სვიმონა ჩეკიაშვილისადმი ... 306
წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი ... 308
წერილი ან. ფურცელაძისადმი ... 213

3983
S.U.
1.

ს. ვ.

ეფესელ.

ალექსანდრე ყაზბეგი, ვლადიკავკაზი, 1870-იანი წლები

ლიტერატურის მუზეუმი

# წიგნთქმა

ალექსანდრე ყაზბეგი ქართველ მწერალთა იმ რიგს განეკუთვნება, რომელთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა ღირებულია არა მარტო საკუთარი, ნაციონალური ლიტერატურის, არამედ _ მსოფლიო ლიტერატურული პროცესის თვალსაზრისით. სწორედ ყაზბეგის რანგის მწერლები ასაბუთებენ იმ დებულებას, რომ ყოველი ნაციონალური ლიტერატურა, თავსდება რა საერთო ლიტერატურულ კონტექსტში, ამავ დროს, ინარჩუნებს ორიგინალურ შემოქმედებით აზროვნებას და, თავის მხრივ, აფართოებს საერთაშორისო ლიტერატურული პროცესის ჰორიზონტებსა და მასშტაბებს.

ყაზბეგი განსაკუთრებული ინტუიციით დაჯილდოვებული მწერალია, რომელსაც უნარი შესწევს, უსმინოს თავის დროს – რთულსა და წინააღმდეგობრივ ეპოქას, და ფართო რეზონანსი მიანიჭოს მას. ყაზბეგისეული საფიქრალი სცდება ხევის გეოგრაფიულ საზღვრებს, საქართველოს გეოგრაფიულ საზღვრებს და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და კონტინენტზე მცხოვრები ადამიანების სულებისაკენ მიემართება. ყაზბეგი დიდი მწერალია, რომელსაც დიდი თემები აქვს, დატვირთული დიდი პრობლემებითა და არა პრიმიტიული პასუხებით.

მის მხატვრულ კოსმოსში ადამიანი არასოდეს აღიქმება ბუნებისაგან განუყოფელად: ადამიანისა და გარე სამყაროს ეს გარდაუვალი კავშირი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამა კაცისა და ბუნების უცნაურ მონოლითურობას, ხოლო მეორე მხრივ – ხვეწს და ასათუთებსYყაზბეგის პერსონაჟების შინაგან სამყაროს. აი, რას წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი: [ყაზბეგის შემოქმედებაში] `ადამიანის სიცოცხლის მთელი ტრაღიზმი და იმავე დროს სილამაზეც იმაში მდგომარეობს,

რომ იგი ერთსა და იმავე დროს ორფეხი ცხოველიც არის და სულიერი, თვით-გამომრკვევი სუბსტანციაც; იგი სუსტიც არის, უბედურიც, მაგრამ დიადიც, რადგან აზროვნება აქვს და იცის რატომ იტანჯება. მასში ძნელი და მძიმე წინააღმდეგობანი ღრღნიან მუდამ მოუსვენარ სულს, და ამ საშინელ დრამის მწარმოებელი გონებაა, რომელიც ყოველთვის ვერ იმარჯვებს~.

ყაზბეგის პერსონაჟები თითქოს განცალკევებით დგანან ქართულ მწერლობაში; სამშობლოსათვის გულანთებული `ყმაწვილი ბიჭები~ თუ სიყვარულით ათრთოლებული `ქალები", მოვალეობით დამძიმებული მამები თუ გრძნობებს აყოლილი შვილები, ფიქრში გათეთრებული ერისკაცები თუ სულგაყიდული არამზადები – თითქოს ყველანი ერთად შეფენილან ხევში წამომართული გოლიათი მთების კალთებზე და თავ-თავიანთ სამართალს ელიან... მთიდან ზეცაც უფრო ახლოა და უფსკრულიც. . .

ალექსანდრე ყაზბეგს არასოდეს უცდია თავისი პერსონაჟების გასამართლება, არასოდეს მოუსხამს ყოვლისმცოდნე ავტორის მანტია, არამედ, მუდამ რჩებოდა მათდამი ჯანსაღი დამოკიდებულებით გამსჭვალულ მწერლად, რომელიც გაფაციცებით უსმენდა თავისი ხალხის სუნთქვასა და გულის ფეთქვას, აკვირდებოდა მის ფიქრსა და მოქმედებას. გულწრფელობა და ფაქიზი თანაგრძნობა შეიძლება განისაზღვროს ალექსანდრე ყაზბეგის მწერლურ კრედოდ. მის მიერ ნაძერწი, უჩვეულო ინდივიდუალიზმითა და თვითმყოფადობით გამორჩეული პერსონაჟები ურთულეს, ხშირად გადაუჭრელ აზრებსა და გრძნობებს ერკინებიან, დგანან მძიმე და დილემურ არჩევანთა წინაშე, ებრძვიან საკუთარ თავსა და გარემოს, აღზევდებიან და ეცემიან, უყვართ და ეშინიათ, იწვიან ბობოქარი ვნებების ცეცხლში, იფერფლებიან და, ხშირზედ უხშირესად, საკუთარი ფეხით მიეშურებიან განსასჯელთა სკამისკენ, სადაც ერთადერთ მსაჯულად ნიადაგ მკითხველი რჩება.

შინაგანი დრამატიზმი, ემოციების ჭიდილი, შეურიგებლობა რეალობასთან და ხშირად საკუთარ თავთან – ყაზბეგის პერსონაჟთა ანათემაა. მათთან ერთად იტანჯება ავტორიც. `ყაზბეგის შემოქმედებასაც აქვს თავისი დარიალის კარები, რომლის ვიწრო, მაგრამ მაღალ კედლებს შორის, ვარდება და ილეწება ავტორის შმაგი ტემპერამენტი~ (ვ. კოტეტიშვილი).

თუკი ყაზბეგი _ კაცი მფეთქავ ნერვად, სუფთა სინდისად, საქართველოს ღირსებისა და ინტერესების თავდადებულ მცველად წარმოგვიდგება, ყაზბეგი _ მწერალი – ნაცნობი უცნობი, შინაური უცხო, აზვირთებულ გრძნობებსა და განცდებთან ნაზიარები გენიალური შეშლილია. ასეთი იყო ყაზბეგი, ხევის ბატონი, რომელმაც ბატონობის მონობას უპოვრობის თავისუფლება არჩია,

ასეთად დარჩა ქართველი მკითხველის ცნობიერებაში და ასე მოიხსენიებს მას ქართული ლიტერატურის ისტორია.

როგორც ყველა დიდ მწერალს, მასაც ბევრი რამ დარჩა დაუწერელი, დაუმთავრებელი, დაუბეჭდავი ... ზოგი რამ მისი პირადი ცხოვრების აუწყობლობით მოხდა, ზოგი – სხვათა დაუდევრობით, ზოგიც – ცენზურის დაუნდობელმა მაკრატელმა შეიწირა. ნურც ე.წ. მივიწყებულ ტექსტებს გამოვტოვებთ: ერთხელ, ოდესღაც დაბეჭდილთ და მერე – ბედის ანაბარად მიტოვებულთ... ასეთი ბევრი მომხდარა ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაში. წინამდებარე კრებული ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ამ ნაკლებად ცნობილი ან მხოლოდ 'განდობილთათვის' ცნობილი ნამუშევრების თავმოყრის პირველი მცდელობაა. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგთა ჯგუფმა მოიპოვა, დაამუშავა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მოამზადა ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობები, პიესები, სცენები, ჩანაწერები, ზღაპრები, დაუბეჭდავი პუბლიცისტური წერილები, ლექსები, იმ დაბეჯითებული რწმენით, რომ დიდი მწერლის ერთი ახალი სიტყვაც კი ფასდაუდებელი განძია საზოგადოებისთვის. ამ ტექსტების წაკითხვა ახალი რაკურსით წარმოაჩენს ყაზბეგის მწერლურ მასშტაბს, მის მაღალ ლიტერატურულ გემოვნებას, ჟანრულ, სტილისტურ, აზრობრივ და მხატვრულ შესაძლებლობებს.

ირმა რატიანი




ალექსანდრე ყაზბეგის საფლავის ძეგლი სტეფანწმინდაში

ლიტერატურის მუზეუმი

ალექსანდრე ყაზბეგის სახლი და
ყაზბეგების კარის ეკლესია სტეფანწმინდაში

ლიტერატურის მუზეუმი

# უცნობი ყაზბეგი

1848 წლის 8 იანვრის გამთენიისას, სტეფანწმინდაში, ხევის გამგებლის -მიხეილ ყაზბეგის საგვარეულო სასახლის აივნიდან თოფის გრიალმა მოხევეთ ამცნო პირმშო-მემკვიდრის დაბადება. თოფის ხმას რუს ოფიცერთაგან ნაჩუქარი მაშხალების ზალპი დაერთო -პირველი და უკანასკნელი ფოიერვერკი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაში...

თუკი არსებობს რაიმე სიტყვა, რომლითაც შეიძლება ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის სიმბოლური მახასიათებელი აღინიშნოს, ეს იქნება -„ფატალური უიღბლობა“: უმეტესობა მაიმედებელ ცხოვრებისეულ წამოწყებათაგან, როგორც წესი, საპირისპირო შედეგით მთავრდება და ნაბიჯ-ნაბიჯ, ულმობლად აახლოებს აღსასრულს.

ყაზბეგის ბიოგრაფიის ყველაზე გულმტკივანმა მთხრობელმა, ვახტანგ კოტეტიშვილმა მიანიშნა ამ უიღბლობის პირველმიზეზზე: „იგი განწირული ადამიანი იყო და მას ვერავითარი საშუალება ვერ იხსნიდა. შეიძლება უკეთეს პირობებში გარდაცვლილიყო, ან ერთი თუ ორი წელი მეტი ეცოცხლა, მაგრამ განა ეს შეანელებდა მისი სიცოცხლის თუ სიკვდილის საშინელებას? რასაკვირველია, ვერა.

პიროვნულად ალ. ყაზბეგი ისეთივე ფატალური თოკით იყო შეკრული, როგორითაც ითანგებოდნენ მისი ატეხილი გმირები. მასაც იგივე სცილა და ქარიბდა ჰღუპავდა, რომელთაც ჩანთქეს მისი ძმად-ნაფიცები. და ვინ იცის, იქნებ ალ. ყაზბეგს პიროვნული ხსნა არც კი უნდოდა...“.

ეს „ზეგარდმო სასჯელი“ (ყაზბეგისავე მტკიცებით, მამა-პაპათაგან ბაგ-

რატოვანთა ტახტის ღალატისათვის) მისი ბავშვობიდან იწყება და საფლავამდე გასდევს: *„...მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე, როგორც მეფის შვილს. მანებიერებდნენ უკანასკნელ გარყვნილებამდინ. მასწავლიდნენ შურს, ამპარტავნობას და სიძულვილს!“* -აღმოხდება სანდროს გადიისადმი მიწერილ წერილში. აქვე ვიტყვით, რომ ალექსანდრე ყაზბეგის მამა -მიხეილ ყაზბეგი, ხევის გამგებლის, გაბრიელ ყაზბეგის (წარმომავლობით ჩოფიკაშვილები იყვნენ) უფროსი ვაჟი გახლდათ, რომელსაც თანამდებობა მემკვიდრეობით ერგო, შემდგომ კი, დესპოტური ხასიათის მიუხედავად (ანდა – სწორედ ამიტომ), მამის კვალდაკვალ, ადვილად შეეწყო რუსთ მმართველობას და გვარდიაში დაწყებული სამსახური გენერალ-მაიორობით დაამთავრა.

მიხეილის ეპოლეტები, როგორც ჩანს, არანაირად არ ხიბლავდა მის ვაჟს, რომელმაც სარკასტულად ჩახატა მამის პორტრეტი თავის ყველაზე უსიმპათიო პერსონაჟთა შორის (*„...დაბალი, ჩასუქებული, კისერჩაძვრენილი, უშნო კაცი“...*).

თბილისიდან ჩამოყვანილი შინამასწავლებლების (ფრანგული და რუსული ენები, საღმრთო რჯული, მათემატიკა, მუსიკა, ცეკვა...) წვალება-მოწადინების შედეგად, 11 წლის სანდრო მეტ-ნაკლებად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს. ყოველ შემთხვევაში იმ დონეზე, რომ თბილისის რომელიმე კერძო პანსიონში გაეგრძელებინა სწავლა. საოჯახო თათბირზე გადაწყდა, ბავშვი სასწავლებლად ჰაკეს ვაჟთა კერძო პანსიონში მიებარებინათ, რომელიც მართლაც საუკეთესო იყო თბილისში.

1862 წლის ოქტომბერში ალექსანდრე მშობლებს ქსენოფონტ კანონიჩის პანსიონში გადაჰყავთ, ხოლო ერთი წლის შემდეგ -თბილისის საგუბერნიო გიმნაზიაში. 1865 წელს, როდესაც ოჯახს თბილისში გადაბარგება დაუგვიანდა, სანდრომ მეცადინეობის რამდენიმე თვე გააცდინა, გამოცდები ვეღარ ჩააბარა და გიმნაზიიდან გაირიცხა. სანდრომ მთელი თავისი რისხვა ისევ და ისევ მშობლებისაკენ მიმართა: *„ჩემი შიში, რომ არ დაგეგვიანებინეთ გიმნაზიაში, და წადილი ისეთი ძლიერი იყო, რომ შინიდგან ჩემოდანაკიდებული, ქვეითი გამოგექეცით, ცივს ყინვაში. თქვენ გამოგზავნეთ კაცები, დამიჭირეთ, მომათრიეთ და, მკაცრის მოქცევის შემდეგ იანვრამდინ დამაგდეთ. რა გამოვიდა იქითგან?.. გამომრიცხეს გემნაზიიდგან და როდესაც ისევ მინდოდა შესვლა, მაშინ ეგზამენია მომთხოვეს იმაში, რაც გაევლოთ ჩემს ამხანაგებს ჩემს იქ უყოფელობაში. ეგ აშკარა იყო, რომ 8 თვე ნადირობაში და უსაქმო გატარების შემდეგ, ყოვლათ შეუძლებელი იყო ეგზამენიის დაჭერა. ამ უბედურებას მიემატა მამიჩემის ავადმყოფობა, რომელსაც წადილი იმ სურვილათ გადაექცა, რომ გვერდიდგან აღარ მოვშორებოდი. ასე რომ, არამცთუ თქვენის მიზეზით*

*გემნაზიის სწავლა დავკარგე, ისიც კი აღარ იფიქრეთ, რომ სხვა რომელსამე გზაზედ დაგეყენებინეთ“.*

*კითხულობ ამ წერილს და სულ რაღაც „დეჟავიუს“ განცდა გაქვს... ეს ხომ ადრეც ითქვა... რაღა თქმა უნდა, გაგახსენდება: დედ-მამის უგულისყურობას რომ შესჩივის ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძამისს -გრიგოლ ორბელიანს: „ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურების გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე აღარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დავმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა ხანდისხან ჯავრით ვაპირებ მასთან შებმას...“.*

*მელიტონ ბარათაშვილისაგან განსხვავებით, დასნეულებული მიხეილ ყაზბეგი, ეტყობა, მართლაც გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს და გარდაიცვალა კიდეც წყალმანკით 1866 წლის 18 ივლისს.*

*მიხეილ ყაზბეგის პანაშვიდზე სანდრომ ერთი უცნაური მიზანსცენა გაითამაშა, რომელსაც მისი ბიძაშვილი ლიზა ყაზბეგი ასე აღწერს: „გულგადაღეღილი, საყელოჩაკეცილი, მოკუზული სანდრო ცხედარს გარს უვლიდა და მათრახს ძალზე იცემდა! ნინო თავპირში ცემით წინ მიუძღოდა, ძალუაჩემი თმაგაწეწილი, წინანდელზე უფრო თავგამოდებული ხმითა ტიროდა და დიდის უნარით ცხედარს ჩასძახოდა სანდროს თავგანწირულებას და დიდს მწუხარებას. მაყურებლები ერთიანად ატირდნენ და საერთო ვაი-ვაგლახი გამართეს.*

*სანდრო ძლივს მოაშორეს კუბოს. დიდი მადლობით და ქება-დიდებით შემოიყვანეს მეორე ოთახში კისერდასიებული, დასისხლიანებული. ჩვენ ჯერ გონს ვერ მოვსულიყავით, გაშტერებით ვუყურებდით და ასჯერ ვეკითხებოდით, რათა ქნა ეს საქმე?..*

*- მართალია, მათრახით ტყავის გაძრობა დიდი მხეცობა არის, მაგრამ მე ასე მოვიქეცი ხალხის გულისათვის: ასე რომ არ მოვქცეულიყავ, იტყოდნენ, რომ მამის სიკვდილი უხარიანო!“* -თავს იმართლებდა ეს უცნაური ჭირისუფალი.

*რა ხდება სინამდვილეში ამ 18 წლის ჭაბუკის გულში, რომელსაც, ამიერიდან, „ოჯახის უფროსი“ ერქმევა, მაგრამ დედა-ბატონის ბრძანებით, ღამღამობით ჭიშკარს უკეტავენ, -დილამდე რომ არ იჯდეს ლიტერატურულ საღამოებზე ლიზასთან, იმხანად, მის ერთადერთ მეგობართან და მესაიდუმლესთან (რაც ასე არ მოსწონს უფროს ელისაბედს!). და მაინც, რა ხდება?! რატომ არ შეუძლია დარბაისლური იერით იდგეს მგლოვიარეთა შორის და მისამძიმრებებს იღებდეს*

ყოველგვარი ექსცენტრულობის გარეშე, ისე, როგორც ამას ნებისმიერი სხვა ახალგაზრდა არისტოკრატი გააკეთებდა?!

დიახაც, რომ არ შეუძლია! არ შეუძლია ეგზომ „თეატრალიზებული“ რიტუალის ჩვეულებრივი მონაწილე იყოს, რადგან გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად არ აიგივებს თავის თავს თავისივე გარემოცვასთან.

„_აკი არ გიყვარდათ მამაჩემი?! თეატრს აწყობთ?! თეატრს მე განახებთ!“ -იტყვის გულში და მართლაც გაითამაშებს პაროდიულ მიზანსცენას მათრახით, დასისხლიანებული ზურგითა და კისრით... კიდევ კარგი, განსვენებული ვერაფერს ამას ვერ ხედავს, წევს, ვალმოხდილი...

„მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს!“ -და, აი, აქ გაიფიქრებთ, რომ არის ამ წარმართულ, დასისხლიანებულ როკვაში განსვენებული მამის გარშემო, რაღაც ქვეცნობიერი პლასტი, გაცილებით უფრო ღრმა, ვიდრე ის პირველი, სიტუაციური გაღიზიანება... გაიფიქრებთ, რომ მემკვიდრემ უნებლიეთ დაუკავშირა სრულწლოვანების აღსანიშნავი სიმბოლური ინიციაცია (სისხლსა და თვითგვემას რომ მოითხოვს) „ბელადის“ სიკვდილს და პრეისტორიული რიტუალი არქეტიპული სიზუსტით აღასრულა...

შეშფოთებულმა დედამ „თავქარიანი შვილის“ დაქორწინება განიზრახა, მაგრამ „საქორწინო ხაფანგს“ თავდაღწეული სანდროს შინ მიბრუნებამ რამდენადმე გაანელა ელისაბედ ყაზბეგის „მატრიმონიალური პათოსი“ და იგი „საგანმანათლებლო გეზს“ დაადგა, მოსკოვს გაამგზავრა. ამ პერიოდს ასე აღწერს ვახტანგ კოტეტიშვილი: *„...როგორც სჩანს, ალ. ყაზბეგი მოსკოვში მადა-აწყვეტილია, არაფერს არ ჰზოგავს, და „დიდი ცხოვრების“ ვნებიან ზღვაში თავდაყირა ეშვება დიდი განცდების მაძიებელი“.*

ახლა ჩავხედოთ დავით კარიჭაშვილის იმ წინასიტყვაობას 1904-1905 წლებში გამოცემული ყაზბეგის ერთტომეულისათვის, რომელიც ამ წიგნის ბიბლიოთეკებში შემონახული ეგზემპლარების უმეტესობიდან საგულდაგულოდ ამოუხევიათ „მორალისტ“ მკითხველებს: „1870 წელს რუსეთში ყოფნის დროს ყაზბეგი ავად გახდა ავის სნეულობით და საქართველოში დაბრუნდა ავადმყოფი. დედა მისი აღნიშნავს, რომ სანდროს მორჩენაზე თხუთმეტი თუმანი დაიხარჯაო“.

ეს ყოფითი დრამა ვახტანგ კოტეტიშვილმა შემოქმედებითი ფსიქოლოგიის იშვიათი წვდომით (განსწავლულობითაც, რაღა თქმა უნდა), დიამეტრალურად განსხვავებულ განზომილებაში დაინახა: *„მე მგონია, რომ ალ. ყაზბეგის მზგავს ადამიანებს, შემოქმედებამდე და შემოქმედების პროცესშიც, თუ არ დაემტვრათ ცხოვრება, ისე შეუძლებელიც არის მათი შემოქმედება“.* როგორი გაბედულებაა საჭირო ამ ერთი პარადოქსული ფრაზის წარმოსათქმელად! ცხადია, მრავალი

მაგალითი მოჰყავს და ლომბროზოს „გენია და შეშლილობაც“ მაგიდაზე უდევს, მაგრამ მაინც, როგორ გინდა ამდენ „ტოტემსა“ და „ტაბუს“ შორის მომწყვდეული მკითხველი დააჯერო, რომ სვებედნიერი და ამჩატებული ყმაწვილი სულისშემძვრელი ნაწარმოებების ავტორი გახდა მას შემდეგ, რაც მთელი თავისი ილუზიები თავს დაემხო და, გარეშემოთაგან ზურგშექცეულმა, სულის სიღრმეში ტკივილისაგან გადახსნილ ნაპრალში დაინახა თავისნაირად უიღბლო, შმაგი, გულდათუთქული, განკიცხული არსებანი...

ყაზბეგების სიძე, ივანე ფურმანი, რომელსაც 1870 წლის ნოემბერში სანდრო მოსკოვიდან სტეფანწმინდაში უნდა ჩამოეყვანა, გზიდანვე უგზავნიდა „ინსტრუქციას“ ცოლს: *„...გააფრთხილე დედა, რომ მოერიდოს არამც თუ საყვედურს, არამედ მეტს კითხვებსაც. სთხოვე ჩემ მაგიერ, ასე მოიქცეს საერთო სარგებლობისათვის“.*

მთავარი კითხვა, რომლის ამოთქმასაც ვერ ბედავდა ვერც ერთი შინაური, ეხებოდა სანდროს რუსეთში არშემდგარ დაქორწინებას ნინა ჩერნიშოვ-კრუგლიკოვასთან, სანდრო რომ მოაჯადოვა...

სტეფანწმინდაში დაბრუნებული ალექსანდრე ბავშვობიდან ნანატრი საქმიანობითაა გატაცებული. გავიხსენოთ მისი „ნამწყემსარის მოგონებები“: *„მე 18[71] წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო... მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ“.*

ყაზბეგის ყველაზე ულმობელმა ბიოგრაფმა, დავით კარიჭაშვილმაც კი არ გაატრიზავა ეს პათეტიკური მონოლოგი. თუმცა ულმობელი, რისი ულმობელია, თუ იქვე იმასაც არ დასძენს, რომ ალექსანდრეს „საქმიანი“ წამოწყებები სტეფანწმინდაში, ყაზბეგის „მედუქნეობა“ იქნებოდა ეს, თუ მეიჯარეობა კატასტროფული შედეგებით დამთავრდა.

„ყაზბეგიანთ სასახლეში“ სიტუაცია აშკარად დაიძაბა: მამულების მეტი წილი გაყიდული; ფოსტას ხან სასამართლოდან გამოგზავნილი უწყებები მოაქვს, ხან -მევალეების წერილები; ლიზამ თავატკივებული და გესლად ქცეული „ბიცოლას“ შიშით, სტუმრობას უკლო; მოკლედ: *„...ქალბატონო, სახლში სკუჩნობაა!“* -როგორც ყაზბეგთა სახლიკაცი, იორდანე იმეორებს ხოლმე...

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1878 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს ალექსანდრემ ჩემოდნის ჩალაგება დაიწყო, რათა მეორე დღეს თბილისისაკენ მიმავალ დილიჟანსს დამგზავრებოდა და სამუდამოდ ამ ქალაქში დამკვიდრებულიყო. თბილისში იქამდეც ჩადიოდა, ცხადია;

უყვარდა ახალ ნაცნობებთან თავმოწონება -კეთილშობილი იერით, თეთრი ჩოხით, ხელგაშლილობით... მოსკოვიდან წამოყოლილი „ჩამოღვენთილობის“ აღარაფერი ემჩნეოდა; მისივე მთამ მოასულიერა და დაუბრუნა ჩვეული ხიბლი; ისე რომ, ახლა „თბილისის დასაპყრობად“ მზად იყო...

თბილისში ჩამოსვლისას იგი ერთ-ერთ მეორეხარისხოვან სასტუმროში დაბინავდა ჩუღურეთში. მას მერე კიდევ რამდენიმე სასტუმრო და ბინის მეპატრონე გამოიცვალა, ვიდრე საბოლოოდ, „დროების“ რედაქციაში, ზემო სართულზე არ დაიდო ბინა.

თბილისში იყო ერთი ადგილი, რომელიც ამ გამოუსწორებელ მეოცნებეს ანდამატივით იზიდავდა და ეს თეატრი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი „რომანი თეატრთან“ ნებისმიერ სხვას გამოაფხიზლებდა, ყაზბეგი მთვარეულივით მიუყვებოდა ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გეზს და არ იყო ქვეყნად ძალა, რომელსაც თეატრისადმი მისი ფანატიკური სიყვარული გაენელებინა...

დაუოკებელი წარმოსახვის პატრონს, ეტყობა, ნეტარების წუთებს ჰგვრიდა კოლოსალური ემოციური მუხტის სცენაზე გახარჯვა. როგორც ჩანს, რაღაც მსგავსი ექსტაზი წერის პროცესშიც ჰქონდა: გამალებით, რაღაც შემოქმედებით ტრანსშიYრომ ავსებდა თავისი მორიგი შედევრის ფურცლებს... ალბათ, მართლაც უფრო ბედნიერი იყო იმ, წარმოსახული რაინდების გარემოცვაში, ვისთანაც ძმობა და მეგობრობა ეწადა ამ მარტოსულ და ნატანჯ იდალგოს...

წარუმატებელი აღმოჩნდა სანდროს, როგორც დრამატურგის დებიუტი: აქ საცოდავ მშობლებს ვეღარაფერს გადააბრალებდი -სანდრო, თავისივე ინიციატივით, სავსე ხურჯინით მიადგა „დრამატულ კომიტეტს“ და სტეფანწმინდიდან წამოღებული „ნობათი“ -თერთმეტი „დრამაკომედია“ (ზაქარია ჭიჭინაძის ნეოლოგიზმია!) გადმოულაგა მაგიდაზე: *„მათ განიხილეს პიესები, მაგრამ სასცენოდ არც ერთი არ მოიწონეს* და *ხელნაწერები უკან დაუბრუნეს,* - იგონებდა ზაქარია, - ალ. *ყაზბეგს დიდად ეწყინა, ამბობდა: აქ თუ მტრობა არ არის, ნუთუ თერთმეტ პიესაში ერთი პიესა მაინც არ აღმოჩნდა ღირებული: ეს მე არ მჯერაო!“*

საბედნიეროდ, მაინც გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი არსება, რომელსაც გული აუჩუყა ამ დიდი, გაბუტული ბავშვის ყურებამ. რაღა თქმა უნდა, ქალი იყო -მაკო საფაროვა-აბაშიძისა, რომელსაც ქალურმა გუმანმა უკარნახა, რომ ამ მოკრძალებულ, თეატრალთაგან განაწყენებულ ახალგაზრდა კაცს, მომხიბლავს, მაგრამ რაღაც ტრაგიკული ნაჭდევით დათრგუნულს, სწორედ იმ წამს სჭირდებოდა თანაგრძნობა და აცრემლდა სანდროს პიესის მოსმენისას.

პიესა როგორი იყო და რა ერქვა -ამას უკვე აღარც ჰქონდა მნიშვნელობა. ცრემლისმომგვრელი კი, რაღა თქმა უნდა, იყო ეს ყველაფერი...

*და, აი, 1880 წლის 13 მაისს თბილისის საზაფხულო თეატრის შენობაში იმართება მაკო საფაროვას ბენეფისი. ქართული დრამატიული დასი პირველად წარმოადგენს ა. მოჩხუბარიძის ოთხმოქმედებიან დრამას „ერთი უბედურთაგანი“.*

ახლა მოვუსმინოთ, როგორ იხსენებს მართლაც რომ ერთი უბედურთაგანი იმ საღამოს და ოთხმოქმედებიან დრამას, რომლის „სცენისშემდგომი გაგრძელება“ სულ უფრო და უფრო ემსგავსება ტრაგედიას: *„...პიესის გათავების შემდეგ საზოგადოებამ კიდევ რამდენჯერმე გამომიწვია ტაშის ცემით. გამომიწვია და ამით გათავდა ჩემი სიამოვნება, რადგან ამ გვარის მიღებით ჩემი Mმოწინააღმდეგენი კიდევ უფრო გააბრაზა და განაზრახა ლიტერატურაში, გაზეთების საშუალობით, გამოელაშქრათ ჩემზედ...“.*

ამ შემოტევებით დაბნეულმა ავტორმა ხუთჯერ გადააკეთა თავისი დრამა და, საბოლოოდ 1881 წ. 1 თებერვალს წარმოადგინა უკვე როგორც ორ-მოქმედებინი კომედია. ამ დადგმას „დროება“ (1881 წ. #25) კიდევ უფრო სარკასტული რეცენზიით გამოეხმაურა, რასაც წყობიდან გამოსული ყაზბეგის გაღიზიანებული პასუხი მოჰყვა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასეთი „ნაცნობობის“ შემდეგ სწორედ „დროება“ შეიფარებდა ამ აძაგრულ მოხევეს...

*„დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი იყო მისი მწერლობის ნათლია, ლალაცა და წამქეზებელიც,* - იგონებდა ყაზბეგთან იმ წლებში დაახლოებული ჟურნალისტი და მწერალი ილია ჭყონია, - *პირველად სანდროს ნაწერებთაგან დაიბეჭდა „დროების“ ნომრებში მისი ეთნოგრაფიული მიმოხილვა ხევისა, რაც მაშინვე გადაითარგმნა რუსულად რაფიელ ერისთავის მიერ და გამოქვეყნდა „რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებში“. რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო მისი ბელეტრისტული ნაწარმოებთა ბეჭდვა და 1885 წლამდე მან დაწერა და დაბეჭდა ყველაფერი, რაც კი შექმნა მისმა ნიჭმა...“* შემდგომ ილია ჭყონია იხსენებს, *როგორ აიძულა „დროების“ რედაქციაში „შემობოდიალებული“ ყაზბეგი მორიგი ნომრისათვის სასწრაფოდ რაიმე დაეწერა: „...უცებ გამიელვა თავში აზრმა -შემეტყუებინა ის რედაქტორის კაბინეტში, ჩამეკეტა იქ და არ გამომეშვა, სანამ რამეს არ დამიწერდა გაზეთისათვის. ასეც მოვიქეცი.*

*ორი საათის შემდეგ მან გადმომცა სწორედ მაშინ დაწერილი ის პატარა, ერთი საუკეთესო მისი ესკიზთაგანი, რომელსაც სახელად ჰქვია „ციცკა“.*

ჩავთვალოთ, რომ ის ორი საათი ყაზბეგი თავის „დაბადების მოწმობას“ ავსებდა, თავისი მწერლობის დასტურს, პირველ გაცხადებას იმ უბადლო ნიჭისა,

რომლითაც, ბედის ყველა უკუღმართობის საზღაურად, დააჯილდოვა განგებამ.

ავტორზე არანაკლებ ბედნიერი, ვგონებ, სერგეი მესხი იყო: „უნდა შეგვეწიო, სანდრო! - პირველადმომჩენის პათოსით ამხნევდებდა იგი „დროების“ დებიუტანტს, პ-უნდა შეეწიო მამულს, საყვარელ ხალხს, ლიტერატურას, პრესას. შენ ბევრი ისეთი რამე იცი, ან დაწერილი გაქვს, როგორიც „ციცკაა“! დღეიდან ყველაფერი განზე უნდა გადასდო, ყოველივე პირადი დაივიწყო და წერო, წერო და მხოლოდ წერო!“.

„ელგუჯას“ ბეჭდვა „დროებაში“ 1881 წლის ივნისიდან დაიწყო. ეს სახელი სამუდამოდ დაამახსოვრდათ გაზეთის იმ მკითხველთ, რომელნიც სუნთქვაშეკრულნი ადევნებდნენ თვალს მოხევე რაინდის საბედისწერო თავგადასავალს და სულმოუთქმელად ელოდნენ გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლას; მარტო ის ეპიზოდი რად ღირს, „დროების“ სტამბაში ასოთამწყობნი ელგუჯას სიკვდილს რომ ვერ შეეგუვნენ და ავტორი აიძულეს, მოთხრობის გაგრძელება დაეწერა.

1882 წლის იანვრიდან „დროება“ იწყებს „მამის მკვლელის“ გამოქვეყნებას (კვლავ გრიგოლ ორბელიანი წააწერს საგაზეთო გვერდის არშიაზე -ქართველი ჰომეროსიაო!). იმავე წელს „დროებაში“ ერთიმეორის მიყოლებით ქვეყნდება „ფათი“, „ელბერდ“, „ჩინოვნიკი ელურიძე“, ხოლო ჟურნალ „ივერიის“ მეათე ნომერში კი -„ელისო“, რომლის განწყობილება და გარემო ასე ეხმიანებოდა ყაზბეგის „კავკასიური საგის“ მეორე შედევრს -„ელბერდს“.

1884 წლის თებერვლის დასაწყისში გამოდის ჟურნალ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც იწყება მისი ავტობიოგრფიული რომანის „განკიცხულის“ გამოქვეყნება. ავტორმა მინიმუმამდე დაიყვანა ლიტერატურული პირობითობები და პრაქტიკულად წაშალა ზღვარი რომანის პროტოტიპებსა და პერსონაჟებს შორის. მთავარი ინტრიგა ამ „პროტოტიპების ხლართში“ -„სოფიოდ“ მონათლული ლიზა ყაზბეგია, რომელიც ანტიკური ერინიების ულმობლობით ანგრევს „განკიცხულის“ გმირის ბედნიერებას... „განკიცხული“ 1883 წელსაა დაწერილი. უნდა გამოვიცნოთ, რა შეიცვალა ბიძაშვილების ურთიერთობაში ისეთი, რომ ლიზა პირველი ახლობლიდან პირველ მტრად იქცა?!

„განკიცხული“ ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდივითაა: ან ძალიან მოსწონდათ, ან ყოვლად გულგრილნი იყვნენ და, ისე მგონია, რომ ეს „ლაკმუსის ქაღალდი“ ამჟღავნებდა ლატენტურ სიმპათია-ანტიპათიას ყაზბეგის ბელეტრისტიკის რომანტიკული პათოსის მიმართ. კიტა აბაშიძე, რომელიც საერთოდ თვლიდა ყაზბეგს ქართულ ლიტერატურაში ნეორომანტიზმის წამომწყებად, „განკიცხულს“ ევროპული ყაიდის „ბულვარულ რომანად“ მიიჩნევდა და

არასოდეს არ შეჰქონდა მისი კერპის საუკეთესო ნაწარმოებთა ნუსხაში. აი, დავით კლდიაშვილი კი ისე აღფრთოვანდა, რომ, წაკითხვისთანავე, 1884 წლის 14 აპრილს, ბათუმიდან მისწერა ყაზბეგს: *„თუ არ გეწყინებათ, იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლებიც მე თითქმის ყველა წაკითხული მაქვს, ერთი ვერ აჯობებს „განკიცხულს“.*

1884 წელს „განკიცხულის“ გამოქვეყნებას მოჰყვა „ხევისბერი გოჩა“, რომელსაც „დროების“ ერთგული მკითხველი აგვისტოდან ნოემბრამდე ეცნობოდა და, უკვე წლის ბოლოს –„ელეონორა“: აქ ავტორი ცდილობდა, ერთგვარი ჟანრული სიმბიოზი შეექმნა ისტორიული მოთხრობის, მითისა და იგავისაგან (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დროებას“ 1883 წლიდან, ჭლექისაგან გარდაცვლილი სერგეი მესხის ნაცვლად, უკვე ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა და ისიც, თავისი წინამორბედის მსგავსად, გამორჩეულად მეურვეობდა ყაზბეგს).

„ხევისბერი გოჩა“, შეიძლება ითქვას, საკულტო ნაწარმოებად იქცა, ხოლო ხევისბერის შეგონება, – *გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო,* – სამუდამოდ შთაინერგა ქართულ ცნობიერებაში. ყაზბეგის არც ერთ სხვა მოთხრობაში ასეთი ფატალური ულმობლობით არ წამოჩენილა დილემა, რომელიც მას ყველაზე უფრო აწუხებდა: არჩევანი გრძნობასა და მოვალეობას შორის. როცა კი დამდგარა მის წინაშე ეს არჩევანი, ყაზბეგში, როგორც ჩანს, გრძნობა იმარჯვებდა და არაა გასაკვირი, რომ მისთვის გაუნელებლად მტკივნეული იყო მარადიული კითხვები გრძნობისა და მოვალეობის (შესაბამისად –დანაშაულისა და სასჯელის) შესახებ. ეს კითხვა მან უპასუხოდ დატოვა „ელგუჯაში“ (რაც არ გამორჩენია კიტა აბაშიძეს!), სამაგიეროდ, მკაფიოდ პასუხობს მას „მოძღვარში“ –უკანასკნელ მოთხრობაში მის „დიდ ნაწარმოებთაგან“ და, ფაქტიურად, დასასრულში მისი განსაცვიფრებელი, ხუთწლიანი შემოქმედებითი ზეაღსვლისა.

*1885 წლის ივლისის ბოლოს გამოდის ჟურ. „ივერიის“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც ა. მოჩხუბარიძის ხელმოწერით იწყება „მოძღვარის“ ბეჭდვა.*

„მოძღვარზე“ გამოხმაურებათაგან ყველაზე მოულოდნელი ანტონ ფურცელაძისა იყო, რომელიც, *„არც გულითა და არც გონებით არ იყო ყაზბეგზე კარგი აზრისა“* და *პრინციპულად* არ *კითხულობდა* მის *ნაწარმოებებს. შემდგომ ანტონ ფურცელაძე იგონებდა, როგორ შემოათენდა ამ მოთხრობის კითხვისას: „იმავე დილით გავექანე ყაზბეგისაკენ. ის დამიხვდა რედაქციის კარებთან. მე აღტაცებით ვეცი მას და დავუწყე კოცნა. სანდროს სიამოვნებისაგან მოერია თვალებში ცრემლი“. თვითონ ყაზბეგსაც გამორჩეულად ჰყვარებია „მოძღვარი“.*

*1886 წლის 16 თებერვალს ყაზბეგი ილია ჭავჭავაძესთან ერთად იდგა სცენაზე: ქართული დრამატიული დასი მაყურებელს წარუდგენს შექსპირის „მეფე ლირს“.*

*ილია ჭავჭავაძე ასრულებდა კენტის როლს. დანარჩენ როლებს ახორციელებენ: ლირს - კოტე ყიფიანი, ხუმარას – კოტე მესხი, ედმუნდს – ა. მოხევე (ყაზბეგი), კორდელიას – მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ედგარს – ვასო აბაშიძე.*

*1888 წლის 23 ივნისს კი გაზ. „ივერია“ (#30) ბეჭდავს სამგლოვიარო განცხადებას - „ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი აუწყებს გარდაცვალებასა დედისა თვისისა ელისაბედ ესტატეს ასულ ყაზბეგისას“.*

წავიდა ამ ქვეყნიდან უკანასკნელი ადამიანი, რომელიც დღემუდამ ფიქრობდა თავის ერთადერთ ვაჟიშვილზე და, მუხლმოყრილი უფალს ევედრებოდა, როგორმე დაენდო და არ გაეწირა მამისეულ კერას განრიდებული უძღები შვილი... დააკლდა ეს ლოცვები მის სანდროს, ნამდვილად დააკლდა და ჯერ კიდევ სიჭაბუკისას ნაგრძნობი „აწმყო დროის დედინაცვლობა“, ახლა, სიჭარმაგისას, ულმობლად შემოუბრუნდა...

*1890 წ. 20 თებერვალს ალ.ყაზბეგს მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში ათავსებენ.*

*ივნისის დასაწყისში – თითქოს გამოკეთებული და გამოჯანმრთელებული ალ.ყაზბეგი საავადმყოფოდან გამოჰყავთ.*

ყაზბეგის ბიოგრაფიის სწორედ ამ მონაკვეთს (ფსიქიატრიულ კლინიკაში პირველად და მეორედ წაყვანას შორის) თედო სახოკია ასე იგონებდა: *„... სრულებით უსახსროდ დარჩენილ ალ. ყაზბეგს, ღამე თავშესაფარებელი ბინა რა არის, ბინაც კი არა ჰქონდა!.. მართალია, სიძე ჰყავდა, დის ქმარი, საინტენდანტოს მოხელე, ვინმე ფურმანი, მრავალოთახიანი ბინის პატრონი, მაგრამ იმ მრავალოთახიან ბინაში ერთი, თუნდაც სულ პატარა ოთახი არ აღმოჩნდა ისეთი, რომ დაავადებულ ყაზბეგს ღამე გაეთია“.*

ცხოვრების დასალიერზე ყაზბეგს გაუჩნდა ერთი ბათუმელი მეგობარი, რომელიც თითქმის ათი წელი განუყრელად თან ახლდა და ბევრი წყენისა და შეურაცხყოფის გადატანა გაუადვილა. ყაზბეგის მკითხველთაგან ცოტაა ისეთი, ვინც არ იცოდეს ამ ერთგული არსების -მაიმუნის სახელი... ჟაკო.

ყაზბეგის სიცოცხლის ბოლო პერიოდშივე ერთი უსიამოვნო ისტორია დაიწყო, რომელიც გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. ამ ისტორიის ეპიცენტრში ლიზა ყაზბეგია მოქცეული.

ლიზა ყაზბეგის ვერსია ასეთი გახლდათ: მის „ძვირფას“ ბიძაშვილს 1880-იანი წლების დასაწყისშივე თურმე ისეთი ინტელექტუალური დეგრადაცია ემჩნეოდა უკვე, რომ ის ვერასგზით ვერ შექმნიდა იმ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს და ბელეტრისტიკის ეს შედევრები, სინამდვილეში მის განსვენებულ ძმას -დიმიტრი ყაზბეგს (1838-1880) ეკუთვნოდა. ამ სიუჟეტში

იყო დიმიტრის გარდაცვალებისთანავე მომენტალურად გატეხილი განჯინაც, საიდანაც თურმე სანდრომ ხელნაწერები გაიტაცა დიმიტრის მოურავის ალოშკა შადურის თვალწინ; დეტექტიური ჟანრის ყველა კანონის დაცვით, რაღა თქმა უნდა, იყო მკვლელობაც: შადური, როგორც არასასურველი მოწმე, უნდა გამქრალიყო და გაქრა კიდეც! სინამდვილეში მომხდარი მკვლელობა მართლაც შემაძრწუნებელი იყო - ალოშკა 1888 წელს, ივლისის 30-ში, ღამით, მისივე მანიაკმა შვილმა ვანიამ მოკლა. აი, ვისი დაკვეთით მოკლა, ეს უკვე ლიზა ყაზბეგის „მწერლური ტალანტის“ მიგნება იყო: *„შესაძლებლად მიმაჩნია, ფსიქიკურად ძლიერის ხასიათის მქონე სანდროს დაემონავებინა სუსტი ხასიათის პატრონი ახალგაზრდა ჭაბუკი ვანია“,* - ამტკიცებდა იგი თავის მოგონებებში და იქვე განმარტავდა, რომ *„ყაზბეგმა ეს ამაზრზენი დანაშაული ჰიპნოზის საშუალებით განახორციელა...“.*

აქვე, ალბათ, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ კრიმინალური დრამის ფინალში, როგორც ხდება ხოლმე, ლიზამ სენტიმენტალური ნიუანსი შეიტანა და ალექსანდრე ყაზბეგის „პროგრესირებადი დამბლის“ გამოვლინებები „სინდისის ქენჯნით“ ახსნა...

როგორი წასაკითხია ეს ყველაფერი საღ გონებაზე?! დიახ, ეს სანდროსთან თანშეზრდილი ლიზა ყაზბეგია, რომელსაც დიმიტრის სიკვდილიდან 14 წლის შემდეგ თვალი აეხილა და ირწმუნება, რომ მისი „მიტკას“ ხელნაწერთა მიმტაცებელი სანდრო - „ცრუ-დიმიტრია“! ნამდვილი დიმიტრი, ავტორი ამ შედევრებისა, უსამართლოდ დავიწყებული, განისვენებს სტეფანწმინდის სასაფლაოზე... პირდაპირ ცრემლის მომგვრელი ისტორიაა და, რაც მთავარია, გარემოებათა გამო, ფსიქოლოგიურად ზუსტად გათვლილი: დიმიტრიმ თავისი ბრწყინვალე სტუდენტობით პეტერბურგში, ისე დაამახსოვრებინა თავი იმდროინდელ მეგობრებს (ილია ამბობდა: *„მთელი თავით მაღლა იდგა ჩვენში“*-ო), რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მისგან რაღაც განსაკუთრებულს ელოდნენ; ალექსანდრემ, როგორც ვნახეთ, პირიქით, ახალგაზრდობისას თავი ვერაფრით გამოიჩინა; სტეფანწმინდას შეფარებული დიმიტრი იდუმალ ფიგურად აღიქმებოდა; ირაციონალური და ფეთქებადი ალექსანდრე -აშკარად გამაღიზიანებელი იყო: დასაწყისში -განებივრებული ბავშვის მანერებით და „თეთრი ჩოხით“, ბოლოსაკენ კი -„ჟაკოთი“, ძველმანებით და წვრილმანი კლეპტომანიით.

იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი (ყაზბეგის ტერმინოლოგიით -„საქართველოს ბომონდი“) მზად იყო დაეჯერებინა ლიზა ყაზბეგისთვის. ამ მზაობის მექანიზმი კარგად ახსნა ვახტანგ კოტეტიშვილმა: *„საქართველომ*

*ყაზბეგის მოსვლა სხვანაირად მიიღო: შეიძლება ეს არ იყო შეგნებული, მაგრამ განცდილი კი იყო. ყველამ იგრძნო, რომ „ელგუჯას“ ავტორი დავიწყებული ქვეყნიდან მოდიოდა და როცა ნახეს ჩვეულებრივი ქართველი კაცი, ჩოხაში გამოწყობილი, ხანჯლებით მოცეკვავე, დარდიმანდი, აღარავის სჯეროდა მისი ავტორობა. ყველას უნდოდა, რომ ავტორი ვინმე სხვა ყოფილიყო, რომელიც არავის უნახავს და რომელიც აღარ არის. ეს გამოძახილი დღესაც ისმის, მაგრამ ამას თავის ახსნა აქვს. ადამიანი, რომელმაც დაწერა „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისო“ და სხვა, თავის დროისათვის უცხო იყო და იქნებ ჩვენთვისაც ჯერაც არ იყოს დაახლოვებული“.*

ალექსანდრე ყაზბეგის სახელის დაცვა ისეთივე პათოსს მოითხოვდა, როგორითაც იცავენ ხოლმე ეროვნულ სიმბოლოებსა და ინსიგნიებს. სწორედ ასეთი პათოსი აღმოაჩნდა ვახტანგ კოტეტიშვილს და ამის შესანიშნავი დასტურია მის წიგნის რეფრენი, რომ ყაზბეგის ბელეტრისტიკა: *„...იყო და არის ქართული გზნების, ფანტასტიკის და ტკივილების დაუშრეტელი აუზი, ეროვნული რომანტიკა, გმირობის აპოლოგია, და ადამიანურის, ნამდვილ ადამიანურის დაკარგვის გამო აგოდებული სული“.*

ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნში მოხმობილი კონტრარგუმენტები ყოველგვარ საფუძველს აცლიდა ლიზა ყაზბეგისა და მას მინდობილი პროფ. ზანდუკელის „ბრალდებებს“.

... სიტყვა სიტყვას მიჰყვა, მოვლენებს გავუსწარით და ჩვენი თხრობის მთავარი გმირი, ისედაც მიუსაფარი, ტფილისის ქუჩაში დავტოვეთ: *„...დახეული ჩოხა-ახალუხი აცვია, თავზე ბუხრის ქუდი ჰხურავს, ისიც შებერტყილი, ზემოდანაც ხანგრძლივი ხმარებისაგან შელანძღული ნაბადი წამოუსხამს... ერთ დროს ლამაზ სახეზე ტანჯვის, განუსაზღვრელი ტანჯვის ბეჭედი აზის“* (თედო სახოკია).

ძნელია სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ადამიანის ყურება და კიდევ უფრო ძნელია, როდესაც ერთს რომელსამე ჟესტში ან ქმედებაში თვითმკვლელობის ნაირსახეობას ხედავ. ისე მგონია, ყაზბეგისათვის ეს ჟაკოს გაყიდვა იყო: *„იმისთანა გაჭირვებაში ჩავარდა, ა. ყაზბეგი, რომ ის თავისი საყვარელი ჟაკო თუმნად გაყიდა“,* – წერდა აკაკი, რომელსაც მაინცადმაინც არც ჟაკო ეხატებოდა გულზე და არც მისი პატრონი... ისე, „ჟაკოს გასხვისების“ რიცხვიც რომ დახსომებოდა, ჩვენც გვეცოდინებოდა, როდის დამთავრდა ალექსანდრე ყაზბეგის გაცნობიერებული სიცოცხლე... დანარჩენი, ჩანს, უკვე მცენარეული არსებობა იყო „ჰოშპიტლის“ კედლებში...

*1893 წ. დეკემბრის 10. გარდაიცვლება ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგისა, დაბადებიდან ორმოცდამეექვსე წელსა“.*

მოკვდა ყაზბეგი და ყველაფერი დალაგდა – მისი პირველი მტრები პირველ გულშემატკივრებად იქცნენ.

გამოთხოვების ცერემონიალი ისევ და ისევ თედო სახოკიამ აღწერა: *„დიმიტრი ყიფიანის შემდეგ საქართველოში ასეთი ამბით მარტო ალ. ყაზბეგს ეღირსა დასაფლავება. ზღვა ხალხი, ქალი, კაცი, შეგირდობა, მწერლობის მსახურნი, საზოგადო მოღვაწენი. კუკიის ხიდთან რომ იყო სამგლოვიარო პროცესიის თავი, ბოლო ისევ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოსთან ჩანდა. დიდი მთავრის ქუჩაზე. გვირგვინები, გვირგვინები და კიდევ გვირგვინები, მანდილოსნების ხელით მოტანილ ცოცხალ ყვავილთა შორის კუბო არც კი ჩანდა. პროცესიამ გაიარა კუკიის ხიდი, აუხვია ბარიატინსკის (ამჟამად ჯორჯიაშვილის) ქუჩას, გაიარა გოლოვინის პროსპექტი, დასაკრძალავად თავის სამშობლო ყაზბეგში მიასვენებდნენ საქართველოს სამხედრო გზით.*

*ვერაზე, ჯვართან კუბო დაასვენეს. პანაშვიდი გადაუხადა სამღვდელოებამ და მოსკდა სიტყვები... ქართველი ერი დაობლდა... გაფასებდით, გაფასებთ და კვლავაც დაგაფასებთ. მოიგონეს ყველაფერი, ხოლო არავის მოჰგონებია ფურმანი, ყველას დაავიწყდა ადამიას სარძეო... სამ მანეთში ლექსთა კრებულის დაგირავება...“.*

1893 წ. 22 დეკემბერს დაკრძალეს სოფელ სტეფანწმინდაში, მამა-პაპის გვერდით, თავისივე სახლის ეზოში.

ერთ თავის გაუგზავნელ წერილში განაწყენებული ყაზბეგი წერდა: *„მე არც ცოლი, არც შვილი, არც თუ სხვა რომელიმე გულის შემატკივარი არ დამრჩება, თუ საქართველოში ჩვენი დროის პირველის ბელეტრისტის სახელი არ დამრჩა...“.* ყოველივე ამას წერდა 1886 წელს, როდესაც მისი ბელეტრისტიკის ყველა შედევრი უკვე შექმნილი იყო, თვითონ კი, დაღმასვლის ნიშნებით დამფრთხალი, თავგანწირვით ებღაუჭებოდა იმ წარმოსახულ ქიმს, სადაც თავისი წიგნები ეგულებოდა და სადამდე ასვლასაც მთელი ცხოვრება მოანდომა...

„ყოფნა-არყოფნის“ დილემა ალექსანდრე ყაზბეგს „აღიარება-არაღიარების“ კითხვად შემოუბრუნდა და არავინ უწყის, როგორი იყო თავად ყაზბეგის საბოლოო პასუხი... ეგების, იდუმალმა ხმამ მაინც ჩასჩურჩულა, რომ მისი სახელი –„თავისი დროის პირველი ბელეტრისტისა“ სამარადისოდ დარჩება და ქართული პროზის ოლიმპს ყაზბეგის მწვერვალზე გადაანაცვლებს.

ზაზა აბზიანიძე

ალექსანდრე ყაზბეგის გადასვენება სტეფანწმინდაში,
პროცესია ოპერის თეატრთან, თბილისი,
19 დეკემბერი, 1893 წ.

ლიტერატურის მუზეუმი

ალექსანდრე ყაზბეგის გადასვენება სტეფანწმინდაში,
პროცესია ვერის ჯვართან, თბილისი,
19 დეკემბერი, 1893 წ.

ლიტერატურის მუზეუმი

# ავტობიოგრაფიული ცნობები

# მკითხველო!

უკეთუ ეს სტრიქონები, ეს ნაკვესნი გულისა ოდესმე შეგხვდეს, მიუხედავად სხვების საუბარისა, დარწმუნდი, რომ მათი გაჩენის მიზეზი არც უნიჭიერეს პოეტად თავის წარმოდგენით გაზვიადებულებაა და არც ბრჭყვიალა წადილი მოშურიან მსგავსისა.

შორსა ვარ ამ ფიქრისგან, თუმცა მრავალჯერ უცდია და ეცდება კვლავაც დამცირებული სულით, ძალამოკლებული, ბოროტებით აღსავსე არსება, მაგრამ მათს სიტყვას ჩემზედ გავლენა არა აქვს, რადგანაც მათი ფასი, მათი მოქმედება მხოლოდ იმდენად მიღირს, რამდენადაც დამაშორებს ჩემს გულითადს, ჩემს მკითხველს, მას, ვისთანაც ისე მიყვარს საუბარი, ისე მწადს დაკვნესება საერთო ვარამზედ!.. და ეს ყველა მწადს წრფელად, ნამდვილად, გულით და არც არის გასაკვირველი, რადგანაც მე არც ხონელ ვაჭრად აღმზდია გრძნობა და არც კახელ დალალის გულად შემიქნია გული. მე ვარ მთიელი, და არა „მთიული“, როგორც ჩვენს ლიტერატურაში გაჭირვებულები მოგვიხსენიებენ ხოლმე. დიახ, მთიელი, აღზრდილი ხალხში, შობილი იქ, სადაც ყმა და მონება ძველთაგანვე სამარცხვინოდ ყოფილა ხალხში. სადაც სიტყვას „ბატონ-ყმობას“ ადგილი არასოდეს არა ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადის ღირსებით შესძლებია. დიახ, ჩემო მკითხველო! იქ გავჩნდი, ამ ხალხში აღვიზარდე, აქვე ვსწოვდი მთიელის დედაკაცის რძეს, რომელიც მთლად იყო შემდგარი მთის დიდებულებით აღსავსე ბუნების ნაწილებიდგან... ვიზრდებოდი მათ შორის და სანექტარო ნიავთან ერთად სმენასა მწვდებოდა ნანა ჩემის მწოებელისა, რომელიც იძახდა: ვინ თავისას ვერა სთვისობს, მას აღმზრდელის

რძე ცხვირიდგან წამოუაო. და შემდეგ, – თუმცა ყოველმა შემთხვევამ, თუნდა ავიღოთ თბილისის, ასე წოდებული მოწინავ-მოთავე ხალხში ტრიალმა – ვერ დაიმორჩილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, ვერ შეიპყრო და ვერ გარყვნა მათი ძალა და დღემდის ჩემის სისხლის შემადგენელნი არიან მთის ნაკადულში შერეული რკინა და კლდეთა შორის ნაჩეჩქვის წვეთები. მათგან აღზრდილი დღემდის თეთრსა ხადის თეთრად და შავსა შავად, თავისას ჰგრძნობს თავისად და უცხოს – უცხოდ.

ამ პირობებში მყოფისთვის, დამეთანხმე, მკითხველო!.. ჩემთა, საერთო საკვნესავი, უცხოდ ვერ დარჩება ჩემთვისაც და ჩემი არსება გადაბმულია ჩემის ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით... სადაც უნდა ეტკინოს ჩემსას, მისივე ტკივილი მეც მაგრძნობინებს და მის გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც. ამ დღეში მყოფს, წადილი ნაღველის ამოღვრისა თავის მახლობელთან, თავის არსების შემადგენელს ნაწილთან არის წესიერი, ჩვეულებრივი და აუცილებელი მოვლენა! მისი გამოთქმის უფლება აქვს ყველას, საერთო ტკივილის დროს კვნესა ერთისა არის უფლება თვითეულისა; და წმიდა მოვლენის შეხება უწმინდურის ხელითა არის კაცისთვის ულირსი საქციელი, მისივ დამამცირებელი საქციელი. ამ ფიქრებმა, ამ აზრმა დაბადა ჩემი პიესები, მოთხრობები და ლექსები. პირველისავე ნაბიჯიდან მე მივეც ერთი მიმართულება ჩემს ნაწერებს და დღემდის მივდევ მას... მივდევ მას, თუმცა ერთგვარ საგნობისთვის ბევრჯერ გარჩეული კი არაა, რადგანაც ჩვენში დღემდის შრომის ღირსების გარჩევა არ არის, არამედ პირადი ლანძღვა.

მაგრამ რა ვქნათ?.. ეს არის ჩვენი ბედი და მისგან გაქცევა ვერა სთავსდება მთიელის არსებას... ის კვნესავს მასზედ, რაცა სტკივა, იმიტომ, რომ ავადობს და პირდაპირია ჭირში დავიწყებული პირადს ანგარიშს. შორს გაუტყორცნია პირადი ანგარიში და ავადობს ისე და იმით, რა დღეშიაც ირგვლივ მყოფნი არიან და როგორც ისინი ჰკვნესიან...

რითიც და რა რიგადაც უნდა გამოგელაპარაკო, ჩემო მკითხველო, რიგი სულ ერთია და გამკიცხავს სულით დამდაბლებული, რადგანაც საქმის მოკეთების მაგიერ და თავის გარჩევის მაგიერ სხვის ცხოვრებასა ჰქექავს და ცდილობს სხვის დამდაბლებით თვით აიწიოს.

მიიღე, ჩემო გულისავ, ეს რვეული და თუ ცოტაღაც გაგართო, ამოგაქშინა, ჩემს ქშენასთან ერთად, ბედნიერი ვიქნები.

ძვირფასია თანამგრძნობელი ჩემებრ ობლისთვის; მეტადრე იმისი თანაგრძნობა, ვისთვისაც შენ თავად ავადობ და ჰგმინავ, ვისთვისაც ერთი ამოსუ.....

* * *

დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე ჩვენს ლიტერატურას შეეხება სერიოზული კრიტიკა და აუცილებლად ჩემი თხზულებანიც შიგ მოჰყვებიან. უეჭველია, დაიწყებენ ძებნას იმ მიმართულების მიზეზებისას, რომელსაც მე ვადგევარ და იქნება გამოკვლევის მსურველი რაოდენსამე შეცდომილებაში შეიყვანოს, როგორც პირად ჩემს, აგრეთვე ჩემის ნაწარმოების შესახებ.

ამის ასაცდენად და მომავალთათვის შრომის გასაადვილებლად, სადაც ჩემის თხზულებათა შესახებ მოიპოება რამე, წინადვე გიჩვენებთ.

მე შემთხვევით არ გამოვსულვარ სალიტერატურო ასპარეზზედ, რადგანაც თოთხმეტის წლისა ვიყავ და თითქმის ძლივსა ვბღაჯნიდი, როდესაც პირველად დავწერე სცენები კომ. „აღმზრდელებიდგან“. მაშინ მე, თუმცა დედ-მამისგან განებივრებული შვილი ვიყავ და ჩემის სიამოვნებისათვის არას იშურებდნენ, მაგრამ ირგვლივ მყოფნი რაოდენადმე მჩაგრავდნენ. თუმცა, მართალია, სახალხოთ ვერას მიბედამდნენ, მაგრამ რადგანაც მამაჩემი შეძლებული კაცი იყო, მეზობლებზედ წინ იდგა და გავლენა ჰქონდა. ჩვენს დროს, განსაკუთრებით საუბედურო ხასიათი ჰქონდა, ერთმანერთისთვის პირში სული გვშურდა, – მამაჩემმა მრავალი მტერი გაიჩინა. ესენი მასთან ხმის ამოღებას ვერა ბედავდნენ და თავის ბრაზს ჩემზედ ყრილობდნენ.

ახალს ტანისამოსს ისე ვერ ჩავიცვამდი, რომ მასხარად არ ავეგდეთ, ისე სიტყვას ვერ ამოვიღებდი, რომ საკამათოდ არ გაეხადათ. ჩაიზედ რომ ვყოფილიყავ სადმე, მომეხვეოდნენ და ერთი მეორის შურას იძახდა: „სანდროს შაქარი უნდა, სანდროს მურაბა მოუტანეთ, სანდროს პეროჟნი, სანდროს კანფეტი“ და ყველა ამ სიტყვებში იმოდენა საწამლავი ერია, იმოდენა შხამი, რომ ღმერთმა ჩემს მტერსაც ნუ გამოაცდევინოს.

მამაჩემს და დედაჩემს განსაკუთრებით თავისებური ხასიათი ჰქონდათ: უყვარდათ დიდკაცობა და მდიდრულად სცხოვრობდნენ, მაგრამ ყველგან თავისებური პირადობა ეტყობოდათ. მაგალითად: სამი პოვარი გვყვანდა, ორი მეჯინიბე, ორი კუჩერი, ექვსი ლაქია და ორი კიდევ პატარა ბიჭი ხელზედ მოსამსახურე. ხუთამდის „მცველები“, სხვა სახელი ვერ მომიგონია იმ ხალხისთვის, რადგანაც მათი საქმე მხოლოდ შეიარაღებული გაყოლა იყო მამიჩემისა, როდესაც მიდიოდა სადმე! შვიდი მოახლე და ერთი ბაზიერი, თავის ურიცხვის ქორ-მეძებრებით!.. ჩვენი წასვლა სადმე ერთი ოროომ-ტრიალი იყო, რადგანაც ამოდენა სახლობის დასაძრავად მთელი თვეები მზადება გვინდებოდა. თვითონ მოძრაობა – დღეში თითო სტანცია და ზოგან მთელის კვირეებით

შეფერხება. ამ დროს ნადირობა, ლხინი და მეჯლიში. ეს ყველა, რასაკვირველია, საქებური არ იყო, მაგრამ იმ პირთ, ვინც ჩემის ჯავრობით და დაცინვით მათს ჯავრს ყრილობდა, მიზეზი არ ჰქონდათ უმადურნი დარჩენილიყვნენ ჩვენის სახლისა. ყველა მათგანს ყელში ამოზდიოდა პურ-მარილი მამიჩემისა, რომელიც სხვა შემწეობასაც არ აკლებდა.

მე ყურით მასმენდნენ მათს კიცხვას და მწყინდა. ხმა მიდიოდა ჩემს მშობლებთანაც და ისინიც ძველებურის ქართველის ოჯახობის გულწრფელობით იძახდნენ: „შურით თვალები სცვივათ და, დეე, დაიხოცნენ!“

ამით თავდებოდა მოლაპარეკეთ შესახებ მათი წყრომა და ხვალვე ისევ სადილი იმართებოდა, ისევ ყველაფერს დავიწყებული მასპინძლები მხიარულად სთავაზობდნენ სტუმრებს ბეჭის ანათალს, ისევ ითხოვდნენ ჯიხვებს და კუპრსავით შავი, საუკეთესო კახური მდინარესავით მოდიოდა.

სტუმრები სარგებლობდნენ ჩვენის...

* * *

მწერთ და მწერთ!... რითი ვერ შეიტყევით, რომ გამოგექეცით და აღარაფერი აღარ მინდა ვიცოდე თქვენზე. რათა, რა მიზეზებია? რასაკვირველია, პირველივე კითხვა დაგებადებათ ამ ჩემის სიტყვების წაკითხვის შემდეგ. ამის გამოისობით ავჩქარდები, შეგატყობინოთ ის მიზეზები ჩემდა საუბედუროთ, რომელიც გამოვიდა ჩვენებს შუა. დავიწყებ საქმეების გარჩევას  იმ დღიდგან, რა დღესაც წავედი რუსეთში. ჩემი შიში, რომ არ დაგეგვიანებინეთ გიმნაზიაში და წადილი ისეთი ძლიერი იყო, რომ შინიდგან ჩემოდანაკიდებული, ქვეითი გამოგექეცით, ცივს ყინვაში. თქვენ გამოგზავნეთ კაცები, დამიჭირეთ, მომათრიეთ და მკაცრის მოქცევის შემდეგ იანვრამდინ დამაგდეთ. რა გამოვიდა იქიდგან?.. გამომრიცხეს გემნაზიიდგან და როდესაც ისევ მინდოდა შესვლა, მაშინ ეგზემენია მომთხოვეს იმაში, რაც გეევლოთ ჩემს ამხანაგებს ჩემს იქ უყოფელობაში. ეგ აშკარა იყო, რომ 8 თვე ნადირობაში და უსაქმო გატარების შემდეგ, ყოვლათ შეუძლებელი იყო ეგზემენიის დაჭერა. ამ უბედურებას მიემატა მამიჩემის ავათმყოფობა, რომელსაც წადილი იმ სურვილათ გადაექცა, რომ გვერდიდგან აღარ მოვშორებოდი. ასე რომ, არამც თუ თქვენის მიზეზით გემნაზიის სწავლა დავკარგე, ისაც კი აღარ იფიქრეთ, რომ სხვა რომელსამე გზაზედ დაგეყენებინეთ.

ამ დროებაში მოვიდა გაზაფხულიც, მამაჩემის შემოსავალი შემცირდა სხვადასხვა მიზეზებით. ამის გამოისობით, მამულს მოუნდა თვალყურის მჭერელი, რომელიც ბიჭების ხელში იყო და რომელსაც თვალყურს არ ადევნებდა არავინა,

რადგანაც მამაჩემს სხვა შემოსავლები ჰქონდა. მამაჩემი დარჩა ფასანაურში საწამლებლათ და მე კი წავედი სოფელში, რომ რაც შემეძლო თვალყური მედევნებინა მამულისათვის. უბედურება მოჰყვა უბედურებას და შუა ზაფხულში გარდაიცვალა მამაჩემი. გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც შინ ერთი გროში არა გვქონდა, გარდა იმ ათის თუმნისა, რომელიც მე ჩამოუტანე იმ უბედურს სიკვდილის წინა დღით და რომელიც იყო ნაყოფი პირველის ჩემი ოფლისა.

მე არ ვაყვედრებ მიცვალებულს ამ ფულებს ამიტომ, რომ ის ჩვენ წინ დამნაშავე არაფერში არ არის. სანამ კარგათ იყო არავიზედ უარესათ არ გვაცხოვრებდა. როდესაც მოკვდა, ეგ ფულები გადასატანათ თავის სასაფლაოზე ძლივს გვეყოფინა და დამარხვა მოგვიხდა ვალზედ. ჩვენში დამარხვა ხომ სხვა ქვეყნების დამარხვას არ ემსგავსება?.. მთელი ხევი შეიყარა. აი, რა დაიხარჯა პირველ დამარხვაზედ:

| | | |
|---|---|---|
| 250 ფუთი ფქვილი | 1 მან. – | 250 მან. |
| 9 ხარი | 25 „ | 225 „ |
| 50 ცხვარი | 3 „ | 150 „ |
| 10 [ფ] ბრინჯი | 2–50 კ. | 25 „ |
| 2 ბოჭკა არაყი 80 ვედ. | 3 მან. | 240 „ |
| 120 ვედრო ღვინო | 3 „ | 360 „ |
| 1 კუბო | 250 „ | 250 „ |
| ღვდლებზე | 150 „ | 150 „ |
| სხვა წვრილი ხარჯი | | 300 „ |
| | | 1950 მან. |

ამ ხარჯის გარეთ მთელი წლის ხარჯები მთის ჩვეულებით, რომელი უანგარიშო არის და ჩერქეზების სიარული თავისი ნათესავისა და იმათში სახელოვანის კაცისა, ხომ განუწყევტელი იყო. ასე რომ ამ ხანებში კარგა ფული შემოგვეხარჯა. მაშინ მე ვიქნებოდი 18 წლისა, უპატრონო, შეუჩვეველი, ხელ უმძღვანელი ცხოვრებასა, უსწავლელი და გამოუცდელი!.. ყველა ჩვენი ნათესავები, როგორღაც უცნაურათ დაშორებულნი, რომლის მიზეზებიც ეხლა არც არის დრო და არც მინდა ავწერო, ვინ იყო მიზეზი ჩვენში ერთი ერთმანერთში დაშორებისა, ეგ საგანი შორს წაგვიყვანს და ამის გამოისობით ნუ ვილაპარაკებთ მაგაზედ და გადავიდეთ ჩემს მდგომარეობაზედ.

მამიჩემის სიკვდილის შემდეგ მე დამრჩა მხოლოდ ერთი მეგობარი, ნამდვილი

მეგობარი, ბ. რომელიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტში, მე მივწერე მას ჩემს გამოურკვეველს მდგომარეობაზედ და ვთხოვდი რჩევას. ჩემს წიგნში ჩაუმატე, რომ მსურდა რუსეთს წასვლა და უეჭველათ სწავლა. ამაზედ იმან მიპასუხა პირდაპირ როგორც შეეფერებოდა სვინდისიანს კაცს შემდეგით: „უკეთუ შენ გინდა წამოხვიდე, რომ აქ იქეიფო, მდიდარი საცოლე მონახო, როგორც ზოგიერთი ყმაწვილი კაცები მოდიან, მაშინ შენ გირჩევ, რომ არ წამოხვიდე. გარდა უპატიოსნებისა მაგ გვარ მოქმედებაში უანგარიშობაც არის, და ეს უანგარიშობა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის მდიდარი ქალი ჩვენ ქართულს ცხოვრებას და ჩვეულებას ვერ მოეწყობა და, მაშასადამე, შენი მომავალი მოწამლული იქნება. და თუ შენ გინდა ნამდვილათ სწავლისათვის წამოხვიდე, იმედი გაქვს შენის ძალისა, რომ აღსრულებაში მოიყვან შენს სურვილს, მაშინ წამოდი. მხოლოთ გახსოვდეს, რომ სწავლის გაგრძელება კაცისათვის, ვინც ერთხელ შესწყვიტა, ისე ადვილი არ არის, როგორც შენ უყურებ...

ამ წიგნმა, რამთვენათაც გამახარა, როგორც მეგობრის გულწრფელმა წიგნებმა, ისე მაწყენინა კიდეც. მე ვერ შევრიგებიყავ იმ აზრებს, რომ ჩემმა მეგობარმა ან ერთს მინუტს ცილი მწამა უპატიოსნო აზრებში. მე მივეც ჩემს თავს სიტყვა, რომ წავიდე და დაუმტკიცო როგორც ბ. ისე მთელს ქვეყანას, რომ ჩემმა წინანდელმა ნებივრათ აღზრდამ იმდვენათ არ გამრყვნა, რომ სწავლის გაგრძელება არ შემეძლოს.

ეს მოხდა გაზაფხულზედ, როდესაც დედიჩემის ძმის წიგნი მომივიდა, რომ იმასა ვწვეოდი ცოტას ხნით ქართლში. ჩემი იქ წასვლა დედიჩემის სურვილიც იყო, რადგანაც იმას უნდოდა, რომ უეჭველათ ცოლი შემერთო. როგორც თქვენც მოგეხსენებათ, მამაჩემს დიდი სიმდიდრის ხმა ჰქონდა დავარდნილი და ამის გამოისობით მდიდარ სანატრელს საცოლეთ მიყურებდნენ ქართლში, სადაც მე მივედი ჩქარა ბიძაჩემის დაპატიჟების შემდეგ. ბიძაჩემის ცოლის დას ჰყვანდა ერთი ქალი, რომელიც უეჭველათ უნდოდათ ჩემთვის შეერთოთ და ამ აზრის აღსრულებისათვის ყველა წესიერს და უწესო მოქმედებას არა შურობდნენ. მატარებდნენ იმ ქალის საზოგადოებაში, სმაში ღვინოს მაძალებდნენ და იმ ქალს კი ამღერებდნენ, აალერსებდნენ ჩემთან, მელაპარაკებოდნენ იმის მზითევზედ, სილამაზეზედ, სითეთრეზედ, მიხატავდნენ სხვადასხვა ამამღელვარებელს უპატიოსნო კარტინებს და ერთის სიტყვით, ცდილობდნენ, რომ როგორმე წავეცდინეთ და ეთქმევინებინათ, რომ მამწონს, ანუ მიყვარს. ისინი კარგათ იცნობდნენ ჩემს ხასიათს და იცოდნენ, რომ თუ ერთხელ რამე წამომცდენიყო ამ გვარი, მაშინ უარის თქმას ვეღარ მოვახერხებდი და ჯვარს გადამწერდნენ. მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ გამამაგრა როგორც სალი კლდე და მოატყუა

ჩემი მდევნელები თავიანთ ანგარიშში. მე დღე და ღამე საფიქრელათ სწავლა შემექნა, მე მოსვენებას არ მაძლევდა სტუდენტების ცხოვრება, რომელსაც ისე ცოცხალის ფერადებით მიხატავდა ხოლმე ერთი ჩემი ნასტუდენტარი ნათესავი.

ამ დროებაში ჩემი მასპინძლები იქამდინ მივიდნენ, რომ დაიწყეს პირდაპირ ჩემთან ლაპარაკი იმ ქალის შერთვაზედ და მითხრეს გადაწყვეტილი, რომ თავს აღარ დამანებებენ. ჩემი მდგომარეობა სასაცილოზედ უარესი იყო! მაგრამ მე ვიყავ კაცი ცხენსა და იარაღს შეჩვეული. ამასთან ბიჭი მყვანდა საკმაოდ გულადი და გამოცდილი, რომელსაც შევატყობინე ჩემი მდგომარეობა. საერთო რჩევით დავდევით, რომ ხვალ დილით დავკაზმოთ ცხენები, გამოუცხადოთ, რომ შინ მივდივართ და თუ ვინმემ გაბედა ჩვენი დაყენება, ძალით გავიკვეთოთ გზა. როგორცა ვსთქვით, ისე კიდეც ავასრულეთ. ბევრი ეცადნენ, ბევრი მირჩიეს, მაგრამ რაკი ჩვენი გადაწყვეტილება და შეურყევლობა ნახეს, მაშინათვე თავი დაგვანებეს და სწორე გითხრათ, კარგიცა ქნეს, ამიტომ, რომ მაშინ თუ მართლა ძალა ეხმარებინა ვისმეს, მე და ჩემი კაცი თავებს არ შევიშურებდით. ან რა უნდა ყოფილიყო ჩემი დაქორწინება იმ დროს?... ჯერ ერთი, ეს რომ მე ვიყავ 18 წლისა, მაშასადამე ყმაწვილი. ის ქალი კი 22-ს წლისა!... მე სხვადასხვა პირების ყურის გდების გამო ვფიქრობდი განათლებას, სწავლას და ჩემი საცოლე კი ყოველ ჟამს ჰფიქრობდა სიმდიდრეზედ, კარეტებზედ და ყველა იმგვარს ცხოვრებაზედ, რაც გამასხარებული ჰქონდა ჩემს შეხედულობას საქმეზედ. ეს შეხედულება იყო ბავშვური გატაცება თუ დამყარებული აზრი, ეგ ორივე ერთია თითონ საქმისათვის, მაგრამ აქ ის არის შესანიშნავი, რომ მე და ჩემი საცოლე სრულებით სხვადასხვა აზრებისა ვიყავით და სხვადასხვა გზებს ვადეგით იმ დროში, როდესაც შეერთებას გვიპირობდნენ.

ამ აზროვნობას თავი დავანებოთ და მივყვეთ ისევ ჩემს ცხოვრებას. ახალქალაქიდგან გავწიე ქალაქს, სადაც ასი თუმანი მქონდა მისაღები, მივიღე და გზიურ გამოვბრუნდი შინა. შინ დედაჩემს მოველაპარაკე ჩემს გადაწყვეტილებაზედ და დედაც თანახმა გამიხდა ჩემს წასვლაზედ რუსეთში. გადავწყვიტეთ, რომ ამ ას თუმანს თან წავიღებ და როცა ეს ფული გამომელევა, მაშინ თვეში 50 მან. გამომიგზავნის. მოვემზადე ძალიან ჩქარა და წავედი ქალაქს ვ. სადაც ალაგი უნდა ამეღო დილიჟანში. რადგანაც ალაგი უნდა ამეღო, ამისათვის ჩამოვხტი ფოშტის სტანციაში, სადაც გამომიცხადეს, რომ ერთს კვირაზედ ადრე ჩემი გასტუმრება არ იქნება, რადგანაც ერთს კვირამდინ ადგილები სულ დაჭერილი იყო. კიდევ ერთი კვირა ლოდინი!.. ეს ხანი საუკუნოთ მეჩვენებოდა, მაგრამ რას ვიზამდი?.. აქ ცოტაოდენი ვალები მქონდა მამიჩემის დამარხვაში დახარჯული და, რასაკვირველია, ამ ვალებს გასწორება უნდოდა,

გასწორება უფრო იმიტომ, რომ რაკი მედუქნეებმა შეიტყეს რუსეთს მივდიოდი, დღე და ღამე მოსვენებას აღარ მაძლევდნენ. გაუსწორდი ამ ვალებს და დამრჩა მე ფული სულ ორმოცდაათი თუმანი.

ამ ფულიდგან დამეხარჯა:

| | |
|---|---|
| ვლადიკავკაზიდგან როსტოვამდინ დილიჟანი | 28 მ. |
| პურის ჭამა..... | 7 „ |
| როსტოვიდგან ცარ. გემით..... | 7 „ |
| ცარიცინიდგან კალაჩამდინ..... | 1 „ |
| კალაჩიდგან ნიჟნი-ნოვგოროდამ. გემით..... | 14 „ |
| ნიჟნი-ნოვგორ. მოსკოვამდინ..... | 10 „ |
| პურის ჭამა და სხვადასხვა ქალაქების ნახვა..... | 25 „ |
| მოსკოვში სანამ დავბინავდებოდი..... | 25 „ |
| 6 პერანგი – 3 მ..... | 18 „ |
| 3 ზეწარი ..... | 6 „ |
| 1 საბანი..... | 12 „ |
| სხვა თეთრეული..... | 12 „ |
| 3 პირსახოცი..... | 3 „ |
| 12 ცხვირსახოცი..... | 4 „ |
| 3 გალსტუკი..... | 2 „ |
| 1 საათი..... | 25 „ |
| 1 წყვილი შავი ტანისამოსი..... | 45 „ |
| 1 წყვილი უბრალო ტანისამოსი..... | 37 „ |
| 1 წყვილი წაღები..... | 6 „ |
| ერთი მაღალ ყელიანი წაღები..... | 10 „ |
| ერთი ქუდი..... | 6 მ. |
| ერთი შუბა..... | 45 „ |
| წიგნები..... | 25 „ |
| მასწავლებლები..... | 25 „ |
| წვრილათ დამეხარჯა..... | 25 „ |
| | --- |
| [სულ]..... | 423 „ |
| გამოვიდეთ..... | 500[-დგან] |
| დარჩება..... | 77 |

ამ ფულით ვიცხოვრე ორი თვე და, რასაკვირველია, მაშინვე მივსწერე დედაჩემს ჩემი ჯიბის მდგომარეობა. ჩემს წიგნზედ მომივიდა პასუხათ წიგნი, რომელშიაცა მწერდა დედაჩემი დიდს იმედებს და ნუგეშებს მაძლევდა. ერთი სიტყვით, წიგნი იყო გადატკბობილი ალერსიანობით და დარწმუნებით, რომ ფული არაოდეს არ მომაკლდება, ოღონდაც არის მე კი მტრის თვალის გასახეთქად კარგათ ვისწავლო. ამ ორი თვის განმავლობაში რამთვენიმე წიგნები მივსწერეთ ერთმანერთს და ყველა იმის წიგნები სამსე იყო რწმუნებით, რომ თავს დაიგირავებს და მე კი ფულს არ მომაკლებს.

გაიარა თვემ, გაიარა მეორემ, მოაღწივა იმ დღემაც, როდესაც ფული უნდა მომსლოდა მაგრამ მე ალერსიანი წიგნების მეტი არა მომდიოდარა, დავრჩი სრულებით უფულოთ, გამოუცდელი, მოუმზადებელი ამგვარი ცხოვრებისათვის. მე ვიდექ ერთს ჩემ მეგობარ სტუდენტთან ერთათ უფ. ბ. რომელიც მედიკი იყო და ამ წელიწადს ათავებდა. ეს იყო სტიპენდიანტი და თვეში ოცდახუთს მანეთს იღებდა. დავრჩით ამ ოცდახუთს მანეთზედ მე და ჩემი ამხანაგი. ბ. თავის დღეში არ შეუმჩნევინებია, რომ მე იმას უშლი და ის ჩემთვის ვიწროვდება რაშიმე, მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ ჩემი სატანჯველი, როდესაც კი წარმომიდგებოდა კაცი, რომელიც ოთხის წლის განმავლობაში დაეჩვია და მოეწყო თვეში ოცდახუთის მანეთის ხარჯვას, ერთბაშათ შუაზედ ეყოფა ეს ხარჯი. ამ გვარათ გაიარა ოთხმა თვემ, ყოველ მინუტას მოველოდით ფულსა და ჩვენ კი გროში არ მოგვდიოდა ერთი იმ წიგნების მეტი, რომელსაც ავსებდა დედაჩემი ჩემთან ტრფიალით. მოახლოვდა ზაფხული, დავაგირავეთ შუბები, მეტი ტანისამოსი წინათვე გვქონდა დაგირავებული და გამოსყიდვის ნებაც კი გვქონდა დაკარგული.

ერთს დღეს ვსხედვართ დაღონებულები, როდესაც ფოჩტალიონმა შემოაღო კარები – „უმ. ყ. აბევლენია“. სიხარულით წამოვცვივდით და გამოვართვით. უკანასკნელი ორი შაური, მთელი ჩვენი სიმდიდრე, იმას მივეცით. დავხედეთ, რაღაცა იყო დაბღაჯნული და მასკვენ 5 მანათი იჯდა. გამიკვირდა, ხუთს მანეთს ვინ გამომიგზავნიდა-მეთქი? მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ უთუოდ 500 მანეთია და ფოჩტაში, აჩქარების გამოისობით, ნოლები დავიწყებიათ. რადგანაც ფოჩტაზედ ძალიან შორს ვიდექით, ამის გამოისობით ავიყვანე ჩასაჯდომი, დავიპატიჟე ჩემი ამხანაგიც და წავედით ფოჩტაში. მივედით. გადმოგვიღეს წიგნი და ერთმა იქ მოსამსახურემ თითით მაჩვენა სად უნდა დამეწერა, ლოთობისგან გაბუხებულის ხმით მითხრა „Пишите: посилку на 5 рублей получил“ და სხვ.

თქვენს მტერს მოწყდეს წელი, რომ ჩვენ წელი მოგვწყდა. მაგრამ მაინც მე ის აზრი მომივიდა, რომ იქნება ისეთი რამ იყოს, რომ გაყიდვა მაინც შეიძლებოდეს და მაშინ, ამ ოხერ მეფაიტონეს მაინც გაუსწორდებით. მივეცი განცხადება და

გადმომიღეს რაღაცა პარკი, რომელშიაც ჯოხებსავით რაღაცა იყო გახვეული. საჩქაროდ გავგლიჯე ტილო მოუთმენელის ხელებით, და წარმოიდგინეთ, ჩემი განცვიფრება, რომ ჩურჩხელები კი გადმოცვივდნენ! შევხედეთ მე და ჩემმა ამხანაგმა ერთმანერთს და ამ დასაღონებ შემთხვევაზედ პირველათვე ფრუტუნი წაგვსქდა და შინამდის სულ სიცილით მივდიოდით. არა და, წარმოიდგინეთ კაცის მდგომარეობა, რომელიც ოთხი-ხუთი თვე ფულს მოელის ყოველ დღევე. საშინელს შევიწროებაში არის ამ ხნის განმავლობაში, მერე დარწმუნდება, რომ ძლივს მიაღწივა ამთვენის ხნის ლოდინს შემდეგ თავის საწადელს და აქ ესეთი შემთხვევა! ფულის მაგიერათ ჩურჩხელები!... არა, უკაცრავათ, მარტო ჩურჩხელები არ იყო, აი, ჩურჩხელებთან რა წიგნი იყო:

„ჩემო ორთავ თვალის სინათლევ შვილო! როდის მაღირსებს ღმერთი კიდევ შენი მშვენიერის ტუჩების დაკოცნას და შენის თვალით დანახვას? შვილო, რა არის ამთვენს წიგნებსა მწერ და ერთგან შენს ამბავს არას მატყობინებ, შვილო, შენი მამისა და დედის გვირგვინო შვილო! ნეტამც არის კიდევ ღმერთმა მაღირსოს შენი ულულუნა თვალების დანახვა. როგორ დავაულკაცდებოდი. შენ კი შემოგევლოს დედიშენის თავი, შვილო. ოხ! რა ძნელი ყოფილა, შვილო, ასე შორს ყოფნა საყვარელი შვილისაგან. ჩურჩხელებს გიგზავნი, მაგრამ ბევრი კი არა ჭამო, შენ გენაცვალოს დედაშენი, არ გაწყინოს.....“ ამ გვარის ალერსებით არი გავსებული ერთი თაბახი. მეორეზედ დაიწყება დარიგება და ჩემი წიგნის პასუხი, რომელშიაც ვთხოვ, რომ თავისი პენცია გადმოეცა ჩემთვის, რათა თვე და თვე სწორეთ მიმეღო ფული.

„რა ვქნა, შვილო, რა საოხროთ მინდა, თუკი მებადება რამე, თუ არ შენთვის, მაგრამ შენ გენაცვალოს შენი დედის ორთავ თვალის სინათლე, აქ ისე მირჩევენ, რომ არ გამოგიგზავნო, თორემ მანდ დაგტყუებენ და დარჩები ცარიელი... ვაი თუ, მართლა ეგრე მოგიხდეს და ჩემთვისაც დაჰკარგო და შენც ვერა ირგორა“..... მერე კიდევ დარწმუნება, რომ ფულს ჩქარა გამომიგზავნის. ამასთან ხვეწნა, რომ მომეტებულ ხარჯს გაუფთხილდე. გესმისთ! მომეტებულს ხარჯს გაუფთხილდე მაშინ, როდესაც ხუთი თვე არის გროში არ მომსვლია. მასკვენა მწერს, ამ ჭკვიანურს რჩევაებს აძლევს გამოცდილი, ნასწავლი კაცი, შვილი მინისტრ ფინანსოვის. ერთი სიტყვით, ჩვენი სიძე □., რომელსაც შეეჭამა თავისი აუარებელი სიმდიდრე, გამოეგდოთ სამსახურიდგან და ჩამდგარიყო ჩვენსა, რომ ეგების ჩემი დედისათვის დეეტყუვნა რამე ჩემს იქ უყოფნელობაში. რაკი ამ აფერისტის სახელი გავიგე და იმისი შეძრომა დედაჩემთან, იმედი გადავიწყვიტე საქმის „კარგათ“ წასვლაზედ. კაცმა, ვინც ოცი ათასი თუმანი შეჭამა ორს სამს წელიწადს, იმას ჩემი შემოსავალი რას ეყოფოდა და მესმოდა,

რა მიზეზით დედაჩემს ფული ვერ მოეხერხებინა გამოსაგზავნათ. ხუმრობა კი არ არის ცამეტის სულის შენახვა სახლში იმ გვარი ხალხისა, როგორიც იყო უფ. □. „მინისტრ ფინანსოვის“ შვილი, როგორც ეძახდა დედაჩემი. უნდა მომეხერხებინა რამე. საცა იყო ამხანაგებში ვიშოვე ფული და მივეცით მეფაიტონეს. ამ დროებში ჩემმა ამხანაგმაც გაათავა კურსი და მიიღო რამთვენიმე ფული წამოსასვლელათ. ეს ფული ისე ცოტა იყო, რომ ძლივძლივ ჰყოფნიდა წასასვლელათ და იარაღების სასყიდლათ, მაგრამ კი მაინც თხუთმეტი მანეთი მომცა და ხუთ მანეთსაც დუქანში დანახარჯს გაუსწორდა. ამ დროებში ჩვენთან გადმოვიდა ერთი ჩემი ამხანაგი უფ. ჭ, რომელსაც თვეში 45 მანეთი ჰქონდა დანიშნული და რომელსაც, როგორც ყველა ქართველს საზოგადოთ, უგვიანებდნენ ხოლმე ფულსა, თუმცა ისე კი არა, როგორც მე. ეს გადმოვიდა იმ აზრით, რომ მე და იმას ერთათ გვეცხოვრა. გავისტუმრეთ ჩემი ამხანაგი ბ. და დავბინავდით მე და ჭ. ერთათ. ვიდრე ეს თვე გავიდოდა, აქ უნდა დავრჩენილიყავით და უკანასკნელ რიცხვებში ვაპირობდით პეტერბურღში წასვლას, სადაც ვაპირებდით მედიკო-ხირურგიის აკადემიაში გადასვლას.

უნდა გამოგიტყდეთ: აქედგან რომ წაველი, მე არამც გემნაზიიდგან ატესტატი არა მქონდა, არამედ ძალიან ცოტათ ვიყავ მომზადებული, მაგრამ ჩემი ამხანაგის მოცადინეობამ და ჩემმა თავაუღებმა სწავლამაც იქამდისინ მომამზადა, რომ შემეძლო აშკარათ გამეგძელებინა სწავლა უნივერსიტეტში. მაგრამ, საუბედუროთ, ლათინური ენის გაზეპირება, ნამეტნავათ მაშინ, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ წერა და კითხვის მეტი არ დაგჭირდება ექიმობისათვის, რათაც ვემზადებოდი მე, ძალიან გამიძნელდა. მაშასადამე, მე უნივერსიტეტში შესვლის ნება არა მქონდა და შემეძლო მხოლოთ შესვლა პეტროვსკის აკადემიაში, სადაც არავითარ გემნაზიის დოკუმენტს არ ითხოვენ. აქედგან კი ასობით ამგვარი ხალხი გადადიოდა მედიკო-ხირურგიის აკადემიაში, რომლების ოსტატებიც ამბობდნენ, რომ ჩვენ კი მივიღებთ, მაგრამ კურსიდგან კურსში გადასვლას კი გაუჭირებთ ეგზამენიებით. მეც მინდოდა, ამ გზაზედ დავმდგარიყავ და ამისათვის მინდოდა პეტერბურღს წასვლა. ჩემი ამხანაგიც ამას აპირებდა. წავიღეთ იმისი პალტო, უკანასკნელი „მეტი“ განძი და დავაგირავეთ თხუთმეტ მანეთად. ამ ფულით წავედით პეტერბურღში. გზაში დაგვეხარჯა ერთი თუმანი და თან მხოლოთ ხუთი მანეთიღა მიგვყვა. ვოგზალში მოვიანგარიშეთ, რომ იმ ღამეს გასტინიცაში დავრჩეთ, მეორე დღეს მე ჩემს ბიძაშვილს ვიპოვნი, რომელიც აქ გენერალ შტაბის აკადემიაში იყო, გამოვართმევ რაოდენსამე ფულსა და მერე როგორც იქნება, მოვეწყობით. მოგვივიდა ეს აზრი და მოვიყვანეთ აღსრულებაში. ბიჭს, რომელსაც ჩვენი ცარიელი ჩემოდანი ეჭირა და

იმის სისუბუქე უკვირდა, უთხარით, რომ იაფფასიან გასტინიცაში წაგვიყვანოს. იქავ რკინისგზასთან მიგვიყვანა ზნამენსკის გასტინიცაში, რომელის, სიდიდით და მშვენიერებით, უკეთესს ვერას წარმოიდგენს კაცი. თითქმის მთელი კვარტალი უჭირავს ამ ხუთეტაჟიანს სახლებს. ვიკითხეთ ნომერი და ერთ მანეთიანზედ ნაკლებ ვერ ვიშოვნეთ. მაგრამ წარმოიდგინეთ საღაც ცაში ერთი მოწლუკული დაბალი ოთახი, სადაც ძლივს ვიმართებოდით. არსად ლეიბი, არსად ბალიში, გარდა თითო საბნის მეტი. დავეყარენით ჩაის უკან და მივეცით თავი მორფეის ალერსს.

გათენდა მეორე დღე, ერთი იმ მშვენიერი პეტერბურღის დილებისა, რომელიც ისე იშვიათია ხოლმე და ისე თავს აგონებს ქართველს საყვარელს სამშობლოს თავის სითბოებით. ჩავიცვით ტანთ და გავსწიეთ ადრესნი სტოლისკენ, სადაც ჩაწერილებია ყველა იქ მცხოვრებლების სადგური. პირველი ვიკითხე ჩემი ნათესავი კაცი, რომელიც იქ იყო დანიშნული გასულს პეტერბურღიდგან პეტერგოფში, იქავე, ახლო ქალაქში, რომელიცა სდგას ზღვის პირზედ და ზაფხულს მეფეების საცხოვრი არის. იქ წასვლა-მოსვლა ღირს სულ ექვსი აბაზი, მაგრამ მე ჩვენის ხუთი მანეთიდგან ავიღე ორი მანეთი და იმ ფულებით წავედი. მე და ჩემმა ამხანაგმა გ[ადავწყვ]იტეთ, რომ ბიძაშვილი მოვნახოთ, რადგანაც ის, როგორც სამსახურის კაცი, უფრო იმედიანი იყო, და ამასთან, იმითაც ვხელმძღვანელობდით, რომ ყველა ჩვენი ნაცნობები ქალაქს გარეთ იყვნენ გასულები, რადგანაც ქალაქს გარეთ ცხოვრება ბევრით უფრო იაფათა ღირს, ვიდრე პეტერბურღში.

ორი მანეთი მე წავიღე, ერთი მანეთიც რაღაცეებში დაგვეხარჯა და დაგვრჩა მხოლოდ ორი მანეთიღა. ჩემი ამხანაგი დარჩა პეტერბურღში. მე ჩავჯექ გემში და გავსწივე პეტერგოფში.

ალექსანდრე ყაზბეგის
ქამარზე დასამაგრებელი ვერცხლის საფულე

ლიტერატურის მუზეუმი

ალექსანდრე ყაზბეგის კულა

ალექსანდრე ყაზბეგის ჭიქა

# ფაქტები

1874-ში მე ვიყავი თბილისში, სადაც გახშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ესევე იყო მიზეზი, რომ თითო-ოროლა სპექტაკლებიც დიდი გაჭირვებით იმართებოდა, რადგანაც ერისთავისა და ანტონოვის თხზულებათ თავი საკმაოდ მოეძულებინა საზოგადოებისათვის. მე წავედი შინა და მოუდექ პიესების წერას, თარგმანს და გადმოკეთებას. მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაკენ გამოვწიე დარწმუნებულმა, რომ ქართულს თეატრზედ მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ჩემს შრომას.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მაგიერ ცხვირ წინ ფრუტუნი დამიწყეს და მასხარად ამიგდეს, როდესაც ერთს კრებაზედ დრამატიულს საზოგადოების მართველობას შევატყობინე ჩემის შრომის შესახებ. „რამდენი პიესა? რა სთქვი?“ განუწყვეტლივ მესმოდა აქეთ-იქით მსხდომებისაგან და მას თან დაჰყვებოდა უზრუნველი ხარხარი. მიუხედავათ იმ შემთხვევისა, რომ მათთან მყოფი მათ ცხოვრებას შეუჩვევარი იყო და საკმაოდ აღშფოთებული, ხანა წითლდებოდა, ხანაც ყვითლდებოდა.

ამ ყრილობის შემდეგ სრულმა წელიწადმა გაიარა, რომ ჩემთვის არამც თუ ვისმე მოეკითხა პიესები, არამედ ზოგიერთნი ჩემთან შეხვედრისთანავე სცდილობდნენ, ხელახლად გაემეორებინათ გამოუცდელის, მათში გაუწვრთნელის კაცის მდგომარეობა...

მე როდესაც სოფლიდგან გამოვედი და თბილისისკენ მოვესწრაფებოდი, მაშინ მთელი ჩემი არსება აღტაცებული იყო ჩვენის მწერლების წარმოდგენით. მე მოვდიოდი მათკენ იმ აღტაცებით და რწმუნებით, იმ გრძნობით მათდამი,

როგორითაც მიდის რწმუნებით გამსჭვალულნი თავის წმიდა და შეუგინებელს სალოცველთან. ყოველი კაცი უბიწოდ და შეუგინებლად მიმაჩნდა, ვინც კი ჩვენს ლიტერატურაში კალამს ხელსა ჰკიდებდა. ახლა, წარმოიდგინე, მკითხველო, რა შთაბეჭდილება უნდა ექონია ჩემზედ მათ საქციელს?.. რა რიგს სატანჯველად, სამწუხაროდ, უნდა მჩვენებოდა, რა რიგი მავნებელი გავლენა უნდა ჰქონოდა ახლად გამოსულს, საზოგადოებისაგან გაუცნობელს მშრომელზედ? სრულმა წელიწადმა განვლო მოუსვენარს მღელვარებაში. სრული ერთის წლის განმავლობაში მესმოდა, რომ „პიესები არ არის, რა წარმოვადგინოთ?“ და იმავე დროს იცოდნენ, რომ მე მქონდა პიესები და ჩემი სიტყვების დასარწმუნებლობისათვის არას კაცს სიტყვა არ გაუწაწანებია!..

მე ველარ ვბედავდი ჩემს შრომაზედ ლაპარაკს, მეტად დამჩაგრა ხსენებული საზოგადოების საერთო გულგრილობამ და კაცობრიულის გრძნობის უქონლობამ.

ნათქვამია: „მტყუანს სიმტყუვნის კარამდის მიჰყევიო“ და მე კი კარამდის კი არა, ერთი ნაბიჯიც არავინ გამომყვა და ყველამ ამჯობინა მდივანზედ მოსვენებული დარჩენილიყო და ჩემი მტყუვანობა იქიდგან გამოეცხადებინა. ეს უფრო მოსვენებულათაც ეჩვენებოდათ და უფრო შეუწუხებლადაც.

მე დავდიოდი გიუსავით, რადგანაც კაცი ვერ მეპოვა, რომლისათვისაც სიტყვა მენდო, რადგანაც მეშინოდა შეუწყალებელის სიცილისაგან, რომელსაც შეეძლო სრულს დამარცხებამდის მივეყვანე და პირველსავე მოძრაობაზედ ფრთები საუკუნოდ მოეკვეცათ.

გარდა დრამატიულის შრომისა, მთელი ჩემი ცხოვრება გავატარე ხალხში, სადაც შევისწავლე მათი ცხოვრება, ვმუშაობდი მათთან ერთად. სრულიად დაუახლოვდი და გავიცან მათი მდგომარეობა, დამოკიდებულება მეზობელს ხალხთან, ზნეობა, ჩვეულება და ცხოვრება. ამ სამზადისით ბევრი არავინ იყო ჩვენს ლიტერატურაში და მე შემეძლო საკმარისი მასალა მიმეცა საქართველოს ჩვეულებათა და კანონდებულესობისა, რომელიც მთაში ყველაზედ უფრო კარგად დარჩენილა. საკმარისია ვსთქვა, რომ მწყემსობაში, არა ბატონობით, არამედ ნამდვილს მუშა-წყემსობაში, სრულის მისის მნიშვნელობით და ჩვეულება-ცხოვრებით, – შვიდი წელიწადი გავატარე.

როდესაც კაცი ხალხში სცხოვრებს და ხალხის ცხოვრებაში ხედავს მოაზრებულს, გამოცდილებით შემუშავებულს, მაღალ ზნეობით სავსე ცხოვრებას და ჩვეულებას, მის წინაშე ქედი თავისთავად იხრება, მას ემორჩილება გრძნობა და გონება. წადილი მისი გამოაშკარავებისა, გაზიარებისა, მოძმეთა შორის დიდია და ძრიელი. მე დაახლოებული ამ ცხოვრებას, შეთვისებული მქონდა სრულიად მოაზრებული და ღირს პატივისცემისა ჩვეულებანი. ვიცოდი ყველაზედ

დაახლოვებით ხალხი და მათი ზნეობა და ამავე დროს ვკითხულობდი ათას უმეცრებას სხვადასხვა გამვლელ-გამოვლის მოგზაურთა წერილებს.

გაუცნობელნი ხალხთან, შემდგენნი მათის ცხოვრების მოთხრობისა, მასალად იღებდენ სხვადასხვა გაიძვერა პრისტავ-დიანბეგების, მამასახლის-ურიადნიკების და ღვდლად წოდებულის ხალხის ზღაპრებს. ამ გვარმა მასალებმა ეს პატივცემულნი პირნი იმ დასკვნამდინაც კი მიიყვანა, რომ ხევი საოსეთოდ ჩასთვალეს და მოხევეები ოსებად, როდესაც ხევში რიცხვით სულ მხოლოდ ოცს კომლამდის და ისიც აქა-იქ სოფლებში გაფანტული ოსების მეტი არ მოიპოება. ამასთანავე ილანძღებოდა ხალხის წესები, მრვალთათვის გაუგებარი, და ის წმიდა ჩვეულებანი, რომლის გაკიცხვაც კაცობრიობის შეურაცხყოფად ჩაითვლება.

მე გული მტკიოდა მათთვის, მათთან ერთად თავად მეც შეგნებული ვხდებოდი, რადგანაც ულიოს ბედნიერებად ჩავთვლიდი, რომ იმ ჩვეულების და წესისამებრ მეცხოვრა, მის მფარველობის ქვეშ ვყოფილიყავ და რადგანაც შვილი მშობლის მზრუნველობის დაყვავებას და სიტკბოებასა ვგრძნობდი, ეს იყო ჩემი სიწმინდე, რომელსაც უმეცრება ფეხქვეშ ჰქელავდა და მე კი საშუალება მოსპობილი მქონდა, ჭეშმარიტება გამომეაშკარავებინა. აი, ამ მდგომარეობაში ჩამაგდო ჩვენმა მოწინავე რაზმმა, რომელსაც არც კი ესმოდა, რომ ხალხის გაცნობა მხოლოდ ხალხში შეიძლება და არა რბილს კუშეტკებზედ და სათამაშო ქაღალდისთვის მოწყობილს სტოლებზედ.

## II

ჩემმა მდგომარეობამ უკიდურესობამდის მიაღწია. არამც თუ ჩემს შრომას ყურადღება არავინ მიაქცია, არამედ თავად ჩემზედ დაიწყეს ლაპარაკი, ყოველ ოჯახში საანდაზოთ გახდა, ღენერლის შვილისგან შვიდი წლის განმავლობაში მწყემსად სიარული და ეს ხმები სხვადასხვა კომენტარიებით დღედაღამ მოსვენებას არ მაძლევდა. ურიცხვი ნათესაობა, თითქმის მთელის ქართლის არისტოკრატია, თითქმის თავიანთი შეურაცხყოფად ხდიდენ თავის ნათესავის საქციელს, რომელიც „კავალერ-გარდობის“ მაგიერ მწყემსობას გამოსდგომოდა და ცხოვრების საშუალებად სხვა არა ეპოვნარა. „რა ღმერთი გაუწყრა მაგ შეჩვენებულს! თუ თითონ ვერ მოახერხა სხვა რიგად ეშოვნა ლუკმაპური, ჩვენ მაინც შეგვატყობინებდა?.. სხვა რომ არა ყოფილიყორა, პრისტაობას მაინც უშოვნიდით!?“ ეს სიტყვები  მესმოდა და შეურაცხყოფას მაყენებდა. ესევე

ხმა და ლაპარაკი, მხოლოდ რაოდენისამე ცვლილებით, დადიოდა მოწინავე რაზმს შორის, რომელთაც საკმაოდ დაშორებული ვიყავი ჩემის ხელობის გამო. ამ უკანასკნელთაგანს ზოგი იმ რწმუნებისა იყო, რომ ვინც რბილსა და თბილს ლოგინში წოლას სიყრმიდავე შეჩვეოდა, ის ვეღარ შეეჩვეოდა სველს მიწაზედ „ცის ქვეშ გდებას და ნაბდის თანაბარ ავდრისა და სიცივის გაძლებას და, მაშასადამე, ჩემი სიტყვები ჩემგან მოგონილი უნდა ყოფილიყო და მოგონილი იმისთვის, რომ ხალხისა და ქვეყნის ყურადღება მომექცია. მეორე მხარე მოწინავეთა იყო იმ გვარი, რომელიც ყბედობისა, ლაყბობისა და ლანძღვის მეტს სხვა არავითარ საქმეს ვერ მიეკარებოდა. ისინი პირადს შეურაცხყოფად ჩასთვლიდნენ, თუ ვინმე ყბედობის გარედ საქმის ხელის მოკიდებას გაბედავდნენ. თითონვე მსურველნი საქმის ხელის მოკიდებისა იმოდენად სუსტნი იყვნენ სულიერად, რომ შეჩვეულს ნებიერობას ვერ მორეოდნენ და სხვადასხვა გვარს სასარგებლოს და სავალდებულო ცხოვრებას, მასზედ ფიქრსა რჩეულობდნენ. ეს იყო ხალხი, რომელიც დღევანდლამდის დარჩა და დღევანდლამდის პირად მტრად მივაჩნივარ მე, რადგანაც მათს ყბედობას არ გავჩერებივარ, ყბედობითვე არ ვეპასუხები და თავსაც არ უყადრებ. ისინი ვერ შესთვისებიან იმ ფიქრს, რომ საზოგადოებამ დაინახა ჩემი სინდისიერი წადილი სამსახურისა და მან იგრძნო, რომ, თუ მე დაუფასებელის და გენიოსის ნიჭის ნაწარმოებს ვერ ვაძლევ, მის მაგიერ მათ ვაძლევ ყველას, რაცა მაქვს და რისიც მიცემის საშუალება და მდგომარეობა ნებას მაძლევს. ხალხი გონიერია და ისინი ინსტიკტიურად უფრო აშკარად ხედავენ სინდისიერს შრომას, სანამ ეხლანდელი ჩვენი, ვითომც კრიტიკოსები, რომელთა არსებაც არამც თუ გონების გამდევნის არსებას მიემგზავსება, არამედ ტალახისა, ტლაპოსი, შურისა და სრულის უმეცრების ნაფლერთებისაგან არის შემდგარი. მაგრამ მაგათზედ შემდეგ, ახლა ისევ ჩვენს საგანს მიუბრუნდეთ.

იმავე დროს, როდესაც ვერა ღონისძიებით ვერ მომეხერხებინა, გამომეცადა ჩემი თავი, გამეგო – მივიღე საიმისო ცნობანი ჩემგან ამორჩეულის საშუალობით თუ არა, შემეძლო ჩვენს საერთო საქმეში მშრომელთა მიშველება თუ შეცდომით ამორჩეულის გზისათვის თავი უნდა დამენებებინა, – შემთხვევა სრულიად არ მეძლეოდა.

დავდიოდი ჩემს დედაქალაქში, ჩემს მოძმეთ შორის, ჩემს საყვარელთ შორის, რომელთაც ელტვოდა, ისე განუსაზღვრელად ეახლოებოდა მთელი ჩემი არსება და ამ ყოველს ჩემთა შორის დავდიოდი მარტო, განცალკევებული, როგორც გზა დაკარგული უდაბნოსა შინა!

მე არა მაქვს ხასიათად, რომ საქმე ერთხელ თავს ვერ მოვიდეს და მაშინვე

დავსუსტდე, სულიერად დავეცე და მაშინვე ბრძოლის ველიდგან გავიქცე. ამის სამაგიეროდ, სრულიად მოპირდაპირე ხასიათის კაცი ვარ და ვიყავ. უკეთუ რომელიმე განზრახვის აღსრულებაში სხვადასხვა დაბრკოლება შემხვდა, თითქოს ამითი ძალა უფრო მემატება და ყოველთვის უფრო მომეტებულის ენერგიით მივიბრძვი ერთხელ ნიშნად ამორჩეულ საგნისაკენ. და ეს არის მიზეზი, რომ ჩემზედ გამოლაშქრებულებს გაოცებით ხელებს გააშლევინებს ხოლმე ჩემი შეურყეველობა. იმ დროს, როდესაც ისინი მიწერენ „ხასიათი არა აქვს“, „ეს ნაკლულოვნება არის, მაგისათვის საშუალება არა აქვს“ და სხვადასხვა ამგვარებრივს, შეზავებულს მათთვისვე დასამცირებელის ეპიტეტებით, დარწმუნებულნი, რომ ძლივს მოკლეს თავიანთი მოძულებული, – ერთბაშად ხედავენ, რომ წარმოდგენილმა მოკლულმა გამოსცა რომელიმე წიგნი, რომლის ღირსებაზედ ლაპარაკს მივანდობთ იმ ნეტარების დროს, როდესაც საქართველოს გაუჩნდება სინიდისიანი ნამდვილი კრიტიკი და აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ გამოვა რომელიმე წიგნი, საკმაისის სივრცისა, რომელსაც კითხულობენ, რომელიც ალაპარაკებს ხალხს და აყბედებს ასრედ წოდებულს ბედ-უკულმართს რეცენზენტებს, რომელთაც სხვა ველარაფერი ვერ მოუგონიათ იმის მეტი, რომ სრულის ბავშურის მოუაზრებლობით წარმოსთქვან „ფსიხოლოგიურის მოთხრობის დაწერა მოჩხუბარიძეს არ შეუძლიან, რადგანაც მას საშუალება არა აქვს ამისთვის“ და ცოტა უფრო ქვევით ეუბნებიან: „აი, მიხედეთ ბატონი ზოლას რომანს, რომელმაც პარიჟი ათს სხვადასხვა სურათად აღწერა, იმის და კვალობაზედ, თუ რა გვარ გუნებაზედ იყო მოთხრობაში გამოყვანილი პირიო“?[1]

მაშინ მე ვკითხე: ერთი მიბრძანეთ: ზოლას მოთხრობის გმირი რა მდგომარეობაში იყო, რომ სხვადასხვა რიგად ეჩვენებოდა პარიჟი?

– სხვადასხვა რიგ გუნებაზედ იყო, – მიპასუხა ავტორმა.

– ეგ სხვადასხვა გუნება რა არის? რა მიზეზია მაგისი? – ვკითხე მე.

– მაგის მიზეზი სულიერი მოძრაობა, ფსიური მოვლენა...

– თქვენ მირჩევთ იმას მივბაძო?.. ე. ი. ამ გვარი მოთხრობები ვწერო?

– ნამდვილად, ნამდვილად! – დაიწყო იმან და დაუმატა: – თქვენი ნიჭი, თქვენი გულმოდგინება, თქვენი ხელოვნება საშუალებას გაძლევსთ...

ამ სიტყვებზედ მე გამეცინა და მოვაგონე შემდეგი:

– მაშ თქვენ სტატიაში ჩემს შესახებ ამბობთ: მოჩხუბარიძეს ფსიხ[ოლოგ]იური მოთხრობების წერისთვის საშუალება არა აქვსო და უნდა თავი დაანებოსო?

– როდის, როდის?! სადა, სადა?

---

1 იხ. „ივერია“, 1886 წ., №-რი [19] ლელოს ფელეტ.

– თქვენს ფელეტონში...

– არა... ეგ შეუძლებელია... მე არ მახსოვს!..

– იქნება ჩაუმატა ვინმემ?.. – ვკითხე და შევხედე.

– ახ, უთუოდ, უთუოდ!... რედაქციაში ისეთი ხალხი...

აქ ლაპარაკი შესწყდა, რადგანაც ნაცნობები შემოვიდნენ და საგანი ლაპარაკისა გამოიცვალა ჩემს სასიამოვნოდ, რომ ლაპარაკში მაინც ამცდა ის ჩვეულებრივი ლანძღვა-გინებით შემკობა სხვადასხვა პირებისა, რომელიც „ივერიამ“ სასახელო საბეჭდავათ გახადა.

## III

ერთს საღამოზედ მე მომივიდა წერილი ქართულის დრამატიულის დასის არტისტკა ს-გან, რომელიც ზრდილობიანი წერილით მთხოვდა, მივსულიყავ მასთან. დანიშნულს დროს მე მივედი. ზალაში დამხვდა იმისი ქმარი, რომელმაც შემატყობინა, რომ მისი ცოლი შეუძლოთ არის და მასთანვე დაუმატა: – ამ ორი კვირის შემდეგ იმისი ბენეფისი გახლავს. დრამატიულმა კომიტეტმა პირობაში აღუთქვა, რომ საბენეფისოდ უეჭველად ახალს პიესას მოუმზადებდა და ჩვეულებრივ მოატყუა. ჩვენ შევიტყეთ, რომ თქვენ რამდენიმე პიესა გაქვსთ დაწერილი და ჩემი ცოლი გთხოვსთ, ერთ-ერთი მისცეთ.

– დიდის სიამოვნებით, – ვუპასუხე მე და მაშინვე დავუმატე: – მხოლოდ კომიტეტს არა აქვს გადათვალიერებული. – მაშინ კომიტეტის ნებადაურთველად არტისტს აკრძალული ჰქონდა პიესა დაედგა სცენაზედ.

– მე ავიღებ ნებას და კიდეც გავშინჯავთ.

– ძალიან კარგი.

ჩვენ წავედით ჩემს სადგურში და გადავიკითხეთ ერთი ხუთ მოქმედებიანი დრამა სახელად „ერთი უბედურთაგანი“. ხსენებულს არტისტს მოეწონა და წაიღო. იმავე დღეს კომიტეტს გაუგზავნეს წერილით ცნობა, რომლითაც აგონებდნენ პირობას. კომიტეტი შეფუცხუნდა, მაგრამ რას იქმოდა, რო პიესის მოსამზადებლად არავითარი განკარგულება არ მოეხდინათ. პიესა არ იყო და პირობის აუსრულებლობამ კი საკმაოდ უხერხულობაში ჩააგდო. მაშინ გამოუცხადეს, რომ პიესა არის, მხოლოდ გადათვალიერება და ნების დართვა უნდაო.

პირველივე კითხვა კომიტეტის გახარებულის წევრებისა იყო:

– ვისია პიესა?

– მოჩხუბარიძისა.

ამ სიტყვამ მდუღარეში გაფუფქვილს დაამგზავსა ეს ხალხი!..

მიზეზიცა ჰქონდათ. ჯერ ერთი, რომ ეს ავტორი მივიდა და შეატყობინა, რომ პიესები აქვს და მათ სიცრუედ ჩასთვალეს მისი სიტყვები. მეორეც, და უმთავრესი მიზეზიც ის იყო, რომ ვიღაცა ნამწყესარი გამოდიოდა და იძახდა: მე ამდენი და ამდენი პიესები მაქვს დაწერილიო და ჩვენ, დრამატიულის კომიტეტს, რომელიც უფრო ახლოსა ვდგევართ, არაფერი არ დაგვიწერიაო... უქმისა და უღონოს ხალხისათვის ამგვარი შემთხვევა საკმაო იყო შურის აღძვრისათვის და მოჩხუბარიძის პირად მტერად ჩათვლისთვის. მათ გადასწყვიტეს – არავითარს საშუალებას არ დარიდებოდნენ, ოღონდაც არის მოჩხუბარიძის პიესები სცენაზედ არ გაეშვათ და, მათთვის სიკვდილად, გასაგონის კაცის სახელთან საზოგადოება არ გაეცნოთ.

მართლადაც, საშინელი საქმე ხდებოდა. ისინი ტრიალებდნენ საზოგადოებაში, ჭყივილ-კივილობდნენ, თავი მოსწონდათ „მიინას“ გეო და კანპანიების მზგავსის პიესებით და ერთბაშად, საიდგანღაც, მოეხეთქა ვიღაცა მწყემსი მოჩხუბარიძე, ჩაეჭრა იმათს სათავისო ოჯახათ მოწყობილს სცენაში და თავის მოქმედებით ჩვეულებრივს ცხოვრების სიტკბოების დარღვევას უპირებს. მართალია, ჯერ არავინ არ იცოდა ღირსება ჩემის ნაწერებისა, მაგრამ მე ვიძახდი, ოცდაერთი პიესა მაქვს-მეთქი და გულნამცეცა მებრძოლთათვის კი რიცხვი საკმაოდ აღმოჩნდა, რომ გონება დაბნეულებს თავ-ბედისა ველარა გაეგოთრა.

კარგა ფიქრისა და თავში ცემის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ ბენეფიციანტკა დაეჯერებინათ, რომ ჩემი პიესა არ დაედგა, ეთხოვნათ, წარმოდგენა ერთის თვით გადაედო და ამ ხნის განმავლობაში რომელიმე რუსული პიესა გადასათარგმნად გაეწილად კომიტეტის წევრთა შორის და მასთანვე ერთად დაჰპირებოდნენ სრულს შემოსავალს დიდის საჩუქრებით.

აღმოჩნდა, რომ მათგან მიღებული ბავში არტ. ს-კი, ბავშობიდგან გამოსულიყო, ათასჯერ მოტყუებული ამ კომიტეტის წევრებისგან. დღეს აღარც მათს ფიცილს და აღარც მათს ოხვრას და ჭორიანობას აღარ ენდობოდა. მის სამაგიეროდ ყოველს მათს სიტყვაზედ უპასუხებდა: „თქვენ არ წაგიკითხავთ მოჩხუბარიძის თხზულება და ნება არა გაქვსთ, მასზედ ილაპარაკოთ... ჯერ გაშინჯეთ და თუ აღმოჩნდა, რომ არ შეიძლება სცენაზედ დადგმა, მაშინ კიდევ სხვა პიესას წარმოგიდგენთ“.

როდესაც კომიტეტმა დაინახა, რომ არტისტკა ს. გაჟინიანდა და მასთან გაშორების საშუალობა ქართულს თეატრს არა ჰქონდა, ნება-უნებლივ უნდა დასთანხმებოდნენ პიესის წაკითხვას.

## IV

დაინიშნა კრება დრამატიული კომიტეტისა, რომელზედაც იყვნენ მოწვეულნი მთლად მთელი რიცხვი არტისტებისა. ჩემი თანდასწრებით უნდა გაეანატომიურათ ჩემი პიესა.

დაიწყეს მისი კითხვა და გარჩევა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რასა შვრებოდნენ?!. მისი აღწერა და გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია კალმით. მე არა მგონია, რომ ისტორიაში აღმოჩნდეს ისეთი ჯალათი, რომელიც თავის მსხვერპლს ისე უღმერთოდ, შეუბრალებლად და მკაცრად მოჰქცეოდეს, როგორც ეს განათლების მოსამსახურენი მე მომექცნენ!

მათმა უსამართლობამ იქამდისინ მიაღწია, რომ შეჩვეულნი კინტოურს ლანძღვას და აღზრდილნი უწმაწურს დიალოგებზედ, ჩემს პიესაში თავლის ხსენებასაც კი მსმენელის ყურთასმენის შეურაცხყოფად მიაჩნდათ.

პირველს საღამოს რვა საათიდგან სწორედ ღამის პირველს საათამდის მაწამეს და მხოლოდ პირველი მოქმედების წაკითხვა ძლივს მოასწრეს. რჩებოდა კიდევ ოთხი მოქმედება, ოთხჯერ წამება შეუბრალებელის, უგულო ხალხისაგან!..

მეორე მოქმედების გარჩევა გადასდვეს მეორე დღისთვის და ჩემმისავე თხოვნით, ჩემს სადგურში დანიშნეს.

ამ საღამოს აღწერა, მისი მოგონება ეხლაც გულს მიკლავს. იმ ველურის სიბრიყვით მოქცევა, რომელითაც ისინი კაცის შრომას [ექცეოდნენ] ეხლაც არ შემიძლიან [წარმოდგენა], რომ ვინმე სადმე და [როდისმე] მოექცეს.

წარმოიდგინეთ, რომ პიესიდან მეორე მოქმედება სრულიად ამოაგდეს. გესმისთ, სრულიად ამოაგდეს და მით მოსპეს პირველის და მესამე მოქმედების შუა ყოველივე კავშირი!

იქამდის მიმიყვანეს თავიანთის ახირებით და გამოკიდებით, რომ მათთან ლაპარაკიც აღარ მინდოდა და მსხვერპლად მივეც მშობელმა ჩემი ნაშობი, ოღონდაც კი ჩქარა, როგორც იყო მალე გათავებულიყო ამ გვარი წამება.

მაგრამ აქ მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც საქმეს სრულიად აურია. ორის მოქმედების შემდეგ ჩემის თხზულების გამრჩევებმა გაიგეს ჩემი დრამის მიმართულება... – „ერთს უბედურში“ გამოყვანილი არის ყმაწვილი კაცი, რომელიც განათლებას ეფარება და სხვადასხვა ამაღლებულს სწავლას ხმაროობს, რომ თავის საზიზღარი მოთხოვნილება მოწონებულს ქალებთან აღისრულოს; ახალის იდეებით უხვევს თვალებს, მიჰყავს შეცდომილებამდის და როცა ყვავილი დაჰკარგავს სიახლის მიმზიდველობას – გადააგდებს, როგორც

გამოუდეგს, უვარგო ძონძს.

ჩემდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში გონიერი ანდაზა: „თუ გულს არ მოგხვდა, კუდი რად დაგეწვა“ გამიმართლდა. გაცოფდა მთელი იქ მყოფი „მოწინავე“ ქართულის სცენის მშრომელნი. აღმოჩნდა, რომ უმეტესი ნაწილი იქ მყოფებისა გაკენწლა ჩემმა ნასროლმა ისარმა.

აღელდა და აირია ზნეობის დამცველნი, გასაკიცხის გაკიცხისათვის მთხრობელს მეძახოდნენ და იქავ ხელად ისიც კი მომიგონეს, რომ ვითომც პირადათ მე, – ვიღამაც მათგანმა გულის ვარდი გამტაცა და ეს პიესა იმაზედ იყო დაწერილი.

ამ საერთო არეულობაში არტისტს აბაშიძეს, რაღაცა უსიამოვნობა მოუხდა მართველობის წევრთან და ამ შემთხვევამ ერთმანერთზედ ნამდურავნი და ნაწყენები გავიყარენით.

პიესის გარჩევა დარჩა ისევ ხელუხლებელი და რადგანაც საზოგადოების კომიტეტი გაბუტულიყო – მესამე, მეოთხე და მეხუთე მოქმედება მებენეფისე არტისტკამ, აბაშიძემ და მე გავარჩიეთ და მხოლოდ წარმოდგენის დღეს კომიტეტმა, თითქოს ბავშვმა გული მოიბრუნაო, ისევ მოგვხედა.

## V

წარმოდგენა დაიწყო სწორედ რვა საათზედ. საზოგადოება შეიყარა საკმარისი. წარმოდგენის წინავე დიდი მზადება იყო, რომ პიესა ისე უთანაგრძნობელოდ გაეტარებინათ, რომ სამუდამოთ პიესების წერის გაბედულება დამეკარგა. მაგრამ ხალხი უფრო თანამგრძნობელი აღმოჩნდა, პირველსავე მოქმედების შემდეგ საზოგადოებამ, როგორც ავტორი, გამომიწვია რამდენჯერმე და მათ ხმაურობის ქვეშ გველს მიმგზავსებული სისინი თავგამოდებულების დაფარა ხალხის ხმაურობამ.

ამგვარმა დასაწყისმა საკმაოდ მანუგეშა, დამასაჩუქრა და რწმუნების ძალამ ამდენის ბრძოლის შემდეგ მობრუნება შემატყობინა.

დანარჩენმა მოქმედებმა უფრო სუსტად გაიარეს. ჯერ ერთი იმის გამო, რომ პიესის ანუ ინტრიგის დამაკავშირებელი ამოგლიჯეს და მეორეც ისა, რომ უმთავრეს როლს პიესაში, მეტად დრამატიულს და ძნელს დრამის არტისტკა არ შეხვდა. და თუმცა საჭირო თანაგრძნობა ვერ გამოიწვია, მაგრამ პიესის გათავების შემდეგ საზოგადოებამ კიდევ რამდენჯერმე გამომიწვია ტაშის ცემით. გამომიწვია და ამით გათავდა ჩემი სიამოვნება, რადგანაც ამგვარის მიღებით

ჩემი მოწინააღმდეგენი კიდევ უფრო გააბრაზა და განაზრახა ლიტერატურაში, გაზეთების საშუალობით, გამოელაშქრათ ჩემზედ.

მე ჯერ კიდევ კულისებს უკან ვიდეგ და ანგარიში ვერ მიმეცა ჩემი თავისთვის, როდესაც ერთბაშად გამოვფხიზლდი სცენის მოსამსახურეების ბრახა-ბრუხზედ.

მივიხედ-მოვიხედე და სუყველაფერი გამოცვლილად მეჩვენა. სცენა არეული, სიჩუმის მაგიერად მოსამსახურეების ბრახა-ბრუხი და ხმაურობა და მათ შორის მარტოკა, სრულიად ობლად, დარჩენილი ვიდექი მე... ერთი კაცი არ იდგა ჩემს გვერდით, ერთისგან არ გამიგონია თანაგრძნობის სიტყვა! მათაც კი დავავიწყდი, ვინც ამაღამდელი ღამის შემოსავალს რაოდენიმე შემწეობა გაუწია ჩემმა შრომამ.

გულს რაღაცამ მოუჭირა, ვიგრძენ ჩემი სიმარტოე და ამოოხვრასთან ერთად გავწიე შინისკენ.

მე მივდიოდი, მაგრამ გართული ფიქრით თავს ანგარიშს ვერ ვაძლევდი. ამგვარს შემთხვევებში, როდესაც კაცი რომელსამე ასპარეზედ გამოდის, მას მხარს უჭერენ კაცობრიობის გულისათვის მაინც არის მისი კოლეგები, გამარჯვებულს ულოცავენ, დამარცხებულს ნუგეშს აძლევენ, სიტყვით იმ დროს გულს სწორი, ტოლი თანაგრძნობის სიტყვა ეჭირვება, ეჭირვება ისე, როგორც აგზნებულს ცეცხლს ჩასაქრობად წყალი და მე კი, მე მარტოდ დარჩენილი, დაობლებული, ჩემსავე ქვეყანაში გამხმარს ხესავით ვიდეგ. ნიავიც კი გამჯიბრებოდა და აღარ მოძრაობდა, გული იწკლიტებოდა და იწურებოდა, სული მიიბრძოდა, მაგრამ საითკენ, ვისკენ?.. კაცი არ იყო, რომ მას დაესახელებინა. მე ვიწოდი ჩემსავე ქვეყანაში ასე უპატრონოდ, ბაითალმანად დარჩენილი. ვიწვებოდი ჩემის მდგომარეობისაგან და ვიწვებოდი ჩემი მოძმე ხალხის მაგიერ.

## VI

მთელი ღამე ამ წარმოდგენის შემდეგ გავატარე მოუსვენლობაში. დამეძინა გათენებისას და ისიც ერთს თუ ორს საათს. გამოღვიძებასთან ერთად დაუძახე მოსამსახურეს და თუმცა დარწმუნებული ვიყავ, რომ წარმოდგენის ანგარიში მეორე დღის გაზეთში დაბეჭდილი არ იქნებოდა, მაინც გაზეთები მოვიკითხე.

– ჯერ ადრე გახლავს, გაზეთები გვიან მოაქვსთ...

36 37

[illegible]

[illegible]

# ღაუმთავრებელი მოთხრობები

# ვინ ვავამტყუნოთ?

ლამაზმა და ცქრიალა მარიამმაც გიმნაზია შეასრულა და, როგორც მომეტებული ნაწილი გიმნაზიის ახალგაზდა ქალებისა, ფიქრობდა უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა თავისი განვითარება.

– წავალ, ვისწავლი, კარგად მოვემზადები და დავუწყებ ბავშვებს სწავ-ლებას! – არა ერთხელ ამბობდა მარი ყმაწვილურის გულწრფელობით და დარწმუნებული იყო, რომ ეს წადილი ადვილად შეუსრულდებოდა და მიზანს უეჭველად მიაღწევდა. რასაკვირველია, ის არც თავის საშუალებას უყურებდა, არც იმ გაჭირვებას და განსაცდელს, რომელიც ჩვენს დროში ყმაწვილ ქალს ჩრდილსავით უკანა სდევს და მაცდურად იზიდავს თავისკენ.

ყმაწვილობა – ოცნების დროა, ის დრო, როდესაც კაცს ყველაფერზე რწმუნება აქვს, ყველას გულწრფელად ენდობა, სჯერა თავისი ძალ-ღონე, სჯერა ყველას სიტყვების უმანკოება; მარიც საქმეს ასე უყურებდა და ფიქრობდა, რომ კეთილ საქმეზედ დამდგარს, ყველა ძმურს ხელს გაუშვერს, ყველა სიხარულით შეეწევა, ყველა გზას უჩვენებს.

მარიც ყმაწვილი იყო, მასაც არ ასცდა გულ-წრფელი გატაცება და, ოცნებით შეპყრობილს, აღარ უნდოდა გამოსულიყო სასიამოვნო ფიქრებიდან.

მართალია, დედ-მამა ეწინააღმდეგებოდა, საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ გიმნაზიის ყმაწვილი მასწავლებელი ისე გულმხურვალედ ამტკიცებდა: @„ვისაც თავი აქვს და მუშაობის სურვილი, ყველაფერი ადვილიაო“, რომ ყმაწვილი

ქალი სრულიად დარწმუნდა, საოცნებო წადილი გაუმართლდებოდა.

მარის დედ-მამა, ძველებური, გაუნათლებელი ხალხი, მუდამ სოფელში სცხოვრობდა და ნეტარებით მოელოდა იმ დროს, როდესაც მათი მარტოდ ერთად-ერთი ნუგეში ქალი სწავლას გაათავებდა, დაბრუნდებოდა შინ და ქორწინებით გაახარებდა მოხუცებულების გულს.

როდესაც მარი უკანასკნელს კლასში იყო და ეძლეოდა თავის ფიქრებს, მისი დედ-მამაც არა რჩებოდა უოცნებოდ; გრძელსა და მოსაწყენს ზამთრის ღამეებში, როდესაც ბუხარი ტკბილად გუგუნებდა, ისინი სიამოვნებით უცქეროდნენ მხიარულს ალს, თავის ქალზედ ჰფიქრობდნენ და თითებზედ ანგარიშობდნენ - ვინ იქნებოდა მათი ქალის საკადრის საქმროდ; ამ დროს ბევრჯელ ცოლ-ქმარს შუა დიდი ბაასი ასტყდებოდა, რადგანაც ან ცოლის დასახელებული ქმარს არ მოეწონებოდა, ან ქრმისა - ცოლსა.

მაგრამ ტკბილი, ერთმანეთის მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ამგვარს ბაასს უფრო დროს-გასატარებლად ასტეხდნენ ხოლმე, ვიდრე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და ყოველთვის მშვიდობიანის ალერსით გაათავებდნენ ხოლმე.

იმათ უყვარდათ ერთმანეთი, ერთად გატარებულმა ორმოცმა წელიწადმა შეაჩვია, შეათვისა ერთმანეთს, თუმცა თავიანთ ცხოვრებაში ბევრი უბედურება ენახათ, ბევრჯელ მწარის მწუხარებით  გული ასდუღებოდათ, შვიდი შვილი დაემარხათ, მაგრამ ღვთის მლოცველები, მარის შერჩენით მაინც თავის თავს ბედნიერადა სთვლიდნენ.

გათავდა ეგზამენები, გათავდა სწავლა, ყველანი დაითხოვეს და მოხუც დედ-მამასაც მოუვიდათ სასიხარულო წიგნი: მარი ატყობინებდა, რომ მან სწავლა გაათავა და მიიღო ატესტატი; მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მოსვლაზედ არას იწერებოდა და თითქმის სტრიქონ გამოშვებით თავის მასწავლებელი ვალერის სახელს ახსენებდა.

- ვინ არის ეს ვალერი? რა კაცია?.. ასე ხშირად ჩვენი ქალი იმის სახელს რად ახსენებს? - მოხუცებს ებადებოდათ ფიქრი და წარმოუთქმელის წადილით უნდოდათ, რომ ჩქარა მოსულიყო მათი შვილი, ჩქარა დაეკოცნათ და ჩქარა მიეღოთ პასუხი იმ კითხვაზედ, რომელიც მზრუნველი მშობლის გულში იბადებოდა.

მაგრამ იმათი წადილი, იმათი სურვილი რჩებოდა ამაოდ, დღე მისდევდა დღეს, კვირა - კვირას და მარი კი არსადა სჩანდა.

## II

დედ-მამა ამ მოლოდინში იყო, მაგრამ მარი ჯერ ისევ ქალაქში სცხოვრობდა და რაღაცას გვიანობდა.

ეგზამენები გაათავა თუ არა, მაშინვე გახარებული გაიქცა ვალერისთან და მისვლის უმალ შესძახა:

– გავათავე, დავიჭირე!

ვალერი მხიარულად კარებში მოეგება და შეპატიჟებასთან ერთად უთხრა:

– ჭეშმარიტად ბედნიერები არიან თქვენი მშობლები, რომ გამოუთქმელს მშვენიერებასთან სწავლითაც აგრე განვითარდით.

ქალი გაწითლდა სილამაზის ხსენებაზედ, მაგრამ მაშინ ის ისე ბედნიერი იყო, ისე, რომ ყმაწვილი მასწავლებლის სიტყვებმა წარმოუთქმელის სიტკბოებით დაურბინეს გულში.

ვალერი და მარი შევიდნენ მოწყობილ, პატარა სასტუმროში, სადაც ქალი ჩამოჯდა დივანზედ და ვალერიმ კი მხიარულად უთხრა:

– თქვენ გიმნაზია შეასრულეთ და ეგ ისე სასიხარულოა ჩემთვის, რომ მსურს თქვენთან ერთად მივეგებო ახალ ცხოვრებას.

– ჩემთვის ნუ სწუხდებით! – დაფაცურდა მარი.

– მოითმინეთ, მოითმინეთ! – ისევ დასვა მასწავლებელმა მარი: – კელბერი აქვეა, თითო სტაქანი შოკოლადი დავლიოთ.

– შოკოლადს არა ვსვამ. – სცადა წინააღმდეგობა ქალმა.

– არა სვამთ?!. რა მიზეზია? იქნება მეკრძალებით? – აი, აი, აი! – გაიქნია თავი: – განა ეგ იმედი მქონდა?

– კი არ გეკრძალებით, მაგრამ... – აღარ გაათავა მარიმ.

– მაგრამ-რა? – ღიმილით იკითხა ოსტატმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუჭირა ხელები და თვალებში შეხედვით უთხრა: – ხომ მეგობრადა მთვლით?

ქალი კიდევ გაწითლდა, დაიბნა და წყნარად უპასუხა:

– დიაღ.

– მაშ თუ აგრეა, რას მერიდებით, რად მექცევით, როგორც უცხოს?... კარგია, დაჯექით, ეხლავე მოგვიტანენ. ამ სიტყვებთან ერთად დარეკა ზარი და უბძანა შემოსულს ბიჭს ორი სტაქანი შოკოლადი, პიროჟენები და კანფეტი მოეტანა. მერე ისევ ქალს მიუბრუნდა და ტკბილის ხმით უთხრა:

– მაშ ეგრე... ვიყვნეთ სიკვდილამდინ მეგობრები... თანახმა ხართ?

ქალს რაღაცა მოსდიოდა, თავბრუ ეხვეოდა; მთლად გახურებული, რაღაცა უცნაურს, აქამდინ უცნობს გრძნობას შაეპყრო და მთლად ცახცახებდა. დღემდინ იმას არ გაეგონა ამ გვარი ლაპარაკი და დღეს პირველად ესმოდა. მერე ვისგან?... იმ მასწავლებლისგან, რომელსაც მთელი გიმნაზიის ქალები აღმერთებდნენ და თავის იდეალად ხადიდნენ!

მეგობრობა!.. ამისთანა მოწინავე, განათლებულს, ჭკუითა და პატიოსნებით სავსე კაცთან!? მართლადაც, რომ საბედნიერო იყო მარისთვის.

– თანახმა ხართ? – გაუმეორა კითხვა კიდევ უფრო მიმზიდავის, უფრო ტკბილის ხმით მასწავლებელმა.

– თანახმა ვარ. – გაუშვირა მარიმ ხელი, რომელიც ვალერიმ სიამოვნებით ჩამოართვა.

– ახლა მოიხადეთ შლიაპა, გაიხადეთ ხელთათმანები და ნუღარ დაგავიწყდებათ, რომ მეგობართანა ხართ.

ამ სიტყვებთან ერთად ვალერიმ ხელთათმანების ღილები გაუხსნა, შლიაპა მოხადა, შესცქეროდა თვალებში და მხიარულად ელაპარაკებოდა. მარი ჰგრძნობდა რაღაცა უხერხულობას, მაგრამ წინააღმდეგობა ვეღარ მოეხერხებინა, რადგანაც, ცხოვრებაში გამოუცდელს, ეშინოდა თავის გამოუცდელობა არ შაემჩნევინებია, ან უსაბედო ქცევით მეგობრისთვის არ ეწყენინებინა.

გაიღო კარები და ბიჭმა შემოიტანა შოკოლადი ბისკვიტებით და სხვა-და-სხვა გვარი ტკბილეულობით.

მეგობრები სტოლს შემოუსხდნენ და წყნარად შეექცეოდნენ. მარი გათამამდა, რადგანაც იფიქრა, რომ თუ ვალერი ასე იქცევა, უეჭველია, თვითონაც იმას უნდა მიჰბაძოს, რადგანაც ვალერი არის განათლებული, ზრდილი, გონიერი და უწესოებას არ ჩაიდენს. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ მარი მოვიდა მასთან სარჩევლად, იმას უნდოდა ეკითხა თავის გამგზავრებაზედ რუსეთში, სწავლის გაგრძელებაზედ; ეს სურვილი ვალერისათვის გაკვრით ნათქვამიცა ჰქონდა, მაგრამ დღეს ენა ებმოდა და ვერ გაებედა. რამდენჯერმე ქალმა პირი გააღო, უნდოდა მოსვლის მიზეზი მასწავლებლისთვის ეთქვა, მაგრამ რა წამს შეხედავდა, რა წამს ლაპარაკის დაწყებას დააპირებდა, ენა დაებმებოდა ხოლმე და სიტყვა უწყდებოდა.

ბოლოს მარიმ მოიკრიფა ღონე, დაატანა თავს ძალა და თვალების დახრით წარმოსთქვა:

– თქვენთან სარჩევლად მოველ და...

– უეჭველია, პეტერბურგში წასვლაზედ უნდა მკითხოთ რჩევა? – გააწყვეტინა

ვალერიმ.

– დიაღ.

– მე ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავ, – წამოიძახა იმან და დაუმატა: – ეხლა ისეთი დრო არის, რომ მოსწავლე ქალების ცხრა მეათედი ნაწილი სწავლისკენ მიილტვის... რატომ, რატომ?... ეგ კარგი ნიშანია...

ვალერის სიტყვები ქალს ესიამოვნა, რადგანაც მასწავლებელმა ოცნებად არ ჩასთვალა მისი აზრი.

– დიაღ, მაგრამ დედ-მამა ვერ დამიყაბულებია და...

– ჰმ!... – ჩაფიქრდა ყმაწვილი კაცი და პატარა ულვაშების გრეხა დაიწყო. – ეგ კარგი არ არის... ცხოვრება გინდათ, ხარჯი დაგჭირდებათ... სხვა საშუალება ხომ არა გაქვთ-რა?

– არა.

– უნდა ეცადოთ, როგორმე დააყაბულოთ.

– როგორ ვეცადო, რა ვქნა?... მეზობლები ისეთი არავინა გვყავს, რომ ჩააგონონ, და ნათესაობას კი იმათი მხარე უჭირავს.

– უეჭველია, ჩაგცივებიან, გათხოვდიო? იმათი აზრი ხომ მაგაზედ შორს არ მიდის!...

– დიაღ, მართალსა ბრძანებთ... მაგრამ სანამ სწავლას არ შევასრულებ, სანამ საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრი არ შევიქნები, გადაწყვეტილი მაქვს, სხვაზედ არაფერზედ ვიფიქრო.

– ჩემთვის სასიხარულო და თავმოსაწონია მაგ სიტყვების გაგონება... თქვენს სწავლაში და ხასიათის სიმტკიცეში მეც ხომ რაოდენიმე წილი მიძევს.

– გაძლევთ სიტყვას, რომ დიდი წილი გიდევსთ! – წამოიძახა მარიმ გატაცებით და დაუმატა: – ყოველი თქვენი სიტყვა სამუდამოდ გულში ჩამენერგა!

ვალერის ესიამოვნა ეს სიტყვები და რაოდენსამე ხანს ჩუმად იყო.

– მაშ დედ-მამა არას გაძლევთ? – სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ვალერიმ.

– კიდეც ეგ არის უბედურება, რომ არას მაძლევენ.

– აქვთ რამე შემოსავალი?

– დიაღ, სამას თუმნამდიმ წელიწადში. ასე ამბობს ხოლმე მამა-ჩემი, – დაუმატა ქალმა.

– სამასი თუმანი კარგია!... ყოველთვის შეუძლიანთ სამოცი თუმანი თქვენთვის გადადონ... სოფელში მაგოდენა ფული რად უნდათ?

– შინ რომ დავრჩე, განა წელიწადში სამოც თუმანზედ ნაკლები მომინდება? განა არ იცით, გასათხოვარს ქალს რამდენი ხარჯი უნდა?

– სამოცი თუმანი რას გეყოფათ?

– იქ კი ოც და ათს თუმანსაც დავჯერდებოდი.

– ეგ ცოტაა, ყოველთვის გაჭირვებაში იქნებოდით.

– ცხოვრება ხომ შემეძლებოდა?

– რასაკვირველია, მაგრამ რა ცხოვრება იქნებოდა?

– როგორიც უნდა ყოფილიყო, ოღონდ შიმშილით არ მომკვდარვიყავ! – წამოიძახა გატაცებით მარიმ.

ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზედ, თუ მოხუცებულები როგორ დაერწმუნებინათ და დაეყაბულებინათ, რომ საჭირო ფული მიეცათ ქალისთვის და გზაში არ გადაჭლობოდნენ თავიანთ ქალის პატიოსანს სურვილს.

ვალერიმ ურჩია და, რასაკვირველია, მარიმაც ცოტაოდენის მღელვარების შემდეგ მიიღო, რომ ქალი შინ არ წასულიყო, რადგანაც მისი ძალდატანებით გათხოვება შეეძლოთ და თუ ამას ვერ მოახერხებდნენ, მაშინ რაოდენსამე ხანს სრულიად აღარსად გაუშვებდნენ და დროს უბრალოდ დააკარგვინებდნენ.

– როგორ შეუძლიანთ ჩემი დაჭერა? ფეხშიშველა გამოვიქცევი, – იწყინა და ითაკილა მარიმ.

– თქვენ თვითონ ამბობთ, რომ მამა-თქვენი ჯიუტი კაცია და მაგგვარ ხალხისაგან კი ყოველგვარი ძალდატანება მოსალოდნელია.

იმათ გადასწყვიტეს, რომ წერილებით ემოქმედათ და მარი ხელში არ ჩავარდნოდა.

ამით გათავდა ეს დღე და ისინი განშორდნენ, მარი აღტაცებული ამისთანა მეგობრის შოვნით და ვალერი კი რაღაზედაც დაფიქრებული. ქალი მიეშურებოდა, რადგანაც სადილობა მოახლოვებული იყო და ის სახლობა, რომელთანაც იდგა, ლოდინს დაუწყებდა.

## III

ვალერი ჩხიკარიძე შუათანა შეძლების კაცი იყო, მამა, დიდი ხანია მოჰკვდომოდა და მოხუცს დედას კი თავი არ გამოეყო გარედ, რადგანაც თავადობას დაობდნენ, თავის საზოგადოებას დაშორებოდა და სხვა საზოგადოებას კი ვერ მიჰკედლებოდა. მაგრამ საცხოვრებელი მაინც იმდენი ჰქონდათ, რომ შვილს უნივერსიტეტში კურსი გაეთავებინა და დედას შინ, თუმცა ღარიბულად, ცხოვრება შესძლებოდა.

ვალერი, ამხანაგების გასაოცებლად, დიდს მნიშვნელობას აძლევდა თავადიშვილობას და ბავშვობიდანვე ამაყობდა ამ ხარისხით. როდესაც რესეთში ჯერ კიდევ სტუდენტი იყო და ვისთანმე ნაცნობთან მივიდოდა და შინ არ დაუხვდებოდა, პირველი სიტყვები იყო ხოლმე.

– მოახსენე, კნიაზ ვალერი ბრძანდებოდა-თქო. ან არა-და გადასცემდა საკუთრივ ამ შემთხვევისათვის მომზადებულს „კარტოჩკას“, რომელზედაც ფრანგულად ეწერა: „ვალერ ჩხიკარიძე, თავადი ჩხიკარიისა“.

ამისთვის ყურადღება იქნება არავის მიექცია, მაგრამ ვალერი ჯერ არ იყო გათავადებული და ამ წოდებას მხოლოდ დაობდა. ამისთვის, რასაკვირველია, ამხანაგობა იგდებდა მასხარად და გულით შორდებოდა. ყმაწვილი კაცი ამ შემთხვევას შურს აწერდა და ამბობდა: „რაც უნდა თქვან, თავადობა მაინც ამშვენიერებს გვარს! და მე კი მივიღებ თავადობას“. ასე იზრდებოდა ვალერი, რო-მელსაც მარჯვე ლაპარაკი, ლაზათიანი შეხედულობა და თავადობის ტიტული ყველა რუსის ნაცნობების სახლის კარებს უღებდა. ვალერი იქ დანავარდობდა, ოხუნჯობდა და სხვა-და-სხვა ხნოვანი ქალების გმირად შეიქმნა.

ამ მხრით რუსეთი მდიდარი საასპარეზოა და ამან კი ყმაწვილი კავკასიელი, მხურვალე ტემპერამენტით, შეაჩვია, ქალებისათვის სრულიად სხვა თვალით ეყურებინა, სანამ მის ამხანაგებს. ისა ჰფიქრობდა, რომ ქალი მისდა სასიამოვნოდ არის გაჩენილი და სვინდისის წინააღმდეგ არ მოქმედებს, ვინც სარგებლობს ამ სიამოვნებითო!

– რაც უნდა დაწეროონ, რაც უნდა სთქვან, – ამბობდა ვალერი, – თუ ქალსა და კაცს ერთმანეთი მოსწონთ, ერთმანეთით რატომ არ უნდა იხარონ, რატომ არ უნდა დასტკბნენ?

ამ აზრებში იყო ვალერი გართული, ასე შეასრულა კურსი და მის შესრულებასთან ერთად მას მოუვიდა სასიამოვნო ამბავი, რომ მის გვარს თავადობა დაუმტკიცდა.

მის სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა და მეტის გაბედულობით ლაპარაკში უფრო ხშირ-ხშირად ჩაურთობდა ხოლმე: @ჩემი გლეხები, ჩემი ყმები, ჩემი მოსამსახურეები“ და სხვა, თუმცა რიცხვით სულ ხუთი კომლი ყმა ჰყვანდა! ისე ჰბერავდა და აზვიადებდა თავის მდგომარეობას, რომ კაცი იფიქრებდა: @ უეჭველია, აუარებელი რიცხვი ყმა უნდა ჰყვანდეს და თვალგადუწვდენელი მამუ-ლი უნდა ჰქონდესო!“

მაგრამ ვალერი მეცხრამეტე საუკუნის შვილი იყო, ის ისე ვერ დარჩებოდა, რომ იმ დროს წყობილებას თავადზედაც მოქმედება არ ჰქონოდა და რაოდენადმე ლიბერალი, რასაკვირველია, სიტყვით და არა საქმით, არ ყოფილიყო. ამისთვის

ვალერი დაუმატებდა ხოლმე: @ჩემს ყმებს ესა და ეს ადგილი ვაჩუქეო, ესა და ეს ღალა ვაპატივეო, ესა და ეს საქმე გავურიგეო“ და სხვა. მაგრამ ყველა ისე იყო ნათქვამი, რომ თავის ღირსება არ დაემცირებინა. ვალერი გამოემართა საქართველოში და, ჩამოსვლის უმალ, რომელსაღაც გიმნაზიაში მასწავლებლის ადგილი მიიღო. აქაც კიდევ ახალი ნიჭი აღმოიჩინა და თავისთვის სასარგებლო ქებას თავის უფროსებს ასხამდა და სხვებთან კი განუსაზღვრელად ამაყობდა.

ერთის სიტყვით, ყმაწვილ კაცს კარგად შეესწავლა ამ სოფლის შესაფერი და ცხოვრებაში გამოსაყენებელი საქციელი. ბევრმა ხანმა არ გაიარა, რომ ვალერი ტფილისში გადმოიყვანეს და შეიქნა თითით საჩვენებელ გმირად. ყველა საუკეთესო ოჯახების კარებები გაიღო მისთვის და ყველგან სასიამოვნო და დამამშვენებელ თაიგულად შეიქნა. ყმაწვილი მასწავლებელი ყველას იქამდის ბედნიერად მიაჩნდა, რომ უმეტესობა თავის შვილების ამ ყოფაში ნახვას ნატრობდა. ამ საერთო სიტკბოებას ვალერის ხანდისხან ის ხალხი უმწარებდა ხოლმე, რომელთაც „ძონძებიანს“ უწოდებდა; ესენი, სადაც კი შეხვდებოდნენ იმ ბედნიერს, ღიმილით შეხედავდნენ და ღიმილით გაადევნებდნენ თვალს, მაგრამ ისინი რა ანგარიშში ჩასათვლელნი იყვნენ. ვალერის ფიქრით, დაძონძილს ტანისამოსში მყოფნი, შურით უყურებდნენ მის გაკრიალებულს წაღებს და ინგლისის მაუდისაგან გამოწყობილს ტანსაცმელს. ყმაწვილი კაცი მედიდურად გადახედავდა ხოლმე უკმაყოფილოებს, თითქოს იმის თქმა უნდოდა: „დეე, იტანჯნენო“.

## IV

ვალერიმ ქალების გიმნაზიაშიც მიიღო გაკვეთილები და პირველსავე დღიდან მათი გმირი შეიქნა. ის ისე ტკბილად, გატაცებით ლაპარაკობდა ხოლმე, იმოდენი გრძნობა გამოითქმოდა ყოველ მის მოძრაობაში, ლაპარაკში, თვალები ისეთის ცეცხლით უელვარებდა, რომ ყველა კაცი აღტაცებაში უნდა მოსულიყო. ამ დღეს გიმნაზიის მოსწავლე ქალების ყველა ჯგუფი მხოლოდ ვალერიზედ ლაპარაკობდა, ყველა მის სახელს გატაცებით ახსენებდა.

ვალერის გიმნაზიაში პირველსავე შესვლის დღეს მარი შეხვდა და გამოცდილმა თვალმა მაშინვე გაარჩია სხვებში ქალის სილამაზე და მოხდენილობა. ვალერიმ გადაიგრიხა პატარა ულვაშები და ისე გაიღიმა, რომ ქალს აგრძნობინა, ლამაზი იყო და მის სიკეკლუცეს ყმაწვილი კაცის გული აეფართხალებინა. ქალი

გაწითლდა და თავი დახარა; ყმაწვილი კაცი არ შეკრთა ქალის აღშფოთებით და რამდენიმე კითხვა მისცა, რამდენჯერმე იძულებული გახდა, თავისკენ მიეხედვინებინა და თავგასულის ყურებით უმეტესად აეღელვებინა ნორჩი მოწაფე.

ამ დღიდან დაიწყო იმათი გაცნობა და მარის ისე არ შეხვედრია, რომ შეუმჩნევლად დაეგდო, კითხვა არ მიეცა, არ შეხუმრებოდა.

ტკბილად ესაუბრებოდა გამოუცდელს ქალსა ვალერი, ტკბილს ნეკტრად ეწვეთებოდა ამხანაგებისგან მასწავლებლის ქება და წყნარ-წყნარად მორჩილ აკვნად უხდებოდა ვალერის მარის გული.

დრო მიდიოდა, მოწაფე თან და თან მორჩილებოდა ტკბილ გრძნობას, თან და თან ეძლეოდა ტკბილს ოცნებას.

თუმცა ეს ყველა ასე იყო და მარის გული იმ ბულბულს დამსგავსებოდა, რომელიც ანგარიშ-მიუცემლად ვარდისგან ნეტარებას მოელოდა, მაგრამ მოწაფის და მასწავლებლის ლაპარაკი თავის დღეში საზღვარს არ გადასცილებია; ვალერის ყოველთვის ახსოვდა, რომ მოწაფესთანა ჰქონდა საქმე და თავს მხოლოდ ყმაწვილურის ცელქობის ნებას აძლევდა.

ვალერი ამ ხანში ერთხელ არ დაფიქრებულა, რა მოსდის, რასა შვრება, ან სადამდინ უნდა მიეღწია მათს ცელქობას; ის წარმოუთქმელს სიტკბოებას ჰგრძნობდა მარის ხილვით და ამ სიტკბოებას არ ერიდებოდა.

ოხ, ღმერთო, რა მშვენიერია, რა მდიდარი შეხედულება აქვს! – იძახდა ის განუწყვეტლივ. ცოტა ხანმაც გაიარა და იმათი დამოკიდებულება გამოიცვალა: ვალერიმ აშკარად არშიყობა დაუწყო და მარიც, არამც თუ აღარ ერიდებოდა, არამედ თითქოს თვითონვე ეძებდა.

მასწავლებელს არ უნდოდა მარის ტფილისიდან წასვლა, რადგანაც ეშინოდა მადლიერი ქმნილება ხელიდან არ წასვლოდა. ეს კი, იმის აზრით, ძლიერ მოსახერხებელი იყო: ამ ქალის დედ-მამა იმის გათხოვებას მოიწადინებდა, ქალს კი სწავლა უნდოდა. ვალერი ეცდებოდა, რომ ქალმა არ დაუთმოს და კიდეც მოახერხებდა. ასე ფიქრობდა ყმაწვილი კაცი.

გაზაფხული იყო და მთელი ბუნება გადაშლილიყო; ყველაფერი ხარობდა და სიამოვნებას ეძლეოდა; ყოველ მცენარეს დიდის ხნის ძილის შემდეგ გამოეღვიძა და გადაშლილს ყვავილებს, კოხტად თავ-მოხრილებს, თითქოს ის-ის იყო თვალები გაეხილათ, რომ ქვეყნის მშვენიერებით დამკტბარიყვნენ. ყოველი ცხოველი რაღაცა მოუსვენრობას ჰგრძნობდა და თავისავე უნებურად, ანგარიშ-მიუცემლად ტოკავდა და საითკენღაც გარბოდა.

ამ საერთო ჰარმონიას ჩამორჩენოდნენ მხოლოდ მოსწავლენი, რომელთა

გამოცდა წლიური შრომის შემდეგ დაეწყოთ.

იქნებოდა დილის ცხრა საათი, როდესაც ვალერი იმ სასწავლებელში მივიდა, სადაც მარი მიებარებინათ და, რადგანაც ჯერ ყველა მასწავლებელნი არ შეყრილიყვნენ, ეგზამენების დაწყებას ელოდა. აღელვებული ბავშვები წიგნებით ხელში წამ და უწუმ მოუსვენრად ოთახებში შერბოდნენ და გამორბოდნენ.

ვალერი ტალანში დაფიქრებული დადიოდა და თითქო ვიღასაც მოელოდა.

ზოგიერთი ბავშვები ცდილობდნენ იმის ყურადღების მიქცევას, მაგრამ მასწავლებელს ჩვეულებრივი მხიარულება დაეკარგა და მისალმებაზედაც კი პასუხს აღარავის აძლევდა.

ერთი ოთახის კარები გაიღო, ვიღაც ყმაწვილი ქალი გამოვიდა, შეხედა ვალერის და გაწითლდა; რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა იმისაკენ, მაგრამ მაშინვე დახარა თავი და კედელზე მიყუდებული გაუნძრევლად დარჩა. აშკარად დაეტყო, რომ მას ვალერისთან მისვლა უნდოდა, მაგრამ ეკრძალებოდა.

მასწავლებელმა გრძელის ტალანის ერთს ბოლოს მიაღწია, როდესაც მეორე ბოლოში, სადაც ყმაწვილი ქალი იდგა, გამოვიდა მეორე ვიღაცა ცელქი, გაურბინა დაფიქრებულს მოწაფეს და უჩქმიტა. ქალმა დაიწივლა და წიგნები ხელიდან დასცვივდა. ახლად გამოსული ქალი ხარხარით გაიქცა და კედელთან მდგარი ქალი კი წიგნებს დაეწოდა. ამ ხმაურობამ ვალერი შეაკრთო და მოახედა. შეხედა თუ არა ქალს, სახე გაუღიმდა, თვალები გაუბრწყინდა და ჩქარის ნაბიჯით ქალისაკენ გასწია. როდესაც უკანასკნელმა წიგნები შეაგროვა და თავი მაღლა აიღო, მთლად აშფოთდა და გაწითლდა. მის წინ გაღიმებული ვალერი იდგა და კოკობს ულვაშებს იგრეხდა.

– ახ, თქვენა ხართ? – დაიწყო ქალმა.

– დიაღ, მარი, მე ვარ... რამ აგაშფოთათ? – უპასუხა ვალერიმ და ეს საკმარისი იყო, რომ მთლად გაწითლებულიყო.

– მე არა... ისე...

– მაშ, რადა სწითლდებით?

– მე, მე... დახრილი ვიყავ და უთუოდ სახეში სისხლი მომაწვა.

– რაც უნდა იყოს მიზეზი, მაინც მშვენიერი ხართ! – წამოიძახა ვალერიმ და თვალთაგან ნაპერწკლები გადმოყარა.

– კნიაზო! – სცადა მარიმ გაეჩუმებინა, მაგრამ ვალერი იმგვარ ხალხს არ ეკუთვნოდა.

– მარი, მართალს ვამბობ. – ისეთის გრძნობის მომპარავის ხმით წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა, რომ მოწაფეს სიტკბოების ჟრიალმა გაურბინა სხეულში.

ჩამოვარდა წუთი სიჩუმისა, წუთი ანგარიშ მიუცემელის გულისა. მაგრამ ეს იყო წუთი, რომელსაც ქალისთვის კაცის ზოგიერთი მოვლენა უნდა ეგრძნობინებინა და ვალერისთვის კი - სული ამოექცევინებინა. ამის შემდეგ ისევ კაცმა დაიწყო, მაგრამ კიდევ უფრო ტკბილად, უფრო სანეტაროდ; ხმა უკანკალებდა, თითქო ნაზი ნიავი არხევდა, სდნებოდა ტკბილად, როგორც ყანდის შაქარი და იზნიქებოდა, როგორც სითბოებით გამხვალი წმიდა სანთელი. სიტყვები ჰქონდა მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ნიავსავით ოდნავ ხმიანი, რომელიც ხან-გამოშვებით გაშმაგებულს მდინარესავით გადმოხეთქავდა, გრიგალსავით გაჰქროლავდა.

- გწყინთ, რომ სიმართლეს გეუბნებით? - ჩასჩურჩულებდა ისა. - მაგრამ რა ვქნა, რომ გული სიცრუეს არ უახლოვდება, ენა არ ემორჩილება!? დიაღ, მართალს ვამბობ და თუნდა გამიწყრეთ კიდეც, მაინც არ შემიძლიან არ გითხრათ, რომ ამ წუთში თქვენი სახე ახლად გადაშლილს და დაუჩაგვრელს ვარდს მაგონებს... რისთვის იჭმუხვნით წარბებს, რად მარიდებთ თვალებს, როდესაც მათ, მხოლოდ მათ შეუძლიანთ ედემის ნეტარება მაგრძნობინონ?! იქონიეთ შებრალება!

ქალს ესიამოვნებოდა ეს სიტყვები, რადგანაც საყვარელის კაცისგან ესმოდა, და გამოცდილებას კი ჯერ არ შეეჩვია საშიშს მდგომარეობას მორიდებოდა; სიამოვნებასთან ერთად ჰგრძნობდა რაღაცა სიმწვავეს, რომელიც სისხლს უჩუხჩუხებდა და გულს უფართხალებდა, უნდოდა შემაწუხებელს მაცდუნებას განშორებოდა, მაგრამ მოხიბლულსავით ძალა მიხდილი იდგა, სთვრებოდა და მხოლოდ ცახცახებდა.

ძნელად გადასწყვეტავდით, რითი გათავდებოდა მათი საუბარი, თუ ზარის ხმას ქალი არ შეეკრთო, თავდავიწყებიდან არ გამოეყვანა და გონს არ მოსულიყო. ქალი შეკრთა, გადისვა შუბლზედ ხელი და წამოიძახა:

- რეკენ...

ამ სიტყვებთან გაქცევა დააპირა, მაგრამ ვალერიმ ხელი მოსჭიდა და შეაყენა.

- დეე, დარეკონ! - უკმაყოფილოდ წარმოსთქვა იმან და დაუმატა: - იქ კიდევ მივასწრობთ.

- რა გინდათ?

- აქ ვერ გეტყვით, მიშლიან, არ მისვენებენ.

- მა, რა ვქნა?

- ჩემთან მოდით.

- თქვენთან? - გაკვირვებით იკითხა ქალმა.

- რა არის?... მაგრამ როგორ იქნება? ყმაწვილი ქალი... ყმაწვილ კაცთან?... გარყვნილი ხალხი გარყვნილების მეტს რას იფიქრებს?! - წარმოსთქვა იმან

მწარედ. – იქნება თქვენც მაგ აზრისა ხართ?

– არა, მაგრამ...

– მაგრამ რაღა? თუ მეგობრად მიგაჩნივართ, თუ რწმუნება გაქვთ ჩემი – მოდით... მოდით, რადგანაც მინდა, თქვენს მომავალზედ მოგელაპარაკოთ და თქვენი მომავალი კი ჩემთვის ყველაზედ ძვირფასია.

ქალი ტოკავდა და გადაწყვეტილი პასუხი ვერ ეთქვა. იმას ნეტარებად მიაჩნდა ეს სიტყვები, რადგანაც მისგან გაღმერთებული ვალერი მის მომავალზედ ლაპარაკს აპირობდა, ზრუნავდა, – მაშასადამე, თავის ყურადღების ღირსადა ხდიდა; მაგრამ წესი, ჩვეულება და ხალხის შეხედულება ბავშვობიდანვე ყურში ჰქონდა ჩაწვეთებული და მისი დათრგუნვა ვერ მოეხერხებინა.

– მოხვალთ? – თითქმის სახესთან ტუჩების მიტანით წარმოსთქვა ვალერიმ და ქალმა იგრძნო გახურებული სუნთქვა.

– მოხვალთ? – კიდევ უფრო ნაზად და მაცდურად გაიმეორა ვალერიმ.

– მოხვალთ? – ნიავსავით წყნარის ხმით ჩასჩურჩულა იმან ყურში და ეს-ღა კმაროდა, რომ უკანასკნელი კედელიც გადმორღვეულიყო.

– სანამ ეს წაიკითხეთ... პასუხი მომიმზადეთ და მოვალ... მოვალ უთუოდ, რადგანაც გენდობით.

ქალი გაუსხლტა ხელიდან და ოთახში შევიდა, ვალერის გაშლილი ხელები რაოდენსამე ხანს ისე დარჩა; ბოლოს დაკმაყოფილებულის სახით გადაიქნია თავი, მოილოკა ტუჩები და ულვაშების გადაგრეხით წამოიძახა:

– ეგ გოგონა გამაგიჟებს! სწორედ რომ გამაგიჟებს!

ამ დღიდან ვალერი ყოველ წუთს მოელოდა მარის, მაგრამ არსად სჩანდა. უეჭველია, ეგზამენის გასათავებლად ემზადებოდა და ამისათვის არსადა სჩანდა.

## V

ერთ დღეს ტფილისის საზაფხულო თეატრში რაღაცა წარმოდგენა იყო. დღის სიცხისაგან შეწუხებული ხალხი, სულის ამოსაქცევად, სათეატრო ბაღში მოგროვილიყო.

კასასთან შეჯგუფებულს ხალხს შორის ვალერიც გამოჩნდა; მივიდა კასირთან და ბილეთი აიღო. შევიდა თეატრში, მაგრამ რადგანაც წარმოდგენის დაწყებისთვის ჯერ ადრე იყო, ბაღში გავიდა.

ვალერიმ მოიხედა ერთს მხარეს, საიდანაც ვიღაცა კაცის ხმა მოესმა, რომელიც მას უძახოდა.

– საღამო მშვიდობისა, ნიკიტა კარპიჩ! – თავის დაკვრით უთხრა ვალერიმ.

– ვალერი გიორგიჩ! მარტოკა ხართ?

– როგორცა მხედავთ.

– ისა, ის? – ღიმილით და მკლავის წაკვრით ჰკითხა იმან. – ის ქალი, პა, პა, პა... აი, აი, აი! ვალერი გიორგიჩ!.. არა გცხვენიანთ?

ვალერიმ სიამოვნებით ჩაიღიმა და უთხრა.

– რასა იქ, ნიკიტა კარპიჩ... რასა? ყველანი კაცები ვართ. ყველას დროს-გატარება გვეჭირვება, ცხოვრებაში სიამოვნება გვინდა.

– გვინდა, გვინდა, რასაკვირველია, რომ გვინდა!.. ჰა, ჰა, ჰა! – უშნოდ ჩაიცინა მოსაუბრემ და დაუმატა: – მე ვნახე, შევამჩნივე...

– – ვინა?

– ისა... ვალერი გიორგიჩ, ისა. – ანიშნა თვალით.

– არ მესმის, ვიზედა ლაპარაკობთ.

– ახა, ღმერთო!... ის... ლამაზი, თეთრ-წითელი, თქვენთან რომ დადის ხოლმე. აუხსნა ნიკიტამ და კიდევ თვალი ჩაუკრა.

ვალერიმ ულვაშებზედ ხელი წყნარად გადაისვა და ღიმილით უპასუხა:

– რა ხუმარა რამა ხართ, ნიკიტა კარპიჩ!

მაგრამ ეს პასუხი იმ კილოთი იყო ნათქვამი, თითქოს უნდა ეთქვა. „სწორედ შეგიმჩნევიათ; ჩემთან თუ არა ლამაზს, მახინჯს რა ხელი აქვსო?“

ისინი გავიდნენ სათეატრო ბუფეტთან; კიდევ რამდენჯერმე გაუღიმეს ერთმანეთსა და გაიყარნენ. ვალერი გაბრუნდა და ბუფეტში შევიდა, რადგანაც არყის დალევა უნდოდა. მაგრამ მაშინვე უკან გამოვიდა და ერთს ბნელა ადგილას მიჯდა.

საღამო იყო ჩინებული, თბილი; თუმცა ადგილ-ადგილ ლაჟვარდოვანი ცა ღრუბელს დაეჩითა, მაგრამ მთვარეს მშვენიერებას არ ართმევდა. თითქმის უფრო ალაზათიანებდა კიდეც, რადგანაც ფერ-მკრთალი მნათობის ნაზი სხივები ღრუბლის ნაკვეთებს შუა თამაშობდნენ და მიკარებისთანავე სხვა-და-სხვა სიძლიერით უცვლიდნენ ფერსა; ხანდახან მთვარე შიგ ჩაიმალებოდა ხოლმე, ხან ისევ ამოცურდებოდა გაბადრულის ქალსავით, რომელიც ტალღებზედ დანავარდობდა და, რომ სხვას თვალი არ მოეკრა, ზვირთებს ფარდად იხდიდა. მთვარე ცელქს ბავშვსავით გარბოდა, საითკენღაც მიესწრაფე-ბოდა და თითქოს ხალხს ეძახდა: „გაუმაძღარო, დასტკბი, გეყოფა, ახლა სხვაგან მიმელიან, იქაც

უნდა მივასწროვო“!

ვალერი შესცქეროდა მოალერსე მთვარეს და ოცნებაში მარი ეხატებოდა.

ვარსკვლავებსაც ფერხული დაებათ; ციმციმებდნენ, კრთებოდნენ და კაცს აგონებდნენ, რომ იქნება კიდევ სხვა ქვეყნები არსებობდნენ, ბევრით უფრო სასიამოვნონი, უფრო მშვენიერნი და კაცის გულის დამყვავებელნი, ვიდრე ჩვენი დედამიწა. ხალხი შეჰბრძოლებოდა ბუნების ძალას, გაჯიბრებულებს თავიანთი მნათობები ამოერჩიათ და მით მბრწყინავ ქმნილებათ დაბნელებას უპირობდნენ.

ვალერის მარი მეტის-მეტად ჩავარდნოდა გულში და რადგანაც შეჩვეული არ იყო, რომ ქალებს ელოდინებინათ, ყმაწვილი ქალის მოუსვლელობა მეტის-მეტად აკაპასებდა.

მარი მოსვლას დაჰპირდა, საქმე გაჩალხული იყო, მაშ რაღად იგვიანებდა? ეს კითხვები ებადებოდა ყმაწვილ კაცსა და საკმაოდ სტანჯავდა მის თავმოყვარეობას.

ვალერი არა სახუმროდ მღელვარებდა, რადგანაც გიმნაზიაში რამდენჯერმე მისულიყო, მაგრამ მარი იქაც ვერ ენახა.

- რად მომატყუა, რატომ არ მოვიდა? - გაურბენდა გუნებაში და გული მოუთმენლობის ნიშნად ძგერას დაუწყობდა.

ყმაწვილი კაცი ამ ფიქრებში იყო, როდესაც იქავ ახლო მდგომ სტოლთან რამდენიმე ქალი მივიდა და წყალი მოითხოვეს.

ვალერი ერთბაშად შეკრთა, ზეზე წამოიჭრა და ულვაშების გრეხით ახლად მოსულებისკენ გასწია, სადაც ორ ამხანაგთან ერთად წყალსა სვამდა მარიცა.

ქალს როგორღაც ფერი ჰკრთობოდა და სახე რაღაცა დუმილს მოეცვა; აშკარად ეტყობოდა, რომ მას არა ერთი ღამე გაეტარებინა უძილოდ და მოსვენება ეჭირვებოდა.

მისი ამხანაგები, როგორც ყმაწვილი ხალხი, იცინოდნენ, მხიარულობდნენ და განუწყვეტლივ რაღაზედაც ლაპარაკობდნენ. მარი, რომელიც აქამდინ ჩუმად იჯდა და მოსაუბრეთ მხოლოდ ყურს უგდებდა, ერთბაშად გაწითლდა, გასწორდა სკამზედ და მღელვარების შესაყენებლად ჩაახველა. იმან ვალერის თვალი მოჰკრა და მთლად აინთო, სისხლი აუდუღდა, მოებჯინა ყელთან და გულმა ძალზედ ძგერა დაუწყო.

- მარი, რამ გაგაწითლა? - ჰკითხა ერთმა ქალმა, რომელიც იქვე იჯდა.

- მე?.. მე არ გავწითლებულვარ. - უპასუხა იმან და უფრო აენთო.

- როგორ არ გაწითლებულხარ... აბა, შეხედეთ, ქალებო, ტყუილს ვამბობ? - ყველამ იქით მიიხედა.

– ავად ხომ არა ხარ? – ჰკითხა მეორე ქალმა.

– რას გადამეკიდეთ, იქნება დამცხა! – უპასუხა მარიმ და მღელვარების შესაყენებლად რამდენიმე წვეთი გაცივებული წყალი ჩაყლაპა.

– საღამო მშვიდობისა. – სწორედ ამ დროს მოისმა ვალერის ხმა, რომელიც თავს წამოადგა და კოხტად შლაპის მოხდით მიესალმა. ქალებმა მხიარულად მიიღეს და მიიწვიეს.

ყველანი დასხდნენ და გაიბა საერთო მხიარული მასლაათი. აქამდინ გაჩუმებულმა მარიმაც ღონე მოიკრიფა, თითო-ოროლა სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე საერთო ლაპარაკში და ბოლოს ისე გაერთო, რომ აღარავის აცლიდა. ყველანი გამხიარულდნენ, რადგანაც ვალერი ოხუნჯობდა. ყველას აშკარად ეტყობოდა, რომ გულით მხიარულობდა და არავინ სრულიად საჭიროდ არ ხედავდა, შაეკავებინა თავის სიამოვნება, მით უფრო, რომ ვალერი, როგორც განათლებული კაცი, ფარისევლობას უფრო გაჰკიცხავდა.

ცოტა ხანს შემდეგ ქალები წამოდგნენ, რამდენჯერმე ხეივანში გაიარეს და მერე თეატრში შევიდნენ.

პირველსავე ანტრაქტის დროს მარი და ვალერი მარტონი დარჩნენ და ჩუმად, ხმა-ამოუღებლივ ბაღშივე გავიდნენ.

– რატომ არ მოხვედით, ან არა შემატყობინეთ-რა? – დაიწყო ვალერიმ.

– ვერ მოვიცალე და... შეუძლოდაც ვიყავ.

– მეც ეგრე მეგონა.

– ეხლაც თავი მტკივა.

– მაშ, შინ რატომ არ წახვალთ? აქ გაზი შეგაწუხებთ და ხმაურობაც არის.

– მაინც ეგრე ვაპირობ... ჩემი წერილისა რა ჰქენით?

– წავიკითხე, მოვიაზრე და თქვენთან მოლაპარაკება მინდოდა.

– მიბრძანეთ...

– მაგაზედ ლაპარაკი ეგრე არ შეიძლება... აქ ბევრნი არიან და არ დაგვაცლიან.

– რატომ, ვინ დაგვიშლის?

– აგერ, თქვენი მეგობრები მოდიან.

მართლაც, ხეივანში ქალები გამოჩნდნენ და მივიდნენ იმათთან. ცოტა ლაპარაკის შემდეგ მარიმ გამოაცხადა, რომ შეუძლოდა ვარო და ყველას გამოემშვიდობა. ვალერიმ კი მარტოს თავი არ დაანება და თან გაჰყვა.

მარიმ დაუძახა ფაიტონს, რადგანაც კალონიაში იდგა და ქვეითი წასვლა ეძნელებოდა.

– ნება მიბოძეთ, გამოგაცილოთ. – წყნარად უთხრა ყმაწვილმა.

– რადა, რა საჭიროა! – უპასუხა მარიმ და პირისახე იქით მიიბრუნა, რომ გაწითლება კიდევ არ შეემჩნევინებინა.

– მშვენიერი საღამოა, მე მაინც მინდოდა გასეირნება და სალაპარაკოცა გვქონდა.

– მაშ, ფეხით გავიაროთ. – დასთანხმდა მარი.

– ძალიან კარგი, – უპასუხა ვალერიმ და მიუშვირა მკლავი, რომელზედაც ქალი წყნარად დაეყრდნო და ორთავემ კუკიისკენ გასწიეს.

რამდენსამე ხანს ორნივ ჩუმად მიდიოდნენ, თითქო ორნივე ჩაჰკვირვებოდნენ თავიანთ გულის მოძრაობას და წეღანდელი მხიარული თავისუფლება კი გადავიწყებოდათ.

ამავე დროს ორთავეს უნდოდათ ლაპარაკის დაწყება და ვერცერთს ვერ მოეხერხებინა; რამდენჯერმე ორნივ მივიდნენ იმ მდომარეობამდინ, რომ სიტყვის წარმოსათქმელად გახსნილი ტუჩები რაოდენსამე ხანს ისე რჩებოდა, რადგანაც ყელშივე შესწყდებოდა და მღელვარებად გარდიქცეოდა ხოლმე.

ორთავენი გრძნობდნენ ამგვარად სიჩუმის უხერხულობას, მაგრამ არის ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც სიტყვას ვეღარ პოულობ და ხმა გიწყდება. ერთბაშად მარიმ წაიბორძიკა და მთლად გაურჟოლდა, რადგანაც ძარღვები მეტად აღგზნებოდა და მცირედი შერყევა საკმარისი იყო, რომ თრთოლა დაეწყოთ.

ვალერიმაც რაღაცა ძალა იგრძნო, რომელმაც თვალის დახამხამების უმალ სხეულში გაურბინა და გაურჟოლებითვე აპასუხებინა.

– მაგრა დამეყრდენ, არ წაიქცეთ. – ხმის კანკალით წარმოსთქვა ვალერიმ და მკლავი თავის უნებლივ მოუჭირა.

– არა მიშავს-რა, – თვალების დახრით უპასუხა მარიმ და რაღაცა ძალა იგრძნო მკლავის მოჭერაზე.

იმას შეეშინდა, ძალზედ მძგერავი გული ერთბაშად თითქო შეუდგა, შეუდგა მხოლოდ იმისთვის, რომ მერე უფრო მეტად დაეწყო ფორთხალი. ქალი თითქოს შეშინდა ამ სხვა დროს უმნიშვნელო შემთხვევით, მაგრამ ეხლა რაღაცა ძალამ უფრო მიიზიდა, მიუახლოვა ვალერის.

ჩამოვარდა ისევ სიჩუმე და ორივეს დაუწყო გულმა ძგერა. ვალერის თავის სიცოცხლეში არ უგრძვნია ამგვარი მდგომარეობა. ქალებთან გამოცდილი და გაბედული იყო, არშიყობას პირდაპირ და გულადად დაიწყებდა ხოლმე. ბედი ყოველთვის უღიმოდა. ეხლა რაღა დაემართა?... სიტყვა უწყდებოდა, გული შიშით და კრძალვით ავსებოდა, მთელი მისი არსება გაუბედაობას მოეცვა. ისიც კი ვერ მოეხერხებინა, რომ თეატრის ბილეთების სყიდვა გაემხილა, რადგანაც

უარისა ეშინოდა.

ისინი ჩავიდნენ ბაღის ბოლოს, სადაც ვალერი შეფერხდა და ძალდატანებით, თითქმის ხვნეშით, ძლივს გაბედა.

– ერთხელ კიდევ გავიაროთ...

– გვიან ხომ არ იქნება? – იკითხა მარიმ, უფრო იმისთვის, რომ ეთქვა რამე.

– შინ რა მიგაჩქარებთ?... ისეთი ხომ არავინ გელისთ, რომ გაგიჯავრდეთ?

– არა, სულ სწორი ქალები ვდგევართ.

– მეც მაგას ვამბობ... მაშ, გავიაროთ?

– გავიაროთ.

ისინი გამობრუნდნენ, მაგრამ ვალერი ისევ შესდგა, მას დაუბრუნდა თავის გაბედულობა – ძნელი იყო მხოლოდ პირველი სიტყვა.

– ან, მოდი, თეატრში წავიდეთ.

– თეატრში?... ბილეთებს ვეღარც კი ვიშოვით.

– ორი ბილეთი მაქვს, – სიხარულით უთხრა ვალერიმ.

– ორი ბილეთი რად გინდოდათ? – მოულოდნელად ჰკითხა მარიმ და გაწითლდა, რადგანაც ამგვარი კითხვის უადგილობა იგრძნო.

– გამოგიტყდებით და სწორეს გეტყვით... იმ აზრით ავიღე ორი ბილეთი, რომ თქვენ წამეყვანეთ...

– გმადლობთ, მაგრამ რად სწუხდებოდით?

– თქვენ დაგავიწყდათ, რომ ჩვენ მეგობრები ვართ? – იკითხა ვალერიმ და დააცქერდა.

– სულაც არა, მაგრამ...

– მაგრამ რა?... განა მეგობრებში მაგგვარს ლაპარაკს ადგილი აქვს? – თითქოს ყვედრებით უთხრა ყმაწვილმა კაცმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: – წავიდეთ... მაგისთანა მომღერლები ტფილისში ხშირად არ არიან.

– თქვენი ნებაა. – მოისმა მარის ხმა.

– გმადლობთ. – აღტაცებით წამოიძახა ვალერიმ.

მარიმ გაოცებით შეხედა, რადგანაც არ იცოდა, მადლობას რაზედ ეუბნებოდა, მაგრამ არა უთხრა-რა.

ორნივ გავიდნენ ბაღიდან და, რადგანაც ცოტა დაგვიანებული იყო, ჩქარის სიარულით გაემართნენ თეატრისკენ.

თეატრი გაჩაღებული იყო, როდესაც ვალერი და მარი შევიდნენ. ლოჟა და პარტერი გაჭედილი იყო სხვა-და-სხვა გვარის და ხარისხის საზოგადოებით.

მუსიკა უკრავდა „ვილგელმ ტელიდან“ დამატკბობელს უვერტიურას. ახლად მოსულები წყნარად შევიდნენ, მონახეს თავისი ადგილები და დასხდნენ.

მარის ძალიან უყვარდა მუსიკა და ისეც საკმაოდ მღელვარება-გამოვლილი სრულიად დაშბნიდა. ყველა სიმის ჩამოკვრა, ყოველი ნოტის ხმა იმის გულში პოულობდა ბინას, თრთოლით დარბოდა მის სხეულში და რაღაც სიტკბოებით სავსე დამასუსტებელ გრძნობით აგრძნობინებდა სიამოვნებას. სუსტდებოდა, ჰგრძნობდა, რომ იღლებოდა, ერთსა და იმავე დროს ეს ხმები ხან აწუხებდა და ხან ასიამოვნებდა, მაგრამ ვერ მოშორებოდა, სურდა, რომ გაგრძელებულიყო.

ერთბაშად მოისმა ძლიერი აკორდები, მუსიკა გაჩუმდა და ფარდა შრიალით აიწია.

სცენაზედ იდგა ფორტეპიანო, სკამი და ამით თავდებოდა მდიდრული ოთახის მორთულობა. წუთს შემდეგ ვიღაცა ხანში-შესული, გასუქებული და სქელი ქალი გამოვიდა. თეატრი შეინძრა და გაისმა წყნარი ჩურჩული: „არტო, არტო!“ – იძახდა ყველა.

დიაღ, ეს გახლდათ უწარჩინებულესი მომღერალი არტო, რომელმაც კარგა ხანს ატკბო მთელი ევროპელთა ყურთასმენა და იმდენი ალაპარაკა გაზეთების სხვა-და-სხვა გვარი რეპარტიორები და რეცენზენტები. ოდესღაც სასიამოვნო სახის, ნაზი და წყნარი არტო, ეხლა წარსულის კარიკატურას წარმოადგენდა. სილამაზის მაგიერ სახე დაღმეჭოდა, სინაზის მაგიერ სიმსუქნეს უშნოდ დაერ-გვალებინა მისი ტანი, სიმარდე შესცვლოდა ძალდატანებულს ჩქარს სიარულად. ეხლა პირველსავე შეხედვით უსიამოვნო შთაბეჭდილების მომხდენი, ოდესღაც პირველსავე გამოსვლით კაცს სიხარულით უვსებდა გულს. იმას გამოჰყვა ფორტოპიანოზედ დამკვრელი ვიღაცა მოხუცი, გამხდარი კაცი, რომელიც გულადად და ამაყად მივიდა როიალთან, აიღო რამდენიმე აკორდი, გაუტია წარმოუთქმელის სისწრაფით კლავიშებს და მაყურებელი დაარწმუნა, რომ ჯერ იმის თითები არ გახევებულიყვნენ და კიდევ შეეძლოთ სიყმაწვილის ძალით კაცის თავდავიწყებამდის გატაცება.

არტო წინ ავან სცენაზედ გამოვიდა, როიალისგან გამოისმა წყნარი და დაბალი აკორდები და ქალმა პირის დაღებასთან ერთად ისეთი ნაზი, ისეთი თავს-ბრუ დამხვევი ხმები აღმოახდინა ყელიდან, რომ ყველას გადაავიწყდა მისი სახე და შეხედულობა, ყველა გარდააქცია სმენად. არტომ დაიწყო ძალიან წყნარად, თითქოს სიოსავით ოდნავ მფეთქავის ძალით, და ისე გაატარა ეს პარტია ბოლომდინ, რომ ხმას ერთხელ არ უღალატნია, ერთხელ არ დაუკანკალია, ერთხელ ვერ იტყოდით, რომ სიო შესწყდა, ან სიოში ნიავი გაერია. დამშვიდებული წყნარი რომანსი გათავდა პოეტურის სიტყვებით „განქრა, განქრა!“ და მეორე

სიტყვა იმგვარად, იმ გრძნობით და ხელოვნებით იყო ნათქვამი, თითქოს თვალით ხედავდით ანთებულს რაღაცას, რომელიც წყნარ-წყნარად ქრებოდა და უკანასკნელ სიტყვებთან თითქმის ყველგან დაბნელდა.

არტომ გაათავა, მაგრამ ამ ხმებით მოხიბლული საზოგადოება ისევ სიამოვნებით იყო მოცული, განძრევა ვერ გაებედა და ყურში კი გაისმოდა: „განქრა, განქრა!“

არტომ დაუკრა თავი და გაბრუნდა, საზოგადოება მხოლოდ მაშინ გამოერკვივა და საერთო ტაშის ცემით გამოუცხადა მომღერალს თავის აღტაცება.

მარიც ტაშის ცემაზედ გამოერკვივა თავდავიწყებიდან, მიიხედა, ვალერი დაინახა და ერთბაშად უთხრა:

– გთხოვთ, წავიდეთ, ეხლავე გავიდეთ თეატრიდან!

– რადა, რა მოგივიდათ?

– არ შემიძლიან, მეტად დავსუსტდი... ეს ხმები სულს ამომართმევენ.

ვალერიმ ეს სიტყვები კრძალულობის ნიშნად ჩასთვალა და ამისთვის ღიმილით შეხედა. მაგრამ მარი მთლად გაყვითლებულიყო და მთლადა ცახცახებდა.

– რა მოგივიდათ? – ზრუნვით უთხრა ვალერიმ. – ადამიანის ფერი აღარა გაქვთ.

– წავიდეთ, თორემ ეხლავ წავიქცევი.

ვალერი დაეშურა, მისცა ხელი ქალს და ორნი გამოვიდნენ გარედ, სადაც მარიმ ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

– ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია მაგგვარი ხმები. – წარმოსთქვა იმან წყნარად.

– მეტად სუსტი ძარღვები გქონიათ.

– მე თვითონაც არ მინდა, მაგრამ რა ვქნა... ექიმები მარწმუნებენ, რომ გულის ჩქროლა მაქვს და ყოველ გვარს მღელვარებას უნდა ვერიდო.

– რასა ბრძანებთ?! თქვენ ისეთი ელფერი გაქვთ, რომ ყოვლად შეუძლებელია, ეგ კაცმა წარმოიდგინოს.

– მეც არა მჯერა... მაგრამ რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ყოველ გვარს მღელვარებას ასეთი დამასუსტებელი მოქმედება აქვს ჩემზედ?

–ძარღვების სისუსტე.

– კარგი, მაგრამ ძარღვების სისუსტე რაღად უნდა მქონდეს.

– ო-ო, ეგ ბევრი მიზეზებისგან წარმოსდგება, – მრავალ-მნიშვნელოვნად უთხრა ვალერიმ და ცოტა ხანს უკან დაუმატა: – მე მგონი, ძარღვების სისუსტის მიზეზიც კი არ უნდა იყვეს.

– მაშა?

– მეტად მგრძნობიარე ბძანდებით... სხვა ფრივ არც იქნებოდა თქვენი კეთილის გულისგან.

ამაზედ ლაპარაკი შესწყდა. ისინი მიუახლოვდნენ კრუჟოკის ბაღს, საიდანაც მუსიკის ხმა გამოისმოდა, მარი იქვე პირდაპირ იდგა და ამისთვის გაჩერდნენ იმათ სახლის კარებთან.

საშინლად პური მშიან, – სიფრთხილით წარმოსთქვა ვალერიმ და დაუმატა: – თქვენც დასუსტებული ხართ, თქვენთვისაც კარგი იქნებოდა ცოტა რამ შეგეჭამათ.

– დიაღ, ჩვენ ყოველთვის ვივახშმებთ ხოლმე.

– მოდით, კრუჟოკში შევიდეთ და თითო კოტლეტკა შევჭამოთ.

– მადლობას მოგახსენებთ, ეხლა არ შემიძლიან... კვლავ როდისმე.

– ეხლა რატომ არა?

– დავიღალე, დასუსტებული ვარ.

– წავიდეთ, ღონეს მოიკრეფთ.

– არა, ეხლა არა, არ შემიძლიან.

ვალერი ჩაფიქრდა, თითქო გაიბუტა, მაგრამ აღარა უთხრა–რა.

– ამასთან დედას წიგნიც უნდა მივწერო. – დაუმატა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

– მართლა, სრულიად გადამავიწყდა, მეკითხა: რასა გწერენ?

– სრულს უარს... ამ დღეებში მამა ჩამოვა.

– რისთვის?

– უნდა წამიყვანოს.

– უნდა წაგიყვანოს?

– დიაღ.

ვალერი გაჩუმდა და კიდევ ჩაფიქრდა.

– თქვენ რაღას აპირობთ?

– ჯერ არ ვიცი.

– წახვალთ?

– მოვიდეს მამა და ვნახოთ.

ამ დროს ზევით ბალკონიდან ვიღაცამ გადმოიხედა და იკითხა:

– მარი, შენა ხარ?

– ჰო, მე ვარ.

– ჩვენ კი გვეგონა, რომ ამაღამ იულიასთან დარჩებოდი... მოიცა, ეხლავე კარს გაგიღებ. – უთხრა ქალმა და გაბრუნდა.

ცოტა ხანს შემდეგ კიბეზედ ფეხის ხმა მოისმა, ეტყობოდა, ის ქალი იყო, რომელიც ბალკონიდან ელაპარაკებოდა, რადგანაც ნახევარ ხმად რაღაცა სიმღერას ამბობდა და ხმა სრულიად წეღან მოლაპარაკე ხმას მიემსგავსებოდა.

– მარი! – ერთბაშად გაუშვირა ვალერიმ ხელი. მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და მოსაუბრეს სიტყვა პირში გაუწყვიტა.

– ღამე მშვიდობისათ! – დააბოლოვა ვალერიმ და გამობრუნდა.

მეგობრები კი მარის ოთახში შევიდნენ და იქ გააბეს მუსაიფი.

გათენებამ მოაღწია, რომ მარის ჯერ კიდევ არ გაეხადნა ტანისამოსი და კუშეტკაზედ, მარტო ერთს სანებიერო ადგილზედ, რომელიც იმასა ჰქონდა ამორჩეული, წამოწოლილიყო და რაღაზედაც ფიქრობდა. თვალ-წინ ეხატებოდა ათასი სურათები, რომელნიც ერთმანეთს წარმოუთქმელის სიჩქარით სცვლიდნენ და განსაცვიფრებელის ხელოვნებით და ფერებით შეხამდებოდნენ. შენინგის პავილიონი, თეატრი, არტო, მუსიკა, – ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა ქალის ოცნებაში და სხვა-და-სხვა რიგად ცვლილობდა ფერს; ახლა ამას ზედ დაუმატეთ ვალერის მომღიმარი სახე და მაშინ წარმოიდგენთ, რა ნაირის სიტკბოებით აევსო ქალს გული.

მარის თავი გაჰხურებოდა და სიცხის ოცნებას შეეპყრო. ხანდისხან ბოდვამდინაც მიდიოდა და მაშინ წყნარად, ნაზად და ტკბილის ალერსით მისი ნაზი ტუჩები ვალერის სახელს წარმოსთქვამდნენ ხოლმე. ვალერიც მაშინვე გონებაში უცოცხლდებოდა, ჰხვევდა ხელებს, იკრავდა გულში, ჰკოცნიდა, ეფიცებოდა, რომ მისთვის გაჩენილა და ქვეყანაზედ მის მეტი საგანი აღარა აქვს. მარის ახარებდა ეს სიტყვები, სიხარულით სთხოვდა, გაემეორებინა ძვირფასი სიტყვები და, რა ხელ-ახლად გაიგონებდა, თვითონაც მიეკვრობოდა, ძალზე მოეხვეოდა და დაუწყებდა კოცნას.

ბოლოს, დაღალულმა სხეულმა ადგილი დაუთმო ბუნების კანონს, დამორჩილდა მას და წყნარმა, თუმცა მოუსვენებელმა ძილმა მოიცვა.

ვალერი კი ჯერ კიდევ ბაღში დადიოდა და ოხვრით წარმოსთქვამდა მის სახელს, ვისაც შეეპყრო მისი სული, გული, მთელი არსება. ის მეათასედ იძახოდა: „გამაგიჟა იმ გოგონამ, გონება დამაკარგვინა!“ და ამის შემდეგ ისიც დაიწყებდა ოცნებას, თუ როგორ ბედნიერი იქნებოდა მარისთან, რა რიგად ისიამოვნებდა, რა სიხარული მოელოდა იმის ხელში და რა ნეტარებით სავსე ცხოვ-რება ექნებოდა.

– სწავლა სურს, – ამბობს ვალერი: – დეე, ისწავლოს, ვინ უშლის? – მაგრამ მაშინვე დაუმატებდა: – სამწუხაროდ, მეტად ლამაზია, მეტად მშვენიერი, რომ მარტოს თავი დანებდეს!..

ამ სიტყვებზედ ისევ დაფიქრდებოდა და შემდეგი ფიქრი გაურბენდა თავში:

– ვეცდები, არ წავიდეს, არ მომაკლოს სიამოვნებას და, თუ მაინც და მაინც არ დაიშალა, რა ვუყოთ; მარი იმდენად პატიოსანია, რომ არ მიღალატებს.

ამ აზრებსა და მოფიქრებაში იყო, როდესაც ალიონის აწევამ მოაგონა, რომ შინ წასვლის დრო იყო და ვალერიც წყნარად წავიდა შინისაკენ და წყნარად შევიდა სახლში და მარის სახელის ხსენებით თვალები დაეხუჭა.

## VI

მეორე დღეს მარიმ ძალიან გვიან გაიღვიძა. ფერი მთლად დაფეფქვილი ჰქონდა, თითქოს მთელი ღამე უმუშავნიაო. გაღვიძების უმალ დახედა საათს და გაუკვირდა, რომ პირველს გადასცილებოდა, მაგრამ ისე დასუსტებული და დაზარმაცებული იყო, რომ მაშინადვე ისევ მიწვა. იმას უკვირდა თავის სისუსტე და პირველში არ იცოდა, რისთვის მოუვიდა ასე. მაგრამ გონება ჩქარა მოიკრიფა და გუშინდელი დღე ნათლად წარმოუდგა თვალ-წინ.

რასაკვირველია, ეს ერთი დღე მარიზედ ასე ვერ იმოქმედებდა და ერთბაშად ასე ძალას ვერ წაართმევდა: ამის მიზეზი წინა დღეებიც იყო, რომელსაც მარი ატარებდა მღელვარებაში. პირველში, რა წამს საქმე ან ფიქრი ვალერის შეეხებოდა, გული ანგარიშ-მიუცემლად ძგერას დაუწყებდა, სისხლი ხან პირისახეში და თავში ასკდებოდა, ხან ისევ გულისკენ გაექანდებოდა და მარის ამ მდგომარეობის მიზეზი ვერ წარმოედგინა, ვერ ეპოვა; მერე გაუელვა აზრმა, რომ ვალერი უყვარს და მღელვარება გაუძნელდა, რადგანაც ამ აზრის მოსპობას, გულიდან ამოგლეჯას ებრძოდა, მაგრამ ამაოდ. იგი მწუხარებით ხედავდა, რომ ძალა არ მოსდევდა გულიდან ამოეფხვრა ის გრძნობა, რომელიც იქ ძალად ჩასჭროდა და ეს ყველაზედ მეტად აჯავრებდა და ასუსტებდა. ახლა ზედ დაერთო ვალერის ჩქარ-ჩქარა ნახვის სურვილი, რომელიც ცხოვრების საჭიროებად გახდომოდა და სრულიად საკმარისი იყო მარის გულისთანა გრძნობიარე გულისთვის და ნაზი აგებულებისთვის, რომ ქალი სრულიად დაესუსტებინა.

მარი ამ ღამეს თითქო ჩამომდნარიყო, თვალები ჩასცვივნოდა და თვალის ძირები ძალზედ ჩალურჯებოდა. იმან აიღო სარკე და შიგ ჩაიხედა.

– ღმერთო! რა სახე მაქვს?! – წამოიძახა უსიამოვნოდ და მიაწყდა ისევ ბალიშს და წაიღო დუმილმა.

– სისულელეა, უნდა დავივიწყო! – კიდევ გაჯავრებით წამოიძახა იმან და შუბლზედ ხელი გადაისვა. – უნდა დავივიწყო, უნდა დავივიწყო, რადგანაც იმას სრულიად არ ვუყვარვარ... ეს მამა-ჩემი რაღას იგვიანებს?... ერთი მოსულიყო, რომ ყველაფერს მოვშორებოდი!

– მარი, გაიღვიძე? – კარების შემოღების უმალ იკითხა იმის ამხანაგმა ქალმა, რომელიც ის-იყო სოფლიდან ჩამოსულიყო.

– არა გრცხვენიან ამდენს ხანს ძილი? – გადახვევასთან ერთად ეუბნებოდა ნადო. – ქალო, რამ გაგხადა აგრე? რა მოგვსლია? ტფილისის ჰაერმა აგრე იცის, რატომ სოფელში არ წახველ? – აძლევდა კითხვებს და პასუხს აღარ ელოდა.

– შენ კი გასუქებულხარ, გაკეთებულხარ, – ღიმილით უპასუხა მარიმ და სიამოვნებით შეხედა ნადოს კარგად მყოფს სახეს და უზრუნველს, მხიარულს ქცევას.

– სოფელმა აგრე იცის!... ახ, მარი, უნდა იცოდე რამდენს ნაღებსა ვჭამ... მერე როგორი ნაღებია-და?... სწორედ დანით საჭრელი.

– სხვა რაღას აკეთებ? სულ ხომ ნაღების ჭამაში არ იქნები?

– დილით ავდგები, დავლევ ერთს სტაქანს რძეს, იქვე სახლებთან ტყე გვაქვს და იქ დავდივარ სასეირნოდ... ნეტა, იცოდე, მარი, რამდენი მარწყვი იცის?... ერთს წუთში მთელს კალათას გავავსებ ხოლმე.

– საკითხ წიგნებს შოულობ?

– როგორ არა... ჩვენს სოფელთან რაღაცა პოლკი დგას და იმათა აქვთ ბიბლიოთეკა... მაგრამ ვერ წარმოიდგენ, მარი, რა წიგნებია?... სულ რაღაცა ბრძოლა, რომელშიაც გმირები შვიდჯერ იხოცებიან, ათჯერ ცოცხლდებიან!... ერთი რაღაც წიგნი მომიტანეს, სახელად „გაუმაძღარი“, რომელშიაც ისეთი გმირია შიგ გამოყვანილი, რომელსაც ორასი თუ სამასი ქალი მოეტაცა.

– მერე, მაგეებსა კითხულობ?

– რატომ არა?... სოფელში ყველაფერი წაიკითხება... ვკითხულობ და ვიცინი...

– ნეტავი შენ!...

– აფიცრები როგორები-ღა არიან! ხა, ხა, ხა! – ჩაიცინა ნადომ.

– როგორი?

– ყველანი არშიყობას ცდილობენ, ყველანი შეყვარებულის როლს თამაშობენ.

– შენ გეარშიყებიან?

– რასაკვირველია, მე. – ისეთის კილოთი უპასუხა ნადომ, თითქოს ეს კითხვა კიდეც გაუკვირდაო.

– მერე, შენ ნებას აძლევ?

– რატომ არა?... დროს მაინც მატარებინებენ.

– კარგი დროს-გატარება გიპოვნია.

– გარწმუნებ, რომ ჩინებული!... მერე, უნდა იცოდე, არშიყობას რა რიგად დაიწყებენ ხოლმე-და... ყველანი ერთს რიგად, ერთის სიტყვიდან... ჯერ მოჰყვებიან ოხვრას, მეც ვყვები... მერე, ყოველ საღამოზედ მოვლენ ფანჯრის წინ და რამდენჯერმე მიმღერებენ: "Ты куда, мой другь..." და სხვა, ან კიდევ "Вот взошла луна злотая"... მეც გავალ ბალკონზედ, დავიდგამ სკამს და ყურს ვუგდებ... ამის შემდეგ მესამე-მეოთხე დღეზედ ცდილობენ, მარტოკა სადმე ჩამიგდონ, შემეხვეწებიან, დრო დავუნიშნო, სად და როდის მნახონ მარტოდ-მარტო, მარწმუნებენ, რომ ძალიან საჭირო რაღაცა აქვსთ სათქმელი და ჩემგან არის დამოკიდებული ერთი კაცის სიცოცხლე და სხვა... მე ვითომ არა მესმის-რა, თავსა ვხრი, თვალებს ვლულავ, ვეკეკლუცები, ათჯერ დავუნიშნავ ადგილს და ერთხელაც არ მივალ, ისინი კი იხრუკებიან... ბოლოს, სადაც იქნება, შევხვდებით მარტოები და პირველსავე შეხვედრაზედ ბოხის ხმით მეტყვიან: „ქალბატონო, მე თქვენ მიყვარხართ!" – მე შევ-კრთები, ვითომც მოულოდნელობისაგან, დაბლა, დაბლა თავსა ვხრი და პასუხს არ ვაძლევ, ისინი ისევ დაიდებენ გაპარჭყულ თითებს გულზედ და მიმეორებენ: „ქალბატონო, პასუხს ველი!... რა მომელის – ჯოჯოხეთი თუ სამოთხე"? მეც ხმას გავიწვრილებ, გავინაზები და ვეუბნები: „მე უმამოდ არა შემიძლიან-რა, მამასა ჰკითხეთ"... ისინიც გახარებულები გაქანდებიან მამასთან და შენ ხომ იცნობ მამა-ჩემს, სიცოცხლე გაქვს, ის იმათ იფრენს ხოლმე.

– შენ რაღას გეუბნება.

– ჯავრობს... ამ ზაფხულს ათამდინ აფიცერი მივუგზავნე.

– ახ, ნადო, როგორ შეიძლება?.. ვინ იცის, იქნება მართლა შეუყვარდე ვისმე და შენის მიზეზით გაუბედურდეს.

– კაცებზედ ახია, მარი!... ისინი ყველანი, ყველანი გაურჩევლად საზიზღრები არიან!... აბა, წარმოიდგინე, იმათის მიზეზით რამდენი ქალი გაუბედურებულა?..

– ვთქვათ, რომ ბევრი, მაგრამ ყველა კაცები საზიზღრები რად იქნებიან?

– სუყველანი, განურჩევლად სუყველანი!

– მაგაზედ ვერ დაგეთანხმები.

– აბა, მაშ, ერთი კაცი მიჩვენე, რომ ცოლის შერთვამდის ათასნაირი სიყვარული და არშიყობა არ გამოევლოს? ქალებს კი, ათასობით ჩამოგითვლი, რომელნიც თავის ქმარს პირნათლად შეჰყრიან...

– საიდან იცი ეგენი?

– საიდან?.. რომელი რომანიც უნდა აიღო, ყოველთვის კაცი პირველი იწყებს ხოლმე არშიყობას, პირველი ცდილობს ქალს მახე დაუგოს და ბოლოს თავის გამარჯვება საკვეხურადაც მიაჩნია ხოლმე... თავის დღეში ქალი თვითონ არაფერს უპატიოსნოს არ იკადრებს, თუ ისევ კაცისაგან არ არის გარყვნილი!... რას ამბობ, მარი... კაცები სწორედ საზიზღრები არიან!

– ეგ ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს, თავის დღეში მაგ აზრზე არ დაგეთანხმები.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შენც ვიღაცა შეგყვარებია!

– სულაც არა... – გაწითლდა მარი.

– სულაც არა კი არა და ნამდვილად!... ღმერთმა ბძანოს, რომ შენგან ამორჩეული სხვებისგან განირჩეოდეს, იყო ბედნიერი და არ მოსტყუვდე.

მარი ჩააჩუმა სტუმრის სიტყვებმა და რაოდენსამე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სტოლის საათი ერთგვარად არაკუნებდა და აწვრილებდა კაცის გულს. სტუმარმა სტოლიდან წიგნი აიღო და დაუწყო ფურცვლა, მარი კი ფერ-მიხდილი გადაწვა საგებელზედ და დაფიქრდა.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც გოგომ კარები შემოაღო და მარის ისე წასჩურჩულა, რომ ნადომ ვერ გაიგო.

– ვიღაცა ყმაწვილი კაცი მოვიდა და თქვენი ნახვა უნდა.

– ყმაწვილი კაცი? – წამოიწია მარიმ და აღელდა.

ნადომ შეამჩნივა მღელვარება.

– მარი, იქნება გიშლი რასმე? პირდაპირ მითხარ, არ მეწყინება.

– სულაც არა.

– მაშ, რა ამბავია?

– ვიღაცა ყმაწვილი კაცი მოსულა და ჩემს ნახვას ნდომობს. – მემრე მოუბრუნდა გოგოს: – არ უთხარ, რომ შეუძლოდა ვარ და ვწევარ?

– როგორ არა, მაგრამ მაინც არ წავიდა!... წადი, უთხარიო, რომ ვალერი კ-ძეს თქვენი ნახვა უნდა-თქო.

– ვალერი! – ერთბაშად წამოიძახა ნადომ და გაკვირვებით დააცქერდა მეგობარს. – მაშ, ეგა ყოფილა.

მარი კიდევ გაწითლდა.

– არა-მეთქი, არა! არც ეგა და არც სხვა!.. წადი, უთხარ, რომ ვწევარ და მათი მიღება არ შემიძლიან.

გოგო გავიდა, ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მოისმა ისევ კარების ჭრიალი,

მოსამსახურე ისევ შემობრუნდა, მას რაღაცა ქაღალდი ეჭირა, რომელიც მარის გადასცა. მარიმ მოუთმენლად გამოსტაცა პირისფერი მარმარილოს ქაღალდის პატარა კონვერტი, მთრთოლვარე ხელებით გაგლიჯა და ამოიღო ისეთივე ფერის და ღირსების პაწაწა ფურცელი, რომლის ნაპირებსაც ოქროს ვარაყი აშვენებდა.

მარის ჯერ გულზედ თითქოს რაღაცა მოუჭირესო, მერე ერთბაშად მოშორდა და განთავისუფლებულმა გულმა ფართხალი დაუწყო. ის ჩაფიქრდა და ქაღალდი ისე დარჩა ხელში, რადგანაც წაკითხვა ვერ გაებედა. მარი ჰგრძნობდა, რომ ამ ქაღალდში მისი ბედ-იღბლის გადაწყვეტა უნდა ყოფილიყო.

– ღმერთმანი, მარი, გული მომდის, შენ რომ გიყურებ! – ერთბაშად შეუტია ნადომ.

– რადა, რა დავაშავე? – დაფანტვით წარმოსთქვა დაფიქრებულმა.

– განა, შეიძლება აგრე მღელვარება, თავის დავიწყება?.. მაგით თავს მოიკლავ, სხვა რომ არა იყოს-რა?

– მაშ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

– წაიკითხე ეგ ბარათი, რომელშიაც, უეჭველია, ვალერი ხელსა გთხოვს და პასუხი მიეც.

მარიმ ინსტიქტიურად დახედა ბარათს და მაშინვე ცრემლები ღაპაღუპით გადმოედინა, მაგრამ ეს ცრემლები სიხარულისა იყო და ამისთვის დამამშვიდებლად უნდა ემოქმედნა.

ბარათში ეწერა შემდეგი:

„კნიაჟნავ!

„ნება მომეცით, საუკუნოდ ჩემს მარით გიწოდოთ, რადგან უთქვენოდ ჩემი სიცოცხლე შეუძლებელი ხდება. პასუხს ხვალამდინ ველი“.

„ვალერი“.

– რა არის, რა მოგივიდა? ახლა ტირილი დაიწყე? – გაჯავრებით შეჰბუზღუნა ნადომ.

– რაღა დავმალო, წაიკითხე. – მიუშვირა ნადოს ბარათი.

სტუმარმა გამოართვა და დიდის ყურადღებით რამდენჯერმე გადაიკითხა. შუბლზედ ოდნავ შესამჩნევმა ჭმუნვარებამ გაურბინა, მაგრამ ხელის გადასმამ შეუმჩნევლად გაუქარვა იგი. მარის ჯერ გული ვერ მოებრუნებინა.

– რაღას ფშრუკუნებ? ადექ და ჩქარა მისწერე პასუხი.

– რა მივწერო? არ შემიძლიან. – გადაეხვია მეგობარს.

– ვითომ არ იცი, რაც უნდა მისწერო, ან რასაც მისწერ!

– გეფიცები, რომ არა.

– მაშ, ჩქარა ადექი! პირზედ წყალი შეისხი, ის გონებას გაგინათლებს... თუ სანამ მაინც და მაინც პასუხი ვერ მოახერხებ, მე რასაც გეტყვი, ის მისწერე.

მარი წამოდგა და ნადოს რჩევისამებრ მოიქცა. მართლადაც, დამძიმებული თავი ეხლა რაღაცა სიმსუბუქესა ჰგრძნობდა.

– ჯერ კიდევ ვერ მოიგონე პასუხი? – ჰკითხა ნადომ, როდესაც მარიმ ჩაიცვა.

– ვერა.

– აბა, მაშ, მოდი სტოლთან, ამოიღე ქაღალდი და დასწერე.

„შე უღმერთო! აქამდინ რად მაწვალებდი?.. ნუ თუ ვერ ხედავდი, შენგან გაგიჟებული ვიყავ?“

„სიკვდილამდი შენი“

„მარი“.

სანამ მარი სწერდა, ნადო ჩქარის ნაბიჯით დადიოდა ოთახში, მაგრამ, როდესაც წერა შეაჩერა, მისი მეგობარიც ერთბაშად შესდგა და ჰკითხა:

– დასწრე?

– დავწერე, – უპასუხა მარიმ და პირდაპირ შეხედა.

ნადოს პირისახეზედ კიდევ რაღაცა უსიამოვნებამ გაურბინა და შემდეგი სიტყვების დროს ხმამ ორგან, სამგან უღალატა, თითქოს ხრინწი მოედოვო.

– აბა, წაიკითხე!

მარიმ აიღო ბარათი, ამოიწმინდა ხმა, ერთი ხელი მიიტანა გულთან, თითქოს მისი მღელვარება მითი უნდა გაეჩერებინა და ბოლოს დაიწყო:

– „კნიაზო! ჩემს თავს სიტყვა მივეც, სწავლა შევასრულო, კურსებზედ წავიდე და შევიქნე საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრი. ვიდრე მიცემულს სიტყვას არ შევასრულებ, მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი“.

„სიკვდილამდინ თქვენი პატივისმცემელი“

„მარი“.

ამ წერილის შემდეგ სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რადგანაც ნადოსთვის სრულიად მოულოდნელი იყო და მარი კი მთრთოლვარე თითებით ცდილობდა წერილი დაეკეცა და კონვერტში ჩაედო.

– მარი!

– რა გინდა?

– მართლა აპირობ მაგ წერილის გაგზავნას?

– მართლა.

– რისთვის?... ეგ ხომ უბრალოდ ხანის გაგრძელებაა?

– როგორ?

– ისე, რომ ხვალ თუ მოილაპარაკებთ და გადასწყვეტავთ, სჯობს ჯვარი დაიწეროთ.

– არა მგონია, – მოკლედ უპასუხა მარიმ და კონვერტი გოგოს გაატანა ფოჩტის კოლოფში ჩასაგდებად.

– მარი, მოიფიქრე... შენ ვალერი ისე გიყვარს... მასთან მოშორება შენთვის სატანჯველი და ძნელი მოსანელებელი იქნება... მერე, შესძლებ ამის ატანას?

– როდისმე ჩვენი ძალა ხომ უნდა გამოვცადოთ?

– რისთვის?

– თუნდა იმისთვის, რომ ჩვენ თავს ვიცნობდეთ!... მაგრამ, კმარა, მაგ საგანზედ ლაპარაკი... შენთვის არა დამიმალავს–რა და ეხლაც გულ–გახსნილი მინდა ვიყო... ვალერი, მართალია, გაგიჟებით მიყვარს, მასზედ ფიქრი არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ მაძლევს, არ ვატყუებ ჩემს თავს, – ბრძოლა ძნელი, სასტიკი იქნება ჩემთვის, მაგრამ, რადაც უნდა დამიჯდეს ეს ბრძოლა, რითაც უნდა გათავდეს, სანამ ჩემს ძალ–ღონეს არ გამოვცდი, თავს არ დავანებებ...

ნადო ამ სიტყვებს გატაცებით ყურს უგდებდა და, როდესაც გაათავა, გადაეხვია თავის მეგობარს; გრძნობას იქამდინ შეეპყრო, რომ სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა.

– ღმერთმა მოგცეს ძალა, ღონე... მაგრამ მე... მე კი ვერ შევძელ ბრძოლა, ვერ ავიტანე.

ამ სიტყვებთან ერთად ნადოს მდუღარე ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ საჩქაროდ შეიკავა თავი, საჩქაროდ მოიწმინდა თვალები და ღიმილით წარმოსთქვა:

– მაგრამ იმას თავი დავანებოთ, რასაც აღარა ეშველება–რა, დავიწყება სჯობს!

მეგობრები გადავიდნენ სხვა საგანზედ და ცოტა ხანს შემდეგ ერთად–ერთს სახლობაში პურის საჭმელად მიდიოდნენ.

## VII

ვალერიმ დილა ადრიან გაიღვიძა და სიამოვნებით გაიზმორა. მემრე ზარმაცად დახუჭა თვალები და პირისახე გაუღიმდა.

ამ ზაფხულს ტფილისში განსაკუთრებითი ჰაერი იყო და ზაფხულის სიცხეები არავის შეუმჩნევია. ამისთვის ვალერიც ჩათუთქული არ იყო და ჩვეულებრივს, სიცხის შედეგს მოდუნებას, არ გრძნობდა. ყმაწვილ მასწავლებელს ნებიერობა უყვარდა და მისთვის იწვა ისე გაუნძრევლად.

მთელი წინა დღე იმან გაატარა მოლოდინში. ეგონა, რომ ან ეხლა და ან ეხლა მოუვა მარის წიგნი, ან თვითონ მოიჭრება, მაგრამ იმედებმა უბრალოდ ჩაუარეს. ის იჯდა და ძილი არ ეკიდებოდა და ღამის ოთხ საათამდინ ეალერსებოდა მარის სიცოცხლით სავსე სახეს, რომელიც თვალ-წინ ისე ნათლად ეხატებოდა. ჰფიქრობდა მომავალზედ და მომავალი ცხოვრების პროგრამას ჰხატავდა. საკვირველი ეს იყო, რომ ამ პროგრამაში მარტო თავის თავის სიამოვნება შედიოდა, ყოველისფრის მოწყობა მხოლოდ თავის-თავის მოსასვენებლად იყო შედგენილი და ის, ვისაც ეს კაცი უნდა დაეტკბო, გაებედნიერებინა უკანა პლანზედ, ჩრდილში რჩებოდა! მაგალითად, ის ჰფიქრობდა იმ წუთებზედ, როდესაც დილით გამოიღვიძებდა, ქვეშსაგებში ინებიერებდა და მარი კი ჩაცმული, მომზადებული შემოვიდოდა, უალერსებდა, ტიტინს დაუწყებდა. იმას კი აღარა ჰფიქრობდა, უეჭველად მარი რად უნდა ამდგარიყო იმაზედ წინ, უეჭველად, მარი პირველი რად უნდა შესულიყო ქმართან და სხვა. ერთი სიტყვით, იმის აზრებში მარი იხატებოდა გამანებივრებელ გამზდლად, რომელსაც ზედ ემატებოდა სიყმაწვილე და მიმზიდველობა.

ბოლოს, ბუნებამ თვისი ქნა, ვალერის თვალები დაუხუჭა, მაგრამ ძილშიაც გახურებული გონება არ უსვენებდა და სულ მარის სახე ელანდებოდა.

აი, ხედავდა მარის მორთულს ისე კი არა, როგორც მისთვის სახერხო იყო, არამედ ისე, როგორც ვალერის ესიამოვნებოდა, ხედავდა მარის მუდამ მხიარულს, მუდამ მოცინარს, თითქოს მის გულში სხვაფერ გრძნობას ადგილი ვერ ეპოვნა. ასე გაატარა მთელი ღამე და გამოღვიძების შემდეგ ჯერ კიდევ მოცული იყო მომხიბლავი სიზმრებით. იმას არ უნდოდა გამქრალიყო ეს სურათები და თვალებს სწორედ ამისთვის ხუჭავდა.

ერთბაშად ბიჭმა კარები შემოაღო და წყნარად შემოვიდა.

– მაქსიმე, შენა ხარ? – თითქმის შეტევით უთხრა ვალერიმ.

– დიაღ, ბატონო.

– რაო, რა მოგარბეინებს? მე ხომ არ დამიძახნიხარ?

– არა, ბატონო, მაგრამ მეტად ბევრი გეძინათ, სამოვარი სამჯერ ჩაქრა და...

– სულელო! – გაჯავრებით დაუძახა ვალერიმ.

მაქსიმემ ხმა არ ამოიღო, თუმცა უსიამოვნობის ნიშნად პირისახე რაოდენადმე დაუგრძელდა და ქვენა ტუჩი როგორღაც ჩამოუვარდა.

– მაშ, ჩაის არ მიირთმევ? – ბოლოს ჰკითხა მაქსიმემ.

– დამეკარგე! – დაუყვირა ბატონმა და მაქსიმე საჩქაროდ გავიდა. ვალერიმ კი დაუმატა: – ახ, როდის იქნება, ამ პირუტყვებს მოვრჩე?!... სწორედ სისხლს მიფუჭებენ. შევირთავ მარის და მოსამსახურეებს ახლოს აღარ მოვიკარებ, ჩემს ცოლს ექნება იმათთან საქმე.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ვალერიმ წამოიძახა:

– მაქსიმე, მაქსიმე!

– გიახლებით. – შემოაღო ბიჭმა კარები.

– რამდენი საათია?

ბიჭი მივიდა ვალერის გვერდით მდგარს სტოლთან, აიღო ოქროს საათი და მოახსენა:

– თორმეტის ნახევარია.

– რაო? – წარმოვარდა ბატონი.

– თორმეტის ნახევარი გახლავს.

– არ შეიძლება, სტყუვი!... მომეცი აქ საათი!

მაქსიმემ საათი მიართვა, ბატონმა ხელიდან გამოჰგლიჯა და დარწმუნდა ბიჭის სიმართლეში. ჩაფიქრდა რაღაზედაც და რაოდენიმე ხანს რაღაცას ბუტბუტებდა.

– წიგნი არა მოგსვლია-რა? – ერთბაშად ჰკითხა მაქსიმეს.

– რა წიგნი? – მაქსიმე მართლაც ცოტა ატაცებულსავით იყო...

– რა წიგნი? – გაუკირცხლა ბატონმა: – რა წიგნი იქნება, წერილი ხომ არავის მოუტანია?

– მართლა, სულ არ დამავიწყდა! – და უბიდან ამოიღო კონვერტი: – წეღან პოჩტალიონმა გადმომცა.

– მომეცი აქ. – გამოსტაცა ხელიდან ბატონმა, გაგლიჯა საჩქაროდ კონვერტი და მარის წიგნი წაიკითხა. ამ წიგნის შინაარსი ვალერისთვის ისე მოულოდნელი იყო, რომ ხელებიც კი ჩამოუცვივდა. თვალებისა არ სჯეროდა და ამისთვის ხელახლად წაიკითხა. რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი, გაკვირვების მაგივრად, სიბრაზე ერეოდა, მაგრამ, რადგანაც ჯავრის ამოსაყრელი ბიჭის მეტი არა-ვინ

შეხვდა, მაქსიმეზედ უნდა ეყარა ჯავრი.

– აქამდის წიგნს რატომ არ მაძლევდი?

მაქსიმემ იგრძნო დანაშაული და პასუხის მაგიერად თვალების ფარფატი დაიწყო.

– არ გესმის! რატომ არ მაძლევდი?

– დამავიწყდა.

– დაგავიწყდა, დაგავიწყდა!... მაშ, რაღა გახსოვს, შე გამოყრუებულო?... დამეკარგე თვალიდან!

მაქსიმე გაქრა, მაგრამ კარებში გასვლა ვერ მოასწრო, რომ ისევ გაიგონა:

– მაქსიმე, მაქსიმე!

ბიჭი ისევ შემობრუნდა, ბატონმა გაუშვირა ფეხი და დასძახა:

– ჩქარა!

მაქსიმე დაჩვეული იყო და აუხსნელად მიხვდა ბატონის სურვილს. მივიდა, ცალ მუხლზედ დაიჩოქა, მეორეზედ დაიდო ვალერის ფეხი და წყნარად დაუწყო წინდების ჩაცმა.

ის-იყო ბიჭი ათავებდა თავის საქმეს, როდესაც კარი ვიღაცამ დააკაკუნა.

– ნახე, ვინ არის, ჩქარა! – უბრძანა ბატონმა.

ბიჭმა გასვლა ვერ მოასწრო და კარების გაღებისთანავე ვიღაცა გამხდარმა ყმაწვილმა კაცმა თავი შემოყო.

ახალ-მოსულს პირისახეზედ დაღალვა და ფერ-მკრთალობა ეტყობოდა.

– რა ამბავია აქამდის ძილი? – შემოსვლის უმალ წამოიძახა სტუმარმა.

– ა-ა, გიორგი! შემოდი... შენა სულა მუშაობ, სწერ. ჭეშმარიტად განსაცვიფრებლადა მუშაობ!

– განსაცვიფრებელი არა არის-რა, – ვმუშაობ, რადგანაც ჩემი მოთხოვნილება ეგ არის.

– მართალია, მაგრამ უნდა დაისვენო, ადამიანის ფერი აღარა გაქვს.

– როცა დავიხოცებით, მოსვენება მაშინაც გვეყოფა... შენა, ვალერი? – დააცქერდა ახალ-მოსული. – შენც საკმაოდ დაგიკარგავს ფერი. წუხელის არ გძინებია თუ?

–ჰო, არ მეძინა... მეც მინდა ლიტერატორობა დავიწყო.

– ხელი რა ნაწილს გინდა მოჰკიდო?

– კრიტიკას, ძმაო, კრიტიკას.

– კარგია!

– ხუმრობა გაშვებით გეუბნები... სრულიად არა გვყავს კრიტიკოსები და უკრიტიკოდ კი, არავითარი მწერლობა წინ არ წაიწევს.

– ეგ მართალია, მაგრამ კრიტიკის მწერალს დიდი ნიჭი და გონების გახსნა უნდა...

– ო-ო, მაგას რა ლაპარაკი უნდა!

ამ ლაპარაკის დროს მაქსიმემ ისევ დაიჩოქა ცალ მუხლზედ და მეორეზედ ბატონის ფეხი, რომელიც სტუმრის შემოსვლაზედ ნახევრად წინდა-ჩაუცმელი დარჩა, – დაიდო.

გიორგი რაღაცის თქმას აპირობდა და, ისე პირ-ღია დარჩენილმა, მასპინძელს გაკვირვებით ყურება დაუწყო.

– ნუ ირჯები, ჩემო მაქსიმე!.. რას შვრები?... მე თვითონ ჩავიცვამ. – ტკბილად და მეგობრულად ეუბნებოდა ვალერი.

– ნუ მიწყრები, შენი ჭირიმე!... ნება მომეც, გემსახურო!... – ეღრიჯებოდა მაქსიმე.

– საკვირველი კაცია! – ვალერიმ გიორგის ღიმილით თავი გადმოუბრუნა და მერე ბიჭს ფეხი გაუშვირა: – აჰა, შენი ნება იყოს.

მაქსიმე ეწვალებოდა, რომ ვიწრო საკოხტაო ჩექმები ბატონისთვის ჩაეცვა, მაგრამ როგორღაც უგვიანდებოდა, რადგანაც ქუსლი ხან აქეთ მოუვიდოდა, ხან იქით. ბოლოს, როგორც იყო, ბიჭმა ბატონს წაღა მოაწყო, მუხლი თავის გულზედ მიიბჯინა და ისე ძალზედ მისწია, რომ მთლად გაწითლდა.

– უჰ! ფეხი, ფეხი, შე მხეცო! – ვალერიმ თავი ველარ შეიმაგრა, მაგრამ წურბელასავით მოკიდებული მაქსიმე, სანამ არ ჩააცვა, არ მოეშვა.

ჩააცვა, წამოდგა შუბლიდან ოფლის წმენდით და საჩქაროდ გავიდა გარედ.

– ეგ სულელი სად გიშოვნია? – ჰკითხა გიორგიმ და ხელი გაიშვირა მიმავლისკენ.

– სულაც არ არის სულელი!... ეგ ჩემი გლეხ-კაცია, გადამეკიდა წამიყვანე, – გემსახურებიო და მეც მეტი ღონე არა მქონდა, უნდა წამომეყვანა... წარმოიდგინე, ასე მტანჯვავს, მაწვალებს და, თუ წაღები თვითონ არ ჩამაცვა, არ მომეშვება...

– რად აძლევ მაგის ნებას, ვინცა გნახავს, რას იტყვის, რა აზრს შეიდგენს ჩვენს შესახებ?

– რა ვქნა, რომ არ მეშვება?... უარი რომ ვუთხრა, დიდ წყრომად მიიღებს!...

– სწორე გითხრა, სხვის ჩექმების ჩაცმა, არა მგონია, ვინმე[მ] წყალობად მიიღოს...

– შენ არ იცნობ ჩვენს გლეხებს!... მეტადრე ჩემსას; ისე უყვარვარ, რომ რაღა

გითხრა.

გიორგი გაჩუმდა, პირისახეზედ უსიამოვნობა შეეტყო და ცოტა ხანს შემდეგ წამოავლო ქუდს ხელი.

– სად მიხვალ, დაიცადე! ეხლავ ყავას მოგვიტანენ.

– არა, გმადლობთ, არა მცალიან.

– სად მიეშურები?

– წარმოდგენას ვაპირობთ და ბილეთები მომანდვეს გასასყიდად.

– კიდევ წარმოდგენა! – უსიამოვნოდ დაიძახა ვალერიმ, – გაგვატყავეთ, სწორედ გაგვატყავეთ მაგ წარმოდგენებით.

– მეც შეგამჩნივეთ გატყავება და სწორედ იმის გამო აღარა გითხარით–რა.

– არა, მე კი ავიღებ ბილეთს, მაგრამ...

– თუ შეგაწუხებს, რა საჭიროა?

– არა, სულაც არა... მომეცით პირველ რიგში ერთი ბილეთი.

გიორგის უნდოდა ეთქვა, რომ პირველ რიგში აღარ დარჩა ბილეთები და ვალერი ამით მოეშორებინა თავიდან, მაგრამ მერე იფიქრა, ეს ისეთი საქმისთვის არის, რომ მე გარჩევის ნება არა მაქვსო.

– რამდენი გერგებათ?

– სამი მანეთი.

ვალერიმ მისცა ფული, მაგრამ ისევ გაყვლეფაზედ ჩამოაგდო სიტყვა:

– სწორედ, რომ დიდი ფული გვეხარჯება ამ ქართულს თეატრზედ.

– რა გეხარჯებათ, ნეტა, ვიცოდე?... თქვენ თვეში სამას მანეთამდინ იღებთ, იძახით შინიდანაც ორასი მომდისო და თვეში თორმეტი მანეთის დახარჯვა გეძნელებათ.

– ეგ ტრუპას და ახლა მოყვარეთ წარმოდგენები?

– ისიც თვეში ორი ვიანგარიშოთ, სულ თხუთმეტი მანეთი... თქვენთვის ლაპარაკადაც არა ღირს... მშვიდობითა ბრძანდებოდეთ.

– არა, როგორ არა ღირს, როგორ...

– ისე, რომ სამს მანეთს დახარჯავთ თეატრზედ და ამოდენს კი ჰყვირით, თითქოს ქვეყნის უბედურება თავს მოგეხვიათ!.. მე მიკვირს, თუ აგრე სამწუხაროდა გაქვსთ, რაღას დადიხართ?

– მაშ, თავს რითი შეინახდა?... სულ ჩვენით, გარწმუნებ, ჩვენით.

– თქვენით კი არა, ქართული თეატრი შუათანა ხალხით სცხოვრობს და გაზაფხულობით იმერეთი აბრუნებინებს სულს...

ამ სიტყვებთან გიორგიმ გაიხურა კარი და გასვლის უმალ წამოიძახა: „ღმერთო ჩემო! ვინ არის, ან რა არის!?“ ვალერი კი შემობრუნდა და გაჯავრებით წამოიძახა:

– ყოველი სულელი, მაწანწალა უნდა შემოგივარდეს და ფული წაგართვას!.. ეი, მაქსიმე!... ვინც უნდა მოვიდეს, სანამ არ დამეკითხები, არ მიიღო!... – ამ სიტყვებით დაასკდა ტახტზედ: – კაცს, რომ მოსვენება უნდოდეს, ერთს წუთს არ დააცლიან.

– მერე წამოდგა ისევ, აიღო მარის წერილი და რამდენჯერმე გადაიკითხა, მასუკან ისევ შესდგა, დაფიქრდა, რამდენჯერმე ხელი გადისვა კოხტა ულვაშებზედ და მერე წარმოსთქვა:

– უარს მითვლის, თუ მეკეკლუცება?... ამას ხომ ეჭვი არ უნდა, რომ უყვარვარ?...

– ვალერიმ პირი დაიბანა, კბილები რამდენჯერმე ელექსირით გამოირეცხა, თავი დაისველა „ო-დე-სტალით“ და თმების ვარცხნა დაიწყო. ამ დროს მეორე ოთახიდან მოისმა რაღაცა ხმაურობა.

– არ შეიძლება შესვლა, არ შეიძლება!... – იძახდა მაქსიმე. – რომ მომკლათ, მაინც ვერ შეგიშვებთ.

– დამეკარგე-მეთქი, შე ბრიყვო, უზრდელო! – ისმოდა ვიღაცის ხმა, – ეხლავ უნდა ვნახო.

– ვინ არის? – დაუგდო ყური ვალერიმ და მერე ერთბაშად გაბრუნდა კარებისკენ. – ღმერთო, რა სულელია ეს ბიჭი!... მობძანდით, კნიაზო, მობძანდით... – კარების გაღებით შემოიწვია ვიღაცა კაცი და ბიჭს მიუბრუნდა: – რას შვრები, შე სულელო, გამოყეყეჩებულო?

– მე ვეუბნები, შესვლა არ იქნება-მეთქი და ესენი კი მაინც ძალათი მოდიან. – მოეგება კარებში მაქსიმე.

– სულელო, ტვინ-დაბნეულო, დაიკარგე იქით!... – ბატონმა ხელი ჰკრა.

– რა ვქნა, თქვენ არ მიბრძანეთ, ნურავის...

– დამეკარგე, დამეკარგე-მეთქი!

მაქსიმე გაბრუნდა ბუზღუნით:

– მე რა, მე დავიკარგები... თქვენ მიბძანეთ, თორემ მე რა?...

კარებში გამოჩნდა ვიღაცა გასიებული ჩოხიანი კაცი, რომელიც ძლივსღა მოათრევდა მძიმე ტანს, დასუსტებულს თუ გასიებულს ფეხებზედ. მისი მოშვებული, შეშუპებული სახე, თუმცა აწითლებული იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა სიზარმაცის ბეჭედი და სრული აპატია; დიდი მოხეული ლაში და სქელი ტუჩები ამტკიცებდნენ მის სიმსუნაგეს და გაუმაძღრობას, თუმცა უკმაყოფილო

გამომეტყველება დაგარწმუნებდათ, რომ სურვილს კუჭი აღარ ემორჩილებოდა და არა იშვიათად გულის ამსუყებულ საჭმელებს შემდეგ აკვნესებდა. ეს კაცი იყო თავადი გორჯასპ ძროხა-მჭამლის შვილი, ხანში შესული, როდესღაც სახელ-გავარდნილის ცოლის პატრონი, რომლის მოწყალებითაც ყველას სახლში კარი გაღებული ჰქონდა. გორჯასპს თუმცა ყველანი სულელად სთვლიდნენ, მაგრამ სავალალო ტფილისში, ისე საქმეს ვერავინ გაარიგებდა, როგორც ეს ბატონი; ამაზედ ადრე ვერავინ გაიგებდა, ვერც ნამდვილს ახალ ამბავს და ვერც ჭორს. ერთი სიტყვით, გორჯასპ სასარგებლო კაცი იყო და კეთილის, თუ ავის სიტყვის დაძვრა შეეძლო, სადაც საჭირო იყო.

გორჯასპ ვალერისთვის ყველაზედ საჭირო იყო, ის აფასებდა ამ თავადს, რომელსაც იმაზედ არა ერთხელ მიექცია კეთილი თვალი.

– მობრძანდით, კნიაზო... სწორედ დათვია ეგ ჩემი ბიჭი! ვერაფერი გამიგონებია.

– არა, საკვირველია, შენმა მზემ!... მოვდივარ და არ მიშვებს!?

– ნუ გეწყინებათ, ბრიყვია, გაუზდელი გლეხი... – მოიხადა სახლის პატრონმა ბოდიში. – დაბძანდით.

– იიფ!... – ჩამოჯდა რბილს კუშეტკაზედ სტუმარი. – გააგდე ე ბიჭი, თორემ შეგარცხვენს სადმე.

– მეტი ღონე არ არის... ღარიბი გახლდათ, მინდოდა ლუკმა პური შეეჭამა, მაგრამ ეხლა დავრწმუნდი, რომ შეუძლებელია მაგის შენახვა.

– ღარიბი?... გლეხი რა ღარიბია?... საკვირველები ხართ ეს ახალი ხალხი, მამი შენის მზემ!... გლეხები კი არა, ჩვენა ვართ ღარიბები, ჩვენა!... გლეხებს რა უჭირსთ, ისინი საცა იქნება მოჯამაგირედ დადგებიან, იმათთვის სულ ერთია, რაც უნდა ჭამონ, როგორც უნდა იყვნენ... იმათ არც ჩვენოდენა მოთხოვნილება აქვსთ, არც ჩვენოდენა გრძნობა.

– ეგ კი, რასაკვირველია, სწორესა ბრძანებთ. პაპიროსს ხომ არ მიირთმევთ? აი, ჩინებული თამბაქოა. – მიუწია პაპიროზები.

– გმადლობთ... ჩვენ სულ სხვა სისხლი გვაქვს...

– ჭეშმარიტება გახლავსთ.

– გონებაც რომ ჩვენისთანა არა აქვსთ?

– რასაკვირველია... აი, თუნდა ავიღოთ ჩემი ბიჭი... მე ვუთხარ, თუ ისეთი ვინმე მოვიდეს, არ მიიღო-მეთქი, ხომ მოგეხსენებათ... ეხლა ყოველ გვარი ხალხი დაწანწალებს, ზოგი თეატრის ბილეთიო, ზოგი ისე ითხოვს მოწყალებას... გაგვატყავეს სწორედ!

– ოჰ, თეატრს კი ნუღარა ბრძანებთ!... სწორედ რომ გაგვატყავეს!... ბატონო!

ვის შეუძლიან ყოველთვის სამი მანეთის ძლევა?... მოსვენება კი აღარ არის-და!... ეს მეორე წელიწადია, რაც უარი ვსთქვი, ქართულ წარმოდგენაზედ სრულიად აღარ დავდივარ!...

– ძალიან კარგი გინებებიათ. – მოუწონა ვალერიმ. – თქვენს ხარჯთან რაღა ეს გინდათ?

– ხარჯისას კი ნუღარ იტყვი! – ჩაიქნია ხელი გორჯასპმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: – ხვალ პიკნიკსა ვმართავთ და შრომა შენ უნდა მიიღო.

– ბატონი ბრძანდებით, დიდი სიამოვნებით.

– კარგი სადილი კი გააკეთებინე... ქართული საჭმელები. ხომ იცი?... ახალი თევზი, ჩიხირთმა, ფლავი, ტოლმა, სუკები... მხოლოდ ერბო რიგიანი იყოს.

– ძალიან კარგი, მაგრამ სად?

– კრწანისში.

– კარგი იქნება, მაგრამ ცოტა ძვირად ხომ არ დაჯდება?

– ძვირად კი არა. მომეტებული კაცის თავზედ თუნდა ხუთი მანეთი დაგვეხარჯოს, მეტი ხომ არ წავა?

– არა, მეტი არ წავა.

– ხუთი მანეთი რა ბევრია?

– ვინ მოგახსენებს? არაფერი.

– მხოლოდ მუზიკაც უნდა იყოს, აი.

– მუზიკა რაღად გვინდა? აბდულა გვეყოლება, ის იმღერებს.

– ქალებს ტანცაობა უნდათ.

– კაცის თავზედ რა დავუნიშნოთ?

– ოც და ხუთი მანეთი და, თუ გადასჭარბდა, მერე მოვაგროვებთ კიდევ.

– რუსები ხომ არავინ იქნებიან?

– როგორ არა? მართლა, სულ დამავიწყდა, უეჭველად შამფანსკი და ყინული იყოს... მხოლოდ კარგი შამპანსკი კი იყოს, შენ თვითონ იყიდე.

– ბატონი ბძანდებით.

– მაროჟინაც არ დაგავიწყდეს.

– რას მიბრძანებთ! – თითქოს ითაკილა მოგონება. – სადაც ქალები არიან, იქ უმაროჟნოდ, როგორ იქნება!

– მაშ, აი, სია და დღესვე შეუდექ მაგ საქმეს.

– ამ წუთშივე, – გამოართვა სია და დაიწყო ნახევარ ხმად კითხვა: – „თავადი ბ., კნეინა დ., კნეინა მ., კნიაჟნა ბ., კნიაზი ხ., გრაფი ჩ., ბატონი ვარდიაშვილი“...

ამაზედ შესდგა ვალერი და უკმაყოფილება დაეტყო სახეზედ: – ვარდიაშვილი რაღად გვინდა?

– არ ვიცი, შენ ნუ მომიკვდე, ქალებმა ჩასწერეს.

– რა ჩვენი საზოგადოების კაცია?

– მართლა... ამოშალე.

ვალერიმ წაუსვა ყარანდაში და წამოიძახა:

– სწორე გითხრათ, ბატონი ვარდიაშვილებისა და კიდევ სხვა ბატონებისა მე არა მწამს-რა... არ იქნება, რომ გვარიშვილობამ არ წამოჰკრას!

– სწორეს ამბობ, მამი–შენის მზემ!... სწორედ რომ, როცა იქნება, გვარიშვილობა წამოჰკრავს.

ვალერიმ ისევ კითხვა გააგძელა და რამდენიმე ბატონი ვარდიაშვილებისთანა, ვისაც გვარი გაბრწყინვებული არა ჰქონდა, ამოშალა.

თავადი გორჯასპ შეინძრა სკამზედ და როგორც ლეშით გამომძღარს ორბს, რამდენჯერმე წამოწევა მოუნდა, სანამ აიმართებოდა.

– მიბძანდებით, კნიაზო? რას მიეჩქარებით? – მიაშურა ვალერიმ, თუმცა გუნებაში ღმერთს ევედრებოდა, რომ გორჯასპ თავიდან მაშორებოდა.

– ჰო, ცოტას გავივლი... მაშ ზეგ ჩინებულად გავატარებთ დროს.

– რასაკვირველია.

– რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი წრე შეგვედგინა და კვირაში ერთხელ გაგვემართა ამისთანა პიკნიკები.

– ჩინებული, თქვენმა მზემ, ჩინებული. არც ბევრი დაგვეხარჯებოდა.

– რასა ბრძანებთ, კაცის თავს ოც და ხუთი მანეთი თავს გადაგვედინებოდა.

– გავმართოთ, რა?

– აი, ვუთხრა ჩემს ცოლს, ის მოახერხებს... ნახვამდის. – გავიდა გორჯასპ, ვალერი კი კარებამდის მიცილების შემდეგ გამობრუნდა და ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

– მადლობა ღმერთს, წავიდა!... მაქსიმე, მაქსიმე!... – შემოვიდა ბიჭი.

– ეხლა კი ვინც უნდა მოვიდეს, აღარ მიიღო, უთხარ, რომ შინ არა ვარ.

– წეღანაც ეგრე მიბრძანეთ და მერე კი თქვენვე გამიწყერით.

– წადი, გაეთრიე! რასაც გეუბნები, ის აღასრულე.

– მე წავალ, მე განა რა, მაგრამ წეღანაც გამიწყერით.

– გადი, გადი–მეთქი.

– აი, მივდივარ, მაგრამ წეღანაც... დანარჩენი სიტყვების გაგონება კარების

მოხურვამ შესწყვიტა.

ვალერი ჩქარის ნაბიჯით დადიოდა თავის ოთახში, იფშვნეტდა ხელებს, ისრესდა შუბლს, იგრეხდა ულვაშებს და, ღმერთმა , რას არ ჩადიოდა... ხანდისხან შესდგებოდა, წაიტუტუნებდა. „იქნება მართლა უარს მეუბნება?... არა, ეგ არ შეიძლება, ეშმაკობს, კეკლუცობს“. – მერე ერთბაშად წამოიძახა:

– არა, ასეთს მდგომარეობაში ყოფნა არ შემიძლიან! – დაიყვირა: – მაქსიმე, მაქსიმე!

მაქსიმე ის–იყო სკამზედ ჯდებოდა და გუნებაში ფიქრობდა: „მადლობა ღმერთს, ახლა კი დავისვენებ“, მაგრამ ბატონის ძახილმა ერთბაშად ზეზე წამოაგდო.

– პალტო, ჩქარა! – უბძანა ბატონმა.

– პალტო? რომელი პალტო?

– რაღა რომელი, რომელსაც ვიცვამ ხოლმე! – მივარდა ვალერი.

– რა ვიცი, შენი ჭირიმე, ხან თეთრს პალტოს იცვამთ, ხან შავსა.

– თეთრი, თეთრი.

– ეგრე მიბძანეთ, შენი ჭირიმე, თორემ მე რა ვიცი.

– ოჰ, ჩქარა–მეთქი! – მოუთმენლად შეუტია ბატონმა, რომელიც რამდენიმე წუთს შემდეგ ფაიტონში ჯდებოდა.

– კუკიაში, მიხაილოვის ქუჩა! – უბძანა მეფაიტონეს და ცხენები მარდად გაქანდნენ.

მარის სადგურთან, კარების ზარის ჩამოკვრაზედ, გამოვიდა გოგო და შეატყობინა ვალერის, რომ ქალბატონი დიდიხანია, რაც შინიდან გაბძანდაო.

– სად წაბძანდა?

– რა მოგახსენო... ვიღაცა ქალი გიახლათ და იმასთან ერთად წავიდნენ.

– ვინ ქალი იყო?

– არ ვიცი.

– სტყუი... გეცოდინება... მითხარ, ჩემო მაშო, სად წავიდნენ? – თითქმის ხვეწნით გაათავა ვალერიმ.

– არ ვიცი, თორემ მოგახსენებდით.

ვალერი დაფიქრდა და თავში ისევ იმ ფიქრმა გაუელვა, რომ მარი მართლა უარს ეუბნებოდა და დაიბნა.

– უნდა ვნახო, უეჭველად ეხლავ უნდა ვნახო! – წამოიძახა იმან და მიუბრუნდა გოგოს: – შენ მიმალავ, ქალბატონი შინ არის... უთხარ, ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

– რად დავმალავდი, შინ რომ იყვეს? არ გახლავსთ, თქვენმა მზემ.

ვალერი ისევ ჩაფიქრდა და გადიგრიხა ულვაშები.

– არც ის უთქვამს, როდის დაბრუნდება?

– არა.

– საღამოობით რა დროსა ბრუნდება ხოლმე?

– ხან ადრე და ხან გვიან.

ვალერიმ აღარ იცოდა, რა ეკითხა, თუმცა საკითხავი იმოდენი ჰქონდა, რომ გონება ერეოდა. საზოგადოდ, უარი ყოველ გვარ თხოვნაზედ ყველასთვის უსიამოვნოა და ვალერისთანა თავ-მოყვარე კაცისათვის ხომ თითქმის გასაგიჟებელი იყო. მარის წიგნმა პირველში შეაშინა; ცოტა დაფიქრების შემდეგ, კაცთ მინიჭებულ საერთო ჩვეულებით, თავის სასარგებლოდ აღსნა და წერილში უფრო თანხმობა დაინახა, სანამ უარი. ეხლა კი ისევ დარწმუნდა, რომ ნამდვილად უარს ეუბნებიან და თავ-მოყვარეობა სულს ართმევდა.

„არ უყვარვარ?“ მეასედ გაურბინა კითხვამ თავში: „მაშ, თუ არ უყვარვარ, გუშინ რა იყო, რა მოუვიდა?.. მაშ, რას მივაწერო იმისი საქციელი?... ერთბაშად გაწითლება, როდესაც ჩემთან ლაპარაკობს, თვალების გაბრწყინება და სხვა!“

ვალერი კიდევ დადგა რაოდენიმე ხანს, რაღაცა წაიდუდუნა, რამდენჯერმე ჩაახველა და მერე უთხრა გოგოს:

– საღამოზედ კიდევ მოვალ. მოახსენე ქალბატონს, რომ ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

ამ სიტყვებით ვალერი გაბრუნდა, ჩაჯდა ფაიტონში და გასწია მუშტაიდისკენ, იმ ტფილისის მარტო ერთად-ერთს ადგილისკენ, სადაც კაცს ცოტაოდნად თავისუფლად ამოსუნთქვა შეუძლიან.

## VIII

არც ამ დღეს, არც ამ კვირას, ვალერის მარი არ უნახავს, რადგანაც, როდესაც მივიდოდა, ქალი ან შინ არ დაუხვდებოდა და ან ეძინა.

ვალერი ჩაფიქრდა, ჩამოდნა და, რამდენიც დღე მიდიოდა, იმდენად მეტად უნდებოდა მარის ნახვა, იმდენად უცოცხლდებოდა მასთან შეკავშირების წადილი.

მარიც არ დარჩა უგრძნობლად; იმისთვისაც ძნელი იყო საყვარლის ასე

საჩქაროდ დაშორების ატანა, მაგრამ გადასწყვიტა, რომ მტკივანს ადგილს ერთბაშად უნდა მოჭრაო და იმანაც ერთბაშად გადაუსო დანა.

ნადო თითქმის თავიდან არა შორდებოდა თავის მეგობარს და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა, გაერთო როგორმე და დრო არ მიეცა, რომ სანატრელს საგანს დაჰკვირვებოდა. მაგრამ რა ძალას შეუძლიან შეაყენოს იმ საგანზედ ფიქრი, რომელიც კაცს გულში ჩასახია, ჩამდგარა და მთელი არსების პატრონად შექნილა... მთელი ღამეები ძილ-გამფრთხალი მარი ფიქრობდა განუწყვეტლივ და, მისვე უნებურად, მისთვის მოულოდნელად, ერთბაშად თვალ-წინ, ვალერის სურათი განუცხოველდებოდა მის აზრს და ანგარიშ-მიუცემლად ვინ იცის, რას არ აოცნებინებდა.

მარის ყველაზედ მომეტებულად ვალერისთან შეხვედრისა ეშინოდა, რადგანაც მის ლაპარაკს, თვალებს, შეხედვას რაღაცა განსაკუთრებითი მოქმედება ჰქონდა მარიზედ და ამისთვის ნატრულობდა, რომ მამა ჩქარა ჩამოსულიყო და სოფელში წასულიყვნენ.

მარი აღარსად გამოდიოდა, აღარავისთან დადიოდა და პირველში ყველას უკვირდა მისი მოქმედება, მაგრამ შემდეგში გავრცელდა ხმა, რომ მარი კურსებზედ მიდის და ემზადება, სწავლობსო. ამისთვის, გასაკვირველად არავის მიაჩნდა მარის შინ ყოფნა და არც არავის საჭორაოდ გაუხდა.

ამ დროს მარი და ნადო მთელს საღამოებს შინ ისხდნენ ხოლმე, ერთად მუშაობდნენ და სწავლობდნენ, რადგანაც ნადომაც გადასწყვიტა, უეჭველად კურსებზედ წასულიყო.

ერთს ამგვარ საღამოს ამ ორი მეგობრის ლაპარაკი შეეხო მათ მომავალს ცხოვრებას; შეეხო პეტერბურგს, გატაცებით ოცნებობდნენ სიცოცხლით სავსე ყმაწვილ-კაცთ ყრილობებზედ, მათ ცხოვრებაზე, - ერთს იმგვარ ცხოვრებაზე, როდესაც ყველას გული ერთის საგნით არის გატაცებული, რომელსაც ცხოვრების ჟანგი ჯერ არ შეხებოდა, უმანკო გრძნობა გაუმაძღარ სვავად არ გადაჭ-ქცეოდათ. ორნივ ნატრობდნენ ამ გახურებულს, სიცოცხლით სავსე მღელვარე ცხოვრებაში მალე ჩარევას და მონაწილეობის მიღებას.

ღამეს კარგად გაევლო, მაგრამ ოცნებას ისინი ისე გაეტაცა, რომ ძილიც კი გადავიწყებოდათ. ამ დროს მოისმა ზარის წკრიალი და ორივე ქალი შეკრთა.

- ვინ იქნება ასე გვიან? - წამოიძახეს ორთავ თითქმის ერთად.

მოსამსახურეს ეძინა და მარი კი იმას კაცობრიულად ეპყრობოდა; ამის მიზეზით, იმან გადასწყვიტა, თვითონ გაეღო კარი, მაგრამ, სანამ ამას აასრულებდა, უნდოდა ბალკონიდან დაენახა და გაეგო, თუ ვინ მოვიდა. გარედ ძალიან ბნელოდა, რადგანაც ცა მოღრუბლული იყო და ის თითო-ოროლა ფარანი,

რომელიც აქა-იქ აებჟუტებინათ, თავიანთ დანიშნულებას ვეღარ ასრულებდნენ. ბნელაში ძლივს გაარჩია ვიღაცა ნაბადში გახვეული კაცი, რომელიც მეფაიტონეს უსწორდებოდა. უც-ნობმა ზევით აიხედა, ბალკონზედ მდგარი ქალი შეამჩნივა და დაუძახა:

– თუ უკაცრავად არ ვიქნები, მიბძანეთ, გალეგაშვილის სახლები ეს გახლავს?

– მამა! – დაიძახა მარიმ და სიხარულით გაექანა კიბისკენ. მარი ისეთი სიჩქარით ჩარბოდა კიბეზედ, რომ სამ-სამ საფეხურს ერთად ჩახტოდა და როდესაც ჩაათავა, კედელი რომ არ დახვედროდა, რომელსაც ძალზედ მიაწყდა, უეჭველად წაიქცეოდა.

ქალმა საჩქაროდ გააღო კარები და ყელზედ ჩამოეკიდა მოხუცს. გორჯასპს დიდი ხანი იყო, რაც თავის ქალი არ ენახა და ეხლა ხედავდა კურს-შესრულებულს, გაზრდილს და მამის გული სიხარულით თრთოდა! თავისი თავი მიაჩნდა უბედნიერეს კაცად და ცხოვრების მიზანს მიხწეულს.

მართლადაც, მეტი რაღა უნდოდა? თავ-მოყვარეობის, მხოლოდ თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჰყოფნიდა მისის ნაშობისგან გემნაზიის გათავება, სხვა არავითარს სარგებელს სწავლაში არ ხედავდა. და დანარჩენი წადილი კი იყო თავისი ქალის გაზდა და კარგად მყოფობა, რომ ამის გათხოვებაზედ ზრუნვის შემთხვევა მისცემოდა. ყველა ეს აუსრულდა გორჯასპს, ყველაფერი მო-ეწყო, ის იყო სრული ბედნიერი. მართალია, კიდევ ერთი სურვილი ჰქონდა, მას უნდოდა, ენახა თავის ტომობის გაგრძელება, რომ მათი ხსენება ქვეყანაზედ არ გაწყვეტილიყო და ენახა მარის შვილები, მაგრამ ეს წადილი თავის-თავად უნდა ასრულებულიყო, რადგანაც მარი კარგად მყოფი იყო და მიზეზი არ ჰქონდა, უშვილოდ დარჩენილიყო.

მამა და ქალი ავიდნენ ოთახებში, სადაც მარიმ თავის მეგობარი გააცნო.

– დარწმუნებული ვარ, ნადო, რომ მამას დაუმეგობრდები. ეს სხვა მამებს კი არა ჰგავს, იმ მამებს, რომელთაც უეჭველად თავის სიტყვის გაყვანა სურთ და მთელს სახლობას თავის მონად ხდიან... ეს ყოველ თხოვნას გვისრულებს, ყველაფერში გვეთანხმება! – ამ სიტყვებით მიეალერსა მამას, რომელსაც ამ ქებით პირი უფრო მეტად გაუბრწყინდა.

– ეგ სიტყვები თქვენი ქალისგან პირველად არ მესმის და გულით მოხარული ვარ, რომ თქვენის გაცნობის შემთხვევა მომეცა.

– მეც მოხარული ვარ, თქვენმა მზემ... ჩემი ქალის მეგობრები მეც შვილსავით მიყვარს.

– პური გეშიება, მამავ?... ბევრი კი არა გვაქვს-რა, მაგრამ გიშოვით რასმე.

– არა, მარიკო, არა მშიან, ნუ შესწუხდები.

– უეჭველია გეშიება, ჯერ ჩვენც არა გვიჭამია-რა, – უთხრა მამას და მიუბრუნდა გოგოს, რომელსაც ხმაურობაზედ გამოღვიძებოდა და იქვე შემოსულიყო. – გვაქვს რამე?

ყველი, ძეხვი და პური გახლავს.

– მაშ, თუ აგრეა, ე, ხურჯინი გაახსნევინე, დედა-შენმა რაღაცეები გამოგიგზავნა.

მოხსნეს ხურჯინს პირი და ამოალაგეს ნაზუქები, ქადა, ფალუსტაკი, რომელმაც ისე გაახარა ყმაწვილი ქალები. მეორე თვლიდანაც ამოალაგეს ნაზუქი, ინდოურები, ქათმები, კვერცხები და პატარა კოჭობი კარაქით გავსებული. ერთს სალფეთკში გამოკრული იყო გორჯასპის საგზალი და პატარა ტიკჭორით ღვინო, რომელიც უწინდელ დროში აუცილებელი იყო ყველა მგზავრი მებატონისთვის და ეხლა კი მარტო რამდენიმე კაცის საჭიროებად-ღა დარჩენილა.

გაშალეს სუფრა და გამართეს ვახშამი.

– ხილი კი არ ჩამოგვიტანე? – ჰკითხა ქალმა.

– დედა შენი ძალიან კი გამომიშვებდა, რომ ხილი არ გამოეტანებინა? ორი გოდორი გამომატანა, რკინის გზის სტანციაზედ არის.

სამნივ დასხდნენ და შეექცნენ ვახშამს. ყველანი მხიარულად იყვნენ, ყველამ იმოდენი დალია ღვინო, რომ ქეიფზედ მოსულიყო და უფრო მომეტებულად გამხიარულებულიყო. ვახშმის დროს სწრაფი ლაპარაკი ყოველგვარ საგანს ეხებოდა და ყველა წრფელის გულით ხარხარებდა. ერთბაშად გორჯასპ შეეხო ქალის პეტერბურგში გასტუმრებას და საერთო სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი გაინაბნენ.

– მართლა, მარიკო! შენ რომ გვწერდი, პეტერბურგში უნდა წავიდეო?

– მერე რა, რომ გწერდით? – ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა ქალმა.

– კიდევა ფიქრობ? – მამამ პირდაპირ ჰკითხა.

მარი გაჩუმდა და თვალები დახარა. ნადოც კი, რომელიც ყველაზედ მეტს ლაპარაკობდა, დაწყნარდა და სიტყვა ველარ მოეხერხებინა. მამამ უსიამოვნოდ შეიჭმუხვნა წარბები და კითხვა გაიმეორა.

– ვფიქრობ, – წყნარად უპასუხა ქალმა.

გორჯასპმა, როგორღაც ყრუდ ჩაიცინა და ეს ხმა ზარივით გაისმა ქალების ყურებში. წელან ტკბილი და სასიამოვნო სახე, ახლა უსიამოვნო ხაზებით დაისახა.

– რას იცინით? – შეხედა მარიმ.

– რას ვიცინი? იმას, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ.

– რად ვიქნები ბავშვი? – იწყინა მარიმ.

– იმიტომ, რომ ბავშვურად დაგიჩემებია... რაო, ბებიად უნდა გამოხვიდე?... იუფ, ფიუ, ფიუ!... დამიხედეთ თავადიშვილის ქალს, რომელსაც საბებიოდ აქეთ-იქით დაათრევენ... რად მინდა შენი ბებიობა... რა შენი საქმეა?... განა მატუშკა ხარ?

მოხუცის ხმა და კილო სრულიად შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ ის სულაც ისეთი გულჩვილი არ ყოფილა, როგორადაც მარიმ წარმოადგინა.

– მე ბებიობის სასწავლებლად არ მივდივარ.

– სულ ერთია, რისთვისაც უნდა მიდიოდე! – ერთბაშად გააწყვეტინა მამამ, რომელსაც ნასვამობაც დაეტყო.

– როგორ, სულ ერთია... – დაიწყო მარიმ, მაგრამ მამამ გააწყვეტინა.

– სულ ერთია-მეთქი!.. რისთვისაც უნდა მიდიოდე, მე გვარს არ შეგარცხვენინებ, არ გაგიშვებ.

ჩამოვარდა უსიამოვნო სიჩუმე. ქადაც კი გადაავიწყდათ.

–გესმის, არ გაგიშვებ-მეთქი!

მარიმ შეხედა მამას და შეამჩნივა, რომ ღვინო მოჰკიდებოდა და გაჩუმდა.

– გესმის, არ გაგიშვებ-მეთქი!...

– კარგი, მამავ, კარგი!... ხვალ ვილაპარაკოთ.

– ხვალ რაღა გგონია?... იქნება დამთვრალი გგონივარ?... ყველაფერს აღგისრულებ, ყველაფერს, რასაც კი მეტყვი, მაგრამ იმას კი არავის ვათქმევინებ – შვილი რუსეთში გაეჭრაო... გესმის, არ ვათქმევინებ-მეთქი, მტერს არ გავაცინებ ჩემზედ.

– ვინ გეუბნება! – აიმაღლა მარიმაც ხმა, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა. – რა დროს ეგ არის, მამავ, განა მაგაზედ ლაპარაკს ვეღარ მოვესწრობით.

– მოსწრობით კი მოვესწრობით, მაგრამ მინდოდა, დღესვე გცოდნოდა, რომ არ გაგიშვებ... – არა, მამიშენის მზეს! – მიუბრუნდა ნადოს. – მართალს არ ვეუბნები?... რიგიანი გასათხოვარი ქალი ვინ გაიჭრება რუსეთში?

– რატომ, ბატონო...

– იმიტომ, რომ არ შეჰფერის... თქვენ რატომ არ მიდიხართ?

– მე... მე... მეც გიახლებით! – უპასუხა ნადომ, რომელსაც ეშინოდა, რომ ნასვამს მეტად არ გაელანძღა.

– თქვენცა? – გაიკვირვა მოხუცმა.

– დიაღ.

– ცუდსა შვრებით! – ერთბაშად მოუჭრა მოხუცმა. ნადომ შეხედა და აინთო.

– მე რჩევას არა გკითხავთ, – ვეღარ მოითმინა ქალმა.

– რადა ჯავრობ, ქალო... მართალს გეუბნები... არ გეკადრებათ, არა! – წარმოსთქვა გორჯასპმა და ხმაში მოლბობა დაეტყო.

დიდმა ხანმა აღარ გაიარა, როდესაც გორჯასპ თავის ოთახში ხვრინავდა და ნადო კი თავის მეგობარს ეუბნებოდა:

– ძალიან რბილი ხასიათის მამა გყოლია, სწორე გითხრა! რაზედ გამლანძღა?

– სულაც არ გაულანძღავხარ, შენმა გაზდამ... თუ ორიოდე სიტყვა მეტი სთქვა, ნასვამობით მოუვიდა, – თავს მართლულობდა მარი და სთხოვდა მეგობარს, არა სწყენოდა.

– მე არა მწყინს, მარი, არც ვჯავრობ, მაგრამ ის მაწუხებს, რომ მგონი შენს წასვლაზედ ვერ დავიყაბულოთ.

– მაგასა ვნახავთ, – დარწმუნებით წარმოსთქვა მარიმ და დახუჭა თვალები.

## IX

მეორე დღეს გორჯასპმა მარის გამოუცხადა, რომ მომზადებულიყო, რადგანაც ამ სამის დღის შემდეგ სოფელში უნდა წაეყვანა. მისცა რაოდენიმე ფული და თვითონ ნათესავების სანახავად წავიდა.

ქალებმა გადაწყვიტეს, რომ გორჯასპთან აქ ლაპარაკი ამაო იქნებოდა და ამისათვის მარი სოფელში უნდა წასულიყო, ენახა დედა და ის მოემხრო; იმის დაყაბულება უფრო ეადვილებოდა, რადგანაც დედაკაცი ჭეშმარიტებას გრძნობით უფრო ხშირად მიაღწევს ხოლმე, სანამ კაცი თავისის ჭკუით და მოაზრებით; მაგის გარედ მარის დედას ქმარზედ ისეთი გავლენა ჰქონდა, რასაც მოიწადინებდა, იმას აქნევინებდა.

ამ ხნის განმავლობაში მეგობართ შუა ვალერიზედ ლაპარაკი სრულიად არ ჰქონიათ და რაწამს ლაპარაკის საგანი იმას მიაღწევდა, ორნივ სიფრთხილით ცდილობდნენ, თავიდან აეცდინათ.

მარის თითქმის გადაავიწყდა იმ კაცის სახელი, რომელზედაც ლაპარაკი ისე ასიამოვნებდა და რომლის ხსენებაც ტანში ჟრუანტელს გაუტარებდა ხოლმე.

მეგობრები სავაჭროდ წავიდნენ და გზაში ლაპარაკი ისევ მამის თანხმობას შეეხო.

– მარი, დედა-შენიც რომ ვერ დააჯერო, მერე რაღასა იქ?

– იმედი მაქვს, რომ ეგ არ მოხდება. მაინც და მაინც თუ ვერ დავიყაბულე, სადმე მასწავლებლად დავდგები, ვიმუშავებ იქამდინ, სანამ საჭირო ფულებს ვიშოვნი, და წამოვალ რუსეთში.

ნადომ სიამოვნებით შეხედა, რადგანაც ასეთმა თავ-განწირულმა გადაწყვეტილებამ აღტაცებაში მოიყვანა.

– მარი... მე ბევრი არ მექნება... სულ ოთხი თუმნის მეტს ვერ დავხარჯავ თვეში, თუ წამოსვლა მოახერხე, შუაზედ გავიყოთ.

მარი თავის მეგობარზედ ბევრით მდიდარი იყო და ნადოს სიტყვები კიდეც უამა და ლახვრადაც მოხვდა გულში. იმაზედ ღარიბი უკანასკნელ ლუკმას შუაზედ უყოფდა, მაშინ, როდესაც მარის თავისი საცხოვრებელი თავის სწავლაზედაც ვერ დაეხარჯა.

– გმადლობ, – მოკლედ უპასუხა იმან. – ან ჩემი დედ-მამა მომცემს საშუალებას, სწავლა შევასრულო და ან მე თვითონ ვიშოვნი ამ საშუალებას ჩემის შრომით...

– ჩემი სიტყვები გეწყინა?

– არა... კი არ მეწყინა, უპატიოსნებადა ვსთვლი, მეტ ბარგად აგეკიდო, გაგძარცვო.

ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც გორჯასპ მივიდა სწორედ იმ სახლთან, სადაც ვალერი იდგა და მისავალ კარებთან ჩამოჰკრა ზარი.

– ვინ გნებავთ? – იკითხა და აათვალიერ-ჩაათვალიერა გორჯასპი ბიჭმა, რადგანაც ამგვარ სტუმრების ნახვას ჩვეული არ იყო.

– აქ ჩემი მამიდა-შვილი დგას.

–თქვენი მამიდა-შვილი ვინ არის?... ეზოში თუ დგას.

– რას მიჰქარავ, ეს სახლები იმათი არ არის?

– აქ თავადი ხელგძელაძე დგას, იმის სახლია.

– გიჟია, ეს, ვიღაცა ოხერია! – წამოიძახა გაჯავრებით გორჯასპმა. – მეც მაგათა ვკითხულობ!

როცა იქნა, მოხუცებულს საშუალება მიეცა, შესულიყო. პირველსავე ფეხის შედგმაზედ თავადიშვილს გალაქულს და გაკრიალებულს პარკეტზედ ფეხი მოუსხლტა და ძლივს-ღა შეიმაგრა თავი.

– დასწყევლოს ღმერთმა! ყინულსავით არ გალიპულა! – წამოიძახა იმან და გაფრთხილდა.

გაიარა დიდი და განიერი ზალა, შევიდა მოწყობილს ოთახში და იქ რბილს კუშეტკაზედ მიწოლილი, თავისი ნათესავი მაიკო დაინახა.

კნეინა მაიკო, თუმცა ხანში შესული იყო და თავის ძველი სილამაზე დაეკარგა,

მაგრამ მაინც კეკლუცობდა, მანჭია-პრანჭიაობდა და ყმაწვილობდა.

– კნეინა მაიკო! – დაიძახა გორჯასპმა და მოჰხვია ხელები თეთრს, სუფთად გარეცხილს და ცოტათი გახამებულს ჟუკონეთის პენურს.

მაიკო უსიამოვნობის ნიშნად დაიღმიჯა, მაგრამ ვერ მოახერხა, ნათესავის გულწრფელს მისალმებაზედ პასუხი არ მიეცა.

ისინი დასხდნენ და დაიწყეს ლაპარაკი უწინდელ დროზედ, როდესაც მაიკო და გორჯასპ სოფელში ერთად დარბოდნენ, დროებას ატარებდნენ და უერთმანეთოდ ლობიოსაც კი არა სჭამდნენ.

გორჯასპმა ამ ლაპარაკში საკვირველი მახსოვრობის ნიჭი გამოიჩინა და ყოველ წვრილმანს შემთხვევასაც კი იგონებდა, მაიკოს კი დავიწყებოდა და ყმაწვილობის მოგონებით წამ და უწუმ წითლდებოდა და წამოიძახებდა: „როდის, ყმაწვილო? სადა?... უცნაური ხარ!“ და სხვ.

– შენმა ქალმა გაათავა გიმნაზია; მითხრეს, ჩინებულად სწავლობდაო. – დაიწყო მაიკომ.

– დიაღ, – გაათავა.

– ჩემთან ხომ არ გაივლის, – თითქოს უსაყვედურა სახლის პატრონმა. – მაგრამ რა ვუყოთ, ეს ახალი ხალხი სულ ეგრე არიან.

– ძალიან დაუშავებია, შენმა მზემ, ჩემო დაო! თქვენთანაც რომ არ იაროს, მაშ, ვისთან-ღა უნდა წავიდეს!

– რა ვიცი, გენაცვალე, სხვების შვილები დადიან და ეგ უფრო ჩემი სისხლი და ხორცი არ არის?

– უთუოდ თქვენს შეწუხებას ვერა ბედავდა, – სცადა მამამ გაემართლებინა მარი.

– არა, შენმა სიცოცხლემ, – გააწყვეტინა მაიკომ. – ეხლანდელი ხალხი სულ ეგრეა, სულ თავის ჭკუით უნდათ, იცხოვრონ.

– არა, მაიკო, ჩემი ქალი მაგას როგორ გაბედავს.

– ამას წინად, ჯერ გიმნაზია არ გაეთავებინა, აქ მოვიდა... მე მითხრეს, რუსეთში ბებიობის სასწავლებლად აპირობს წასვლასაო... რასაკვირველია, მეწყინა და საყვედური ვუთხარ... მას აქეთ, ყმაწვილო, აღარ მოუხედნია ჩვენკენ.

– რასა ბძანებთ!... მერე, ვინ გაუშვებს?

– მე ასე მითხრეს, ვითომც თქვენ ნება კიდეც მიგიციათ.

– შენც არ მომიკვდე!... ჩემს შვილს ჩემი ხელით გამოვჭრიდი ყელსა?... მაგის ნებას როგორ მივცემდი.

– მე არ გამიკვირდა! – წარმოსთქვა კნეინამ და დაუმატა: „მაინც წასვლას

აპირობს თურმე და ხუმრობა არ არის, არ დასთანხმდე.

– აი, შენ არ მომიკვდე!... მაგაზედ როგორ დავსთანხმდები?

– მერე უნდა იცოდე, რა რიგად ირყვნებიან თურმე...

– მა, რა იქნება, შენი ჭირიმე, უპატრონოდ ყმაწვილი, ლამაზი ქალი...

– იმდენს ყმაწვილ-კაცებში!... მემრე, ვინ გინდა, რომ ვისი შვილი იქ არ იყოს?... ალია და მუსია სულ შიგ თურმე ირევიან... ქალები და კაცები ერთადა სცხოვრობენ, ერთადა სწვებიან და დგებიან.

– ფუ, მაგათ განათლებას! – გადააფურთხა მოხუცმა.

ამ დროს გაიღო კარები და ოთახში ვალერი შემოვიდა, მივიდა კნეინასთან მარდად, აკოცა ხელზედ და სტუმარსაც თავი დაუკრა.

– ძალიან კაი დროს მოხველ, ვალერი... ეს კნიაზი გორჯასპ ბძანდება, თქვენი მოწაფის მამა...

– ახ, კნიაჟნა მარის მამა?! – ჩამოართვა ხელი. – ძალიან სასიამოვნო გახლავს თქვენი გაცნობა.

– ესენი თქვენი ქალის მასწავლებელი იყო, – გააცნო ვალერი გორჯასპს.

– ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

– აი, კნიაზო ვალერი, – დაიწყო კნეინამ: – ჩვენა ვლაპარაკობდით პეტერბურგზედ, თქვენ იქ ნამყოფი ბძანდებით, ერთი იქაური ამბავი გვიამბეთ... შეიძლება რიგიანი ქალის გაგზავნა?

– უთუოდ კნიაჟნა მარის გამზადებამ აღძრა ეგ ლაპარაკი, – ღიმილით წარმოსთქვა ვალერიმ.

– როგორ თუ გამზადებამ? – შერცხვა გორჯასპს. – ჩემი ქალი არსად მიდის.

– ესე იგი, ემზადებოდა, – გაასწორა მასწავლებელმა.

– ჰო, ისე... ისე, როგორც ბავშვი, ლაპარაკობდა, თორემ...

– ნეტა, ვიცოდე, ეგ სისულელე თავში ვინ ჩაუდო? – წარმოსთქვა კნეინამ.

– ეხლა, ბატონო, ყოველი გვარი ხალხი იპოვება... ისეთებიც იპოვებიან, რომელთაც ქალის და კაცის გასწორება უნდათ, – ღიმილით დაუმატა ვალერიმ.

– რასა ბძანებთ!... ჯერ მთა და ბარი არ გასწორებულა და ხალხი როგორ გათანასწორდება?

– ქალს ქალობა უნდა ეტყობოდეს და კაცს კაცობა, – დაუმატა კნეინამ და გადალულა თვალები. – ქალს კაცის ოდნობა საიდან შეუძლიან?

– მართალსა ბძანებთ... თვით ბუნებისგანვე ქალი ისეთი სუსტი აგებულებაა, რომ მისი კეთილდღეობა უეჭველად კაცის მზრუნველობაზედ უნდა იყვეს

მივარდნილი, – უპასუხა მასწავლებელმა და გადავიდა პეტერბურგის სტუდენტკების ცხოვრებაზედ.

ჯერ ყველაზედ უწინ დაიწყო იმათ გარყვნილებით და ხასიათის გაფუჭებით, მემრე გადავიდა საზოგადოდ ქალის დანიშნულებაზედ და ამტკიცებდა, რომ, საზოგადოდ, იმათთვის ყოველი სწავლა მეტი არის, რადგანაც ამგვარი შრომა ასუსტებს, ავადა ხდის და ართმევს იმათ ქალის დანიშნულებას... ვალერის სიტყვით, სწავლით ქალი არამც თუ თავის დანიშნულებას ცხოვრებაში ჰკარგავდა, არამედ კარგა მყოფი შვილების დაბადება და აღზრდაც ვეღარ შეეძლო. იმან ხმა არ ამოიღო იმ შემთხვევაზედ, თუ ქალებს სწავლაში რა აბრკოლებდა, რა უშლიდა ხელს და პირდაპირ მოჰყვანდა სწავლის შედეგი. მთელს ისტორიაში ვერ პოულობდა ვერც ერთს გამოჩენილს ქალს, რომელსაც შექსპირის სახელი დაეგდო და ამის მიზეზს კი აღარ უყურებდა. აქედან, იმის სიტყვით, აშკარა შედეგი გამოდიოდა, რომ თვით ბუნებას ქალი ისე გაუჩენია, რომ ის მამაკაცისთვის მისაწდომს განათლებას ვერ მიაღწევდა.

მერე გადავიდა ქალის იდეალის დახატვაზე და, გორჯასპის სასიამოვნოდ, წინ გადუშალა პრუდონის მთელი თეორია, სადაც ქალი ყოველს უფლებას უნდა იყოს მოკლებული და სამზარეულოს იქით აღარა ეკითხებოდეს-რა. დანარჩენი კაცის მზურნველობაზედ უნდა ყოფილიყო, რადგანაც, ვალერის სიტყვებით, მამა-კაცი სახლის უფალი უნდა იყვეს.

ვალერის კარგად ესმოდა, რომ თუ მარი რუსეთში წავიდა, მიიღო განათლება, გამოიცადა, ხალხი ნახა, მაშინ ვალერი სამუდამოდ უნდა გამოსალმებულიყო მის შერთვის იმედს და ამისთვის ყოველის ღონისძიებით ცდილობდა გორჯასპ ისე მოემართა, რომ მარი არ გაეშვა.

სრულიად სხვა მიზეზების ხელმძღვანელობით კნეინაც ვალერის ხელს უწყობდა და მამა კი უიმათოდაც დარწმუნებული იყო, რომ მარის რუსეთში წასვლა მთელი გვარეულობისთვის თავ-მოსაჭრელი შემთხვევა იქნებოდა.

ვალერიმ ლაპარაკი დააბოლოვა თხოვნით, რომ გორჯასპს ქალისთვის არ შეეტყობინა მისგან წარმოთქმული აზრი, რადგანაც ამ ხმის გავრცელებით მოსწავლეთ მასწავლებლის რწმუნება და ნდობა აღარ ექნებოდათ.

ამით გათავდა იმათი შეყრა და ყველანი განშორდნენ. მხოლოდ, როდესაც ვალერი ტანთ იცვამდა, ბიჭი წამოეწია და უთხრა, რომ კნეინა ერთის წუთით გეძახისო, და ვალერი ისევ შებრუნდა.

– დღეს თეატრში არ წამოხვალ? – ჰკითხა კნეინამ.

– რომელ თეატრში?

– რაღა რომელ თეატრში, რუსულში.

– დღეს ქართული წარმოდგენაც გახლავთ და იქა მაქვს ბილეთი.

– გააჭირა საქმე ამ ქართულმა წარმოდგენებმა! – უკმაყოფილოდ დაიძახა კნეინამ.

– სწორედ, რომ გააჭირა, – დაემოწმა ვალერი.

– მაგის გარედ, გაგვატყავეს, ბატონო.

– ოჰ, მაგას კი ნუღარა ბძანებ! – წარმოსთქვა ვალერიმ და დაუმატა: – მოდით, თქვენც ქართულ წარმოდგენაზედ წამობრძანდით.

– მე მაგ სისულელეზედ არ დავდივარ... ჩვენთან წამოდით.

ვალერი ჩაფიქრდა, იმას იმედი ჰქონდა, რომ მარი დღეს ქართულ წარმოდგენაზედ იქნებოდა და იმის ნახვა კი უეჭველად უნდოდა. მაგრამ არც კნეინას წყენინება უნდოდა, რადგანაც იმის სახლში თითქმის მუქთად იდგა და ბევრს რამეში გამოდგომაც შეეძლო.

– რამდენასმე წარმოდგენაზედ არ გხლებივართ და, თუ დღესაც არ წაველ, შემჭამენ სწორედ.

– ფული ხომ მიეცით, სხვა რაღა უნდათ?

– ფული კი მივეცი, მაგრამ დღეს უთუოდ უნდა წავიდე, დავენახვო ჩვენს ყმაწვილ კაცებს.

– უთუოდ რომელსამე აქტრისას ეარშიყები!... მიფრთხილდი, თორემ... – აღარ გაათავა კნეინამ და მუქარის ნიშნად თითი დაუქნია.

– რას მიბრძანებთ!.. მაშ, აი, რა ვქნათ: თქვენ მიგიყვანთ რუსულ თეატრში და მე ქართულ წარმოდგენაზედ წავალ.

– არა, ეგ რა საჭიროა... ხვალ წამოდი ჩემთან, მე ხომ აბონიმენტი მაქვს?

– ვიცი, ბატონო... მაშ ხვალამდის?

– ხვალამდის.

ამ სიტყვებით ისინიც გაშორდნენ; ვალერი შევიდა თავის ოთახში, რომ კარგა მოეაზრა, თუ რა ეთქვა მარისთვის და კნეინა კი ზარმაცად ისევ კუშეტკაზედ მიწვა, რომ რამდენჯერმე დაეწყევლა „უსარგებლო და საზიზღარი“ ქართული წარმოდგენები, რომელიც ამ საღამოს სასიამოვნო ვალერის სტაცებდა.

# X

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც არწრუნის თეატრი მთლად გაჩაღებული იყო. კასაში ბილეთები ცოტა-ღა რჩებოდა, რადგანაც რაღაც ახალ პიესას თამაშობდნენ. უკანასკნელის რიგების და გალერეიას ბილეთები დილიდანვე აღარ იყო, რადგანაც ქართული თეატრის არსებობის ბურჯი, წვრილი ჩინოვნიკობა, ვაჭრები და დაბალი ხალხი, - ერთმანეთის შორის ყიდულობდნენ ბილეთებს.

იქვე კასასთან რამდენიმე კინტო იდგა და კასირს ეხვეწებოდნენ, ფეხზედ დგომით მაინც შეეშოთ, მაგრამ, რადგანაც კასირმა ნება არ მისცა, იმათ ორ-მანეთიანი ბილეთები აიღეს.

ეს ხალხი, გროშის მოანგარიშე ხალხი, ყოველ წარმოდგენაზედ დადიოდა, გულით სიამოვნებდა, მაგრამ მათგან თავის დღეში ვერ გაიგონებდით კნეინა მაიკოსაგან წარმოთქმულს სიტყვებს, რომელიც არც დადიოდა და საქვეყნოდ კი ყვიროდა: „გაგვყვლიფეს, გაგვატყავესო!“

წარმოდგენა ჯერ არ დაწყებულიყო და ამისთვის ხალხი გალერეიაში გაფანტულიყო. ერთბაშად მოისმა ზარის ხმა, რომელიც ძალზედ დაწკრიალდა და წუთში ხალხი შეიკრიბა თეატრში.

გაათავა მუსიკამ და აიხადა ფარდა. ყველას თვალები სცენამ მიიპყრო. ყველაზედ უმეტესის გატაცებით ერთი მოხუცი უყურებდა და პირზედ რაღაცა გაოცება დაჰხატოდა. ხედავდა ნამდვილ გლეხს, ჩინოვნიკს, დიანბეგს და ცხოვრების წარსული სურათები თვალ-წინ ეხატებოდა. ეს გახლდათ გორჯასპ, რომელიც პირველად იყო ქართულს წარმოდგენაზედ და რომელსაც თავის ცხოვრების სურათი ყოველივე წვრილმანის ხაზით და ფერით სცენაზე გადაეტანა. ყველა, ვინც კი სცენაზედ გამოდიოდა, ნაცნობად ეჩვენებოდა, რადგანაც ყოველივე მოძრაობა, ყოველივე მიმოხვრა იმას ათასჯერ სადღაც ენახა.

ვალერი არ მოტყუვდა, მარიც აქ იყო, მაგრამ ის თვითონ არსადა სჩანდა. საკვირველია, ასე მოუთმენლად მოელოდა ამ საღამოს და რაღად იგვიანებდა?.. უეჭველია, რომელიმე მაღლა მდგომ კაცთან ლაპარაკს გაება და იმან დააბრკოლა?... ან იქნება, როგორც დიდი კაცი, თავის მოვალეობად სთვლიდა, უეჭველად ცოტა მაინც არის, დაეგვიანა. ასე იყო, თუ ისე, პირველი მოქმედება რომ ბო-ლოვდებოდა, კარები გაიღო და ვალერი გამოჩნდა. ვალერი კარებში შესდგა, ქორებლივ თვალი გადაავლო საზოგადოებას და მყისვე თვალი მოჰკრა მარის, რომელიც იმისკენ იყურებოდა.

ქალი გაწითლდა და საჩქაროდ თავი ჩაღუნა, ვალერიმ სიამოვნებით ჩაიღიმა და გულში გაურბინა ფიქრმა, რომ საქმე ჯერ კარგად არის. მასწავლებელი წავიდა თავის ადგილზედ და სცენას დაუწყო ყურება. მაგრამ ეს ჯაფა დიდს ხანს არ დასჭირდა, რადგანაც ფარდა დაეშვა და ტაშის ცემა აქტიორებს გამოსასვლელად იწვევდა.

ვალერი გაეშურა იმ კარებს, საიდანაც მარი უნდა გამოსულიყო, მაგრამ ის დიდ ხანს არ გამოდიოდა. უეჭველია, აქტიორებს უყურებდა, რომელთაც განუწყვეტლივის ტაშის ცემით საზოგადოება მრავალჯერ იწვევდა. შესწყდა აპლოდისმენტიც და ხალხმა ჯგუფ-ჯგუფად დაიწყო გამოდენა. ვალერი მოუთმენლად ელოდა მარის და წუთები მთელს საათებად ეჩვენებოდა. ძლივს! აგერ მარიც გამოჩნდა. მოდიოდა დაღონებული, ფერ-მკრთალი, მაგრამ რაღაცა მღელვარება ეტყობოდა.

– საღამო მშვიდობისა, კნიაჟნავ! – გამოსვლის უმალ მიესალმა ვალერი.

მარი თუმცა ამას მოელოდა, მაგრამ ძარღვები ისეთს მღელვარებას ჰგრძნობდნენ, რომ ძალზედ შეკრთა, თითქმის შეეშინდა და რაოდენიმე ხანი დასჭირდა, სანამ პასუხს მისცემდა.

გორჯასპ ვიღაცა ნაცნობებთან მივიდა, ვალერი და მარი კი მარტონი დარჩნენ.

– კნიაჟნა, თქვენ ჩემზედა ჯავრობთ?.. რა დაგიშავეთ, რისთვის?... – მუდარით და ხმის კანკალით დაიწყო ვალერიმ.

– ვინ გითხრათ!... სულაც არ ვჯავრობ.

– მაშ, რას მივაწერო, რომ ერთხელ ვეღარ გნახეთ?

– შემთხვევა არა მქონდა, – თავ-დახრით უპასუხა.

– კნიაჟნა!... თქვენ მეგობარს მეძახდით... – ყვედრებით და ნაღვლიანად წარმოსთქვა ვალერიმ.

ისინი განშორდნენ დანარჩენ ხალხს.

– მართალი ხართ!... – საჩქაროდ და მღელვარებით დაიწყო მარიმ. – ამ გვარი პასუხი საკადრისი არ არის... პირდაპირ გეტყვით... მეშინოდა თქვენთვისაც და ჩემი თავისთვისაც.

– მაშ, გიყვარვართ! – აღტაცებით წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა.

მარიმ დაინახა, რომ თავისვე უნებურად გულის პასუხი გამოაშკარავა და უკან დახევა გვიან-ღა იყო.

– არ მოგატყუებთ, მართალი ხართ და... სწორედ მაგისთვის უნდა დავშორდეთ ერთმანეთს.

– სულაც არა, კნიაჟნავ!... თუ ოდესმე უნდა დავახლოვდეთ, ის დროც ახლა

არის... რისთვის გავექცეთ ბედნიერებას, როდესაც ისე ძნელად საშოვია?.. რად მივეცეთ რაღაცა გამოცდას, წვალებას, როდესაც სიხარული, სიამოვნება ხელში თვითონ გვეძლევა?

უწინ, სანამ მარი ვალერის დაშორებული იყო, იმას ეგონა, რომ ყმაწვილ-კაცს ადვილად დაივიწყებს, აღძრულ გრძნობას დაიმორჩილებს, შეიქნება გულის მბრძანებელი, მაგრამ ეხლა ვაგლახად ხედავდა, რომ ვალერის თვალები სწვავდა მის თვალებს, სიტყვები ქურდულად გულში ეპარებოდა, ათრობდა, ჰბანგავდა, ჰხიბლავდა მას.

– მართალს ამბობთ, მაგრამ სიტყვა მივეც ჩემს თავს, სწავლა შევასრულო. ისეთი შევიქნე, რომ არავისგან დამოკიდებული არ ვიყო.

– კარგი, მაგრამ განა ჩემზედ გათხოვება მაგას დაგიშლისთ. მე მგონი, ხელსაც კი უფრო მოგიმართავსთ.

მარიმ გაკვირვებით შეხედა.

– როგორ?

– განა თქვენი სურვილის წინააღმდეგობა შემიძლიან?... დავიწეროთ ჯვარი და ისე წადით სასწავლებლად... მაშინ ვეღარც მამა დაგიშლით... პირველ წელიწადში მეც წამოვალ თქვენთან, შემდეგში ზაფხულობით მოხვალთ ხოლმე...

მარი ჩუმად იყო და ყურს უგდებდა. ისეთი საბედნიერო და საოცნებო სურათები ეხატებოდა., რომ, ნება–უნებლივ, გაეტაცა ქალის წრფელი გონება. მართლადაც, რა ბედნიერება იქნება!... სწავლა, განათლება, ყმაწვილი ხალხი, იმათში ცხოვრება და გვერდით, ამხანაგად ისეთი ქმარი, როგორიც ვალერი იყო! ყველაფერს აუხსნის, ყველაფერს ასწავლის და სიცოცხლეს სიტკბოებით აუვსებს!

ამ ოცნებაში იყო მარი, მაგრამ დრო არ ჰქონდა, კარგად დაჰკვირვებოდა ამ საგანს.

– მარი! – წყნარად მოჰკიდა ხელი ვალერიმ და თვალებში შეხედა. – რას მეტყვი?

– არ ვიცი, არა... ხვალამდის დამაცადე! – ერთბაშად გამოსტაცა ხელი და გამობრუნდა, მაგრამ ვალერიმ ისევ დაიჭირა.

– მარი, მაშ, ერთი კოცნა, მხოლოდ ერთი კოცნა.

– არა, არ შეიძლება, არა... – წარმოსთქვა მარიმ, მაგრამ გვიანღა იყო, რადგანაც ვალერიმ მოხვია ხელები და გატაცებით ჩაეკონა.

პირველში მარის თავ-ბრუ დაეხვა, პირველსავე მიკარებაზედ მიილუშა, მიენდო, მაგრამ ერთს წუთს შემდეგ საჩქაროდ გაეშვებინა და მთლად

აღგზნებული, აღზგნებულის თვალებით გაემართა თეატრისკენ, სადაც წარმოდგენა დაწყებული იყო.

ვალერი წამოეწია და წყნარად ჩასჩურჩულა:

– მიჯავრდები, მარი?

მარი მობრუნდა, უნდოდა მკაცრად ეპასუხნა, მაგრამ, რა შეხედა, რა იმათი თვალები ერთმანერთს შეხვდნენ, რაღაცა დამმორჩილებელმა ძალამ შეიპყრო და მთლად აკანკალდა.

– კიდეც ეგ არის ჩემი უბედურება, რომ არ შემიძლიან.

– ჩემო ღმერთავ, ჩემო სიცოცხლევ. – დაუჭირა ხელი.

ეხლა მარი დანებდა და მოდუნებულს ხელზედ ვალერიმ კიდევ აკოცა

– მაშ, ხვალამდის? – ჰკითხა ვალერიმ.

– ხვალამდის, საღამოს შვიდ საათზედ, ალექსანდრეს ბაღში.

ამ სიტყვებით ისინი სხვა-და-სხვა კარებით შევიდნენ თეატრში, მაგრამ რამდენიმე ბოროტმა გულმა მოჰკრა თვალი და იმათი ერთს დროს შესვლა ეუცხოვათ.

– შეხედე, შეხედე, – წაჰკრა მხარი ერთმა გრძელ-ცხვირა ყმაწვილმა ქალმა შავ-ტრუხა ყმაწვილს. – აგერ, მარი და ვალერი ერთს დროს შემოვიდნენ.

– ოჰ, მაშ, ეგენიც?! – გაიღიმა ყმაწვილმა-კაცმა, რომელიც ამ შემთხვევას ანტრაქტებში სხვა-და-სხვა ვარიანტებით უამბობდა დანარჩენებს.

ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ მთელ ქალაქში მარის სახელი გასაკიცხად გაეხადათ.

## XI

წარმოდგენის შემდეგ, გორჯასპ ქალს არ უსვენებდა თეატრზედ ლაპარაკით, რადგანაც ისე რიგად მოეწონა, რომ ადრე დაწოლას დაჩვეულს მოხუცს ძილიც კი გადაავიწყდა.

მარის კი მარტოდ დარჩენა ეჭირებოდა და ხან თავის ტკივილის მოგონებით, ხან ძილით თავიდან იშორებდა მამას.

ბოლოს, როგორც იყო, გორჯასპმაც მოისვენა, რადგანაც ძილმა დაუხუჭა თვალები; მარი ძლივს მარტო დარჩა და თავისუფლად შეეძლო, მისცემოდა თავის ოცნებას. ის ისე ბედნიერი იყო, იმდენი სასიხარულო შემთხვევა მოხდა ამ

საღამოს, იმოდენი სურვილები ერთად უსრულდებოდა, რომ მეტის გრძნობით ერთს საგანს ვერ დასდგომოდა. სწავლა, სტუდენტობა, სხვა გვარი ცხოვრება შეხამებულს, განათებულ სურათებად ეხატებოდა და ამათ დასაშვენებლად შიგ ერეოდა ვალერის სახე, რომელიც ეკუთვნებოდა მარტო მას, რომელიც განუშორებლივ მასთან იქნებოდა და შრომის შემდეგ სიტკბოების განსვენებას აგრძნობინებდა. მართლადაც, ეს ისეთი ძნელად მისაწვდომი და მოსაფიქრებელი ბედნიერება იყო, რომ ვის არ გააბრუებდა?

მარის ეჭირებოდა მოლაპარაკე ვინმე ჰყოლოდა, რადგანაც მეტის-მეტად ბევრი ეგრძნო და უნდოდა, თავის სიხარული გაეწილადა. მაგრამ ვისთვის მიენდო თავის გული, ვინ თანაუგრძნობდა? ნადო დღეს დილით სოფელში წასულიყო და სხვა კი არავინ ეგულებოდა. მამა? იმას მთლად ვერ გაუშლიდა თავის გულს, რადგანაც შვილის კურსებზედ წასვლა უბედურებაზედ მეტად მიაჩნდა. ისიც კი საეჭვო იყო, რომ ვალერის სიძეობისთვის თანაეგრძნო, რადგანაც სიძედ იმას სხვა კაცი ჰყვანდა გამორჩეული და ხასიათი კი ისეთი ჰქონდა, რომ თავის გამორჩეულს სხვას აგრე ადვილად არ ამჯობინებდა. მარი ნატრობდა, ჩქარა გათენებულიყო, დღეს მალე გაერბინა, რადგანაც გული ითხოვდა ვალერისთან მალე შეყრას.

მარის მთელი ღამე არ სძინებია, არ სძინებია მეორე დღესაც და ასეთს წვალებასა და მღელვარებაში გაატარა დღე და ღამე.

რამდენადაც შეყრისთვის დანიშნული საათი ახლოვდებოდა, იმდენად მარი მეტს მღელვარებაში შედიოდა; ხან წითლდებოდა, ხან ფერსა ჰკარგავდა და მამა ზრუნვითა ჰკითხავდა – ავად ხომ არა ხარო?

მოაღწივა საღამომაც და მარიმ დაიხურა შლიაპა.

– სად მიხვალ? – ჰკითხა მამამ.

მარი გაწითლდა და პასუხი ვერ მოახერხა.

– თუ სასეირნოდ მიხვალ, მეც შენთან წამოვალ.

მარის შეეშინდა. ამ შემთხვევას სრულიად არ მოელოდა და ამისთვის აჩქარებით უპასუხა:

– არა, სასეირნოდ არ მივდივარ.

– მაშ, ამ დროს სად მიხვალ?

– ნაცნობთან... ამ დღეებში წავალ და მინდა, გამოვეთხოვო.

– მაშ მეც მაიკოსთან ავალ.

– შენ იცი.

– ფაიტონი მოვაყვანინოთ, მიგიყვან, სადაც მიდიხარ, და მემრე ისევ

ჩამოგივლი.

– მაიკო მთაწმინდაში დგას და მე კი მუშტაიდის მხარეს მივდივარ. – ასე გაბედვით პირველად იმტყუნა მარიმ.

– მარტოკა?

– ფაიტონით წავალ, რა მიშავს?

– იქიდან.

– ბიჭს გამოვიყოლებ... ნახვამდინ, მამავ. – მიეალერსა ქალი და აკოცა, თითქოს ბოდიშს იხდიდა რაღაშიაც.

მარი გავიდა, გაემართა ალექსანდრეს ბაღისკენ, სადაც გულის ძგერით ვალერი ელოდა.

ღამე იყო ჩინებული, წვიმის შემდეგ ღრუბელს გადაეყარა და მოკაშკაშე მთვარისთვის ადგილი დაეთმო. ისიც ნაზად სივრცეში ციმციმებდა, თითქოს მეტი სიამოვნება ათრთოლებდა. ამაყად გადმოსცქეროდა ბნელს დედა-მიწას, რომლიდანაც ხალხი ისე შესტრფოდა. ნათელს სხივებს მშვენივრად დაეფერათ ხის წვერები, რომელზედაც წვიმას მტვერი გადაერეცხა და სანოვაგე მიეცა.

ვალერი გამოვიდა ბაღის ქვეით კარებიდან და იმედ-გადაწყვეტილმა მოუთმენლად საათს დახედა. შვიდი ჯერ არ შესრულებულიყო და ამისთვის იმას წარმოუდგა, რომ იმის საათი უკან რჩებოდა. ის-იყო შემობრუნდა ბაღში, როდესაც კარებთან ფაიტონი გაჩერდა, გადმოვიდა ქალი და ფული მისცა, რომელიც ხელში მომზადებული ეჭირა. ვალერი ისევე კარისკენ მიბრუნდა და გატაცებულმა წამოიძახა:

– ძლივს! – და გაუშვირა ხელი.

პირველსავე მისალმების შემდეგ, კაცმა წასჩურჩულა:

– მთელი ბაღი მოსეირნეებით გაჭედილია, ადგილს ვერ გიპოვით მოსალაპარაკებლად... წავიდეთ, ფაიტონით გავიაროთ.

– სადა? – ჰკითხა მარიმ.

– სადაც უნდა იყოს, მხოლოდ აქ არა... წავიდეთ, წავიდეთ, – აღარ დააცალა ვალერიმ და დაუძახა ფაიტონს.

რამდენიმე წუთს შემდეგ ისინი მუშტაიდის დაბურვილს ხეივანში შედიოდნენ.

– წყნარა, – უთხრა ვალერიმ მეეტლეს და ხელი მოჰხვია მარის წელში. – რას მეტყვი? კიდევ უარს?

იმან მიიკრა ქალი ახლოს და აღგზნებულის თვალებით ჩახედა პირისახეში. თუმცა მთვარის შუქს ძნელად უშვებდა ერთმანეთში გადახლართული ფოთლები, მაგრამ ვალერის ისე ახლო მიეტანა სახე, რომ სუნთქვასაც კი

ჰგრძნობდა. ვალერი აშკარად ხედავდა ნახევრად გაღებულს მარჯნის ტუჩებს, რომლებიც თრთოდნენ, როგორც ვერხვის ფურცელი ნიავის მიკარებაზედ.

ვალერიმ სრულიად ახლო მიიტანა სახე და კიდევ ჩასჩურჩულა.

– არ გესმის, მარი?... თუ ის გინდა, რომ მომეტებულად გამტანჯო?

ფაიტონი სწორედ ამ დროს შეუბრუნდა მოსახვევს და იმათ მიადგათ მთვარის შუქი, რომელსაც ფურცლების მწვანე ფარდა გაეგლიჯა, თითქოს უმოწმოდ არ უნდოდა დაეგდო შეყვარებულთ სიამოვნება.

სწორედ ამ წუთებში მარიმ თავი აიღო, შეხედა და ბედნიერმა ვალერიმ მთვარისგან განათებულს, მიბნედილს თვალებში ამოიკითხა სანატრელი წადილის პასუხი.

აქამდის თავ-შეკავებული, გაჩუმებული და გაყუჩებული ქალი, როგორც გრიგალის წინა წუთები, ერთბაშად აენთო, აღელდა და ცრემლებ-მორეულმა გულში ჩაიკონა.

ორთავესათვის დადგა სანატრელი წამი, წამი გაჩუმებულის, მაგრამ ძლიერის ალერსისა, როდესაც კაცს ყველაფერი, ყველანი, თავის თავიც კი ავიწყდება და ეძლევა ბუნების ძალას, რომელიც ათრობს, აცახცახებს, თავბრუს ჰხვევს და მოუსვენარ თავდავიწყებაში შეჰყავს.

რა დაუშლიდათ ბედნიერებს: სიყმაწვილე, გრძნობა, ჰაერი, მოალერსე მთვარის შუქი თუ? ყველაფერი ისე ხელს უწყობდა, ისე უძლიერებდა სიყვარულს ძალას.

იმათაც უნდოდათ, ერთს საგნად გადაქცეულიყვნენ, ერთად დარჩენილიყვნენ სამუდამოდ, რომ იმათი გაყრა ვეღარავის შესძლებოდა.

ისინი მიახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც პატარა ჩარდახი წყალს გადაჰყურებს.

– აქ გადავიდეთ, მარი, ცოტა ხანს დავსხდეთ.

მარი დასთანხმდა, რადგანაც მთვარისაგან გაშუქებული მტკვრის ზენაპირი მიმზიდავად ლაპლაპებდა და რაღაც წყნარი ჭყაპუნი და მდინარის ხმა ალერსით დუდუნებდა.

შევიდნენ ჩარდახში და ახლოს დასხდნენ ერთმანერთთან. ვალერის ერთი ხელი გადახვეული ჰქონდა და მეორით კი თევზებზედ უჩვენებდა, რომლებიც შუქს შესთამაშებდნენ და მთელს საჟენზედ წყალზედ მაღლა ხტებოდნენ.

– ეგენიც მთვარის შუქს ეარშიყებიან, – ჩუმად ეუბნებოდა მარის. – მაგრამ ჩემსავით ბედნიერები კი ვერ არიან.

ამ სიტყვებით ის ძალზედ მიიკრავდა მარის და ხანგრძლივის კოცნით გულს იჯერებდა.

მარი, როგორც ცეცხლში ჩადებული, ისე გახურებულიყო და კოცნაზედ კოცნითავე აძლევდა პასუხს.

– მაშ, გიყვარვარ, გიყვარვარ?... – მეათასედ ჰკითხავდა ვალერი და მეათასედ ევლებოდა თავს.

– მიყვარხარ... ყოველისფერი მოგეც, რაც მებადა, შენ ითხოვდი მაგას... ახლა შენც გიყვარდე, ვალერი, თორემ ნახევრად სიყვარული არ მინდა, არ ვიცი...

– ჩემო ანგელოზო! – ჰკოცნიდა ვალერი. – განა შეიძლება კაცს მარტო ნახევრად უყვარდე?

– აბა, შენ იცი.

რამდენსამე წუთს შემდეგ, ისინი ჩასხდნენ ფაიტონში და ორნივ ბედნიერნი, ორნივ დამტკბარნი შინისკენ მიდიოდნენ.

მხოლოდ მარის გადაჰკრავდა ხოლმე რაღაცა მწარე ფიქრები, უნებლიედ ჩაფიქრდებოდა, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ დღეიდან ის ისე თავისუფალი აღარ არის, მაგრამ, რა ვალერის შეხედავდა, ყოველისფერი ავიწყდებოდა, პირი უღიმოდა და სიხარულით გული ევსებოდა.

მარის სახლთან ახლოს შეაყენეს ფაიტონი და რამდენიმე კოცნის შემდეგ, ვალერიმ უთხრა:

– ხვალ შვიდ საათზედ ამ ადგილს დამხვდები.

– მიბძანებ?

– ჰო, გიბძანებ. – გაიცინა ვალერიმ და კიდევ მოეხვია. – განა შენ ჩემი ცოლი არა ხარ?... ცოლი ქმრის ბძანების აღმასრულებელი უნდა იყოს... თვით საღმრთო წერილიც მაგას ამბობს.

– აღვასრულებ, ჩემო ბატონო. – უპასუხა მარიმ და თითონვე მოეხვია.

– მამა-შენს ზეგ გაისტუმრებ, შენ, რასაკვირველია, არ გაჰყვები... შემოდგომაზედ ჯვარს გადავიწერთ, გავუვლით შენს დედ-მამას, დაგვლოცვენ და ერთად წავალთ რუსეთში.

– კარგი, მაგრამ არ ემჯობინებოდა, მამასთვის გვეთქვა, რომ შენ ჩემი საქმრო ხარ.

– არა... ეგ დრომდის საიდუმლო უნდა იყოს.

– კარგი. – დაჰყაბულდა მარი, რადგანაც ვალერიმ უთხრა, გაჩუმებულიყო.

## XII

ქალი მოვიდა შინ დაღალული, დაწყვეტილი და პირ-და-პირ თავის ოთახში შევიდა; მაშინვე ჩაწვა ქვეშსაგებში, რადგანაც მამასთან შეხვედრა და ლაპარაკი არ უნდოდა და გორჯასპ კი ჯერ არ დაბრუნებულიყო.

მარის თითქოს ყველასთან რცხვენოდა, ყველასი ერიდებოდა, მაგრამ ეს ფიქრები ჯერ კიდევ არ გამოაშკარავებოდნენ, რადგანაც წარსული სიამოვნების მოქმედების ქვეშ იყო და სიტკბოებიდან ჯერ ვერ გამორკვეულიყო.

ცოტა ოცნების შემდეგ ის წავიდა ბურანში და წყნარად დაეძინა. რაოდენიმე ხანს შემდეგ სახე გაუბრწყინდა, ტუჩები მოძრაობაში მოვიდნენ და წყნარადვე, მაგრამ წარმოუდგენელის ალერსით, ვალერის სახელს წარმოსთქვამდნენ.

მარიმ ღამე გაატარა ამ მდგომარეობაში, მხოლოდ მეორე დღეს ნახა თავისი მამა და გადაწყვეტით უთხრა, რომ რუსეთში წაუსვლელი არ დავდგებიო.

მამა ბევრს ეჩხუბა, ბევრს ეწინააღმდეგა, მაგრამ ქალი მაინც თავისას არ იშლიდა და დაჟინებით ითხოვდა წასვლის ნებას. გორჯასპმა, ლაპარაკით რომ აღარა გაუვიდა-რა, გადაწყვეტით უთხრა, რომ წასასვლელს საშუალებას არ მოგცემო. ქალი გაიბუტა და სოფელში გაყოლის უარი უთხრა.

დიდი ლაპარაკის, ბაასის და ხვეწნის შემდეგ, მამა დათანხმდა ტფილისში საცხოვრებელი ფული ეგზავნა, ოღონდაც მარის რუსეთში წასვლაზედ უარი ეთქვა.

ამით გაათავეს ლაპარაკი; მამას ეს ამბავი თუმცა სწყინდა, მაგრამ აღარას ეუბნებოდა.

საღამოზე ვალერი და მარი შეიყარნენ დანიშნულს დროს, წავიდნენ ისევ მუშტაიდის იმ ჩარდახში, რომელიც მარისთვის ისე სამახსოვრო იყო.

ყმაწვილ კაცს ძალიან უამა, როდესაც შეიტყო, რომ მარი სოფელში აღარ მიდის და ყოველ ჟამს შეეძლო, მასთან დროს-გატარებით დამტკბარიყო.

მარტო ერთად-ერთი ხელის შემშლელი, რომელსაც ვალერი ერიდებოდა, მამა იყო და ისიც რამდენიმე დღის შემდეგ წავიდა. მაშინ ყმაწვილი-კაცი მთელს დღეებს მარისთან ატარებდა. იმან დააჭერინა ჩუღურეთში გაცალკევებით პატარა ოთახები და ყოველ საღამოს უზიდავდა სხვა-და-სხვა წიგნებს; ერთად კითხულობდნენ, ერთად იცინოდნენ, ხარობდნენ და მათი ხუმრობა მხოლოდ გატაცებულის კოცნით შეიცვლებოდა.

მარი არ აკვირდებოდა თავის მდგომარეობას; იმას არც ეცალა ამისათვის, რადგანაც ბუნება თავის ხარკს იღებდა და ყმაწვილი გული მთლად გრძნობას

შეეპყრო. ან რა უნდა ეფიქრა?... ვალერის უყვარდა, ვალერი იმისი იყო, ვალერიზედ დაიწერდა ჯვარს, ვალერი საუკუნოდ იმისი იქნებოდა!... სხვა რაზედ-ღა უნდა დაფიქრებულიყო?... თავის განზრახვაზედ?... კარგი, მაგრამ, აკი, ვალერი დაჰპირდა, რომ ჯვრის-წერის შემდეგ ერთად წავალთო?... ვალერი ხომ არ მოატყუებდა?

ამ საგანზედ მასწავლებელი ხმას არ იღებდა, მარი კი იქამდის ენდობოდა, რომ ერთხელ არ უკითხავს, ერთხელ აღარ შეუმჩნევინებია, რომ ამ საგანზედ დაფიქრებულა ოდესმე. ქალმა მიანდო თავისი გული და მასზედ მზრუნველობაც ვალერის საქმე იყო. თუ ვალერის ჯერ არა ეთქვა-რა, ალბად, დრო არ მოსულა, თორემ ვალერი იმას როგორ დაივიწყებს?!

ასე ჰფიქრობდა მარი, ასე სწამდა თავისი საყვარელი და ასე იმიტომ ენდობოდა, რომ ჯერედ გაურყვნელი ქალი იყო, კაცს პირველად შეხვედროდა და ნახევრად, ანგარიშით სიყვარული არ იცოდა. მარის ვინც უყვარდა, იმას ეძლეოდა სულით, გულით და გრძნობით.

ერთს საღამოს, ეს პირველი შემთხვევა იყო, მარი დაღონებული იჯდა და დაფიქრებულიყო. წინა საღამოს ვალერი არ მოსულიყო და შეყვარებული გულისათვის ეს საკმარისი საბუთი იყო, რომ ყოველი გვარი ჯოჯოხეთის ცეცხლი გამოეარა, ყოველ გვარს შავ ფიქრებს თავში გაერბინა.

„რატომ არ მოვიდა?... იქნება დამივიწყა?... იქნება ავად არის?“ ერთი მეორის შემდეგ ებადებოდა კითხვა და ვერც ერთხელ პასუხს ვერ აძლევდა. ყოველ ახალ კითხვაზედ მას უხურდებოდა გული, რომელსაც თითქოს რკინის თაღები შემოსჭეროდა და მწარედ კვნესოდა.

მე არა მგონია, ისეთი ქალი იყოს, რომელსაც მოლოდინის მწუხარება, გულის ძგერა და ამ მდგომარეობაში ხან და ხან იმედის გაელვება, როგორც მოღრუბლულ ცაზედ მზის შუქის გამოკრთობა, რომელიც ისევ ახლად წამოწეულს ღრუბელს შეუბრალებლად ჩაუნთქავს, - არ გამოეცადოს.

ისინი გაიგებენ, ისინი მიხვდებიან, რამდენ სხვა-და-სხვა გვარის ლახვრებით იხეოდა მარის გული, რამდენ რიგად ინთებოდა მისი აღგზნებული ფიქრები, რა ტკივილებს შეეპყრო მთელი მისი აგებუ-ლება. სიცხე, ჟრუანტელი, ადუღებული სისხლი, რომელიც სიძლიერით მოჩუხჩუხებდა ძარღვებში, ერთბაშად შესდგებოდა და უყინულებდა ყოველ ძარღვს, ყოველ ასოს. ძალზედ მოფართხალე გული ერთბაშად შესდგებოდა და მწარედ, უსიამოვნოდ კვნესოდა; გახურებულს, იმედით სავსე გონებაში ერთბაშად გაიელვებდა შავი ფიქრი და ცივი ოფლი გადმოედინებოდა პირისახეზედ. სიწითლე შეეცვლებოდა ფერის წასვლით, ღიმილი - სახის დამპრანჭავის მწუხარებით.

– აღარ შემიძლიან! – წამოიძახა იმან და წამოდგა. – უნდა ვნახო, სად არის, რატომ არ მოდის?!

ამ სიტყვებით წამოსასხამი წამოიგდო, საჩქაროდ დაიხურა შლაპა და კარებთან მისული გაჩერდა.

– სად მივდივარ? – ხმა-მაღლა წარმოსთქვა იმან. – იქნება აღარ უყვარვარ?... აღარ უყვარვარ!... – უფრო წყნარად განიმეორა და მობრუნდა. – აღარ უყვარვარ! – თითქმის ჩურჩულით გაათავა და ფერ-მიხდილი, ტუჩებმოკუმული ჩამოჯდა დივანზედ.

ის შევიდა რაღაცა გვარ თავდავიწყებაში. მეტის-მეტად ბევრ გრძნობა მოწოლილმა, აზროვნობის ძალა დაკარგა და რაოდენსამე ხანს ისე დარჩა.

ცოტა ხანს შემდეგ გონებამ ისევ ძალ-ღონე მოიკრიბა და აზრმა წყობილად დაიწყო მომდინარეობა.

მარის თვალ-წინ წამოუდგა გიმნაზია, პირველად ვალერის ნახვა, კურსის შესრულება, ვალერის სიტყვები.

მხოლოდ ეხლა, პირველად გაუელვა თავში: „რატომ არ აღასრულებს თავის დაპირებას, რატომ ჯვარს არ იწერს?“

ეს აზრი ჯერ არ დაბოლოვებულიყო, როდესაც კარები გაიღო და მარი შეკრთა. იმან დახარა თავი და ახედვისა ეშინოდა.

– მარი, განა მეგობარს ეგრე მიიღებენ! – მოესმა ქალს მისი დამბანგავი ხმა და წუთზე დაიმორჩილა.

მარიმ აიხედა, მის წინ იდგა ვალერი, მოღიმარე, თვალებგაბრწყინვებული, მომხიბლავის სახით.

– ვალერი!... სიტყვა გაუწყდა მარის, გადაეხვია კისერზედ და თავდავიწყებით დაუწყო კოცნა.

პირველი გატაცების შემდეგ ისინი დასხდნენ და მარი ეჭვნეულად, მოუსვენრად ჰკითხავდა მოუსვლელობის მიზეზს.

ვალერიმ რაღაცა ისტორია მოიგონა და ბოლოს მარი დაარწმუნა, რომ მოსვლა შეუძლებელი იყო.

– შე უღმერთო, ბარათით მაინც შემატყობინებდი! – საყვედურით უთხრა მარიმ.

– ვეღარ მოვახერხე, შენმა გაზრდამ... ახლა ჯვარს რომ დავიწერთ, სულ გვერდით უნდა გყვანდე?

– არა, ვინ ამბობს...

– უნდა შეეჩვიო... კაცი ვარ, ვინ იცის, რა საქმემ დამაბრკოლოს.

– მართალია, მაგრამ...

– მაგრამ შენ კი იწუხებ, თავს მოიკლავ!

– შენ კი არ შეგამჩნევინებ და სხვა რა გინდა?

– ეგ ცოტაა... მე არ შემამჩნევინებ კი არა, უნდა იმ აზრს შეეჩვიო, რომ შეიძლება, ბევრჯელ მთელი კვირეები ვერა ვნახოთ ერთმანერთი.

– მთელი კვირეები! – წამოიძახა მარიმ და დაუმატა: – ეგ მეტად ბევრია! – თითქოს ამის ნებას იმასა სთხოვდნენ.

– მეტად ბევრია? – გაიცინა ვალერიმ. – იქნება როდისმე მეტს ხანსაც მოგვინდეს დაშორება.

– რისთვის მეუბნები მაგას, ჯერ ხომ ეგ უბედურება არ შეგვმთხვევია? – წყენით წარმოსთქვა მარიმ.

– არა, მაგრამ მოსალოდნელია...

– მაგაზედ მაშინ ვილაპარაკოთ, როცა მოვა.

– მაშინ გვიან-ღა იქნება, კაცი წინადვე უნდა მოემზადოს.

– ისე ლაპარაკობ, თითქოს აუცილებელი უბედურება მომელოდეს?... მითხარ, რაღას უყურებ?... აღარ გიყვარვარ?...

– რა ყმაწვილი ხარ! – აკოცა ვალერიმ. – რამდენიც დღე გამოდის, იმდენად მეტად მიყვარხარ, მაგრამ კაცი ყველაფრისთვის უნდა მოემზადოს.

– რისთვის?

– თუნდა იმისთვის, რომ შენ პეტერბურგში მიდიხარ!

– და მერე?... შენც ხომ მოხვალ.

– ჰო... მაგრამ... მერე ხომ დაბრუნება მინდა? ჩემს საქმეს ხომ სულ თავს ვერ დავანებებ?

მარი დასთანხმდა ვალერის და წამოიძახა:

– მართალი ხარ, მართალი, მაგრამ რა ვქნა, რომ ასე მიყვარხარ!

ამ სიტყვების პასუხად ხანგრძლივი კოცნა იყო.

## XIII

ამ საღამოს ვალერიმ რაღაცა მოიმიზეზა და ადრე წავიდა. მარი, თუმცა დააღონა ამ შემთხვევამ, მაგრამ მაინც ცდილობდა არ შეემჩნივა და თავისი თავი დაერწმუნებინა, რომ ვალერი, როგორც კაცი, უეჭველად უნდა გავიდ-გამოვიდეს.

თუმცა ქალს ასე სურდა ეფიქრა, მაგრამ წამდაუწუმ რაღაც გაჰკენწლიდა და მწარედ დააკვნესებდა.

ასე გაიარა ამ საღამომ, ამავე მდგომარეობაში იყო მეორე დღეს, მეორე ღამეს.

ქალი ისევ მღელვარებაში შევიდა, იმის გონება ისევ შავმა ფიქრებმა მოიცვეს.

გაიარა რამდენიმე დღემ, მაგრამ ვალერი არსადა სჩანდა და მარის კი ყოველ ჟამს მღელვარება ემატებოდა.

- რა იქნა, რატომ აღარ მოდის? - ვინ იცის, მერამდენედა ჰფიქრობდა მარი, მაგრამ პასუხი ვერ მიეცა თავის თავისთვის, რადგანაც ვალერი მეტად უყვარდა და სიყვარული კი ნებას არ აძლევდა, ამ კაცის მოქმედება წესიერის თვალით დაენახა.

მარი გულის კვნესით აღამებდა და ათენებდა. ბოლოს, ერთს საღამოს მარის მეტად გული გადაელია და გადასწყვიტა, ცოტა გაეარნა...



ხელ: 012986

# ციკო

მოთხრობა

თხზულება

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა).

თბილისი
ეჭ. სულაძის სტამბა, დორ.-ძელ. ქუჩაზე.
1883

ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი), „ციკო“, თბილისი, 1883 წ.
ავტორის მიძღვნითი წარწერით საშა თარხნიშვილს



19483-b

გამოცემა ქართულის მწერლობის მოყვარეთა

# მოძღვარი

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

თბილისი.

ეკვთიმე ხელაძის სტამბა, საპერნის ქუჩ. საკუთ. სახლ

1885

ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი), „მოძღვარი“, თბილისი, 1885 წ.
ავტორის მიძღვნითი წარწერით არტემ ახნაზაროვს

# პაწია მმირი

ერთ სასწავლებელში ძალიან ბევრი ყმაწვილები იყო და კარგათაც სწავლობდენ; მათ შორის, მხოლოდ ორი მოწაფე განსხვავდებოდნენ დანარჩენებს. ორივე სხვებზედ უფროსები იყვნენ და უფრო მეტი ესმოდათ პატარა ბიჭებზედ, მაგრამ ორთავე დიდს თავმოყვარეობას იჩენდა და თავის ამხანაგებთან ამპარტავნობდა.

ერთ მათგანს ერქვა პეტრე, მეორესაც, გიგლა და ორნივენი ერთათ დადიოდენ ხოლმე. გიგლა პეტრიკას მხოლოდ იმითი განესხვავებოდა, რომ ამხანაგებს სასაცილოთა ხდიდა და მასხარათ აიგდებდა ხოლმე.

იმავ შკოლაში იყო ერთი პატარა შეგირდი ტატო; იმის სიჩუმე, სიწყნარე და მეცადინეობა ყველასათვის სამაგალითო იყო.

ერთ დილით, როდესაც შეგირდები სასწავლებელში მიდიოდნენ, ნახეს, რომ ტატოს ერთი ძროხა გზა-გზა მოჰყავდა.

– ტატოს ძროხა მოჰყავს, ტატოსა! – დაიძახეს იმათ მხიარულათ და გაიქცნენ პატარა ბიჭისაკენ.

მოყიჟინეთა შორის გიგლაც იყო და ყველაზედ მეტს ხმაურობდა და ხარხარებდა.

ეს ისეთი შემთხვევა იყო, რომ გიგლა პატარა მეძროხეს მასხარათ აუგდებელს არ დააგდებდა.

როდესაც ბავშვები ტატოს მიუახლოვდნენ, გიგლამ ხარხარით უთხრა მეძროხეს:

– შენ ეი! რძეს როგორა ჰყიდი? შენი ძროხის რქები ოქროსი ხომ არ არის?..

ერთი შეხედეთ, შეხედეთ იმის წაღებს, სწორეთ ქალაქში შეკერილს არა ჰგავს?!

ტატო მიხვდა, რომ მასხარათ იგდებენ და დასცინიან; მას წაღები კი არა, კოხუჯები ეცვა და მის ძროხას არამც თუ ოქროს რქები არა ჰქონდა, არამედ სრულიად დოლა (ურქო) იყო.

ტატო არ გაჯავრდა მათ ხუმრობაზედ; შეხედა გიგლას, გაიღიმა, ჩაიქნია ხელი და ძროხა სასოფლო საძოვრისკენ მიიბრუნა. პატარა ბიჭმა ძროხა იმ მინდორზე გაუშვა, სადაც სოფლის საქონელი სძოვდა და ის იყო გამობრუნდა სკოლაში წასასვლელათ, როდესაც სოფლის მეძროხე მოვიდა მასთან და ჰკითხა:

– ბიჭო, ე, ძროხა რომ საძოვრათ დაგყავსთ, რატომ სამეძროხოს არ მაძლევთ?

– სამეძროხო რაში უნდა მოგცენ? ძროხა მე მომყავს და მე მიმყავს ხოლმე და საძოვარი კი სოფლისა არის.

– მეძროხისათვის ერთი პინა პურია დადებული და ის ვერ გამოგიმეტებიათ, შე კაი კაცო? – უთხრა მეძროხემ და დაუმატა: – აბა, მაშ, მე ყურს არ ვადევნებ თქვენს ძროხასა და, თუ დაიკარგა, ჩემი ნურა ბრალი...

– დღე კი არსად წავა და ღამე აქ არ დავაგდებ. – უპასუხა პატარა ტატომ და შკოლისაკენ გასწია.

ასე დაჰყვანდა ეს ძროხა ტატოს ყოველ დღე და გაკვეთილებსაც არ აკლდებოდა.

არავინ არ იცოდა, ეს ძროხა ვისი იყო, საიდან მოჰყვანდა პატარა შეგირდს და სად მიჰყვანდა.

## II

ასე მიდიოდა ტატოს ცხოვრება კარგა ხანს; ის არა ღალატობდა თავის ძროხას და მისი ამხანაგები–კი არ იშლიდენ ამ ბიჭის მასხარათ აგდებას.

ყველაზედ მომეტებულათ არ უსვენებდა გიგლა, რომელიც შეძლებულის, მდიდრის დედმამის შვილი იყო და ძროხის უკან დევნა სათაკილოთ მიაჩნდა.

ერთ დღესაც, ჩვეულებისამებრ, აუტყდენ ტატოს. გიგლა ეუბნებოდა:

– შენი ძროხა არა გყავს და სხვის ძროხას იმიტომ დასდევო... მოჯამაგირეთ დამდგარხარო და სხვა. ტატო იცინოდა, მათ სიტყვებს ხუმრობად უყურებდა, მაგრამ იქამდის გადაეკიდნენ, რომ სანამ არ ატირეს, აღარ დაეხსნენ.

მათს ლაპარაკს მასწავლებელმა ყური მოჰკრა. გიგლა დატუქსა, ტატოს

დაუყვავა და ყველანი დამშვიდნენ. მაგრამ მასწავლებელი კარგი კაცი იყო, ისე უყვარდა თავისი შეგირდები, როგორც მშობელს, ის უვლიდა, როგორც მამა. მან განიზრახა შეეტყო, მოცადინე და მუყაითი მოწაფე, პატარა ტატო, მართლა ისე ღარიბი იყო, რომ შკოლაში სიარულის დროს მეძროხეთაც დგებოდა, თუ სხვა რომელიმე მიზეზით დასდევდა სხვის ძროხას? მასწავლებელი გულკეთილიც იყო და სურდა ტატოს ცხოვრების შეტყობა კიდევ იმისთვის, რომ, თუ მართლა ღარიბი და გაჭირვებული იყო, ეშველა რითიმე.

მას ტატო იმისთვის უფრო უყვარდა, რომ არც სწავლასა სცდებოდა და არც მუშაობას ზარობდა.

იმ საღამოს, როდესაც საქონელის შინ გარეკის დრო მოვიდა, მასწავლებელმა აიღო ჯოხი და წავიდა სოფლის საძოვრისკენ.

ურიცხვი საქონელი, იალაღზედ გასული, გაფანტულიყო და ძოვა-ძოვით შინისკენ მიდიოდნენ. ძროხებს აგონდებოდათ თავ-თავიანთი პატარა ბოჩოლები, რომელთა გასაძღომათ პოვნით რძე მოემზადებინათ, დრო გამოშვებით გაბღაოდენ. იქნება მათ ისიც კი ეგონათ, რომ ხმას მიაწვდენდნენ თავიანთ შვილებს და, დედის მოშორებით დაღონებულს, ანუგეშებდნენ.

ნახირში ჩარეულიყვნენ მოუსვენარი თხები, თავიანთის ცმაცუნა წვერებით და ხმალს მიმგზავსებულის გრძელის რქებით დარბოდნენ და კიკინებდნენ.

გამოიარა ნახირმა, მეძროხემ, თავისი ტლაშუნა შოლტით და მისმა კუდა ძაღლმა ბროლიამ. მათ უკან მოსდევდა ტატო, რომელსაც პატარა სახრე ეჭირა იღლიაში და მოჰყვანდა თავისი დოლა ძროხა.

მასწავლებელი მოეფარა იქავ მდგარს ხესა და მხოლოდ მაშინ გამოვიდა თავის საფარიდან, როდესაც ტატო მას გასცდა.

პატარა მწყემსი ჯერ გზას დაჰყვა, შემდეგ გადაუქცია მას და სოფლის განაპირებით, ერთ დაძველებულს ქოხთან მივიდა.

მასწავლებელი, რომელიც უკან მისდევდა, აქაც მიიმალა და ისე უყურებდა.

- დარეჯან, ძროხა მოვიყვანე! - შესძახა ტატომ.

ქოხიდან გამოვიდა ვიღაც მოხუცებული დედაკაცი, გამხდარი და ფერწასული. ეტყობოდა, რომ ავადობდა და ძალიან ღარიბიც უნდა ყოფილიყო. მისი ტანისამოსი დაკონკილი ძონძებისაგან იყო შემდგარი. სახე, თუმცა დაღმეჭილი და დანაოჭებული ჰქონდა, მაგრამ შეხედულობაში და პატარა შავ თვალებში სრული გულკეთილობა ეტყობოდა.

- გაგახაროს, შვილო, ზეციერმა მამამ! - გამოსვლის უმალ უთხრა მოხუცმა, - რამდენიც ამ ძროხას მარცვალი ბალახი შეუჭამია, იმდენი წელიწადი შეგმატოს

დედა მღვთისამ!.. ისე შენმა გულმა გაიხაროს, როგორც შენ მივლი და მახარებ ქვრივ-ოხერსა.

- შეშა ხომ არა გაქვს, დედი, დასაჭრელი? - ჰკითხა ტატომ.

- შენ კი გაიხარე, შენ შემოგევლოს ჩემი თავი!.. არა, შვილო, არა... შეშაც გამოგველია.

- ხვალ ტყეში წავალ და ერთ კონას მოგიტან.

- არა, შვილო, არა, შენ გენაცვალე! - შეშინებით და მზრუნველიანათ უთხრა მოხუცმა. - ტყეში არა გეტკინოს რა, თორემ დედიშენის საცოდაობით დავიწვი...

# ვაი მხილველთა ამისთჳს.

ესოდენი ! ძალმეტობაჲ.

ეფესელთაჲ 1 Mკ. ᲙᲐ. 6.

ᲮᲝᲕᲡᲔᲒᲘ

# ორი ქორწილი ერთათ

## კომედია-ვოდევილი
## 2 მოქმედებათ.

მომქმენდნი პირნი:

თავადი ივანე გვარამიძე (მოხუცებული მაიორი ოტსტავკაში. (კ. ყიფიანი)
ნინო, ამისი ქალი გასათხოვარი 16 წლისა. (მაკო საფაროვის)
მარი-ივანეს და ყმაწვილი ქვრივი (ნ. გაბუნია)
გიორგი პეტრიაშვილი ექიმი ყმაწვილი კაცი. (ZZ)
ვასილი ხერხაძე ხანში შესული, მდიდარი უცოლო კაცი,
ამხანაგი და მეგობარი ივანესი (ვ. აბაშიძე)
სვიმონიკა[1] ბიჭი. (~~ბიჭი კ. მეხხ~~ №№)

მოქმედება სოფელში ივანეს სახლში

1 სვიმონიკა ტექსტში გადასულია ივანიკად, ზოგგან პერსონაჟების სახელები არეულია, ამიტომ ტექსტში ისინი ჩასწორებულია

## | მოქმედება.

(სცენა წარმოადგენს მდიდრულათ მორთულ ოთახს. ორი ფანჯარა და სამი კარები, რომელთგანაც შუა გაღებულია და მოჩანს ბაღი.)

## მამოსვლა |

### ნინო და მერე მარი.

(ნინო ზის და ხატამს, მარი გამოდის მარცხენა კარებიდგან, მიეპარება ნინოს და ისე დადგება სკამის უკან, რომ ნინო ვერა ხედამს. ნინო ადარებს თავის მხატრობის დედანს.)

**ნინ**. დასწყევლოს ღმერთმა!... აბა, თუ ერთხელ სწორედ გამოვიდა?! გასაკვირველია, ღმერთმან იცოდეს! უწინ ყველას მოსწონდათ ჩემი მხატრობა, ასე რომ დედანში ვერ გამოარჩევდნენ და ეხლა კი, აბა, რასა გავს?... აქ წათუთხვლილი... აქ მთელს არშინზედ გადაჭარბებული ხაზი... აქაც ჩდილი ისე გამოყვანილი, – თითქოს ტივის ხეები ეყაროს!... მამა მარწმუნებს, რომ რიღათიცა ვარ გართული და ეგ იმის მიზეზით მომდის. (ჩაფიქრდება) ერთის მხრით, ეგეც კი მართალია! უნდა გამოვტყდე!... რამოდენიმე, ხანია რაც მე რაღაცა განსაკუთრებითი მღელვარებაში ვარ და ჩემსავე უნებურათ ჩემს გრძნობას რაღაცა იზიდამს!... ახლა კიდევ ის ფიქრი არ მისვენებს: რომ როგორ მოახერხებენ ხოლმე სხვა ქალები იმაზედ გათხოვებას, ვიზედაც თითონ უნდათ, მაშინ, როდესაც მე კი თავის დღეში ნებას არ მომცემენ, რომ გიორგი შევირთო. მამა ჩემს ვიღაცა თავის მეგობარი მოსდის და დაუჟინია: ანაბარათ იმაზე უნდა გაგათხოვოო...მე გიორგი მიყვარს და რა ვქნა?... სხვაზედ როგორ უნდა გავთხოვდე? არა, ეგ თავის დღეში არ მოხდება, არ შეიძლება, ჩემი ცოცხალი თავით!... გიორგის უნდა უღალატო და ვიღაცა მახინჯ ბებერს მივეთხოვო?...თავის დღეში, ნუ წარმოუდგენია!... (დაფიქრდება) ახ, ღმერთო! რისთვის შემიყვარდა ის საძაგელი ასე რიგათ?... ჩემთვის ვიყავ დამშვიდებული, მოსვენებული, არა ფერზედ არა ვფიქრობდი, არა მქონდა რა საზრუნველი... და ეხლა?... ეხლა ჩემი თავი ვეღარ მიცვნია! ახ, გიორგი, გიორგი!

**მარ**. (იმეორებს) ახ, გიორგი, გიორგი!

**ნინ**. (შეკრთება და წამოვარდება) უი!... ქა, შენა ყოფილხარ, მარი?..განა შეიძლება ეგრე შეშინება?

**მარ**. ჰა,ჰა,ჰა! შენ რომ შენისავე სიტყვებისა შეგეშინდეს, ჩემი რა ბრალია?

**ნინ**. სულაც არა. (წითლდება) მე ჩემი სიტყვებისა არ შემეშინდება!...

**მარ**. რათა ცდილობ, ნინო, ჩემთან ეშმაკობას? მე დიდი ხანია რა, ყველა ფერი ვიცი.

**ნინ**. რა იცი?...

**მარ**. მაშ, ისე გგონია, ვერასა ვხედამ? თუ ის გინდა, რომ მე პირ და პირ მალაპარაკო შენს სატრფო საგანზედ?... რა კი ეგრეა, ინებე...შენ შეყვარებული ხარ და მასთან ძალიანაც გინდა, ისიც გითხრა, ვინ არის შენი გულთა ძგერის მიზეზი?... ინებე... ის არის ჩვენი განთქმული, უწარჩინებულესი – ექიმბაში, გიორგი.

**ნინ**. (პირზედ ხელს იფარებს) სუუუ! ღვთის გულისათვის! რა გაყვირებს?

**მარ**. ჰა, ჰა, ჰა! ახლა ხომ უარს აღარ იტყვი?

**ნინ**. არა, არა! ოღონდაც არის, ჩუმად იყავ...

**მარ**. ნუ გეშინიან, აქ ვერავინ ვერ გაგვიგონებს, მაგრამ სწორეთ უნდა გითხრა: მე შენზედ გაჯავრებული ვარ... მე როგორ მიმალავ რამეს, მაშინ როდესაც მე ისე მიყვარხარ?... შენ ღმერთ[ს] მადლობა უნდა მისცე, რომ მე ყველაფერი შევიტყვე, თორემ, ღმერთმან იცის, რითი გათავდებოდა ეს ამბავი!... მე ისე ბავშვი არა ვარ, როგორც შენ და მასთან გამოცდილებაც შენზედ მეტი მაქვს. ო, ქმრიანობა ბევრს რაშიმე გამოცდის ქალსა!... ამისათვის მე გირჩევ, ჩემთან უფრო გულ-გაშლილათ მოიქცე, თორემ მარტო შენ ვერაფერს ვერ მოახერხებ.

**ნინ**. მე როდის რა დამიმალამს შენთვის?

**მარ**. რა ვიცი? აბა, შენ თითონ ჩაფიქრდი შენს გულში და ისე თქვი... ერთი სიტყვით შენ იცოდე, რომ მე შენი მხარე მიჭირამს და ყოველდროს ჩემი იმედი უნდა გქონდეს.

**ნინ**. იქნება მართლა?... (ჰკოცნის) რა კეთილი რამა ხარ, მარი!

**მარ**. მხოლოთ იმ პირობით კი, რომ ჩემგან იოტის ოდენიც დამალული არა გქონდეს რა.

**ნინ**. შენ როგორღა რასმე დაგიმალავ, მარი!...

**მარ**. მაშ, დროს ნუღარა ვკარგამთ და ეხლავე საქმეს შეუდგეთ. (დაჯდება) დაიცადე, ჯერ ყველაზედ წინ ის გამაგებინეთ, ნამდვილათ გიყვარსთ ერთმანეთი?

**ნინ**. მაგას რაღა კითხვა უნდა.

**მარ**. იქნება ეგ მარტო ისე... ცელქობა არის და...

**ნინ**. რას ამბობ, რასა, მარი!?

**მარ**. შენ დარწმუნებული ხარ მაგაში?

**ნინ**. სრულებით.

**მარ**. ეს საქმე გათავდა... ახლა გადავიდეთ მეორეზედ. უეჭველია, შენ იცი, რომ მამა შენს თავისი ანგარიშები აქვს შენს გათხოვებაზედ.

**ნინ**. საუბედუროთ, ვიცი... იმას ერთხელ კი არ ულაპარაკნია ჩემთან მაგ საგანზედ.

**მარ**. მაშ, რას აპირებ?

**ნინ**. ღმერთმანი, მე თითონაც არ ვიცი...

**მარ**. მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ერთი საშვალობაღა არის დარჩენილი, უნდა რომელიმე ეშმაკობა მოვიხმაროთ!

**ნინ**. ეშმაკობა?...

**მარ**. უეჭველათ, სხვა გზა არა გვაქვს!... იქნება ჩვენმა ეშმაკობამ ამ ჟამათ შენი ქორწილი ვერ მოახერხოს გიორგისთან, მაგრამ იმაზედ კი სიტყვას გაძლევ, რომ იმ კაცთანაც არ მოგიხდება, რომელსაც ისე მოუთმენლათ მოელის ჩემი ძმა.

**ნინ**. შენა გგონია?

**მარ**. ნახამ... აი რაშია საქმე: გუშინდელმა მამი შენის ლაპარაკმა მე გამომიაშკარა, რომ იმას შეუმჩნევია გიორგისათვის შენთან არშიყობა.

**ნინ**. იქნება მართლა?

**მარ**. და როგორც მე შევამჩნივე, ის დიდი მოხარული იქნებოდა, უკეთუ გიორგი სრულებითაც მოსპობდა ჩვენთან სიარულს, მგონია, რომ ის კიდეც მოემზადა, გიორგი სახლიდგან დაითხოვოს.

**ნინ**. რას მეუბნები, მარი!?..

**მარ**. გარწმუნებ!... მხოლოთ ჩვენ ის უნდა მოვახერხოთ, რომ ეგ არ მოხდეს... ეგ შეიძლება მხოლოთ ერთ რიგათ მოხერხდეს: ის უნდა დავარწმუნოთ, რომ შენ ვითომ სულაც არ უყვარხარ... გესმის?

**ნინ**. მესმის, მაგრამ ეგ როგორ უნდა მოვახერხოთ?

**მარ**. ეგ მე მომანდვე და დარწმუნებული [იყავ], ყველას სასიამოვნოთ მოვახერხებ. მამა შენი დამშვიდდება, შენ გიორგისთან ისევ ისე იქნები, როგორც აქამდინ; იმასთან ისეირნებ, დახატამ, იხუმრებ და მერე... მერე თითონ დრო დაგვანახვებს, როგორ უნდა მოვიქცეთ.

## გამოსვლა II

ივინივე და ივანიკა.

**ივანიკა**. (იდუმალობით) ექიმ ბაში გეახლათ.

**მარ**. ჰა, ჰა, ჰა! ძაღლი ხსენებაზედ!... სთხოვე, ჩქარა მობრძანდეს.

**ივანიკა**. აჰ! აქანა?!...

**მარ**. სწორეთ გამოყეყეჩებული ინდაური ხარ!... რასაკვირველია, აქა.

**ივანიკა**. ნუ მიზამთ მაგას, შენ თავს ვენაცვალე!.. თვარამ შემიტყობს ბატონი და წავხდი კაკალი კაცი!

**მარ**. რასა ყბედობ, ნეტავ ვიცოდე, გეუბნებიან, წადი, სთხოვე.

**ივანიკა**. ა ბატონო, გიახლები...მარამ თუ ბატონმა გამიგო, ჩიტივით გამბდღვნის, ჩიტივით!

**მარ**. წადი, ნუ გეშინიან...

**ივანიკა**. (მიდის, ისევ მობრუნდება) რავაა, ქალბატონ, ერთხელ სიტყვას თავისუფლად არაფერს მათქმევიებ, მე უბადრუკს.

**მარ**. (შეტევით) წახვალ თუ არა?

**ივანიკა**. კი, ჭირი მოგპარე, კი! რავა არ წავალ?... მარამ რავარც ლაპარიკის ქეიფი მამივა, მაშინ ერთს ისეთს დამქროლებ, რომ სულ გადამავიწყდება, რაც უნდა მეთქვა...

**მარ**. რას გადავეკიდე ამას? მეტი ღონე არ არის, წავალ, ჩემს ძმას ვეტყვი!...

**ივანიკა**. კი, მივდივარ, კი!... (მიდის) რავა დაკუნტრუშდება ხოლმე, დედა, დედა! (გადის)

**ნინ**. (ეხვევა მარის ყელზედ) ახლა რომ მართლა მამამ მოგვასწროს!

**მარ**. რა უჭირს? [თ]ქვენ ხომ მარტვო არა ხართ, მეც თქვენთან ვარ... მარამ ის მაინც ახლა არ გამოვა, რადგან მოურავთან რაცხა საქმეებზედ ლაპარაკობენ.

## გამოსვლა III

ივინივე და მიოურგი.

**გიო**. დილა მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო! (ჰკოცნის ნინოს ხელზედ)

**ნინ**. დილა მშვიდობისთ, გიორგი.

**გიო**. აბა... როგორ მიდის ჩვენი საქმეები?

**მარ**. მე კი დაგავიწყდით, გიორგი?... თქვენ ყურადღების ღირსათაც არა მხდით?... მიფრთხილდით, არ ინანოთ.

**გიო**. ახ! უკაცრავათ!... მაპატივეთ, ღვთის გულისათვის!... გარწმუნებთ, რომ...

**მარ**. კმარათ, კმარათ თავის გამართლება, არ გეწყინებათ...მე და ნინო ეს არის, ეხლა თქვენზედ ვლაპარაკობდით.

**გიო**. ჩემზედ?... დიდი სასიამოვნოა!

**მარ**. ჩვენი ლაპარაკის შინა არსი რომ გაიგოთ, არა მგონია, ეგრე რიგა გაგიხარდესთ... არა, ნინო? (იცინის)

**გიო**. ნუ მაშინებთ, ღვთის გულისათვის!... ჩქარა მითხარით!

**მარ**. რა მშიშარა ყოფილა!.. ხა, ხა, ხა!... მაგრამ დამშვიდდით, საქმე კიდევ გასწორდება. ჩვენ აქა ვლაპარაკობდით იმაზედ, რომ ერთს დღეს ჩემს ძმას მოეფიქრა, თქვენი სახლიდგან დათხოვნა, მაშინ რას იტყვით?

**გიო**. ეგ რაღა სათქმელია?... რისთვის?

**მარ**. რისთვის? მე მგონი, თქვენთვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს!

**გიო**. რა დანაშაულებისთვის?!...

**მარ**. მაშ, თუ ის გეგონათ, რომ ნინოსთან ტრფიალი ისე დაგრჩებოდათ?

**გიო**. (ენა ებმის) მე... ნინოსთან... ტრფიალი...

**მარ**. კარგია, გადაირიეთ... ჩემი ძმა, მართალია, გიპირებსთ სახლიდგან დათხოვნას, მაგრამ...

**გიო**. მაგრამ რა?

**მარ**. მაგრამ ისა, რომ შეიძლება ჩვენ სხვა რიგათ მოვახერხოთ... მხოლოთ მაგისთვის თქვენი თანაგრძნობაც არის საჭირო.

**გიო**. ახ!... მარი!... მე რა კითხვა მინდა!.. მიბძანეთ და ასრულება ჩემს თავზედ იყოს... მე ჩემი მომავალი, ჩემი ბედნიერებაი თქვენთვის მომინდვია.

**მარ**. მგონი კარგადაც გინებებიათ...არა, ნინო?

**ნინ**. ახ! მარი!.. მაგრამ რა ლაპარაკი უნდა?

**მარ**. მაგრამ თქვენის მხრიდგანაც მეჭირვება შემწეობა.

**გიო**. აკი მოგახსენებთ, თქვენს ბძანებაზედ, თქვენი ყურ მოჭრილი ყმა ვარ.

**მარ**. ნინომ ყოველი ღონის ძიება უნდა მოიხმაროს, რომ როდესაც ის სტუმარი მოვა, იმას თავისი თავი სრულიათ შეაძულოს.

**ნინ**. ჩემი სანატრელიც ეს არის!

**მარ**. თქვენც? (დაფიქრდება) თქვენ მე ისეთს როლს მოგცემთ, რომ შემდეგში მადლობელი გამიხდებით. (იცინის) ხა, ხა, ხა!... ხუმრობა გაშვებით... თქვენ უნდა მე შემიყვაროთ.

**გიო**. (ენა ებმის) რ..რ..რ..როგორ?.. რა ბრძანეთ?

**ნინ**. რას ამბობ, მარი!?

**მარ**. ჰა, ჰა, ჰა! როგორ შეეშინდათ და? გიორგი, თქვენც ვერ მიხვდით ჩემს აზრს?

**გიო**. (გახარებით) მოითმინეთ, მოითმინეთ!... მგონია, მივხვდი: მე უნდა მოვეჩვენო თქვენს ძმას თქვენში შეყვარებული, არა?...

**მარ**. ნამდვილათ.

**ნინ**. მეც თანახმა ვარ, თუ ეგ მარტო ხუმრობა იქნება...

**მარ**. ამას უყურეთ ერთი და!.. ეხლავე ეჭვიანობას არ მოჰყვა?... ჰა, ჰა, ჰა! (ჩუმათ ნინოს) ნუ გეშინიან, მე არ შეგეცილები. (იმას) გიორგი, მე გირჩევთ, უბრალოდ დროს ნუ ჰკარგავთ, ეხლავე წადით ჩემი ძმის ოთახში და ჩემი ხელი სთხოვეთ.

**გიო**. როგორ?... ასე ჩქარა?... ეხლა?...

**მარ**. რასაკვირველია! გვიანობა არ შეიძლება!... მაგის გარდა ნუ დაგავიწყდებათ: ყოველი სიტყვა, ყოველი ქცევა, რომლითაც შეყვარებულმა თავი უნდა გამოიჩინოს... თავის დროზედ თვალები მოლულეთ, თავის დროზედ ამოიოხრეთ, გატაცებით ილაპარაკეთ და ბოლოს გაათავეთ სიტყვებით: რომ თუ ჩემი ძმისაგან თქვენთვის საუბედურო უარს გაიგონებთ, მაშინ მარტო თავის მოკვლის მეტი წამალი აღარა გაქვსთ...ესენი კარგათ დაისწავლეთ... არა დაგავიწყდესთ რა... გესმისთ?

**გიო**. სმენით კი მესმის, მაგრამ... ჩვენი პლანები რომ ვერ მოხერხდეს და ის-კი გადამეკიდოს: ჩემს დას ხელი სთხოვეო და უნდა შეირთოო, მემრე?

**მარ**. (უყურებს იმას) მემრე რა?... დავიწეროთ ჯვარი და ცოლ-ქმარი შევიქნეთ.

**გიო**. მოითმინეთ, მოითმინეთ!... რას ამბობთ?... ეგ როგორ შეიძლება?

**ნინ**. ნეტავი კი მაშინ!

**მარ**. ჰა, ჰა, ჰა, ჰა! აი, სასაცინლო ხალხი!... კმარა ხუმრობა! თუ გინდათ ისარგებლოთ ამ აზრით, ნუღარა გვიანობთ და გამობძანდით... თუ არა და, ყველაფერს თავი დავანებოთ.

**გიო**. (შეშინებით) არა, არა, მარი! ღვთის გულისათვის, ოღონდაც თქვენ თავს ნუ დაგვანებებთ და ყოველ თქვენს ბრძანებას დაუყოვნებლივ ავასრულებთ... მაგრამ იმას კი მაინც ვიტყვი, რომ მაგგვარი ქცევა საფრთხილო არის.

**მარ**. (შეხედამს ერთბაშათ) რა!... თქვენ ჯერ კიდევ არ წასულხართ?!

**გიო**. ახ! უკაცრავათ! გიახლებით, გიახლებით! (მიდის კარებამდინ და დაბრუნდება უკან) დამლოცეთ ამ საშინელს საქმეში (ორივეს ხელზედ ჰკოცნის და გადის)

## გამოსვლა IV

### მარი და ნინო

**მარ**. ეხლა ის მოვიფიქროთ, როგორ უფრო ხერხიანათ უკან გავისტუმროთ ქალაქელი სასიძო.

**ნინ**. მე იმაზედ ფიქრიც არ მინდა.

**მარ**. როდესაც-კი იმ შეჩვენებულზედ ყველაზედ მომეტებული საკვირველია!.. აბა, მითხარ, მამამ რა გიამბო იმისი?

**ნინ**. მე მაშინ ისე რიგათ დავიფანტე შიშისაგან, რომ თითქმის ვერაფერი ვერ გავიგე, რას მელაპარაკებოდა... ერთი ის მახსოვს, რომ ის თურმე ხანში შესული კაცია, მამი ჩემის ხნისა... იცი, მე როგორა მყავს ის წარმოდგენილი?... ტან დაბალი, ვიწრო შუბლი, მოკაკული, [ლოყებ] და ტუჩებ ჩამოცვენილი, რომლებზედაც დორბლები ჩამოსდის. (სიზიზღით) ფოჰ!

**მარ**. იქნება ფერ უმარულს წასმულიც არის?

**ნინ**. გძელის ჩოტლაყა ხელებით...

**მარ**. ელამი.

**ნინ**. რაც უნდა მიყოს მამა ჩემმა, მე იმაზედ არ გავთხოვდები, არა და არა!

**მარ**. მაგრამ ძალიან მდიდარი კი არის თურმე!

**ნინ**. რა თავში ვიხლი იმის სიმდიდრეს, თუ თითონ არ ევარგება?!

**მარ**. მართალს ამბობ, მე რომ შენს ადგილას ვიყვე, მეც ეგრე მოვიქცეოდი.

## გამოსვლა V

### ივინოვე, ივანე და ვიორგი.

**ივანე**. (შემოდის გიორგისთან ხელ გადახვეული) არა და, რას წარმოვიდგენდი! საკვირველია, მამი შენის მზემ!... არა ვეჟო, ეგრე როგორ მოახერხე, რომ ერთმა კაცმა ვერ შეგიტყო?!.. მერე ასე ჩქარა!? ღმერთო, შენ დამიფარე! (იწერს პირჯვარს) ყოჩაღ, ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა... მე კი მეგონა, რომ...

**გიო**. რა გეგონა?

**ივანე**. ისა რომ... მარამ არაფერი... ერთი სიტყვით, მარა-ქალია!.. მაგის მეტი აღარა მეთქმის რა! (დაინახამს ქალებს) ოჰ! თქვენც აქ ყოფილხართ!...

ბაბხადუნუმ, ჩემო დავ! ბაბხადუნუმ, მე და ჩემმა ღმერთმა!... აბა, ერთი აქ მოდი, (ჩუმათ) მე არ მეგონა, რომ ეგეთი გამოცდილი, ყოჩაღი ქვრივი მყევხარ! კარგი მონადირე ყოფილხარ, კარგი მე და ჩემმა ღმერთმა, მომილოცამს!

**მარ**. (მორცხვობით) ველარ მოითმინა განა? ყველაფერი გიამბოთ?

**ივანე**. დაწვრილებით!... ღმერთმა გაგაბედნიეროსთ, გიყვარდესთ ერთმანეთი...

**მარ**. ვანო, შენ ხომ წინააღმდეგი არა ხარ ჩემი?

**ივანე**. რას ამბობ?... არა, არა!... უკეთეს სასიძოსა სად ვიშოვნიდი?... დიდი მოხარული ვარ.

**გიო**. არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა...

**ივანე**. თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს მაგეებს... მადლობა რა საჭირო არის? რა ცერემონია გვინდა... აბა, ახლა მოეხვიენით, აკოცეთ ერთმანეთს... აბა?... ჩქარა, ჰო!

**გიო**. ( შებორკილდება) ვ..ვ..ვისა?

**ივანე**. რა სასაცილო ხარ და... ჰა,ჰა,ჰა! რასაკვირველია, შენს სიცოცხლეს... ჰა, გულადათ.

**გიო**. როგორ იქნება!... აქა... სუყველასთან!

**მარ**. (თავისთვის) ეგ შემთხვევა ველარ მოვიფიქრეთ!

**ივანე**. კარგია ვეჟო, მორჩი და!... ერთხელ, ორჯერ და გათავდა!...

**გიო**. უკეთუ თქვენ უეჭველათა გნებავსთ!... (მიდის მარისთან და ჰკოცნის)

**ნინ**. (ჩუმად) შენა კი! არც ეგრე ტკბილათ.

**ივანე**. მამილოცამს, მომილოცამს, ახლა მოდით, მე მაკოცეთ. (ჰკოცნის) აბა, ახლა, ნინო, შენც აკოცე.

**გიო**. დიდი სიამოვნებით.(ჩაჰპროშტამს)კეთილი მამა გვეყოლება!

**ივანე**. დაიცა, დაიცა, შესდექ! სად იპოვნე მამა? ჰა?...იქნება მე მარის მამად მიგაჩნივარ?

**გიო**. ახ, უკაცრავათ, უკაცრავათ, ჩემო ცოლის ძმავ!

**ივანე**. აი, ეხლა მამწონხარ, ბაბხადუნუმ, ყოჩაღ!... თორემ იცი... (უჩვენებს ხელით კისტს) კინაღამ ესე... ო, მამაშენის მზემ! კინაღამ... ერთი ბეწო გაწყდა!... ვეჟო, რაზედ დავკარგამდი ეგეთ სასიძოს?... (გაჰკრამს ხელებს და იცინის) ეხლა კიდევ ღმერთმა ერთმანეთს ტკბილათ შეგაბეროსთ.

**მარ**. მადლობელი ვარ, ივანე, იმედი მაქვს ბედნიერები ვიქნებით. განა გიორგი?

**გიო**. (უყურებს გატაცებით ნინოს) რა? ჰო! დიახ, დიახ!... უეჭველათ.

**მარ**. (ძმას) შენ ვერ წარმოიდგენ, რა რიგათ უყვარვარ... აი, ეხლაც ისე

დაჰფანტა ამ მოულოდნელმა ბედნიერებამ, რომ აღარ იცის, რა ჰქნას და რა თქვას... (გიორგის) არა, გიორგი?

**გიო**. ვგიჟდები სწორეთ!

**მარ**. მეც წარმოთქმა არ შემიძლიან, რა რიგათ მიყვარს ! (ხელს ავლებს და განაზებით) ჩემო გიორგი. (ჩუმათ) რას გამოყეყეჩებულხართ და ისე დგეხართ, ერთი ბეწო მიალერსეთ.

**გიო**. (გაფანტვით) რა არის... იყავით ცოტა ალერსით... (ჰკოცნის).

**ივანე**. ვაიმე, ვაიმე!... ქალო, სულ გადაგირევია ეგ ყმაწვილი, შენმა მზემ! რას ემართლებოდი, ერთი მითხარ? საწყალს თითონაც ვეღარ გაუგია, რასა ლაპარაკობს!... არა, სასაცილოა და!.. ო, მამაშენის მზემ, (ქალს) შენ რაღა შეჰყურებ ეგრე, მუშტრის თვალით... ნუ გეშინიან, შენც ჩქარა იქნები მაგ დღეში... ღმერთო, შენის იმედით. (იწერს პირჯვარს)

**ნინ**. მე, მამა?... სულაც არა!... რა მომიგონე.

**ივანე**. (უალერსებს) ხვალ, ხვალ შენც მაგ დღეში იქნები.

**გიო**. იქნებ მართლა?... ეგრე რა გაჩქარებსთ?

**მარ**. (მკლავსა სწევს) რამ გაგაგიჟათ! ნუ გეშინიანთ!

**ივანე**. რამწამს მოვა! ჩვენ ჩქარა გადავჩალამთ, ნუ გეშინიათ! ხომ იცი ჩემი ხასიათი?.. ერთი, ორი და საქმე მზა იქნება. მე საქმის გაგძელება არ მიყვარს... მე [საჩაროთ, ვოენურათ!...] უნდა იცოდე, ნუცა, და... რა მდიდარია შენი საქმრო?... რა ბედნიერი იქ[ნ]ები იმის ხელში და? ის საცაა უნდა მოვიდეს,... აბა, ვინძლო სიყვარულიანათ მიიღო... კარგათ გაუარშიყდეთ, გაუცინო, თვალები მოულულო, ერთის სიტყვით, ქალებს მაგაში სწავლა არ გეჭირვებათ.... მერე ერთს დღეს მოვახერხოთ მარის და შენი ქორწილი?

**გიო**. დიახ, ეგ ერთი ჩემი გულითადი წადილი გახლავსთ.

**ივანე**. ორი ქორწილი ერთათ! ჰა?... ჩინებული აზრია, მამიშენის მზემ! (მოისმის ზარის ხმა) დაიცადეთ... გესმისთ? თითქოს ზარის ხმა არის,

**გიო**. მართლა, ნამდვილად. (მიდის ფანჯარასთან) მოდის, მოდის... ტარანტასით არის.

**ივანე**. მართლა? (მიდის) ის არის, ისა?... აი, აი, აი... როგორ ერთბაშად წამოაბრუნა ცხენები... ჩასაჯომა კინაღამ გადააბრუნა.

**გიო**. (თავისთვის) ცუდს არ იზამდა, თუ კისერსაც მოიტეხამდა.

**ივანე**. აბა, მოემზადენით მისაღებათ... ვინძლო ყოჩაღათ!... მე კი წავალ, მივეგებები. (გადის და კარებში ივანიკა შეეფეთქება)

## მამოსვლა VI

### ივინივე და ივანიკა.

**ივანიკა**. მოდის, მოდის!

**ივანე**. მოდის შენდა და კისრის მტვრევა.

**ივანიკა**. რავას მიწყრები, ბატონო! თუ კი მოდის? მე ვთქვი, ერთი ავარდები, მივახარებ ბატონს და დამასაჩუქრებს მეთქი და თქვენ დამასაჩუქრეთ კი არა...

**ივანე**. გამირბიხარ გიჟსავით... წინ ხომ აღარ დაიხედამ... ჩვენ კი ვერა ვხედავთ, რომ მოდის?... აბა, ჩემო დავ, ვინძლოთ, მასახელოთ!... აჩვენოთ, რომ ჩვენც ხალხი ვართ და ცხოვრება ვიცით. (საჩქაროთ გადის)

**გიო**. ნება მიბოძეთ, მეც წავიდე, ცოტა გავიარო. ნახვამდინ... მეც ჩქარა დავბრუნდები (გადის)

**ნინ**. (მარის) შენ გენაცვალე, ჩვენც წავიდეთ.

**მარ**. რაია?... მე წარმოუთქმელათ მინდოდა იმისი გაცნობამდინ ნახვა.

**ნინ**. რისთვის?... რა საჭიროა?

**მარ**. ისე დაიცა, კარების ჭუჭრუტანიდგან შევიხედამ... მართალია, ეგ ის ხერხიანი არის, მაგრამ რა უყოთ. (მიდიან)

**ივანიკა**. სა მიბძანდებით, აღამ არ თქვა, რომ აქანა ბძანდებოდითო და სტუმარი მიიღეთო?

**მარ**. განა შენ ვერ მიიღებ?... დროს გატარებინება კარგი იცი და სხვა რაღა გინდა? (გადიან სიცილით)

## მამოსვლა VII

### ივანიკა მარტო.

**ივანიკა**: (მიაჩერდება) ვაი თქვენ და თქვენს ხითხითს! თქვე უბედურებო, თქვენა! რას ხითხითებთ, რას ხითხითებთ? მე მიგდებენ მასხარათ? გგონიათ ვერ მოგალხინოთ თუ?... მისთანა ჭიკჭიკს მოვყვები, მასთანას, რომ თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემ თავს, როგორც მერცხალი... ა, ეგენი კი მასხარათ მიგდებენ!... თავათ ღუბელნატორს რომ შევხვდე, იმასაც კი მოვალხენ, თვარამ...

## მამოსავლა VIII

### ივანე, ვასილი და ივანიკა.

**ივანე**. ასე, ასე მობძანდი, მადლობელი ვარ, რომ სიტყვა აასრულეთ და მოხვედი. აბა ერთი, კარგად გაგშინჯო! (უყურებს) შენ ისევ ისეთი ყოჩაღი ყოფილხარ. (იყურება აქეთ იქით) ისინი რაღა იქნენ? შერცხვენიათ, გაქცეულან... მაგრამ ორივე ერთია. (იმას) იცოდე, პირობა რჯულთუმტკიცესია!... დღეის იქით ჩემი სახლი და რაც აქ მოგეწონოს, შენს საკუთრებად უნდა უყურო...

**ვას**. მადლობელი ვარ, ჩემო ივანე!... მე ყოველთვის შენი იმედი მქონდა... კაცს თუ ჰყავდეს მეგობარი, შენისთანა უნდა იყოს, აი!

**ივანე**. კაცო! უცხო ხომ არა ხარ? აი, ემუდენეები ერთათ გავიზარდენით! შენ თითონაც ხომ იცი, რომ მე ჩემი ალალი ძმა არ მიყვარს შენსავით; ო, შენმა მზემ! ივანიკო! წადი, კნიაზის ბარგი ამოალაგე და პირდაპირ ჩემ ოთახში შეიტანე, კაბინეთის გვერდით, ჩქარა.

**ივანიკა**. კი, ბატონო, ამ საათში...

**ივანე**. ნულარ ყბედობ, გასწი და.

**ივანიკა**. მხოლოთ მე ნაბძანები მაქს...

**ივანე**. (წააბრუნებს) გეუბნებიან, დაიკარგე.

**ივანიკა**. (მიდის) აჰა, მოდი და მიიღე სტუმარი? დევიკარგო, რავა, სა დევიკარგო? (გადის)

**ივანე**. ახლა მარტო ჩვენ დავრჩით, ვასო! მოდი ერთს კიდევ გაკოცებ. (ჰკოცნის რამდენჯერმე) ძლივს არ გვაღირსა ღმერთმა კიდევ ერთმანეთის ნახვა?! ეხლა აღარ გავეყრებით, განა აღარა?

**ვას**. მეც დიდი მოხარული ვარ ამ შემთხვევისა... ხუმრობა ხომ არ არის, თუთხმეტი წლის უნახაობა.

**ივანე**. დრო შეუნიშნავათ მირბის, თორემ მე ისე მგონია, თითქოს გუშინ გნახე მეთქი, რა მომდის, ღმერთო!... მეტის სიხარულით ყველაფერი გადამავიწყდა... დაჯექ მაინც, დაისვენე, თორემ, მგონი, ორი სამი დღე ველარ გამოდგე! ამ ჩვენს გზებზედ ჩახჩახის შემდეგ კაცს ერთი კვირა მაინც უნდა დასვენება... რასა იქ, ბატონო? ინჟინერები სულ იმას ჩივიან, რომ ცოტა ფულს აძლევენ გზების საკეთებლათ.

**ვას**. ძალიან არ დავღალულვარ და არც გზებია ისე ცუდები, როგორც სხვა ადგილებში.

**ივანე**. (თავისთვის) სად ჯანაბაში გაცვინდნენ ის ქალები? (იყურება აქეთ იქით)

**ვას**. მოელი ვისმე, თუ რა არის, რომ სულ [კარებისაკენ] გიჭერია თვალი?

**ივანე**. არა ვის მოველი, მხოლოთ მე მინდოდა ჩემ ქალთან გამეცვნე; შენ ხომ გახსოვს, ესეთი პაწაწუნა იყო მაშინ.

**ვას**. როგორ არ მახსოვს, რამდენჯერ ხელში მჭირებია, მაშინ სამი წლისა, მეტისა არ იქნებოდა.

**ივანე**. ეხლა ველარც კი იცნობ.

**ვას**. რასაკვირველია!... [ვეება] ქალი შეიქნებოდა.

**ივანე**. და მასთან როგორი დაშვენდა, ვასო! არ შეგიძლიან წარმოიდგინო... ისეთი ჭკუიანი, აღკრძალული... გულკეთილობა ხომ რაღა გითხრა!... გიამება, რომ ნახო!... ისეთი ნასწავლიც არის.

**ვას**. მჯერა, მჯერა!... მახსოვს ძმავ, პაწაწინა დაცუნცუნებდა ხოლმე, მაშინვე ჩინებული ბავშვი იყო.

**ივანე**. იმისი ტიტინი... ოჰ, ჰო, ჰო! მაგრამ მაშინ რა? ეხლა უნდა ნახო. გაგიკვირდება! ისეთი ქცევის არის... ეხლა გაიზარდა, გაიფურჩქნა, მერე რა რიგათა ხატამს, რა რიგათ უკრამს ფორტოპიანს... სიმღერას ხომ ყურს ველარ მოაშორებს კაცი. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) მოგივიდა ჩემი უკანასკნელი წიგნი?... ხო კარგათ გაადევნე გონება?

**ვას**. როგორ არა... მე იმაზედ კარგა დაწვრილებული პასუხიც მოგწერე. არ მიგიღია?

**ივანე**. როგორ არა, როგორ არა... მივიღე. (შეჰყურებს სიხარულით) შენ ისეთი გულკეთილი მყევხართ, ისეთი მეგობარი... ეჰ, მაგაზედ რაღა ვილაპარაკოთ! მომეხვიე. (ეხვევიან და კოცნიან)

**ვას**. მხოლოთ პირობა სჯულ[ზე] უმტკიცესიაო, ნუ დაგავიწყდება, რომ უკეთუ ჩვენ ერთმანეთი არ მოგვეწონა...

**ივანე**. მოგეწონებათ, მოგეწონებათ, შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს... და ვის არ მოწონებია შენისთანა შავარდენის მსგავსი ვაჟკაცი?...

**ვას**. იმედი მაქვს, რომ შენ იმის ძალის დატანებას არ დაუწყებ.

**ივანე**. მე?... ძალა დავატანო?... განა ვინა გგონივარ?... მე თქვენი ბედნიერება და სიამოვნება მინდა, ვასო.

**ვას**. ახლა რასა იქ, სხვა რომ ვინ უყვარდეს?

**ივანე**. ვისა?... ჩემ ქალს?... რა აზრები გაქვს, ვასო?... ვისა ხედამს... ამ სიყრუეში?...

**ვას**. დამიჯერე, თუ სიყვარული მოუნდა, ამ დრომ მოიტანა, სოფელშიაც იპოვოს.

**ივანე**. (წამოვარდება) გლეხი ხომ ვერ შეუყვარდებოდა და სხვა კი არავინ არის აქა?... ჩვენი ივანიკა თუ?

**ვას**. შენ კი ნუ ჯავრობ, დამშვიდდი და ყური დამიგდე: ქმრათ ხომ მე უნდა გავხდე? განა? მაშ ნუ დაგავიწყდება, რომ კარგა მოფიქრებაც მე მინდა...

**ივანე**. მეც ქართული ენით გეუბნები, რომ ეგ შეუძლებელი არის! იმას უყვარდეს ვინმე და მე... მე კი არ ვიცი, მთელი ქვეყანა რომ სანთლით მოიარო, მაგისთანა მშვიდსა და წყნარს ქალს ვერ იპოვი!... მაგრამ რა გელაპარაკო, წავედით, გაგაცნობ და თითონ დარწმუნდი. (მიჰყავს ხელ მოკიდებული)

**ვას**. დაიცა, სად მივალთ?

**ივანე**. იმის ოთახში.

**ვას**. ამ ტანისამოსით?... რას ამბობთ?

**ივანე**. მაშ რა გინდა?... ჩინებულათა ხარ, მამიშენის მზემ.

**ვას**. არა, დაიცადე, პირს დავიბან, ტანისამოსს გამოვიცვლი და ისე, ნამეტნავათ უფრო იმიტომ, რომ საცოლესთან მივდივარ.

**ივანე**. აი, შე ეშმაკო, შენა!... აბა, თუ იოტის ოდენათ გამოცვლილა!... უწინაც უფერჩათკოთ, თუ არ წმინდათ ჩაცმული, გაკოპწიავებული, გარეთ ფეხს არ გადასდგამდა.

**ვას**. მაგაში უწინ შენც არ ჩამომივარდებოდი ხოლმე.

**ივანე**. მართალია, მართალი... ორნივ რიგზედ ვკოხტაობდი[ო].

**ვას**. ორნივ კი არა, შენა კოხტაობდი.

**ივანე**. რა შვილია?!... გახსოვს, ერთხელ რომ მორთულიყავ და მობძანდი... რა ვქნა?... ჰო! [Мнт რენიესთან].

**ვას**. მახსოვს, მხოლოთ შენ ის დაგვიწყებიათ, რომ შენს საძებნელათ მოვედი იქა.

**ივანე**. ისა?... ცირკში რომ თამაშობდა? გახსოვს? ჭავჭავაძის გოსტინიცაში რომ იდგა?... აი, ნამდვილი ლამაზი ის იყო!

**ვას**. ჰო! არა უჭირდა რა.

**ივანე**. ისა?... სუდის სეკრატარის ცოლი?.. ქმარი გახსოვს, შეშებსაც ეზიდებოდა... ისეთი მორყვნილი პირი ჰქონდა, რომ ცოლი სირცხვილით იწოდა იმის ცინიკური ლაპარაკისაგან... ერთხელ სუდიდგან საქმეც არ მოეპარა?

**ვას**. ჰო, მახსოვს, რა იყო?

**ივანე**. ის როგორიღა იყო?

**ვას**. კარგი... მხოლოთ შენ უბრალოთ დაიწყე იმათი მოგონება, მგონია, ხვალამდინ ვერ გაათავო.

**ივანე**. მხიარული დრო იყო მაშინ, ვასო!... ეჰ, ჰე, ჰე! დავბერდით და დავჩაჩანაკდით, წვერი გაგვიხდა ჭაღარა, შინ ჯალაბთ მოვძულებივართ, გარეთ უნდივართ აღარა.

**ვას**. რას ამბობ, ივანე?!.. მე ცხოვრებაში მხოლოდ ეხლა შევდივარ და შენ კი რეებს ამბობ.

**ივანე**. (აჩაქარებით) შენ... შენზედ ხომ არ ვამბობ, მე ისე... ჩემზედა ვსთქვი... რაკი არ დაგიშლია, მაშ წავიდეთ და ჩაიცვი... (ხელი ხელს გადახვეულები გადიან)

## ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲕᲐ IX

### ᲛᲐᲠᲘ, ᲛᲔᲠᲛᲝ ᲘᲕᲐᲜᲘᲙᲐ.

**მარ**. (გამოყოფს თავს) წავიდნენ! (შემოდის) სულაც არ ყოფილა ისეთი ბებერი და მახინჯი, როგორც მე და ნინომ წარმოვიდგინეთ, ნეტავი კი, ვიცოდე, რაზედა ლაპარაკობდნენ და სხვა არა მინდოდა რა. უთუოთ ძალიან სასაცინლო იყო რამე, თორემ თუ არ იცინებდნენ? რისთვის გავიდნენ აქიდგან, პატიოსნათ კარებიდგან უყურებდი. (მიდის, კარების ნახვრეტში უნდა შეიხედოს, ამ დროს კარი შემოეღება და ივანიკა შემოვა, მარის სტუმარი ჰგონია). ვაიმე! აქ მოდის... (თვალებ დაშვებული მდაბლათ თავს უკრამს, დაინახავს) შენა ყოფილხარ, ივანიკო?

**ივანიკა**. ჰო, ბატონო.

**მარ**. იქ იყავ?

**ივანიკა**. სა, ბატონო?

**მარ**. სტუმართან.

**ივანიკა**. ჰო, ბატონო... ბარგს ვალაგებდი... დეეფსოს სახლო და კარი მისანა გადლიგინებული ჩამადანია თუ რაცხა, მისი ამოგდება, ჰქონია ამდენაა ა, (გაშლის ხელებს) რომ ცხენის ახვირს გავს და კიღამ წელი მამწყვიტა იმ ამოსაგდების საქონელმა.

**მარ**. ისინი რაღას აკეთებენ?

**ივანიკა**. მათ ამოგდებას: სტუმარი პატარძალივით იპრანჭება, ბატონი იძახის, კახური მოიტანე, კახურიო... (გასვლას აპირებს)

**მარ**. დაიცა, ივანიკო, სად მიხვალ? ჩვენი სტუმარი როგორია?

**ივანიკა**. შენი თავი ნუ მამიკვდება, მშვენიერი გახამს, მშვენიერი, მისთანა

გასივებული კისერი აქის, მაისის ბუღას გავს (აპირებს გასვლას.)

**მარ**. (არ უშვებს.) ერთი ეს მითხარი, ჩემო ივანიკო, სახით როგორ მოგეწონა?

**ივანიკა**. რავარი ბატონოდა, წელში[ წკნელივით] არის მოსხვერტილი, მხარ ბეჭი, ვაი დაგემართოსთ, ვაი იმას ჰქონდეს, ლომივით აქ, პირის სახე მასკვლავს უგავს, ერთი სიტყვით, მე მგავს, მე აქ მიყურეთ. (ივანიკა გეიჭიმება)

**მარ**. (იცინის) ვაი მოუა შენს თავს, ვაი ის რამ ყოფილა!

**ივანიკა**. ვაი დამემართოს, მართლა ვაი ის იყოს, თვალები შევარდენსავით გადმოცვენაზედ აქ, ისე ბრაზავს.

**მარ**. როგორი თვალები აქვს?

**ივანიკა**. თვალები?... თვალები?... კიდო არ გამიშინჯავს, ქალბატონო.

**მარ**. კარგი, ეხლა კი წადი!

**ივანიკა**. მეტი საქმე აღარ მაქ ახლა, თუ გინდა, ქალბატონო, წავაშვერ ენას და სულ საღამომდი ბატივით გეყაყანები.

**მარ**. არა, საჭირო არ არის,... წადი.

**ივანიკა**. ყოველთვინ ასე იცით, ქალბატონო, ჯერ გადამეკიდებით, აჰა, ივანიკა, თქვი რამე და თქვი რამე და როდისაც ლაპარიკის ქეიფი მამივა და მოვყვები რამეს, მაშინ დეიჯინებთ წადი და წადიო და წარამარა უნდა გამდენოთ.

**მარ**. ვეღარ გაგდებ, მაგრამ საუზმე უნდა მოამზადო.

**ივანიკა**. საუზმეს რაღა მომზადება უნდა, ერთი გავივლებ გულში და ვიტყვი, ჩქარა მომზადდი საუზმე, იმწამში მზათ იქნება.

**მარ**. ახლა თავიდგან ვეღარ მოვიშორებ?

**ივანიკა**. (ჩუმათ) შეგეყარა მოუშორებელი ჟამი. ა, ბატონო, წავალ, წავალ, მარამ კი მოგახსენებთ და გულშიაც გავივლე, რომ თავის დღეში რაც უნდა მეხვეწოთ, ერთი ივანიკა მიამბე რამეო, არ გიამბობ, როცა დავიწყებ რამეს ამბავს, თქვე მამაცხონებულო, ცივი ჭადის ყუასავით გამეხირებით პირში და .... (შემოდის ივანე.)

## მამოცანა X

### ივანეანი და ივანე.

**ივანე**. (ივანიკას) შენ აქ რას აკეთებ?

**ივანიკა**. ისე გიახელით.

**ივანე**. მე ღვინისათვის გაგზავნე და შენ კი აქ დგეხარ.

**მარ**. ჩემი ბრალია, ივანე, მე დავაყენე.

**ივანე**. შენ კი არა, მაგან სულ ეგრე იცის, გასწი ჩქარა, თორემ მე ვიცი. (ივანიკა გადის და მილაპარაკობს ჩუმათ: შენ იცი, თვარამ ფხალს დამაჭრი თავზე, შენმა გაბენძღილმა თავმა). აბა, მარიამ, როგორ შენი იმედი მქონდეს...შენ გამოცდილი ქალი ხარ, ვინძლო, ჩემი ნუცა ისე მოამზადო, რომ პირველსავე ნახვაზედ გააგიჟოს ჩვენი სტუმარი...

**მარ**. ეგ ჩემი [ბოღდავანი] იყოს.

**ივანე**. აბა, აბა შენ იცი. (გადის.)

**მარ**. დიახ... მე ვიცი!.. ჰა, ჰა, ჰა!... ჩემი სურვილი თუ ასრულდა, გიჩვენებთ შენს კუნტვას.

ფარდა.

## || მოქმედება.

(სცენა წარმოადგენს იმავე ოთახს)

**მარ**. (ფიქრობს) არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ ეჯობინება, აქ დაუცადო, თუ წავიდე?... მე არ მინდოდა, რომ ის მიმხვდარიყო ჩემი აქ ყოფნის მიზეზს... აი, რასა ვიქ, წავალ, დავჯდები და ფორტოპიანოს დაუკრამ!... ვითომ იმაზედ არც კი ვფიქრობ! ეს საუცხოვო აზრია!... ის ვერაფერს ვერ გაიგებს, რომ აქ იმისათვისა ვარ. (დაჯდება და უკრამს. შემოდის ვასილი და იმის სკამის უკან დადგება.)

**ვას**. (გათავების შემდეგ) ბრავო, ბრავო! საუცხოვოთ, შეუდარებლათ უკრამთ!

**მარ**. ახ, უკაცრავათ, მე ვერ გავიგე თქვენი შემოსვლა.

**ვას**. მე დიდი მოყვარული გახლავართ მუზიკისა და უმორჩილესათა გთხოვთ, გააგრძელოთ თქვენი ჩინებული დაკვრა.

**მარ**. (ადგება) მე გავათავე, ბატონო.

**ვას**. მე კი ეს არის, ნება უნდა მეთხოვნა ფურცლების გადაბრუნებისა.

**მარ**. გმადლობთ თქვენი გულკეთილობისათვის.

**ვას**. ეგ ჩემის მხრით გულკეთილობა კი არა, უფრო ეგოიზმი გახლამსთ... მე ჩემი სიამოვნებისათვის მინდოდა, რომ თქვენ კიდევ დაგეკრათ და ის მცირე შრომაც, რომელიც მე ჩემ თავზედ მინდოდა მიმეღო, ისევ იმ ჩემი

სიამოვნების სურვილიდგან წამომიდგებოდა... აბა, მიბძანეთ, სად გახლავსთ აქ გულკეთილობა? (თავისთვის) ივანემ არ მომატყუა-ნამდვილათ ვარდსავით გაფუჩქნილა.

**მარ**. (თავისთვის) ეს სულაც არ არის ისეთი ბებერი! საიდგან მოიგონა ნუცამ?

**ვას**. როგორცა ვრწმუნდები თქვენი ქების აღწერაში, მამა თქვენს არამც თუ არ გადაუჭარბებია... არამედ სრულიადაც ვერ შესძლებია!... კაცი ძნელათ იპოვნის სიტყვებს, რომლითაც შეიძლებოდეს თქვენი ღირსეული ქების წარმოთქმა.

**მარ**. რას მიბრძანებთ, (თავისთვის) რაღა მეშველება, ამას ნინო ვგონივარ... მე მამა...

**ვას**. (გააწყვეტინებს) ნამდვილს მოგახსენებთ, რომ იმან თქვენი ღირსების მეასედი ნაწილიც ვერ ამიწერა.

**მარ**. თქვენ, ბატონო, მგონია, დამცინით?... მე იმისი...

**ვას**. რას ბრძანებთ!... მე საიმისოთ აღზდილი გახლავართ, რომ თავის დღეში ჩემს თავს მაგის ნებას არ მივცემ... მაგრამ არ შეიძლება, რომ თქვენ თითონაც არ ამჩნევდეთ თქვენს თავს... განა სარკეში არსად ჩაგიხედნიათ?

**მარ**. უკაცრავად, ჩემო ბატონო, მე უნდა გამოგიაშკაროთ, რომ თქვენი ლაპარაკის მომზადებული მასალა, უეჭველათ ჩემთვის არ გქონდათ შენახული... მე მქვიან...

**ვას**. (გააწყვეტინებს) ათას ბოდიშს მოგიხდი, მაპატივეთ! თავ დავიწყებამ იქამდინ მიმიყვანა, რომ ჩემი თავი ვერც კი წარმოგიდგინეთ... მე გახლავართ თქვენი მამის ძველთაგანვე მეგობარი, ვასილ ხერხაძე.

**მარ**. (თავისთვის) რა ვქნა, აღარ მაცლის, რომ გავაგებინო ვინა ვარ!.. რაკი ეგრეა, დეე, ეგრე მოხვდეს. (იმას) მაშ, ეგ თქვენა ბძანდებით?

**ვას**. დიახ, ჩემო ხელმწიფავ, რასაკვირველია, თქვენ შეტყობილი გექნებათ ჩემი აქ მოსვლის მიზეზი.

**მარ**. დიახ, ვიცი.

**ვას**. დამეთანხმეთ, რომ ამ შემთხვევაში ჩემი მდგომარეობა საშინელია. მე ერთი უბრალო გულკეთილი და აშკარა კაცი გახლავართ... მე ეშმაკობა და ფარისევლობა არც მიყვარს და არც შემიძლიან. ამის გამოისობით, ეხლავე უნდა მოგახსენოთ, რომ პირველსავე თქვენი ნახვით მე აღტაცებაში და დამონებაში მოვედი... მაპატივეთ, ჩემი კადნიერება, მაგრამ საქმე ითხოვს, რომ პირდაპირ გითხრათ... ამასთან იმედი მაქვს, თქვენც პირ და პირ მიპასუხებთ.

**მარ**. ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, რასა მკითხამთ?

**ვას**. ეგ კითხვა ჩემთვის ცოტა ძნელია... მაგრამ საქმეები იმ მდგომარეობაში

გახლავსთ, რომ უკითხველობა შეუძლებელი არის... ამისათვის უმორჩილესათა გთხოვთ, მიბძანოთ: თქვენ ხომ არავინ გიყვარსთ?... გევედრებით, ნუ დამიმალავთ!... (ცოტა სიჩუმის შემდეგ) თქვენ პასუხს არ მაძლევთ?... გაფიცებთ იმას, რაც უფრო ძვირფასი არის თქვენთვის, მითხარით: თავისუფალია თქვენი გული, თუ არა?

**მარ**. (თავისთავს) აი მდგომარეობა!.. არ ვიცი, ღმერთმანი, რა უნდა უთხრა?

**ვას**. კიდევ გიმეორებთ ჩემს ხვეწნას, რომ მიბძანოთ: თავისუფალი ხართ, თუ არა?

**მარ**. თავისუფალი კი... თავისუფალი გახლავართ...

**ვას**. თავისუფალი! ოო! რა ბედნიერება არის ჩემთვის! რა სასიამოვნოთ უალერსებს ჩემს ყურებს ეგ სიტყვები! ახლა ის მიბძანეთ დაუყონებლივ: მე როგორღა მოგწონვართ?

**მარ**. (თავისთავს) (იმას) ეგეც უეჭველათ გინდათ შეიტყოთ?

**ვას**. რასაკვირველია! ეგ ყველაზედ საჭირო გახლამსთ.

**მარ**. (შინჯამს) არა გიჭირსთ რა.

**ვას**. მხოლოთ არა მიჭირს რა?

**მარ**. განა ეგ არ გეყოფათ?... ხა, ხა, ხა! ინებეთ, გამოგიტყდებით, თქვენ მე მომწონხართ.

**ვას**. პატიოსანი სიტყვაა?

**მარ**. გაძლევთ პატიოსან სიტყვებს!... მხოლოთ ერთი არ არის, თქვენს პირის სახეში ჩემს გემოვნებაზედ...ეგ არის თქვენი ბაკები; ისინი თქვენ თითქოს უფრო ხანში შესულათ გაჩვენებენ.

**ვას**. ხუმრობა გაშვებით?... მაშ, მე დღესვე... ეხლავე გავიყრეინებ... ეს კი არა, ოქროს წვეროსანიც რომ ვყოფილიყავ, მაშინაც არ დავფიქრდებოდი მოპარსვაზედ, რაკი ეგ თქვენი მოსაწონი იქნებოდა.

**მარ**. რისთვის, რა საჭიროა, თუ კი თქვენ მოგწონსთ?

**ვას**. მე სხვა სურვილი არა მაქვს რა, გარდა იმისა, რომ თქვენ მოგწონდეთ! (იქით.) მოვიპარსამ, დღესვე მოვიპარსამ.(იმას) ულვაშების ნებას ხომ მომცემთ?

**მარ**. (სიცილით) ეგ შეგიძლიანთ!

**ვას**. მაშ, მაგის გარეთ, თქვენს უსიამოვნოს არასა ხედამთ ჩემს სახეში?

**მარ**. მოითმინეთ... (შინჯამს) არაფერს, ყველა რიგზედა გაქვსთ.

**ვას**. ახ! რა ბედნიერი ვარ!... ახლა მცირეს იმედით გულში, მე ჩემს თავს ვაძლევ კადნიერებას, კიდევ ერთს საგანზედ გითხრათ ...ამ საგანზედაც თქვენ უნდა დაუფასებელი პასუხი მიბძანოთ...უნდა მიბძანოთ ისა, რაც თქვენი გული

წაგჩურჩულებსთ...ეს კითხვა ის გახლავს, რომ გნებავსთ შეიქნეთ ჩემ ცოლათ და წარმოუთქმელათ გამაბედნიეროთ?

**მარ**. (თავისთვის) ვაიმე, ხელსა მთხოვს!... რაღა მეშველება?...

**ვას**. მე თითონაც კარგათ მესმის, რომ მე პირველ სიყმაწვილეში აღარა ვარ... თითქმის ორმოც წლამდინ მიმიღწევია.

**მარ**. (თავისთვის) სწორე გითხრათ, ასე ჩქარა არ მოველოდი ამგვარ შემთხვევას... ნუ! რაც მოხდება, მოხდეს... (იმას) ეგ საუკეთესო ხანია კაცისათვის და ქმრისათვის უფრო გარდა-მეტი.

**ვას**. რა საკვირველია, არც ისეთი მშვენიერი ვარ...

**მარ**. (თავისთვის) არა, არა უჭირს რა...

**ვას**. მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ სამაგალითო ქმარი დავდგები.

**მარ**. ეგ სულ იმაზედ იქნება დამოკიდებული, ვის ხელში ჩავარდებით.

**ვას**. თქვენ ხელში რომ ჩავარდე, მაგალითად?

**მარ**. მე ვეცდებოდი ისეთ გზაზედ დამეყენებინეთ, როგორზედაც მინდოდა, რომ ჩემი ქმარი იდგეს.

**ვას**. თქვენ ნამდვილი ანგელოზი ხართ!... იქონიეთ შებრალება, ნუღარა მტანჯავთ... მითხარით, (ართმევს ხელს) შეგიძლიანთ ჩემი სიყვარული? (მარი თავსა ხრის) თქვენ პასუხს არ მაძლევთ?

**მარ**. მეტად ჩქარი ხომ არ იქნება თქვენი გადაწყვეტილება და ჩემი პასუხი?

**ვას**. მაპატივეთ ჩემი აჩქარება, მაგრამ ის მაინც მიბძანეთ, შემიძლიან იმედი მქონდეს?

**მარ**. (წყნარათ) ეგ... შეგიძლიანთ, მხოლოდ უფრთხილდით, ბოლოს არ ინანოთ.

**ვას**. (ჰკოცნის ხელზედ) გმადლობთ, გმადლობთ! ჩემო იმედო!... ძლივს ვიპოვე ის ბედნიერება, რომელსაც ჩემს სიცოცხლეში დავეძებდი.

## მამოსავლა XI

### ივინივე და ნინო.

**ნინ**. (შემოდის სიჩქარით) შენ იქა ყოფილხარ და მე კი არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. (დაინახამს ვასილს და შეკრთება) ახ!

**ვას**. (თავისთვის) ეს ვიღა არის?

**მარ**. შენ ძალიან დროზედ მოხველ! (ვასოს) ეგ ჩემი მამიდა არის.

**ვას**. მამიდა?

**მარ**. წარმომიდგენია უ. ხერხაძე, (თავს უკრამენ ერთმანეთს) რომელმაც ეს არის ეხლა გადმომცა, რომ თავის დღეში თავს არ დაანებებს თავის აქ მოსვლის საგანს და უეჭველათ აასრულებს თავისი მეგობრის სურვილს.

**ნინ**. (შეშინებული მარის) მართალს ამბობ?

**მარ**. ამ საგანზედ მაგათა სურთ პირდაპირ შენთან მოლაპარაკება.

**ნინ**. (ჩუმათ) ღვთის გულისათვის, მარტო არ დასდო!

**მარ**. (ვითომ ვერ გაიგონა) მაგის გამოისობით მე თავს განებებთ და მივდივარ. (ვასოს ჩუმათ) მაგაზედ არის დამოკიდებული ჩვენი საქმე, ეცადეთ მაგის თანახმაობას... ნახვამდინ. (გადის)

## გამოსვლა XII

### ნინო და ვასო

**ვას**. (უყურებს მიმავალ მარის) გადაწყდა!... ეგა, ან არავინ!

**ნინ**.(თავისთვის) რა დროს დამანება თავი, რა დროს?

**ვას**. (თავისთვის) მამიდას, როგორც ეტყობა, ლაპარაკი ძალიან არა ჰყვარებია... უნდა პირ და პირ საქმიდგან დავიწყო... იმედი მაქვს, ჩემო ხელმწიფავ! ნებას მიბოძებთ, პირ და პირ დავიწყო ჩემი საქმე... მე უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველი ნაბიჯიდგანვე ამ სახლში, მე ვიყავ განკვირვებული, გატაცებული, დამონებული!... პირველსავე ნახვიდგან მე შევიქენ გაგიჟებული სიყვარულისაგან!... და ამის გამოისობით, გადავწყვიტე, რომ ამ საქმის თავის დანებებას სიკვდილი ვირჩიო.

**ნინ**. (თავისთვის) ღმერთო ჩემო!... ჯერ სწორეთ არც კი უნახივარ და ასე გადაირია?

**ვას**. ჩემი მოსვლის მიზეზი, რასაკვირველია, გეცოდინებათ?

**ნინ**. დიახ.

**ვას**. და აგრეთვე გადაწყვეტილი სურვილი ჩემი მეგობრისა, რომ ჩვენი ქორწინება უეჭველათ მოხდეს?

**ნინ**. დიახ!... (თავისთვის) რაღა მეშველება? ღმერთო! ღმერთო!

**ვას**. ეხლა როგორც თქვენ თითონვე ხედამთ, მარტო თქვენზედღა გახლამს დამოკიდებული...

**ნინ**. (თავისთვის) რა უნდა უთხრა? რა ვქნა?! იმ ქალმაც რა დროს დამანება

თავი და....

**ვას**. მაგასთან გიცხადებთ, რომ ქვეყნიერობაზედ, არავის და არაფერს არ შეუძლიან ჩემი გადაწყვეტილების დარღვევა.

**ნინ**. (თავისთვის) ეგ ისე შესაშინათ და შესაძრწუნებლათ ლაპარაკობს, რომ ეჭვში შევდივარ, მართლა ხომ არ გაგიჟდა?...

**ვას**. (ღიმილით) ნუ თუ მამიდა მოიწადინებს ჩვენი ბედნიერების დარღვევას?

**ნინ**. მამიდას მიზეზი არა აქვს, თ[ქ]ვენს სურვილს წინა აღუდგეს, მაგრამ...

**ვას**. როგორა ბძანეთ? როგორ?... აბა ერთი კიდევ გაიმეორეთ?... მაშ იმედი უნდა მქონდეს, რომ მაგ მხრით დაბრკოლება არა იქნება რა?

**ნინ**. მამიდას მხრით? მე მგონია, რომ არაფერი... მაგრამ... თითონ მე...

**ვას**. კმარა, კმარა!... მე მაგის მეტი არა მინდოდა რა! ნება მიბოძეთ, ათასი რიგი მადლობა მოგახსენოთ...თქვენ მე სრულებით დამამშვენეთ, გამაბედნიერეთ!... ახ, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!... ახლა ნება მიბოძეთ, როგორც მომავალ ნათესავს დაგიკოცნოთ ხელები. (ეხვევა და ჰკოცნის, ისე შემოდის გიორგი.)

**ნინ**. (დაფანტვით) რასა შვრებით, რასა!

## ᲕᲐᲛᲝᲬᲡᲕᲚᲐ XIII

### ᲘᲕᲘᲜᲘᲕᲔ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ.

**გიო**. ااا!... ამას რასა ვხედავ?... მაშ ეგრე!.. ჩქარა, ჩქარა მოგიხერხებიათ, ქალბატონო.

**ნინ**. (დაინახამს) გიორგი!... მადლობა ღმერთსა! ეხლა კი მეშველა!

**გიო**. (გაჯავრებით) არ შეიძლება, მიბძანონ მოწყალეო ხემწიფევ...

**ვას**. თქვენ რაღა გნებავთ?...

**გიო**. (უკან წადგება) არაფერი, უკაცრავათ...

**ვას**. (იქით) ეს ვიღა ბძანდება?!

**გიო**. (იქით) [კინაღამ] თავი არ გამოვიჩინე.

**ვას**. მაშ, ახლა ნება მიბოძეთ, შევიდე ჩემს მეგობართან და გამოუცხადო, საერთო ბედნიერებაზედ... (მიმავალი) ეხლა შემიძლიან ვსთქვა, რომ ნუცა მე მეკუთვნის და მთელს ქვეყანაზედ ჩემზედ ბედნიერი არავინ არის! (გადის)

## მაგოსვლა XIV

### ნინო და გიორგი.

**ნინ.** (ეხვევა გიორგის) რა მოხარული ვარ, რომ დროზედ შემოხვედით.

**გიო.** (ეცლება) მხიარული ხართ? ჰა, ჰა, ჰა!... იმ სიტყვების შემდეგ, რაც ეხლა თქვენმა სტუმარმა რომ წარმოსთქვა?... მესმის, მესმის...

**ნინ.** ღმერთო?... რა მოგსვლიათ?

**გიო.** მე კი არა, თქვენ უნდა გკითხოსთ კაცმა, რა მოგსვლიათ?... იქნება თქვენა გგონიათ, რომ მე ბრმა და ყრუ ვარ? გგონიათ, რომ ვერა ვხედამდი და არ მესმოდა, აქ რასაც შვრებოდით და რასაც ლაპარაკობდით?... მე სულელსაც მჯეროდა თქვენი!...

**ნინ.** ღმერთმანი, არ მესმის, რას ამბობ?

**გიო.** მე კი ძალიან კარგად მესმის თქვენი ქცევა... მაშ, აი, თქვენ როგორი ბძანებულხართ?... ჰმ... არ ვიცოდი, არა!... კაცმა სახლში ვერ მოასწრო შესვლა, ორი სიტყვა არ გითქვამთ ჯერა და ეხლავ კისერზედ ჩამო[ე]კიდეთ?.. რითი მოგაწონათ აგრე საჩქაროთ თავი? რა იქნა თქვენი პირობა?... თქვენი ფიცი?! მაგრამ ქალები სულ მაგისთანაები ხართ!... სულ ერთის სახეზედა ხართ გამოჭრილნი!

**ნინ.** გამიგონეთ, გიორგი...

**გიო.** ნუ მეძახით მე გიორგის!... მე თქვენთვის გიორგი აღარ გახლავართ.

**ნინ.** შემატყობინე მაინც, რაში მამტყუნებ?... რა არის ჩემი დანაშაული?...

**გიო.** კიდეცა მკითხამს?... უცხოა? თქვენ უფრო კარგათ არ უნდა იცოდეთ, სანამ მე!... ან რა საჭიროა მაგის ახსნა, როდესაც ყველაფერი თითონ ისე აშკარა არის?...

**ნინ.** მე...

**გიო.** (გააწყვეტინებს) თქვენ დროს გატარება მოგინდათ და არ იცოდით, რითი გაგეტარებინათ თქვენი დრო, ამისათვის ამომირჩივეთ მე, როგორც კარგი დროს გასატარებელი საგანი!... გაიხარეთ რაღა! ჩემით ხომ ითამაშეთ დრომდინ და ახლა ნამდვილი საქრმო იპოვნეთ... თქვენ რა გენაღვლებათ, თუ საბრალო ჩემ გულში ათასი ლახვრები დააბრუნეთ მაგითი... თქვენ ხომ თქვენსას მიაღწიეთ და რაც უნდა მოგივიდეს!... მაგრამ ადრეა, ჩემო ბატონო, ადრე, თქვენი სიხარული, ახლა თქვენც გაიგეთ, რომ მეც დიდი ხანია, რაც ნამდვილი საცოლე მყავს ამორჩეული და მეც თქვენ მხოლოთ გეხუმრებოდით, გცდიდით... ეხლა იმედი მაქვს, ის ისე სასაცინლოთ არ გახდის ჩემს სიყვარულს, როგორც თქვენ... (გადის)

**ნინ.** რამ გააგიჟა!?... ათასი ურიგობა მომაყარა ჯორის წიხლებივით, მე ერთი სიტყვა არ მათქმევინა და ისე გავარდა!

## მამოსავლა XV

### ნინუსა და ივანე.

**ივანე.** (ცოტა ქეიფზედ არის) ჰა, ჰა, ჰა! ყოჩაღ, ბარაქალდი, ვასო! ბარაქალდი, მე და ჩემმა ღმერთმა!... ყველაფერი მარდათ მოახერხა... მაშინვე შეამჩნია, ციხე[ს] რომლის მხრით აიღებდა... ჰა,ჰა,ჰა!... არა, როგორ ჩქარადა... (დაინახამს ნინოს) ო! ქალბატონო, თქვენც აქ ბრძანდებით? აბა, რას მეტყვი?

**ნინ.** მამაჯან...

**ივანე.** დაიცა!.. ჯერ მომეხვიე, მომეხვიე, შვილო! (ნინო ეხვევა) შენ შემოგევლოს მამი შენის თავი! ჩემო სიხარულო!... მადლობელი ვარ, მადლობელი... მამა, შვილო, ყოველთვის მამას უნდა გაუგონოს ქალმა... ვინ მოინდომებს ისე კეთილს, როგორც მამა თავის ნაშობისათვის?

**ნინ.** რისთვის მეუბნები მადლობას, მამავ, არ მესმის?

**ვან.** რისთვის?... ჰა, ჰა, ჰა!... კარგი, კარგი... ეგ ჩვენი საქმეა, ჩვენ გვესმის ერთმანეთისა და მეტი ლაპარაკი რაღა საჭირო იქნება... არა, როგორია და ჩვენი ვასო?!... ჰა, ჰა, ჰა!... ნინო, ის შენგან გაგიჟებული არის.

**ნინ.** ვინა, მამავ, რას მეუბნები?... (თავისთვის) ღმერთო! რას მიპირებენ?... ნეტავი, ერთი სიტყვა მაინც ამომაღებინონ!

**ივანე.** კარგია, ნუღარა ეშმაკობ, ყველაფერი ვიცი, ყველაფერი, ეშმაკო!... მართლა ბაკენბარდების გარდა ყველა მოგწონს იმაში?

**ნინ.** რა ბაკენბარდები?... ვისა?

**ივანე.** კმარა, კმარა, ნუღარა სწუხარ, იმან დაიწყო იმათი ჩამოფხეკა... ჰა, ჰა, ჰა!

**ნინ.** (თითქმის ტირილით) მამა!... შენ გენაცვალე... დამაცადე-ერთი სიტყვა მათქმევინე და მე უნდა გამოგიტყდე!...

**ივანე.** რაში?... რომ შენც შეყვარებული ხარ?... არ მინდა, არა, ჩემო სულიკო, მე თითონაც გამჩნევ, რომ გიყვარს, ჰა, ჰა, ჰა! ჩემთვის ძალიან სასიამოვნო არის და გულითად სიხარულსაც ვეძლევი!... რიგიც ეგრეა, ის შენთვის და შენ იმისათვის!... ჰა, ჰა, ჰა!

**ნინ:** რა წყალში ჩავარდე, რა ვქნა?... ბატონო, მათქმევინეთ ერთი და!

**ივანე**. სთქვი, ჩემო სიცოცხლევ, სთქვი! მე განა გიშლი?

**ნინ**: მარი დაგვბირდა...

**ივანე**. მალამოზედ გათხოვებას?... (აფურთხებს) ფუ! ექიმზედ, ვიცი შვილო, ყველაფერი ვიცი! ღმერთმა ხელი მოუმართოს იმასაც და შენც, ორთავ ერთათ გადაგწერთ ჯვარსა. აი, თუ ქორწილი გვექნება!... მაყრები დაიძახებენ: მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავ დედალი ხოხობ...

## მაგოსვლა XVI

### ივინივე და ბიოლრვი.

**გიო**. (ივანეს) მე თქვენ ყოველგან გეძებდით და ძლივს გიპოვნეთ. (დაჯდება კრესლაში)

**ივანე**. რა მოხდა, რა ამბავია?

**გიო**. ეხლავ მოგახსენებთ.(ოფლს იწურამს) ერთი, სული ამოვაქციო... მე უნდა შეგატყობინოთ ერთი შესაწუხებელი საიდუმლო...

**ივანე**. აბა, მითხარ, ჩქარა მითხარ.

**გიო**. ზედ ემ ალაგზედ; აი, სადაც ეხლა თქვენა დგეხართ, თქვენი მეგობარი ჰკოცნიდა თქვენს ქალს.

**ივანე**. ვინა, ვასო?.. ჰა, ჰა, ჰა! მერე რა, რომ ჰკოცნიდა?

**გიო**. (გაკვირვებით) როგორ თუ რა?!.. ეგენიც არა წინააღმდეგობდნენ იმასა.

**ივანე**. ძალიანაც კარგსა შვრებოდა!... მემრე? ეგ საიდუმლო მე შენზედ ადრე ვიცოდი, გიორგი! დეე, ჰკოცნონ ერთმანეთს, შენ რა?

**გიო**. როგორ თუ მე რა?... მე... მე...

**ივანე**. ახა ღმერთო! შენი რა საქმე არის?... შენ შენი აირჩივე, წადი და იმოდენი სტყლოშნე, სანამ ორთავს ტუჩებზედ ტ[ყ]ავი არ გადაგძვრესთ!... ნინომ თავისი იცის... მაგრამ იქნება შენ ნინოშიაცა ხარ შეყვარებული? აი, შე დონჟუანო... შე მოლა მასრადინო, შენა!... ვეჟო: ორმოც ცოლს ხომ ვერ შეირთამ?... ჰა? რას იტყვი? ჰა, ჰა, ჰა! სასაცინლო ამბავია...

## ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ XVII

### ᲘᲕᲘᲜᲘᲕᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘ.

**მარ**. აქა ხარ, ვანო? მე შენთან მოლაპარაკება მინდოდა.

**ივანე**. (გიორგის) აი, მოგივიდა შენი... ჰკოცნე, რამდენიც გინდოდეს.

**მარ**. მე მოვედი, რომ სუყველაფერი აგიხსნა.

**ნინ**. (თავისთვის) ძლივს, მადლობა ღმერთსა.

**ივანე**. ახლა ესა!.. დიდება შენთვის ღმერთო! რა უნდა ამიხსნა, ერთი, მითხარ? მე თითონაც ყველაფერი კარგათ ვიცი.

**მარ**. შენ არაფერი არ იცი, ვანო! შენ შემცდარი ხარ!... ნინოს უყვარს...

**ივანე**. რას გადამეკიდნენ, თქვენი ჭირიმე!... ვიცი, ვიცი... გესმის, ვიცი!

**მარ**. მაგრამ ის არ იცი, რომ მე შეყვარებული ვარ...

**ივანე**. ეგეც კარგად ვიცი, ეგეც!... ძალიან კარგსა შვრები, გიყვარდეს სიკვდილამდინ!...

**მარ**. ღმერთო, მგონია ამას ცოტა გადაუკრავს და ქეიფზედ არის...

**ივანე**. ვარ... მე როდი ვმალამ!.. ვარ, მართალია ვარ, მაგრამ თქვენი ახალი ამბები, თქვენი საიდუმლოები მაინც თქვენზედ უკეთ ვიცი.

**მარ**. გაიგონო, რომ შენთან უსახუმრო სალაპარაკო მაქვს.

**ივანე**. გვიანლა მოგაგონდა, ჩემო კარგო, გვიან!...მე ეხლა ძილმა წამძლია. ეხლა ყველა ლაპარაკები გათავდა... ყველანი ბედნიერები,ყველანი მხიარულები არიან და მე კი იმათზედ მომეტებულათ... აი, რა... ნუცა! წამიყვანე ჩემს ოთახში... იქ ცოტა წამოვწვები... (გადახვევს ნინოს ხელს და გადის).

## ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ XVIII

### ᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ.

**მარ**. ახლა რაღა წყალში უნდა ჩავარდე!... ჩემი ძმისათვის ვეღარა გამიგონებია რა და იმ კაცთანაც გამოტყდომა ვერ გამიბედნია... ჩვენმა ხუმრობამ მეტად გადააჭარბა!...

**გიო**. (თავისთვის) ამისთანა დროს ვეღარ ვიპოვნი, რომ გადაუხადო ჩემს მოღალატეს.

**მარ**. (თავისთვის) არა, საქმის ეგრე დაგდება ყოვლათ შეუძლებელია, უნდა

ვეცადოთ, ჩქარა გავათაოთ. (გაბრუნდება)

**გიო**. მარი! ერთს წუთას მომითმინეთ.

**მარ**. რა გნებავს? მითხარ ჩქარა, თორემ არა მცალიან.

**გიო**.(საჩქაროთ) ყური დამიგდეთ, ღვთის გულისათვის! ჩვენ ლაპარაკზედ იქნება დამოკიდებული მთელი ჩემი ბედნიერება... მე საშინელს მდგომარეობაში ვარ...მე შემიძლიან ეხლა მოვახდინო ყოველი რიგი სისულელე... მე... მე მინდა, თქვენ შეგირთოთ!

**მარ**. (ღიმილით) თქვენ, მგონია, შეუძლოთა ბძანდებით?

**გიო**. მეც ეგრე მგონია და მოსარჩენათ მე მსურს თქვენი ხელის თხოვნა.

მარ. წადით, ერთი სტაქანი წყალი დალიეთ, ის თქვენ მოგარჩენსთ უსათუოთ. (გაბრუნდება)

**გიო**. არა, თქვენ აქედგან ვერ გახვალთ, სანამ ყურს არ დამიგდებთ, სანამ მე არ შეგატყობინებთ ჩემ გულის გრძნობას. მე მსურს, დაუმტკიცო ჩემს მოღალატეს, რომ თავის დღეში არა მყვარებია... არამც თუ არა მყვარებია, რომ თვალის დასანახავათ მეჯავრება... გაფიცებთ, მარი! რაც კი უფრო გიყვარსთ და გწამსთ ქვეყანაზედ, იმას გაფიცებთ, რომ უდროოთ ნუ დამაღუპინებთ ჩემს ყმაწვილკაცობას!... მომეთხოვეთ მე... ახ, ღვთის გულისათვის, მომეთხოვეთ! (დაეცემა მუხლებზედ) მიყურეთ, მე თქვენ ფეხებს გეხვევით და ისე გევედრებით... შებრალებას... (ჰკოცნის ხელზედ)

## მამოსვლა XIX

### იგინივე და ვასილი.

**ვას**. (წვერ მოპარსული) ხუმრობა გაშვებით, თითქოს უფრო გავყმაწვილდი. (შესდგება) ეს რა ამბავია?! ამას რას ვხედავ?...

**მარ**. თავი დამანებეთ!... რას შვრებით?... თავი დამანებეთ, თორემ ეხლავ დავიყვირებ.

**გიო**. იყვირეთ, მლანძღეთ, რაც გინდათ, ისა ჰქენით, ოღონდაც ნუ მეტყვით უარს... აქამდინ მე დამნაშავე, დაბრმავებული ვიყავ, რომ ვერ ვამჩნევდი თქვენს მშვენიერებას... მაგრამ ეხლა, ეხლა კი თავდადებული ვიქნები თქვენთვის... ღმერთათ გაგხდით, ოღონდაც, არის შემიყვარეთ.

**მარ**. (წაართმევს ხელსა) თქვენ ნამდვილათ გაგიჟებული ხართ. (მიდის თავის ოთახში)

**გიო**. არავინ, არავინ არ მიგდებს ყურს, არავის არ უნდა ჩემთან ლაპარაკი... რა მეშველება?!..

## ᲕᲐᲛᲝᲬᲡᲕᲚᲐ XX

### ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ.

**ვას**. თქვენ შემცდარი ხართ, მე დიდი მოწადინებული გახლავართ თქვენთან ლაპარაკისა.

**გიო**. (თავისთვის) ეს საიდგანღა მოშავდა? (იმას) თქვენ რაღა გნებავსთ?

**ვას**. ამიხსენით, მოწყალეო ხელწიფევ, ვინ მოგცათ თქვენ ის ნება, რომ ეგრე წინა დაუხედავათ გადაჰკიდებიხართ მაგ ქალს და თავს აძულებთ თქვენის სიყვარულის გამოცხადებით?

**გიო**. მერე თქვენ რა გეპრიანებათ?

**ვას**. მაგაზედ მერე მოვილაპარაკებთ....

**გიო**. მაგის შერთვასაც ხომ არ ფიქრობთ?

**ვას**. ეგ თქვენ არ შეგეხებათ და ვგონებ, არც გეკითხებოდესთ!... მე გთხოვთ პირ და პირ მიპასუხოთ ჩემს კითხვაზედ.

**გიო**. რას გადამეკიდეთ, ნეტავ, ვიცოდე? არ მინდა, გიპასუხოთ! ახლა?... თქვენ, ის ეჯობინებოდა, თქვენს ნუციკოსთან წაბრძანებულიყავით...

**ვას**. როგორ? თქვენ როგორა ბედამთ, რომ იმას ეგრე ეძახით?

**გიო**. წყნარა, წყნარათ, ძალიან ნუ ჰყვირით...მაგით ვერ შემაშინებთ.

**ვას**. თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, უზდელი და ბრიყვი ბძანებულხართ.

**გიო**. როგორ?... თქვენ?... თქვენ გაბედეთ ჩემი გალანძღვა??... ოოო! მე თავის დღეში მაგას არ [შეგიწყალებთ]... მე კმაყოფილებას ვითხოვ...

**ვას**. ინებეთ.

**გიო**. თქვენ ჩემთან დუელში უნდა გამოხვიდეთ!

**ვას**. როგორცა გნებავსთ,

**გიო**. ეხლავ, ემ მინუტში (თან და თან ახლოვდებიან შუა კარებს) წავიდეთ, წავიდეთ!

**ვას**. მე მზათ გახლავარ.

**გიო**. დამბაჩებით!

**ვას**. თუნდა ოსმალურის თოფებით!

**გიო**. წავიდეთ, წავიდეთ, თუ მშიშარა, ლაჩარი არ ხართ. (გადიან)

## მამოსავლა XXI

ნინო მარტოკა.

**ნინ**. სად მიხვალთ, სადა?... დაიცადეთ... ვერ გაიგონეს, წავიდნენ! (შემოდის სცენაზედ) რა რიგათა ყვიროდნენ. უთუოთ რაღაც მოუხდათ! ჩხუბი ხომ არ მოუვიდოდათ?!.. ნამდვილათ, ნამდვილათ!... დამბაჩებზედაც რაღაცას ლაპარაკობდნენ!... დუელი ხომ არა აქვსთ?...ვაიმე, სწორეთ ისეა! მიშველეთ! ვინა ხართ ქრისტიანი?... მიშველეთ!... მარი... მიშველე.

## მამოსავლა XXII

ნინო და ვასო.

**მარ**. (შემოდის სიჩქარით) რა არის, რა მოგვიდა?

**ნინ**. ყველაფერი გათავდა... ვკვდები!... (დაეცემა კრესლაში)

**მარ**. (შეშინებით) ნუცა, შენი ჭირიმე! შემატყობინე, რა მოხდა?

**ნინ**. საშინელი უბედურობა... გიორგიმ და ვასილმა...

**მარ**. რა, რა?....

**ნინ**. ერთმანეთი დუელში გამოითხოვეს!....

**მარ**. (დაიწივლებს და მერე მხარეში კრესლაში დაეცემა) ახ!.. ახ!... გული მიწუხდება...

**ნინ**. (წამოვარდება) არა!... ჯერ კიდევ არის დრო, დაუშალოთ! (დაებჯინება სკამზედ) ღმერთო! ფეხი ვეღარ გადამიდგამს. (დაჯდება ისევ.)

**მარ**. მე ჩავირბენ და ყველაფერს შეგატყობინებ... (წამოდგება და ებჯინება სკამს) არ შემიძლიან, სულ ძვლები მითახთახებს.

**ნინ**. მამავ... ივანიკა! გვიშველეთ

**მარ**. ვინა ხართ... ივანიკო, გვიშველეთ (ერთათ)

## ᲒᲐᲛᲝᲬᲡᲕᲚᲐ XXIII

ᲘᲕᲘᲜᲘᲕᲔ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲙᲐ.

**ივანიკა**. (შემორბის) ჰეი! აგერ ვარ, აგერ! რა არი, ცეცხლი ხომ არსა გაჩენილა?

**ნინ**. ვკვდები, ივანიკო... მიშველე.

**მარ**. წყალი, ივანიკო, წყალი...

**ივანიკა**. ვაი შენს ივანიკას გაგონებას! დედა, ეს რა ამბავია?

**ნინ**. წყალი, წყალი!...

**ივანიკა**. ა ბატონო, ახლავე, ახლავე (სიჩქარით გადის)

**ნინ**. ეხ, სულ შენი მოწყალება კი არის!

**მარ**. სულაც არა, ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე.

**ნინ**. ვინ მოიგონა ეს კომედია? . სულ შენა, შენ.

**მარ**. მართალია, მაგრამ ვასილთან შენ არ დაგაგდე მარტო?... რატომ ყველაფერი არ შეატყობინე?

**ნინ**. (თან და თან ცხარდება) ნუ მახსენებ შენს საძაგელს ვასილს! მე იმისი მოგონებაც კი მეზიზღება.

**მარ**. მეც შენი ჯაგლაგა ექიმიც მეზიზღება.

**ნინ**. შენი მახინჯი ხერხაძე ძალათ ჩემს შერთვას აპირებს?

**მარ**. მაგისი კი რა მოგახსენოთ! აი, რაც შეეხება შენს ჩინებულს გიორგის, ის ნამდვილათ აქ ჩემ წინ დაბობღავდა და მეხვეწებოდა, რომ შევირთო.

**ნინ**. (წამოვარდება) სტყუი, სტყუი! ეგ არ შეიძლება!... აი, ეხლა ვხედავ, როგორი კეთილი ნათესავი მყოლიხარ!... განა არა, მე დიდი ხანია, რაც შეგამჩნიე შენი ეშმაკობა... მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი!... შენა გგონია, რომ ყმაწვილი ვარ, გამოუცდელი და ეგრე ადვილათ შეიძლება ჩემი მოტყუება?... უკაცრავათ, შეგცდათ!.. პუპლუს! უკაცრავათ დამრჩით, თუ არა? აღარა მჯერა რა შენი, აღარა!... საუცხოვო კომედია მოიგონეთ, ძმისწულის საქმროს წართმევა... იუ**Ф**... **Ф**იუ, **Ф**იუ! მიშველეთ, მიშველეთ!... თავბრუ მეხვევა. (ისევ დაეცემა)

**მარ**. ეგ არის განა ჩემი ზრუნვის და სიყვარულის სამაგიერო? კარგი მადლობა გადამიხადე! კარგათ დამიფასეთ! დამიხედეთ გულკეთილს ნასწავლს ქალს! აგრე უნდა შეაქციონ მამიდა, სწორე მოგახსენოთ... მე კარგათ მესმის, ეგ რაც არის და რისთვისაც იგონებ მაგ ამბებს... განა არა, მე მაშინვე შეგამჩნიე, რომ ხერხაძე მოგეწონა და გიორგისგან გამოსხლტომა გინდოდა...

**ივანიკა**. (კარებიდგანვე) ა ბატონო, მამაქვს, მამაქვს... პირ და პირ ჭიდგან

ამევიღე, ბეწვს დეინახავ მისანა გავანვალებულია. (ნინო და მარი ერთათ მიეგებებიან.)

**ნინ**. სულელო!

**მარ**. გამოყეყეჩებულო!

**ივანიკა**. (უყურებს) დედა, დედა!... გეთიდრიეთ? ორივე გამოსულელებულან, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს: (მიიბრუნებს პირს) სულელიც ხართ და ტუტუციც და არც არაფერი იცით!

**ნინ**. ექიმი ნახე?

**მარ**. სტუმარი სად არის?

**ივანიკა**. რა მოგივიდათ, ქალბატონო?... ბაღში გახლავან!

**ნინ**. და მარ. (ერთათ) იქ რას აკეთებენ?

**ივანიკა**. შოუყრიათ თავი ერთათ ისეთი სიცილი და ტკვარცალი აქყე, კაცმა რომ უყუროს, გამობეცდება.

**ორნიგ**. (სიხარულით) მართლა?

**ივანიკა**. მივიდა თუ არა ბატონი იმასთან, დაიწყეს კოცნა, სიცილი და ერთი უშველებელი გამოჩვენება აქყე.

**მარ**. მადლობა ღმერთს, უთუოთ ყველაფერი მშვიდობით გათავდა.

**ნინ**. მაშ უთუოთ ყველაფერი შეიტყვეს და შერიგდნენ!

**მარ**. მაპატივეთ, ნუცა, რომ ტყუილათ გაწყენინეთ.

**ნინ**. (ეხვევა) არა, მარი, შენ მაპატივე, რადგანაც მე პირველმა დავიწყე... ღმერთო, როგორ გამეხარდა! მე მზათა ვარ ვიმღერო, ვირბინო, ვითამაშო... (ტანცაობს) წავიდეთ, მარი... ლა,ლა,ლა.

**ივანიკა**. გველია, მე შენ გეტყვი, ქალი, გველი, აი, ახლა ფეხებს აფშიკინებდნენ და ახლა არ შეხედავს, რას შვრებიან? (მოისმის ლაპარაკის ხმა)

**ნინ**. (შემოდიან ისევე) მგონი, მოდიან!

**მარ**. უთუოთ ისინი არიან, სხვა ვინ იქნება?

## მამოსვლა XXIV

### ივინივე, ივანე, ვასილი და ბიოკგი.

**ივანე**. გათავდა! ჰა, ჰა, ჰა!... ყველაფერი მშვიდობიანათ გათავდა... მიხარებია, მიხარებია! მე შევარიგე! მიყვარს ესეთი ხალხი!.. სიყმაწვილეში მეც ეგრე ვიყავ,

აი!... ყველა მიფთხილდებოდა, თორემ... (იმათ) მაგრამ... თუ კიდევ ვისმე ჩხუბი გაგიბედნიათ, ვაი თქვენი ბრალი!...

**გიო**. ნუ გეშინიანთ!ეხლა მიზეზი აღარა გვაქვს და ყველანი დავმეგობრდებით.

**ივანე**. აბა, ივანიკო, მაშ ახლა პური გვაჭამე, ჩქარა... მაგრამ, დაიცა... (მიდის, ჩუმათ რაღაცას ეუბნება.)

**ვას**. (ჩუმათ მარის) გიორგიმ სუყველაფერი მიამბო.

**მარ**. (ჩუმათვე) ხომ არა ჯავრობთ ჩემზედ?

**ვას**. არა, დიდი მოხარული ვარ.

**მარ**. ჩემა ძმამ იცის?...

**ვას**. ჯერ არა, მაგრამ თქვენ ნუ სწუხხართ, მე მოვახერხებ ყველაფერს. (ჩუმათ გიორგის ელაპარაკება)

**ივანე**. (ივანიკას) გაიგე, ჩქარა!... ყმაწვილებო, აიყვანეთ თქვენი ქალები და გავსწოით პურის საჭმელათ.

**ვას**. (მიდის მარისთან, აიყვანს და ივანეს წინ გაუვლის)ახ! რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ?

**გიო**. (აიყვანს ნინოს, მიდის) ჩემო მშვენიერებავ! განა მოველოდი ამ დღეს!

**ივანე**. როგორი ბედნიერები არიან და... ჰა,ჰა,ჰა! (შეამჩნევს, რომ სხვა და სხვა ქალი აიყვანეს) დაიცადეთ!... დაბრუნდით, დაბრუნდით! (ყურს არავინ უგდებს) გაგიჟდნენ, თუ რა მოუვიდათ?!.. ქალები შეგეცვალათ, ქალები! დაიცადეთ!

**გიო**. და ვას. (შედგებიან) არა, ჩვენ არავინ არ შეგვცვლია!

**ივანე**. როგორ თუ არა ვინ? ვასო, ეგ ხომ ჩემი ქალი არ არის?

**ვას**. ვიცი, ვიცი!

**ივანე**. მარი, განა ვერა ხედამ, აგერ შენი ექიმბაში?...

**მარ**. ვიცი.

**ივანე**. რა ამბავია!... ნუცა, ვისთან მიხვალ? ეგ ხომ ვასო არ არის?

**ნინ**. ვიცი, მამავ.

**ივანე**. გიორგი, დაბრმავდი, თუ რა არის? ეგ ხომ ჩემი და არ არის, ჩემი ქალია!

**გიო**. ვიცი ძალიან კარგათ.

**ივანე**. ვიცი, ვიცი!... ეშმაკმა იცის, რასა შვრებით!... როგორც გხედამთ, ყველანი გადარეულხართ და მეც გაგიჟებას მიპირებთ!... ფუი! თქვენს ნამუსს, გონებიდგან გადამაგდეს, თქვენი ჭირიმეთ!.. ამიხსენით მაინც, რა ამბავია?

**ვას**. მერე, მერე, სამხარს შემდეგ შეიტყობ ყველაფერს! სანამდისინ მხოლოთ იმას გეტყვი, რომ მე მიყვარს შენი და და ამას ვირთამ... შენ კი გირჩევ, აგერ

ისენი დალოცო.

**ივანე**. რაო? რა თქვი? თქვენს დღეში ნუ წარმოგიდგენიათ, რომ ეგ მოხდეს!

**ვას**. განა შენთვის ორივ ერთი არ არის, ჩვენში ვინც უნდა იყოს შენი ქალის ქმარი?

**ივანე**. რას ამბობ? სულ ერთი რათ იქნება!... სწორეთ ეხლავ გიორგის მივართმევ ჩემს ქალს, სწორეთ მაგისთვის არ ვამზადებდი! ჯერ იშოვოს რამე და მერე ნუცას შერთვა იფიქროს.

**ვას**. შენ რომ ცოლს ირთამდი, მაგაზედ მეტი გქონდა?... გრცხვენოდეს! შენ თურმე შეძლებას ეძებ შენი ქალისათვის, არა თუ კაცსა... შენ თითონაც კარგი შეძლება გქონდეს, მაგ ერთი ქალის მეტი კი არა გყავდეს რა და კიდევ შეძლებას ეძებდე?... მაგრამ გიორგის შეძლებაზედ ზრუნვა მე მომანდვე.

**ივანე**. სჩანს, ყველანი ჩემ წინააღმდეგათ იყავით?

**ვას**. გაიგე კარგათ, რომ რა კი შენს ქალს გიორგი უყვარდა, მე როგორღა უნდა შემერთო?

**ივანე**. (არევით) დიახ... რასაკვირველია!... მაგრამ არა, არა, მაინც თანახმა არა ვარ.

**ვას**. კარგია, ჰო!... ნუღარ იმტვრევი.

**ივანე**. ეგრე ერთბაშათ როგორ შეიძლება! მომაფიქრებინეთ მაინც. (ივანიკას შემოაქვს შამპანსკი)

**ვას**.(დაიჩოქებს, ყველას ანიშნებს, რომ იმათაც დაიჩოქონ.) აი, გვიყურე, დაჩოქილები გევედრებით.

**ყველანი**. გვაპატივე.... ნუ ჯავრობ.... დაგვლოცე.

**ივანე**. ჰა... როგორი სურათია და... (ცრემლები ერევა) ლამის არის, ვიტირო... კარგით, კარგით, ადექით! ღმერთმა გაპატიოსთ და დაგლოცოსთ... მაინც კი ეგრე არ უნდა მოქცეულიყავით.

**ვას**. ურა!

**ყველანი**. ურა! (ივანიკა შამფანსკს ასხამს).

**ივანე**. (ჰკოცნის) ღმერთმან დაგლოცოსთ ყველანი, მაგრამ მე... მე კი მაინც არ უნდა მოგეტყუებინეთ.

**ვას**. კარგია, ერთი, თუ ღმერთი გწამს.

**ივანე**. (აიღებს ბოკალს, აქეთ იქით დააჩოქებს სუყველას და თითონ შუაზე დადგება, მღელვარებით) ღმ...მერთ... ღმერთო, ღმერთო... (ტირილს დაიწყებს)

**ყველანი**. ურა!

ფარდა.

აფიშა კ/ფ "ელისო" აღდგენილი ელდარ შენგელაიას მიერ 1965წელს.
აფიშის მხატვარი ჯ. მიქატაძე

# შეყვარებულები

ყმაწვილი ქალი ზის სკამზედ ბაღში. ყმაწვილი ოფიცერი, ყვავილით ერთ ხელში, მიდის იმასთან და იგრეხს ახლათ აშლილს ულვაშს.

**ქალ**. რათ დაგვივიწყეთ ეგრე, ვანო?.. სად იყავით აქამდინ?

**კაც**. საღამო მშვიდობისთ (დაჯდება.) პასპორტის ასაღებათ დავდიოდი...

**ქალ**. განა, სად მიბრძანდებით?

**კაც**. საზღვარ გარეთ

**ქალ**. მაშ, არ იშლით, მაინც მიდიხართ?

**კაც**. (დაფიქრებით) მაშ, რა გავაკეთო? (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ეჰ, წავალ და მოვისვენებ...

**ქალ**. თქვენ ისე შეგეჩვივნით ყველანი, რომ უთქვენობა ვერც კი წარმომიდგენია.

**კაც**. ახ!.. ეგ მართლა, ეგრე იყოს. (ყვავილს პირში იდებს, შეჭამს და მერე ჩაჰყლაპამს.)

**ქალ**. ყვავილი რა უყავით?

**კაც**. ჩავყლაპე.

**ქალ**. ეგრე აფასებთ, განა, ჩემგან მიცემულს ყვავილს?

**კაც**. მე იმიტომ ჩავყლაპე, რომ თავის დღეში იმას აღარ გავშორდე.

**ქალ**. მერე თქვენ არ გეშინიანთ ყვავილების ჭამისა?

**კაც**. სულაც არა. ყვავილები ნაზი ქმნილებანი არიან.

**ქალ**. (კეკლუცობით) ზოგი იმათგანი რომ მოწამლულია?

**კაც**. მოწამვლასაც თავისი წამალი აქვს.

**ქალ**. ყველა საწამლავი არ რჩება წამლობით.

**კაც**. ზოგი ერთი საწამლავისგან სიკვდილიც სასიამოვნოა.

**ქალ**. იქნება მართლა სიკვდილი როდისმე სასიამოვნო?

**კაც**. რასაკვირველია! კაცი განშორდეს მთელს ქვეყანას, რომ მარტო ყვავილისთვის-ღა დარჩეს.

**ქალ**. ხომ მაინც მოწამლული იქნები?

**კაც**. მოწამლული, როგორც ისარი, უწინდელ დროებაში.

**ქალ**. მაშ, იმისათვინ თუ აპირებთ ეგრე სიჩქარით გაფრენას სამზღვარ გარეთ, რომ ისარს მიემსგავსებით?

**კაც**. ვაპირებ, ვაპირებ, რომ მიზანს მივაღწიო.

**ქალ**. მერე რა იქნება?

**კაც**. მერე, შიგ დავერჭო და დავჭრა.

**ქალ**. მიზანს რომ ვერ მოარტყათ?

**კაც**. მაშინ პირდაპირ გულს მოვახვედრებ.

**ქალ**. იქიდგან თქვენ ადვილად ამოგიღებენთ.

**კაც**. თუგინდ ამომიღონ, საწამლავი მაინც შიგ დარჩება.

**ქალ**. მაშინ საწამლავი ხომ მოჰკლამს იმ ყვავილს, რომელსაც თქვენ მიზანში ამოიღებთ?

**კაც**. სულაც არა. თქვენ თითონ არა ბძანეთ, რომ ყვავილებში საწამლავი არის, მაშასადამე, ის იმათი საზრდო, გამცოცხლებელი უნდა იყოს.

**ქალ**. მაშ, რადგანაც თქვენ საწამლავიანი ხართ, შეგიძლიათ იმათი გაცოცხლება?

**კაც**. არამც-თუ მარტო იმათ, აი, თქვენც-კი მოგაცოცხლეთ... მხიარულათა ხართ, იცინით...

**ქალ**. მოგაცოცხლეთ, რა სიტყვა არის?

**კაც**. ეგ გახლამსთ გრძნობის გამოთქმა.

**ქალ**. განა ყოველი გრძნობა სასიამოვნო არის?

**კაც**. აარჩივეთ სასიამოვნო!.. სიყვარული, მაგალითად.

**ქალ**. ნამდვილად სიყვარული, რათა?

**კაც**. ამიტომ რომ სიყვარულს სამძღვარი არა აქვს.

**ქალ**. სიყვარული!.. ძალიან საჭიროა?

**კაც**. (თავ დახრილი) ჩემგან თქვენი სიყვარულიც არ არის საჭირო?

**ქალ**. (ვითომ ვერ გაიგონა) მაშ, ჩქარა წახვალთ სამძღვარ გარეთ?

**კაც**. (დაფიქრებით) რამწამს პასპორტს მივიღებ... (ფიქრის შემდეგ) მგონი სამძღვარსაც-კი გადავაცილო...

**ქალ**. (გაკვირვებით) მოწყალეო ხელმწიფევ!.. მე მაგ ლაპარაკის ნება არ მომიცია თქვენთვის!

**კაც**. (წყნარათ) რა მოგივიდათ?.. მე მინდოდა, მეთხოვნა თქვენთვის ხელი და [მომერთო] თქვენთვის ჩემი გული, როგორც მსხვერპლი. ხელის ხელ გულთან ერთათ თხოვნა, რომ თქვენც წამომყოლოდით სამძღვარ გარეთ.

**ქალ**. (დამშვიდებით) მე-კი მეგონა... (გადაეხვევა) ვანო, ვანო! ჩემო სიცოცხლევ!

**კაც**. მაშ, თანახმა ხართ?

**ქალ**. შენ ერთი ხელი მთხოვე და, აჰა, მე ორთავეს სიხარულით გაძლევ.

**კაც**. (ჰკოცნის) ახ, რა ბედნიერი რამა ვარ!

## 2.

## თქვენ ვავიწყდებათ თქვენი მოვალეობა!

(ლამაზათ მორთული ბუდუარი. კუშეტკაზედ მიწოლილი ყმაწვილი ქალი, წინ ხალიჩაზედ ყმაწვილი კაცი ზის. ერთი ამ ქალის ხელი ტუჩებთან უჭირამ[ს] და ჰკოცნის, მეორე ქალის ხელი ეთამაშება კაცის ხუჭუჭა თმებს).

**კაც**. ოხ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მოსკოვში ერთი დღე მაინც არის ასე გამეტარებინა დღე.

**ქალ**. ეგრე ლაპარაკობთ, თორემ მოსკოვში მისვლასაც ვერ მოასწრობთ, რაწამს დაგავიწყდებით.

**კაც**. რასა ბძანებთ!.. განა შეიძლება ეს ზეციური სიამოვნება დამავიწყდეს?!.. ან სად იციან მოსკოვის [დღვრინმა]ქალებმა ამ ბედნიერების მინიჭება.

**ქალ**. მაშ, მოსკოვში ქალები არ არიან?

**კაც**. დარგვალებული კუნძები, რომლებსაც ოფლი გადმოსდისთ. ხათახუთქიი... ბრრრ!.. იმათ კაცი ვერც-კი მიეკარება, კი მიეკარება, ახლო... ეხლა მოგონებაც-კი მეზიზღება.

**ქალ**. (ოხვრით) ახ! მე არა მჯერა, არა... ეხლა ლაპარაკობთ ეგრე, ეხლა, როცა აქა ხართ, თორემ ვინ იცის, იქ რომ იყოთ, რას იტყოდით.

**კაც**. ოჰ! ჩემო მშვენებავ! (ჰკოცნის ხელზედ) მოსკოველ ქალებთან რომ კოცნასაც ის მადა არა აქვს.

**ქალ**. ახ, ვანო, ვანო!.. შენ-კი ხუმრობ, მაგრამ... მე-კი არა მკითხამ... (ცოტა ფიქრის შემდეგ) მაგრამ, ერთი, ეგ მითხარით, რათა ხართ ეგრე დაფიქრებული.

**კაც**. არა, მე არ ვარ დაფიქრებული.

**ქალ**. არა მაინც?

**კაც**. ხუმრობა გაშვებით, არა ვარ.

**ქალ**. თქვენ მეფიცებით, რომ გიყვარვართ, თქვენს ანბავს-კი არას მატყობინებთ – განა ეგრე უნდა სიყვარული?

**კაც**. მაშ, როგორ უნდა?

**ქალ**. მაშ, ყველაფერი, გესმისთ, ყველაფერი სანახევრო უნდა იყოს. ჭირიც და ლხინიც შუაზე უნდა გავიყოთ.

**კაც**. ახ, რა ჩინებული რამა ხარ თავის განწირულობაში!

**ქალ**. მაშ, მითხარით, რათა ხართ დაფიქრებული.

**კაც**. (ოხვრით) ახ! არაფერი შენმა გაზდამ!.. ფიქრათაც არა ღირს.

**ქალ**. არ იქნება, ვანო, უნდა მითხრა.

**კაც**. თუ ეგრე გულითა გსურსთ... ინებეთ...

**ქალ**. გულითა მსურს?.. განა შეიძლება, რომ რაც-კი შენ შეგეხება, იმის შეტყობა არა მსურდეს.

**კაც**. ფული უნდა მომსვლოდა და ცოტა დააგვიანა... სხვა არაფერი არ მაჯავრებს.

**ქალ**. მერე, ეხლა გჭირდებათ ფული?

**კაც**. არა, განსაკუთრებით საჭიროება-კი არ ითხოვს, მაგრამ წუხელ ერთი ოცდა ათი თუმანი წავაგე ქაღალდში და სიტყვა მივეც, რომ ხვალ ჩავაბარო.

**ქალ**. ახ, ღმერთო ჩემო! მერე რასა იქთ?

**კაც**. არაფერს... რა, თუ-კი არ შეიძლება მივცე, ხომ ვერ დამახრჩობენ?

**ქალ**. მართალია, მაგრამ... ახ, რა ვქნა, ეხლა მეც არა მაქვს...

**კაც**. ნუ სწუხართ, ღვთის გულისათვის...

**ქალ**. მაგრამ იცით რა? ჩემს ქმარს აქ სახემწიფო ფული აქვს და შეიძლება იქითგან მოგცეთ.

**კაც**. ახ! როგორ შეიძლება?

**ქალ**. რატომ?.. თქვენ ხომ დიდიხნით არ გინდათ და როცა მოგივათ, მოიტანეთ და ისევ ისე ჩავდებ, რომ ვერც-კი გაიგოს.

**კაც**. ეგ მართალია, მაგრამ...

**ქალ**. (გააწყვეტინებს) არ შეიძლება, თუ არ აიღეთ, არა, დაიცადეთ (მიდის უჯრასთან და გამოსწევს.) რამთვენი გინდათ? ოცდა ათი?

**კაც**. დიახ... მაგრამ მე მრცხვენიან, ღმერთმან იცოდეს.

**ქალ**. კარგია, ერთი, შენს გაზდას! (იღებს და მისცემს)

**კაც**. მაშ, იცით რა გითხრათ: ხომ ორივ ერთია და სანამ მომივა ფული, ორმოც

და ათი თუმანით შემისრულეთ.

**ქალ**. ძალიან კარგი. (იღებს და აძლევს)

**კაც**. (სწვდება და გატაცებით ხელსა ჰკოცნის) ოჰ! ჩემო სიცოცხლევ! განა შეიძლება, სიკვდილამდინ დამავიწყდეს თქვენი გულკეთილობა.

**ქალ**. მადლობას ნუ მეუბნებით, ვანო, თორემ გავჯავრდები.

**კაც**. აბა, მაშ, ეხლა-კი წავალ, დრო არის.

**ქალ**. ქაღალდში თამაშობა-კი აღარ გაბედოთ, აი?

**კაც**. კიდეც რომ მაფრთხილებს!.. ახ, ჩემო მშვენებავ (გატაცებით ჰკოცნის და გადის)

**ქალ**. (მიაცილებს კარებამდინ) მშვიდობით.

**კაც**. (კარებს იქიდგან) მიბოძეთ თქვენი ხელი!

**ქალ**. რათ გინდათ?

**კაც**. ისე.

**ქალ**. (გაუშვერს!) აჰა! (კაცი ჰკოცნის) კმარა, ცელქო, კმარა. (გამობრუნდება) არა ჰგავს ჩვენ უხეირო ქართველებს... შემოვლენ, ჩამოსხდებიან და არიან ჩუმათ! თითქოს ენა ლობიოსთან ჩაუყლაპიათო... შეჯდებიან სადმე კუნჭულში და ბუსავით იბღვირებიან... მაგან გაცნობა ვერც კი მოასწრო, რაწამს ხელს მეტაკა, მე ხელის წართმევა ვერ მოვასწარ, რამწამს წყნარი სუნთქვა ვიგრძენ ჩემ პირისახესთან და იმის კოცნამაც აღარ დაიგვიანა!.. აბა, კაცობა მაგას ეთქმის, აი!.. აღარც გაციება, აღარც გაცხელება! (დაფიქრდება, შემოდის ქმარი თითის წვერებზედ)

**ქმარ**. (ვერა ხედამს) წყნარა გავიარო, თორემ მერის გაეღვიძება და ძილი დაუფთხვება... კაცი თუ სწორეს იტყვის, ცოდოც არის იმისთანა ანგელოზს ძილი დაუფთხოს.

**ცოლ**. დიახ, ძილი დაუფთხოს!.. ძალიან არა ზრუნავთ ჩემთვის?

**ქმარ**. მერი, აქამდინ არა გძინამს... (შეხედამს საათს) მესამე სათია?

**ცოლ**. ქა, სად დავიძინებდი, თქვენ შინ არ ბძანდებოდით, დაქეიფობდით სადღაც და მე კი უნდა გათენებამდის ვიჯდე და გელოდოთ.

**ქმარ**. და რას მელოდი, შენი ჭირიმე, რატომ არ დაწექ?.. ამხანაგები შემხვდნენ და იმათან წაველ ვახშმათ.

**ცოლ**. მე ძალიან კარგათ ვიცი, რა ამხანაგებიც იქნებოდნენ? არც-კი გრცხვენიან, ცოლიანი კაცი გათენებამდი [ვინ იცის] ვისთან არის დაკარგული და ცოლს კი ოთხს კედელ შუა თავს ანებებს!

**ქმარ**. შენ თითონაც ხომ იცი, მერი, რომ სრულებით არსად არ დავდივარ, გარდა სამსახურის მეტგან და მგონია, წელიწადში ერთხელ ძალიან ბევრი არ

იყოს მეგობრებთან ერთად ვახშმის ჭამა.

**ცოლ**. არა უშავრა?.. რა უნდა უშავდეს, დღეს ღამის სამ სათზედ მოხველ, ხვალ ოთხ სათზედ, ზეგ ხუთზედ, წავა, წავა და მერე ღამეც სულ გარეთ დარჩებით ხოლმე. რა უშავს! ოჰ, რა საცოდავები ვართ ქალები! მგონია, გათხოვებამდინ, რომ მეათედი ვიცოდეთ იმ სატანჯველისა, რაც-კი გათხოვების შემდეგ მოგველის, ასე გაურჩევლად ერთი ქალიც არ გათხოვდებოდა, როგორც მე.

**ქმარ**. თუ შენც გათხოვდი, მაშ სხვებმა რაღა უნდა თქვან?

**ცოლ**. მეტი გაურჩევლობა იქნება, რომ არც-კი ვიკითხე, ვიზედა ვთხოვდები?.. ან რა საკვირველია, მაშინ მე რა ვიცოდი, რამთვენი რიგი ავაზაკობა გამოგივათ კაცებს ხელითგან?

**ქმარ**. მაშ, კაბაზედ ხომ ვერ დაგეკერები, ქალო... მგონია, ისეც შინ ძალიან ბევრსა ვზივარ.

**ცოლ**. ცოლი შინ უნდა იჯდეს, მოუაროს სახლსა, შვილებსა, იჯდეს გათენებამდის და ქმარი-კი გასტინიცებში უნდა დეეხეთქებოდეს, ვინ იცის, რა-სალახანებთან ... აბა, რა საზოგადოება იქნება, თქვენი ჭირიმეთ [ტრაკტირებში]! გათენებისას ერთი ბრახი, ერთი ბრუხი, ერთი ზარების წკრიალი, მთელი ქვეყანა უნდა წამოჰყაროთ!.. იცოდე, ამას იქით აღარც მე და, მოსამსახურებსაც ვეტყვი, აღარც იმათ, კარები აღარავინ გაგიღოს...

**ქმარ**. თუ აგრე გაწუხებსთ ხოლმე ჩემი მოსვლა, მაშინ მეორე გასაღებს გავაკეთებინებ და ისე შემოვალ და გავალ, რომ ვერც-კი გაიგოთ.

**ცოლ**. ეგ ღა მაკლდა! მოხვიდე გამტყვრალ გახეთქილი, როგორც ეხლა, დაგრჩეს კარები ღია და მძინარებს ყელი დაგვჭრან, ის გინდა.

**ქმარ**. ახ, მერი!.. რა რიგი ლაპარაკი გაქვს?.. მე ჩემს დღებშიაც არ ვყოფილვარ ისე ნასვამი, რომ სალაპარაკო იყოს და ეხლა ხომ სულ არა დამილევია, არა.

**ცოლ**. მაშ, რათ ამოგდის ისეთი სუნი, თითქო სირაჯხანა იყოს გაღებული შენს პირში?.. და მაგასთან მთლად თამბაქოს ბოლით აყროლებულხარ. ეხლა მაგან-კი ჩემი ჯაბრითა შვრებით. აი.

**ქმარ**. რასა?

**ცოლ**. იმას, რომ გამგებ აკმევინებ წევას, ეგები, მაგით მაინც არის გამაჯავროთ.

**ქმარ**. (ხელს ჩაიქნევს) არა, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. შინ-კი არა ვწევ თამბაქოს?

**ცოლ**. რას აბრიალებ თვალებს, ნეტა, ვიცოდე! ვინ გინდა შეაშინო?

**ქმარ**. კარგია, თუ ღმერთი გწამს. დაჩუმდი.

**ცოლ**. არ დავჩუმდები, არა... გამოიღე ბანბის [ძველები] ყურებიდგან, რომ თავმოჭრილი და თავ მოუჭრელად, შინაურთან და გარეულთან, ყველასთან

ვიტყვი, რა სატანჯველშიაც გყევარ.

**ქმარ**. კმარა, კმარა, მეძინება, წავიდეთ, დავწვეთ.

**ცოლ**. ვისთან!.. შენთან უნდა დავწვე, როდესაც შენ მაგ სახითა ხარ?.. უწინამც მზე დაგელიოს... უნდათ შენი დაღუპვა და აკი ისეც გიყენებენ თვალებსა.

**ქმარ**. ვინ მიყენებს თვალებს, რას ანბობ?.

**ცოლ**. ჩემს სიცოცხლეში არ მინახამს კაცი, ვინც ეგრე ავარდება-გავარდება, რომ იმის საქმე კეთილათ წავიდეს. ან კარგს რასა ხედამთ, ნეტა, ვიცოდე, მაგ ღვინის სმაში და ლოთობაში.

**ქმარ**: მაგას-კი რაც შეეხება, შენ ძალიანათ კარგად იცი, რომ ლოთი არა ვარ.

**ცოლ**: დაიცადე ცოტა და ნახამ... ხომ აგიყოლიეს და სხვა რაღა უნდათ... დღესა, ხვალა, ზეგა და დაგიდგება თვალები...

**ქმარ**. ნეტავი, იცოდე, რა რიგათ თავი მომაძულე...

**ცოლ**. ვიცი, ვიცი, თქვენმა მზემ. ძალიან კარგათ ვიცი! ვიცი!... რაღაით გინდივართ? ახალ ახალი არა სჯობს... დღეს ერთი, ხვალ მეორე... რაკი ეგრეა, ის არა სჯობს, თავი დამანებოთ ერთბაშათ, ესე ჩემი გულის გადაბრუნებაზედ. მაშინ ჩემი გზა მაინც მეცოდინება... თქვენი ჭირიმეთ, გაგონილა ამისთანა უსვინდისო კაცი!.. რაზედა მტანჯამს, რაზედ მაწვალებს, რაზედა მკლამს... შემიწირამს ჩემი თავი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი ცხოვრება და ამას უყურეთ, ერთი, ეხლა რეებს მასმენს!.. დიახ, თქვენმა მზემ, ეხლა აღარ გინდივართ.

**ქმარ**. (წარმოდგება, უჯრასთან მიდის) კარგია, კარგი ყველა დანაშაული მიმიღია ჩემს თავზედ. (გამოსწევს უჯრას და დაფაცურდება) რავქნა!.. (ეძებს ფულებში) აქ ერთი პაჩკა აკლია!.. რა იქნებოდა?!

**ცოლ**. რაო? პაჩკა აკლია?.. რას ანბობ?

**ქმარ**. იმას ვანბობ, რომ ფული აკლია...

**ცოლ**. კარგად გაშინჯე, ერთი, ვინ ამოიღებდა მანდედგან?

**ქმარ**. რა გავშინჯო, რაც აღარ არის... აი, (სთვლის) ერთი, ორი, სამი, ოთხი და ხუთი. მეექვსე აღარ არის.

**ცოლ**. მა, რა იქნებოდა, თქვენი ჭირიმეთ.

**ქმარ**. აქ კი აღარ არის და რა ვიცი... ნეტავი, სახელმწიფო ფული მაინც არა ყოფილიყო და ჯანი გავარდეს. ხვალ უნდა შემეტანა, ახლა რაღა უყო.

**ცოლ**. ჰო, მესმის, ეხლა მივხვდი!

**ქმარ**. (სიჩქარით) რა გესმის, რას მიხვდი?

**ცოლ**. მესმის, თქვენმა მზემ, მესმის... კარგი კომედია მოიგონე...

**ქმარ**. რას ანბობ, რა კომედია?

**ცოლ**. აბა, ე, მაგას ვამბობ, აი... ნუ დადიხარ მეთქი – ნახე?.. უთუოდ ქაღალდში

წაგაგებინეს და ახლა გინდა, როგორმე ჩემთან თავი გაიმართლო?.. უცხოა?

**ქმარ**. რა სულელური ლაპარაკი იცი.

**ცოლ**. დიახ, სულელური, თქვენმა მზემ, რასაკვირველია, სულელობა, რომ ვერ მოგახერხებინე ჩემი მოტყუება... კიდეც მაგისათვინ ბრძანდებოდით გათენებამდინ სხვაგან... წააგე თუ არა? ჰე! ახია შენზედ.

**ქმარ**. რისთვის მაწყენინებ, მერი?.. ეს ხომ ძალიან კარგათ იცი, რომ ქაღალდში სულაც არ ვთამაშობ?

**ცოლ**. ჩემი ურგები ქოთანი ქვასა, შეჭამადი ძაღლსა... წააგე, შეჭამე, სხვას აჩუქე – ეგ ჩემთვის სულ ერთია!.. მიბრძანდი და ხვალ შეიტანე ფული... ვნახოთ, საიდგან იშოვი... კარგი საქმეა, თქვენმა მზემ, კაცს სახლი ჰქონდეს, ცოლი ჰყვანდეს და თითო საღამოზედ ორმოცდ ათ-ათი თუმანი გადაყაროს, ღმერთმა იცის, რა გარყვნილებაზედ.

**ქმარ**. თუ მაგისთანა უპატიოსნო კაცათ მიყურებ, რომ შემიძლიან ჩემი ფულისავე მოპარვა და თავგასამართლებლად სხვა სხვა სისულელის მოგონება, მაშინ... რა, რაღა უნდა გითხრა? (დაიკრამს მუხლზედ ხელს და მიდის)

**ცოლ**. (უკან მისდევს) არ იქნება, თქვენმა მზემ, არა!.. უნდა მითხრა, რა უყავ ის ფული... შენი ხასა ხომ არა ვარ, შე უსვინდისო კაცო, რომ ეგრე მეგცევი.

**ქმარ**. (შედგება) დაიცადე, გეყოფა, თავპატივი დაიდე... ამისთანა საკვირველება იქნება, თქვენი ჭირიმეთ – კაც[მ]ა თავის დანაკარგი თავის სახლში ვერ მოიკითხოს?.. (ცოლზე) მე იმას გირჩევ, თავი დამანებო (გადის)

**ცოლ**. ვერ დაგანებეთ, თქვენმა მზემ! ვერა, ვერა!..

**ეხლა** გვიანღა არის (დაჰყვება თან).

# სარჩევი

ერთი ზემოქართლ[ელ]ი თავადისშვილი ჩამოვიდა ქალაქში, მამულის დასაგირავებლად, ყმაწვილობიდგან აქ აღარა ყოფილიყო. რასაკვირველია, ცვლილება აკვრივებდა და ყოვლის ღონისძიებითა ცდილობდა, რომ თავის სიხამე არ შეემჩნევინა და ამიტომაც ის დადიოდა გაბერილი და გაჭიმული. ჩაბრძანდა ეს თავადი ბაღში, სადაც შეხვდნენ ჯიბგირები, რომელთაც ადვილად შეამჩნივეს თავადის შვილს ქალაქში უცხოობა.

ვნახოთ, კინტო-ჯიბგირებმა გამართეს ტყუილათ ერთი ჩხუბი, კნიაზი მივიდა გასაშველებლათ, ჯიბგირებმა ამოაცალეს იმას ჯიბიდგან ბუმაჟნიკი, ნახეს რომ ერთი ქართული ორი აბაზიანის მეტი არ ეგდო და ისიც თურმე გახვრეტილი. აიღეს და ისევ ჯიბეში ჩაუდეს თავისი ბუმაჟნიკი გახვრეტილის ორი აბაზიანით.

კინტოები გაშველდნენ - თავადის შვილი დაკმაყოფილებული დარჩა, რადგანაც, იმის აზრით, მოჩხუბრებმა თავადის შვილის ბრძანებას ყური უგდეს, პატიცი სცეს და გაშველდნენ. თავადის შვილმა დაინახა, რომ მუშაკი ღირსია სასყიდლისა და უთხრა:

- მამაჩემი არ წამიწყდეს, საშუაკაცო ერთი კარგი სადილი მეკუთვნის.

- კნიაზ-ჯან!... მობრძანდი, შენი ჭირიმე... თუ-კი გვიკადრებ-ვაი! ვინ პირძაღლი, ისეთს ჭანარზედ არ დაგპატიჟებს, რომ ჰა!

- დაგპატიჟებს, რომენია?.. კნიაზს რას ეკადრება ჩვენთან პურის ჭამა.

- რას ეკადრება, შენმა მზემ, შინ ნაზუქის სული დაახრჩობს.

- რა მიჰქარავ, ვის უბედამ მაგას?..

- მაშ, იკადრებ?..

- არ იცი, რომ არ მეკადრება?

- მტყუანს რა უთხრა, რომ წამოხვიდოდი.

- მამაჩემი არ წამიწყდეს.

- კარგია ერთი, [„ბაჰალა“], ნუ წაიღე და?.. მტყუანს რა უთხრა, რომ ჯიბეში ერთი გახვრეტილი ორაბაზიანის მეტი არა გქონდეს?

- როგორ მიბედამ, მაგას... მამაჩემი არ წამიწყდეს, ეხლავ პოლიციაში დავაჭერინებ.

- ეუ, პოლიცია, რომენია?.. ჩემი ერთი თუმანი იყოს და შენი-კი ის გახვრეტილი ორ აბაზიანი... ამოიღე ჯიბიდგან, თუ მაგის მეტი გქონდეს.

- გამიშვით, ერთი, მე უჩვენო-მაგათ! და ხანჯალს ხელი [იტაცა]. კინტოები გაიქცნენ, თავადი შვილი კი დარჩა გაკვირვებული იმით, თუ საიდგან გაიგეს კინტოებმა იმის გახვრეტილ ორ აბაზიანზედ. როდესაც დაბრუნდა სოფელში, მაგის მეტი გასაკვირველი ანბავი ვერა მიიტანა.

**ზულვარზედ ზის** ზემოქართლელი თავადის შვილი, ღრმათ დაფიქრებული. ის ჰფიქრობს, რომ: როგორ მოახერხოს ბანკში დააგირაოს არამც თუ ის მამული, რომელიცა აქვს, არამედ ისიც, რომელიც არა აქვს იმას და არც არის დედამიწის ზურგზედ გაჩენილი.

მოდის ორი კინტო და ერთს ისეთს ბაასში არიან, რომ კაცი იტყვის: ქვეყნის საქმეს არჩევენო. ერთი იმათაგანი მოვიდა თავადთან და ეუბნება:

– კნიაზო, კნიაზო! შენი ჭირიმე, სანაძლეოს ნუ წამაგებინებ.

–რას ანბობ? – ჰკითხა გაკვირვებულმა კნიაზმა.

– აი, ის ყურუმსაღი დამენაძლია, რომ კნიაზს ერთს ფეხზედ ექვსი თითი აქვსო, მე კი ვიცი, რომ ხუთი თითის მეტი არააქვს... ერთი, ფეხი გაიხადე, ჭირიმე, რომ გავამტყუვნო... მეც ერთი საწყალი ბიჭი ვარ, შენს სადღეგრძელოს დავლევ.

– ჰა, შვილო!.. გამხადე რა... – უთხრა ღიმილით თავადმა, – მე რა მენაღვლება, რომ შენ სანაძლეო მოიგო.

თავადისშვილმა გაუშვირა ფეხი, კინტომ გახადა წაღა, წინდა და როდესაც დარწმუნდა, რომ ხუთი თითი აქვს, სიხარულით წამოვარდა და მეორე კინტოს შესძახა:

– ჰა!.. ეხლაც არ მოვიგე სანაძლეო?

– ვაი!.. რის მოიგე, რა მოიგე, მამა გიცხონდა?.. განა მე მაგ ფეხისა გითხარ? – უპასუხა მეორემ.

– ამისა მითხარ, მაშა?

– არა კაცო, მეორე ფეხისა გითხარ.

– ამისი მითხარ, ამისი.

–არა, არა მეთქი.

– ე– ე!.. მოიტა სანაძლეო, თორემ მოვიდა შუბლში.

– მოიცა, შვილო, რათა ჩხუბობთ, რისთვის? აი, მეორე ფეხიც გამხადეთ და ნახამთ, რომ იმაზედაც ხუთი თითის მეტი არა მაქვს.

თავადისშვილი გაუშვერს მეორე ფეხს, კინტო გახდის და სიხარულით წამოვარდება.

– ეხლაც იტყვი, რომ არ მოვიგე.

– მოიგე, მამა გიცხონდა, „პოლ იპრიალებს“ დაგითვლი. წამოავლებს ხელს წაღებს და გაიქცევა.

– სად მიგაქვს, სადა... აბა, დამაცადე! ამ სიტყვებით გამოუდგება მეორე კინტო. თავადი შვილი გაშტერებული დარჩება და როდესაც გონებას მოვა, შექმნის ყვირილს: „ყარაულ, ყარაულ! გამცარცვეს, მიშველეთ.

შეიყარა ხალხი, თავადისშვილს არავინ [უჯერებს], რომ ცოცხალს კაცს ფეხებიდგან წაღები მოსტაცეს. ილაპარაკეს, არჩივეს და გადაწყვიტეს, რომ ჭკუიდგან შემცდარა.

Будь ли тебя поцелуем я на сон!

Дерзко вспыхнет надо головой твоей.
Страдает-ли в ней прекрасно пятнистой
Теперь скоплен я тебя не курсивно.
Но ли тебя я поцелуй на сон.

Можешь я тебе дворе вспыхнет
Цветать вблизи цвет ваше розы
Цветы тоже цвет из тебя
Усмешкой и тайной
В подобный в то время основы.

И все вновь, тебе дворе вспыхнет

Ах что цветов цвет ваше розы?
Сон выдает!... и тоже-тебе розы
Цвет чудесно ваши поцелуи.
Ах ли тебя?... Вы чудесный цвет
~~Но цвет цветов~~ он ваше,
Но цвет цветов чудное ваше розы!

---

Будь дворцом-ты чудесно,
Вспыхнуть тебя в дворцов.
Дерзко дворцом-ты чудесно,
Вдруг чудесно в дворцов.

# ლექსები

# ლოცვა

აჰყვავდი, ჩემო ქვეყანავ!
ღამევ, გაშუქდი, ბნელოო,
და გადმოხედე ზეციდგან,
ქვეყნად კეთილის მქნელოო!

ხალხსა გზა მიეც, ძრიელთა
დამბმელო, მაშვრალთ მსხნელოო,
განშორდი ჩვენსა ქვეყანას,
ვარამო, მეტად ძნელოო!

გზა მიეც, ჩიტმაც შეიძლოს,
თავისებური ფრენაო,
ბარტყებს არ გადაავიწყოს
ტკბილი სამშობლოს ენაო!

მზესა უბრძანე, ათბუნოს,
მთვარესა შუქის ფენაო,
რომ ყველამ წრფელის გულითა
შესძლოს, ადიდოს ზენაო.

# ჩემს რვეულს

რვეულო, მე თუ მოვკვდები,
შენ ხომ დარჩები ამიერ,
მე მიწის მიწად ვიქცევი,
შენ ივლი დღე და ღამიერ.
გემუდარები, ჩასძახო
ერობას ყოველ-წამიერ,
რომ მხოლოდ ძმურის ერთობით
იცოცხლებს მრავალჟამიერ.

# ვინც ლაჩრობს

ვინც ლაჩრობს, დეე, ილაჩროს,
დადნეს და განქრეს შიშითა,
წუთს მოსვენებას ნუ ნახავს,
გულს იხეთქავდეს ვიშითა!
მაგგვართან საქმე არა მაქვს,
არ ვემსგავსები ჯიშითა,
როსკიპად მშიშარს, დავრდომილს
პირი გაევსოს ქვიშითა!

# ღრუბლიანი დღე

ღრუბლიანს დღეში დაჰკარგავს
სითბოს მზე, შუქსა მთვარეო,
თქვენს შორის შეუმჩნეველად
მეც ამად ჩავიარეო.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

# ᲒᲠᲫᲜᲝᲒᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲗᲘ

ქალი ვნახე, შევკრთი, ღმერთა,
მეტის მეტად მომეწონა...
ვერ მივწონე, თუმც მინდოდა,
მის ღირსება ამეწონა.
გულმა შეჰქნა დაგა-დუგი,
როცა მან ჰგრძნო ვარდის კონა,
მისმა ხილვამ მთლად მომხიბლა,
და ძალაზედ დამაღონა.
ერთხელ მივედ, ათჯერ, ასჯერ,
არ მომხედა ჩამაგონა,
აღტაცებულს თვით საკირე,
ჯოჯოხეთი მომაგონა,
რამდენჯერაც  შემომხედა
მტანჯავდა და სულსა მხდიდა,
ყურადღებას არ მაქცევდა,
თუმცა თავის მონად მხდიდა.
მის წინ ია და ზამბახი
ჰკრთებოდა და თავს იხრიდა,
და თვით ვარსკვლავს გაბრწყინვებულს,
თავის შუქით თვალებს სთხრიდა.
რამდენჯერაც ვსთქვი: შევკადრებ

სიტყვას, – პირი მომარიდა,
ასე ყოფნით, მთლად ჩამოვდნი,
თვით სულთქმაც კი გამიჭირდა,
ერთხელ, მახსოვს, კართან იდგა,
შევკრთი, შემაჟრჟიალაო,
მომხედა და ცეცხლად დამკრა,
უკუ გამატრიალაო.
ამ დროს ძალზედ გაიელვა,
თვალმა გაუკრიალაო,
ცით მოვლენილს მაში[ნ] ჰგვანდა,
ნაზად გაიცქრიალაო.
ვეღარ გავძელ, წინ გადუდეგ,
ვსთქვი: – შენგან ვარ ავადაო,
უშენობით, მთლად სიცოცხლე
ჩამეკუპრა შავადაო.
ანგელოზის სახე რო გაქვს,
რად მექცევი ავადაო?
რაღა ლაპარაკი მინდა,
ვკვდები, ხედავ, თავადაო.
ქალმა შუბლი შეიჭმუხა,
ცეცხლს ბერწკლავდა თვალებიო,
ძალზედ მწვავდა და შევძახდი,
მაინც გენაცვალებიო.
სუ რო სული ამომართვა,
შენთვის გავეწვალებიო.
აჰა, გული ჩახან გუთნით,
ტკბილად დავიკვალებიო.

**ქალი** (შეუტევს)
იქით, ვინ ხარ?.. გზა მომეცი!

**ბიჭი**
სჯობს მეხი თავში დამეცი,
შენი ვარ, შენგან პყრობილი,
თუ გწადს ჯოჯოხეთს მიმეცი.

**ქალი**

განმშორდი, – მითხრა და ადგა,
და იქცა სწორედ ლომადა.
მკვირცხად რამ გამოიწივა,
მუნ მოემზადა ომადა,
მაგრამ გულს როდი ეცალა
ჩემსასა დასაცხრომადა,
მთლად გადაიქცა ტიალი
ერთს და იმავე ნდომადა.
ქალმა რა მნახა, მწრაფლ შეკრთა,
მუნვე გაბრუნდა ნელაო.
წყნარად სახლისკენ წავიდა
და მე კი დამანელაო.

||

განვლო დრომ და განვლო ხანმა,
ბიჭმა ვერა გაბედა რა,
იკვნესა და იავადა,
საკმარისად იავდარა.
გული შავად ჩაკუპრული,
ვით ცხედარი შესუდარა,
გლოვობდა, რო არ ისმინეს
არც ხვეწნა და არც მუდარა.
ბიჭსა ფერი შაეცვალა,
ხვნეშა ჰქონდა დამწველიო,
თვალებიდგან გადმოსჩქებდა
ჩუხჩუხითა ნაღველიო.
მის გულს აღარ ახარებდა
არცა მთა, არცა ველიო,
„სჯობს მოვკვდე“, კვნესით იძახდა,
ნეტავი, რაღას ველიო?...
მაშ არ იქნა, არ გადავრჩი,
ჩემი საქმე ასეაო?

არც ძილი და არც დაცხრომა,
გულიც სევდით სავსეაო?
არ უყვარვარ?... მაგრამ როცა
მხედავს, თვალს არ მაშორებსო?
და თუ სადმე მას ხმას გავცემ
მსწრაფლ მიწასთან მასწორებსო.
ჩაფიქრდა და დაიძახა,
ერთხელ  კიდევ გამოვცდიო,
და თუ ეხლაც არ დამთანხმდა,
სიკვდილს აღარ დაუცდიო,
წამოდგა და გაიზმორა,
ასე ვითა იქნებაო?
სიყვარული დღეს რო მჩეგნის,
უცილოდ ცამ ინებაო!
სახარება ანბობს: მხოლოდ
ღვთისგან ცვლილობს ბუნებაო,
თმა ვერ იძვრის უღმრთოდ და სთქვით,
ვით მეცვლება გუნებაო.
მას თვალები გაუბრწყინდა,
მირბის გახარებულიო,
ანბობს, აღარ დავბრუნდები,
თუ არ გახარებულიო.
კაცს კაცობა ეჭირვება,
გულადობა ქებულიო,
და თუ ვინმე წინ ამიდგა...
ხმალი ამოღებულიო!
სირბილის დროს კართან დახვდა
სახნავ, სათეს, სამკალიო,
ბიჭი შეკრთა, სძლია ქალმა,
მთლად დაიწყო კანკალიო,
წყნარად უთხრა: შენ ხარ ჩემი
ორივ თვალის კაკალიო.
ან სიცოცხლე მომანიჭე,
ან და აქვე მომკალიო.
ქალი შეკრთა, შემომხედა,

ცოტა რამე შეფერხდაო,
მინდოდა, რო დაეცადნა,
თითქოს სული ამომხდაო.
ქალავ! უთხარ, – რაი გინდა?..
მკითხა წყნარად, ნელადაო,
ყურთა სმენამ მიღალატა,
სულს ვიქცევდი ძნელადაო,
თავსა თავს-ბრუ დამეხვია,
თვარე გახდა ბნელადაო,
ყველა ასო ათახთახდა,
დამეგრიხა წნელადაო.

**ბიჭი**

ქალავ, კმარა... შენ მირჩევნი
მთელის ქვეყნის ქალებშიო,
მე თუ ვდნები?.. შენცა სჭკნები,
მოჩანს მაგ შავ თვალებშიო.
თუ აგრეა, მე თუნდ მოვკვდე,
შენ რაღას ეწვალებიო?

**ქალი**

ბიჭო, კმარა, გამეცალე,
ვგრძნობ, მწვავს ცეცხლის ალებიო,
მაგრამ მაინც ამოდ მდევნი,
ძალზედ დაიღალებიო!

**ბიჭი**

რა ვქნა, რა ვქნა, რომ მაგ სახეს
ვერსად დავემალებიო!

**ქალი**

ბეჩა, სხვაგან აღარ არის
თვალჟუჟუნა ქალებიო!

**ბიჭი**

შენა გფიცავ, ჩემთვის შენებრ
არვისა აქვს ხალებიო!..
ულმრთო რამ ხარ? რას მაწვალებ?

**ქალი**

და შენა გრძნობ, რას მავალებ?...
მთლად არსებით, სულით, გულით
სხვას ვეკუთვნი, რას მავალებ?..
კმარა, წადი, თუნდ მიყვარდე,
ხედავ, საქმე არ ხერხდება,
რომ დაგთანხმდე, მაინც ორთავ
თავს საცემი გაგვიხდება.
სანამ ქმარსა უღალატებ,
უმალ სული ამომხდება!
ჩემთან საქმეს ვერ მოიგებ,
არშიყობა წაგიხდება.

**ბიჭი**

ეგ რა მითხარ?.. არ გიხდება
შენ მაგგვარი საუბარი!..
მითხარ, სხვას ვით დაეთმობა
შენებრივი სანუკბარი?..
შენ ხარ სული, თვით სულისთქმა,
ნექტარება ყოვლად მტკბარი,
შენ მე ვერვის დაგანებებ,
ბრძოლად დამხვდეს თუნდ მთა, ბარი!
ვინც სხვას ჰკოცნის და სხვა უყვარს
როსკიპია და აშარი,
შენც თუ მაგას იმეორებ,
მად რომ ქჩეგნის ქვეყნის შარი.
არ დაფიქრდი, ისე რამ სთქვი,
შენ მაგივრად ვფიცავ ზენას,
გრძნობას შენ ვერ უღალატებ,
ვერ ეყმობი ქვეყნის ენას!

ვიცი, ამ დროს გარყვნილებას
არ მიაბყრობ ყურთასმენას,
და წინ მარად აღუდგები
ზოგიერთის მაღლა ფრენას.
ხალხი არღვევს ციურს კანონს,
ანბობს, ერთხელ თუ შესცდიო?...
ხელახლად მის გასწორებას
ნუღარა დროს ნუღარ სცდიო?...
რაკი შენსა ბედისკვერსა
ვერ შეხვდი და შორს ასცდიო,
უნდა შენს ბედს დამორჩილდე?...
მაშ შენც რწმუნობ ამ კანონებს?..
მითხარ, ეგ ვით იქნებაო?..
მაგას მიჰყვეს, ვინც ცხოვრებით
ძალზედ გამოიქნებაო.
მაგ სიტყვებით გულში დამჭერ,
ამერია გონებაო,
თუ კაცს კაცი უყვარს, ერთხელ
ვით არ დაეკონებაო?!.
მაშ, მოდი, ჩვენც ასე რამ ვქნათ,
ერთმანერთის ღრენასაო,
ტუჩი-ტუჩსა ჩავაწმახოთ,
მუდამ ცრემლის დენასაო!
მოვიაზროთ, რო ჩვენ ავცდეთ
მეჭორეთა კბენასაო.
გამიგონე, რასაც გეტყვი –
კარგად მიეც სმენასაო.

**ქალი** (აღელვებული)
კმარა! სთქვი, რას მეუბნები?!.

**ბიჭი** (აღტაცებით)
ღმერთო, სულ მთლად ჩამოვდნები!..
და თუ შენ მე თანამიგრძნობ,
ქვეყნად ღმერთად შევიქნები.

**ქალი**
მითხარ რა ვქნა?..

**ბიჭი**
აი რა ჰქნა:
ნულარ ამეშარებიო!
რასაც გეტყვით, თუ მომყვები,
აღარ შეგეზარებიო!..
რა იქნება, ერთხელ – მითხარ,
ღია დაგრჩეს კარებიო?
ვითომ გძინავს, ვერ გაიგებ,
მუნ შემოვიპარებიო?

**ქალი** (შეკრთება)
არა, არა, გენაცვალე,
ნურას გაისარჯებიო,
კარებს ღიას ვერ დავაგდებ,
რისთვის დაიხარჯებიო?...

**ბიჭი** (აღშფოთებით)
მაშ რაღა ვქნა?... უშენოდ მე
მკვდარი დავიარებიო!
მხოლოდ შენის ერთის კოცნით,
ტკბილად ვეზიარებიო!

**ქალი**
კარგიაღა, მომეხაფრე,
ქმარი გამიჯავრდებაო.

**ბიჭი**
რას უბნობ, რომ აქ არა გყავს
სხვა ვინ შემოვარდებაო!

**ქალი**
ვაი იმას, ვინც კი ერთხელ

ხელში ჩამივარდებაო,
საქმეს ისე გაუჭირვებ,
წყალში გადავარდებაო!

**ბიჭი** (გაბრაზებით)
მაინც მოვალ, თუნდა მცველად
გყვანდეს ქვეყნის ჯარებიო,
ზემოდ ცას და ქვეშ ჯოჯოხეთს,
ორთავ გავემწარებიო!..
კარგი! ჰკლიტე შვიდის კლიტით,
აწმცა შენი კარებიო,
მუნ შემოვალ და ერთს დაგცქერ,
სხვიმ არ მოგეკარებიო.

**ქალი** (გაჯავრებით)
თუ მოსულხარ, ცასა ვფიცავ,
ძალზედ გაგიცხარდებიო!
კვნესით ნაღველს გაღვრევინებ,
ისე გაგიმწარდებიო!..
რასა ჰფიქრობ?... სადაც შეხვალ,
მზად გაქვს სხვისი ვარდებიო?...
და შენ ღონით რო დამძალო,
წყალში გადავარდებიო.
ვერ გაიგე, რა გითხარი?
ახლა კმარა, გამეცალე...
ბიჭავ, მეც მაქვს ჩემი ფიქრი,
ერთს წუთს მაინც დამაცალე.
რაო?.. ტუჩნი ჩამოუშვი?...
ხელები ნუ გადმიშალე,
ვაუკაცს ქალთა უკან დევნა
გრცხვენოდეს და დაიშალე.

## III

გოგო პირით ცეცხლსა ჰყრიდა,
ცად სჭექავდა ძრიელიო,
მისგან ყველა გამორბოდა
ბარელი თუ მთიელიო.
ბიჭი კვნესით იძახოდა
სამარის კარ მიველიო,
ისე რიგად ბარბაცებდა,
თითქოს სჭამა იელიო.

საცოდავად ლუღლუღებდა:
კარგი რამ აქვს ხალებიო,
მიწაშიაც რომ ჩამმარხოთ
მათ ვერ დავემალებიო.
საიდგან სად, რისთვისა აქვს,
ვარდათ ტუჩზედ ლალებიო,
მაშ, მე არა და სხვას მისცა
ღმერთმა იმის თვალებიო?..

ბიჭი მყისვე წამოვარდა,
აიკეცა კალთებიო,
და თუ გოგო არ წამომყვა,
მუნვე დავიბალთებიო!
დიახ, მივალ, თუნდა დამხვდეს
მუნ მთლად ქვეყნის ჯარებიო,
მივიდა და, რა გონიათ?..
ღია დახვდა კარებიო!...

ალექსანდრე ყაზბეგის აკვანი, XIX ს. ხე, 63X112 სმ.

# ზღაპრები

# მეფის რაში

იყო და არა იყო-რა, ღმერთზე უკეთესი რა იქნებოდა?!. იყო ერთი შეძლებული ქვრივი კაცი, რომელსაც სამი მარგალიტივით ლამაზი ქალი ჰყვანდა.

მამას უყვარდა თავისი შვილები და ისინიც თავის ვალს არ ივიწყებდნენ: ისე უვლიდნენ მოხუცს, რომ ცივს ნიავს არ აკარებდნენ.

მათ შემოეჩვიათ ერთი ქვრივი, რომელიც ხშირათ დადიოდა ამ სახლში და შველოდა ხოლმე ქალებსა.

ეს დედაკაცი ისე იქცეოდა, ისე ირჯებოდა მოხუცის შეძლებულის კაცის სახლში, რომ ჭიას არ აწყენინებდა. დღეს, ხვალ, ასე მიდიოდა იმათი ცხოვრება მშვიდობიანათ და ტკბილათ.

ცოტა ხნის შემდეგ კაცმა რაღაცაზე დაფიქრება დაიწყო, მერე დადარდიანდა და ბოლოს გამოაცხადა, რომ ამ დედაკაცს ირთავდა. ყველას გაეხარდა ეს ამბავი, რადგანაც ქვრივმა ყველას შეაყვარა თავი, იცოდა, ვის როგორ მოჰქცეოდა და ვისთვის რა ესიამოვნებინა.

ქორწილი გააჩაღეს, ხალხი მოიწვიეს და ჯვარი გარდაიწერეს.

ამ დღიდან ყოველისფერი გამოიცვალა: დედინაცვალმა თვალის დასანახათ შეიძულა ქალები, ქმარი ჩაიგდო ხელში და მთელს სახლობას გენია შეუკეთა.

აშკარათ აღმოჩნდა, რომ ის უწინ თვალთმაქცობდა და გულკეთილათ იმისთვის თურმე იქცეოდა, რომ დიდი ოჯახი ხელში ჩაეგდო და მერე თუთურები აეშვა.

ეს დედაკაცი იქამდის გადაეკიდა თავის გერებს, რომ მათი მოშორება განიზრახა, თუნდა ამისთვის ქალების დახოცვაც დასჭირებოდა.

ოჯახობა დაამხო, რადგანაც არც თითონ უვლიდა და არც სხვას აკარებდა. ქმარს საქვეყნოთ ქუდი მოხადა და შერცხვენილს სიცოცხლე გაუჭირა; ყოველ დღე ჩასჩიჩინებდა: „შენი გომბიოები მომაშორეო!“ და დაქალაჩუნებული კაციც, დამონებული ყაჩაღანის დედაკაცისაგან, ისმენდა უღმერთოს და შეუწყალებელს ლაპარაკს.

ისა ხედავდა, რომ ოჯახი პირქვე დაემხო, მისი ნაზად და ნებიერათ აღზრდილი ქალები ეხლა ძონძებში გახვეულნი დადიოდენ; მუდამ დაღონებულნი, თვალ ცრემლიანები იყვნენ და ყოველ წუთს დედინაცვლისაგან გალანძღულნი, ნაცემ-ნაგლეჯნი და ქვეყანაში მოყივნებული რჩებოდნენ.

ძალა-მოკლებულმა მამამ ჯერ ღონება დაიწყო, მერე უნდოდა დარდი სმაში განექარვებინა და ლოთობას მოჰყვა, მაგრამ ვერა ღონისძიებით საოჯახო ცეცხლი ვერ მოიშორა.

ცოლი დაუსვენებლივ ჩასძახოდა: „მომაშორე შენი გასაჟუჟი ქალები, თორემ კეტით დავხოცამო!“ და ქმარმაც დაინახა, რომ დედინაცვალი გერებს აღარ ინდობდა. იფიქრა, იფიქრა და გარდასწყვიტა, რომ თავის ქალებიც და თავის თავიც სიკვდილით გარდაერჩინა ჯოჯოხეთურ ცეცხლისაგან. აიღო ერთი თოხი, ერთიც ნიჩაბი და წავიდა ტყეში. მივიდა ერთს თურაშაულს ვაშლთან, რომელიც წითლად ღვიოდა და ღაჟღაჟებდა. ერთს მხარეს მოსთხარა ღრმა ორმო, ზედ დააწყო წვრილი წკეპლები და ფარდაგი გადააფარა. ბოლოს ავიდა ხეზე, დაბეტყა ვაშლი და ორმოზე დაფარებულს ფარდაგზე შეაგროვა. მხოლოთ აარჩია სამი ვაშლი, რომელნიც ყველაზე ლამაზი და კაცის თვალის მისაზიდნი იყვნენ. ერთი ჩაიდო ზურგთ უკან, მეორე მარჯვენა და მესამე მარცხენა პაჭიჭებში; როდესაც ეს ყველა გაათავა, გამობრუნდა შინისაკენ და სახლში შემოსვლისთანავე თავის ქალებს დაუძახა.

– მოდით, შვილო, ზურგი მომფხანეთ. – ქალი მივიდა და ზურგში ხელის-ჩაყოფისთანავე სიხარულით დაიყვირა. მან ამოიღო ვაშლი და რა დაინახა მისი მშვენიერება, აღტაცებულმა დაუწყო კოცნა და ალერსი.

დიდი ხანი იყო, როცა ქალებს ეს სიტკბოება აღარ ენახათ, მათთვის აღარავინ ზრუნავდა და მამისაგან ვაშლის მოტანამ წარსული ცხოვრება მოაგონა.

– მეც მომეც, მეცა! – მისცვივდნენ სხვა დები თავის დას, მაგრამ მამამ შეაყენა.

– მოდი, შვილო, შენც პაჭიჭი გამხადე, – გაუშვირა შუათანა ქალსა.

ქალი მივიდა და პაჭიჭის გახდისთანავე წამოგორდა პირველზე უფრო დიდი და მასზე უფრო დაწითლებული ვაშლი. შუათანა ქალმა შორს გარდასტყორცნა პაჭიჭი, გახარებული დასწვდა ვაშლს, ჩაიკრა გულში და ხტუნაობა დაიწყო.

– მე, მე კი აღარ მინდოდა? – გულნატკენათ წამოიძახა უმცროსმა.

– მოდი, შენც ეს პაჭიჭი გამხადე. – გაუშვირა მამამ მარცხენა ფეხი.

მარცხენა პაჭიჭის გახდაზე კიდევ გამოგორდა ვაშლი!.. ვაშლი, მაგრამ, ღმერთო, რა ვაშლი?! ისა სჯობდა ორივე პირველებს, რომლებიც უფროსმა დებმა დაიტაცეს. ამ ვაშლს ერთი გვერდი ჰქონდა მოწითალო და მეორე კი ქარვისფერი, წმინდა სანთლისაგან ჩამოსხმულს ემზგავსებოდა. სადაც ყვითელი მხარე წითელ ფერს უერთდებოდა, იქ ვარდისფერს მხარეს ძაფსავით წვნიკი ხაზები ჩაეშვა და ყვითლათ მომღვივს ნიადაგში იკლაკნებოდა! რამდენადაც ეს წვნიკი ძარღვები ყვითელს უახლოვდებოდა, იმდენათ ფერს ცვლილობდა და ეს ცვლილება ისე ხელოვნურათ ხდებოდა, რომ კაცი ვერ შეამჩნევდა, ერთი ფერი სადა სწყდებოდა და მეორე სად იწყებოდა. უმცროსი ქალი დააკვდა და დაეწაფა ამ ვაშლსა.

აქ შეიქმნა ბუნების ხელოვნურ ფერთა ბაასი; ქალი და ვაშლი შებრძოლდენ, შაეჯიბრენ ერთმანერთს და კაცი უპირატესობას ვერ მისცემდა ვერც ერთს მათგანს.

მამამ შეხედა თავის ქალს, გული აუდუღდა და ცრემლები გარდმოსცვივდა. მას მოაგონდა, რომ ცოტა ხანს შემდეგ შვილებს სამუდამოთ უნდა გამოსალმებოდა მისთვის, რომ თავის შვილების სიტკბოებით შენახვა აღარ შაეძლო. ის დასძალა ცოლმა, წაართვა ყოველივე მოსვენება და თავისუფალი მოქმედების უფლება და მთელს ოჯახობას ცეცხლში ატარებდა. მამა შეჰყურებდა შვილებს, მათ გახარებულს სახეებს და დნებოდა, დნებოდა ისე, როგორც სანთელი ცეცხლზე.

როდესაც ქალებმა მოიკლეს ვაშლების სურვილი, მამას დაეკითხნენ:

– სად იშოვე, მამავ! ეს ვაშლები, სადა?

– ტყეში, შვილებო.

– წაგვიყვანე, მამავ, შენი ჭირიმე!.. ჩვენც წაგვიყვანე, – მიეხვივნენ მამას ხვეწნით და კოცნით.

– კარგი, კარგი... წაგიყვანთ, ხვალ დილით წაგიყვანთ! – ყრუდ უპასუხა მამამ და ცრემლები გარდმოსცვივდა.

ქალებმა რაკი გაიგეს, რომ მამას ტყეში მიჰყვანდა, აღარ იცოდენ სიხარულით რა ექნათ. ისინი მეტისმეტად გამხიარულდენ და მამას თავ-განწირულებით ხვევნა და კოცნა მოუხშირეს. ამ დროს... გაეღო კარი  და როგორც ელვა მეხმა იჭექა და იქუხა დედინაცვალმა.

– აი, აი, შე უსირცხვილოვ! – დაჰკივლა ქმარს, წაავლო ხელი იქავ კედელთან მიგდებულს თოხის ტარსა და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი... ერთსა თუ მეორეს, ერთსა თუ მეორესა.

დედაკაცი გააშრებული და გალექებული, თმაგაწეწილი და ცეცხლის მფრქვევი თვალებით ტრიალებდა დაწიოკებულს ოჯახობაში და უშვერის პირით ილანძღებოდა. შავი, ჩამურული, ლაშდაშვებული და თვალებდაჭყეტილი ეს დედაკაცი ჯოჯოხეთიდან გამოვარდნილს ემზგავსებოდა.

მალე შემოიფანტა იმან თავ-პირ დამტვრეული ქმარი და გერები და, როგორც ბრძოლის ველზე გამარჯვებით დაკმაყოფილებული გმირი, დოინჯშემოყრილი თოხის ტარით ჯოჯოხეთის მაშხალასავით გამოიჭიმა.

იმ ღამეს დაბნეული ქალები მეზობლიანთსა შეეფარენ, ქმარი დუქანში წავიდა. ლოთობით გულის გაგრილება უნდოდა და დედინაცვალმა კი სტუმრები მოიწვია, გაუკეთა ვახშამი, მოხადა საზედაშე ღვინოს და სტუმრებს ჭერში ქუდი აკვრევინა.

მეორე დღეს კვირა გათენდა. მახლობელ ეკლესიაში ზარებს დაუწყეს რეკა და სოფელი წირვის მოსმენათ მიეშურებოდა.

აკლებულის ოჯახის დიასახლისიც მოირთო-მოიკაზმა, სახეზე იკრა პიშუსტაკი, ფერით ამოიკვერა ლოყები და ჭყატანა ბაღდადმოხვეულმა, კარგახანს სარკის წინ ტრიალს შემდეგ გასწია საყდრისკენ.

იმის გასვლისთანავე ოთახში სიფრთხილით შემოვიდა ქმარი. მას სახე ჰქონდა გაყვითლებული, თვალის ძირები ჩალურჯებული, ჩაცვინული და თვალებს როგორღაც აფეთებდა. საზოგადოთ მოუსვენრათ იყო და ყოველ წუთსა კრთებოდა.

დიდმა ხანმა არ გამოიარა, რომ მისი სამი ქალიც მოვიდნენ და წყნარათ და ჩუმათ შეშინებულები შემოიპარნენ სახლში.

– ძლივს! – დაიძახა მამამ და თვალებში რაღაცა სიბოროტის ცეცხლმა უელვა.

– აქა ხარ, მამავ? – ჰკითხა ერთმა და ვეღარა მოახერხარა.

– აქა ვარ, აქ! – ბუზღუნით შეუტია იმან და დაუმატა: – თქვენ რაღათ მოხვედით, რა გინდოდათ აქა?..

ქალებმა შეხედეს ერთმანერთს, შეშინდნენ და ერთათ კუთხეში მიიკუჭნენ.

– არ გესმისთ! რა გინდოდათ-მეთქი? – აიმაღლა მამამ ხმა და ბოლოს გაბრაზებით დაუმატა: – უნდა მგელს პირში თავადვე ჩაუცვივდეთ?.. შეგჭამთ მგელი, შეგჭამთ!.. არ დაგინდობსთ, მოგკლავსთ!..

ამ სიტყვებით წამოავლო მან ხელი ცულსა და გაექანა ქალებისკენ, რომელნიც ცოცხალ-მკვდარსავით გაწამებულნი ერთს კუნჭულს მიჰკროდნენ და სუნთქვასაც-კი ვეღარ ბედავდნენ.

– მოკვდით, მოკვდით, – იძახდა გაბრაზებული კაცი და პირიდან ქაფს

ცოფიანსავით ჰყრიდა.

– მამავ! – შესწივლა უნცროსმა ქალმა.

– ჰა! – დაიძახა კაცმა და გაშტერებული გაშეშდა. კარგა ხანს იდგა ასე, გონს ვერ მოსულიყო, ყოველისფერს რაღაც სამარისებული სახე ედო. ჰაერიც კი თითქოს აღარ მოძრაობდა. ისმოდა მხოლოთ შეშინებულის ქალების გულის ცემა, რომელიც თითქოს მკერდიდან ამოვარდნას აპირებდა.

– ჰა, ჰა, ჰა! – დაიხარხარა ერთბაშათ მოხუცმა და ხმაში ხრინწი მოერია, შორს გარდასტყორცნა ცული და უსიამოვნო, დაღლილი, გაბრაზებული ხმა შეეცვალა ტკბილს, მოალერსეს და გრძნობით აღსავსე ხმათ.

– შეგაშინეთ!.. მოგიკვდესთ მამა!.. და თქვენც დაიჯერეთ, თქვენ, რომელზედაც მზე და მთვარე ამომდის, რომ მოგკლავდით!..

მოხუცმა რამდენჯერმე ამოისუნთქა და აქეთ-იქით მიიცქირა, თითქოს ოთახში მყოფი ჰაერი სასუნთქველათ არა ჰყოფნიდა და სხვას კიდევ ეძებდა.

– არა, შვილებო!.. არა... – ტკბილათ დაიწყო იმან. ჩამოჯდა იქავ მდგომს სკამზე და ცრემლები გადმოედინა. – მოდით, შვილებო... მომეხვიენით... მაკოცეთ. მაპატიეთ... მე გამოგჭერით ყელები, მე დაგღუპეთ, მე ვარ ჩასაქოლი.

– მამავ! მამავ! –მოეხვიენ შვილები და დაუწყეს კოცნა და ალერსი.

შვილების ალერსმა კაცი უფრო მოალბო, უფრო დაასუსტა: შეუთამაშა თვალმა, თრთოლა დაუწყო ტუჩებმა და სასულესთან ძარღვებმა ფეთქა ასტეხეს.

– მაკოცე, შვილო... მაკოცე შენცა... შენცა... კიდევ, კიდევ! – ეუბნებოდა მიხრწნილის ხმით. მაკოცეთ, მაკოცეთ... მე ვაშლებზე წაგიყვანთ, გუშინ რომ დაგპირდით.

ამ დროს მოისმა ზარის ხმა და კაცი შეკრთა, წამოვარდა და სახე უსიამოვნოთ დაეპრანჭა...

– წავიდეთ, წავიდეთ! – ერთბაშათ დაიძახა მან და წყნარათ დაუმატა: – წავიდეთ ტყეში, თორემ მოგვასწრობს და გაგვამწარებს.

ქალებმა წამოავლეს შალებს ხელი და ემზადებოდენ, მაგრამ, როგორც ყოველთვის არის ხოლმე აჩქარების დროს, ავიწყდებოდათ, რომ შალები ხელში ეჭირათ და კიდევ შალებს ეძებდენ. კაცს ეტყობოდა, რომ ცოლის მოსწრებისა ეშინოდა და როგორც ციებაში მყოფი, ისრე აცახცახებდა.

– ჩქარა, ჩქარა! – იძახოდა კაცი და თან ხელში საბელს იმარჯვებდა.

მზათა ვართ, მამავ! – უთხრეს ქალებმა და ყველამ ტყისაკენ ჩქარის ნაბიჯით გასწიეს.

კარგა ხანს სიარულის შემდეგ შევიდნენ ტყეში, სადაც წმინდა ჰაერმა და

სასიამოვნო გრილომ ქალები თანდათან აღტაცებაში შეიყვანა. ყმაწვილობის ბუნებამ გაიღვიძა და გული შეუფრიალდათ მოჭიკჭიკე ჩიტებსავით.

მაგიერ მამა მათი დაღვრემილი, ჩაფიქრებული და ფერმიხდილი იყო, დრო გამოშვებით, გაუგებრათ რაღაცას ბუტბუტებდა. სახე მისი წამდაწამ იცვლებოდა, ხან ჭარხალსავით წამოწითლდებოდა, ნაბიჯს მოუმატებდა და მოუსვენრათ ქშინავდა; ხანაც ფერმიხდილი, სულშეხუთული მომაკვდავს მიემზგავსებოდა, რამდენათაც ისინი ტყეში შედიოდნენ, იმდენათ მოხუცს მღელვარება და აღშფოთება ემატებოდა.

კარგმა ხანმა გამოიარა ამ სიარულში. ბოლოს კაცი ერთბაშად შესდგა, სწვდა ერთის ხელით გულსა და მეორე ხელი ისე გაიშვირა, თითქოს ქალების განსაცდელისაგან გაფრთხილება უნდოდა.

ყმაწვილი ქალები შესდგენ და მამას ყურება დაუწყეს, რომელიც ისე ცახცახებდა, როგორც ციება მოკიდებული და სახე საოცრათ დაჰპრანჭოდა.

– მამავ, რა არის? რა მოგივიდა? – მისცვივდნენ ქალები, რომელთაც დაინახეს, რომ მოხუცმა წაიბარბაცა.

– არაფერი, არაფერი! – ხელის გაქნევით და თავშემაგრებით წამოიძახა კაცმა და ერთ ადგილს გაშტერდა. ქალებიც იმ ადგილზე გაქვავებულივით შეჰყურებდნენ.

მოხუცი იდგა და გაუგებელს სიტყვებს იძახოდა: – გათავდა... მოვედით... გაწყდა!.. – წამოიძახა მან და მწარე დაყვირებასთან ერთათ ხმა შეუწყდა.

ქალები შეკრთნენ წუთით და გაწამდნენ. ცოტა სიჩუმის შემდეგ კაცმა ამოიხვნეშა ისე, თითქოს გული თან ამოატანაო და საჯოჯოხეთოს ხმით ხარხარი დაიწყო.

– დასაკლავს ხარს რაღა ყურება უნდა? – დაიძახა იმან და თავათვე დაუმატა: – რასაკვირველია, რომ არა... შვილებო, შვილებო! – ერთბაშათ წამოიძახა და ქალებს უკანასკნელი ძალა დაეკარგათ. მათ წივილი შექმნეს და გაქცევა განიზრახეს, მაგრამ მამა წინ გარდაუდგა და უფრო დამშვიდებით უთხრა:

– სად გარბით? რისთვის?.. მაშ, ვაშლები აღარ გინდათ? – ქალები შესდგნენ და შეშინებულის, ურწმუნო თვალით ცქერა დაიწყეს. მოხუცი მივიდა ბუჩქებთან, გადასწია ფოთლებს და უთხრა:

– აბა, შეხედეთ.

ქალებმა შეხედეს და სიხარულით შეჰკივლეს:

– ვაშლები, ვაშლები!

მათ დაინახეს პატარა მინდორი, რომლის იქითაც ერთი ხე განცალკევებით

იდგა და ქვეშ ფარდაგზე მთელი ხროვა ვაშლებისა მზის შუქზე ბზინავდა.

პირველმა მოულოდნელობამ შეაკრთო ქალები, მაგრამ წუთს შემდეგ გახარებულის ყიჟინით გაქანდნენ მიმზიდავათ და მიმპატიჟეთ მომღვივს ვაშლებისკენ. მათ გაქცევაზე კაცმა თავზე ხელი შემოიკრა, სახე დაეპრანჭა და შეშინებულის ხმით დაიძახა:

– შესდექით, მოიცადეთ... ორმოა! მაგრამ გაფთხილება გვიანღა იყო. ქალები შეცვივდნენ ფარდაგზე, წკეპლებმა ვერ გაუძლეს მათ სიმძიმეს და ვაშლებთან ერთათ ორმოში ჩაცვივდნენ!..

მოხუცი გაქანდა მათკენ, მიიჭრა ღრმა ორმოს ნაპირზე და ჩახედა ორმოს, რომელშიაც მხოლოდ ბნელი უფსკრულიღა მოჩანდა,

– შვილებო, შვილებო! – გულის გამგმირავათ დაიძახა მოხუცმა და პასუხათ მოესმა მხოლოთ ნიავსავით წყნარი ხმა: „მამავ, მამავ!“ და მასთან ერთათ ყოველისფერი შესწყდა, გაყუჩდა და სიჩუმე ჩამოვარდა.

მოხუცი დაეცა მიწაზე, დაიწყო დაჭრილს ლომსავით მიწის ბრდღვნა და ღრიალი, იცემდა თავში, პირში, ტიროდა მდუღარეთ და ტანისამოსი მთლად შემოიგლიჯა, დიდხანს ივაგლახა, დიდხანს აწყდებოდა აქეთ-იქით, დიდხანს სცემდა თავს ქვაზე, მას აღარავინ უშველა, შვილები აღარავინ დაუბრუნა, ერთბაშად მოხუცი წამოჯდა, გაჩუმდა და ერთს ადგილს მიაჩერა თვალები. მისი სახე დამახინჯებული და დაპრანჭულიყო გულის შემწველის ცეცხლისაგან. ეტყობოდა, რომ მისთვის გონებას ეღალატებინა, გაებრუებინა და ჭკუიდან შაეშალა.

– რა უნდა მექნა? – წყნარად წარმოსთქვა იმან და დაფიქრდა – ვაშლი, ვაშლი... წყნარად გაიმეორა... ეს საბელი რაღათ მინდა... – დახედა თოკს, რომელიც ხელში ეჭირა და ერთბაშად დაკივლებასთან ერთათ ზე წამოიჭრა.

– ვიცი, ვიცი! – დაიღრიალა იმან გულის გამგმირის ხმით, გაექანა ვაშლის ხესთან, საჩქაროთ ავიდა ერთს ტოტზე, მოაბა საბელი და ბოლოში ქამანდათ გაკეთებულს თოკში თავი გაჰყო.

– არ მინდა, არა!.. მეშინიან! – გაცახცახდა უბედური, შეკივლა და რამდენსამე წუთს შემდეგ თოკზე ჩამოკიდებულმა სული დალია.

ამგვარათ დაიხრჩო უბედურმა თავი და შვილებიც ისეთს ჯურღმულში ჩაჰყარა, საიდანაც ქვეყნათ ხმა ძე ხორციელს ვერ ამოსწვდებოდა. წვალებულს ქალებს თუნდა ხმა ორმოს პირისთვისაც მოეწვდინათ, მაინც ვერავინ გაიგონებდა, რადგანაც ეს ადგილი უდაბური და დაბურული ტყე იყო და კაცის ფეხი არა ხვდებოდა.

კარგა ხანმა გაირა. ჩამოხრჩობილი შეჭამეს ყვავ-ყორანმა და ჭია-ღუამ; საბელი ავდრისაგან დალპა და ჩამოწყდა, კაცის ძვლები მგლებმა და ტურებმა ტყეში გაფანტეს და სოფელშიაც ბევრის ძებნის შემდეგ ყველამ დაივიწყეს.

საცოდავი ქალები ისხდნენ თავიანთ ჯურღმულში, რომელიც ქვეშ დიდს დარბაზათ იყო გაკეთებული. შეეძლოთ ეარათ, ფეხზე მდგარიყვნენ, დაწოლილიყვნენ, მაგრამ მზის შუქი არა სწვდებოდა და მუდამ ძალზე ბნელოდა...

მათდა საბედნიეროდ, ღვთის განგებით ვაშლი შეიქნა ისეთი ნოყიერი, რომ დღეში თითო ვაშლი სამსავე დას ჰყოფნიდა და ასაზრდოებდა.

* * *

კაცის სიალალ-მართლე დიდია და არ იკარგება. მათაც მოხედა განგებამ.

ერთი ფრიად შეძლებული მეფე იყო, რომელსაც ერთი რაში ჰყვანდა და შვილსავით უყვარდა. რაშს ეს ხელმწიფე რამდენჯერმე სიკვდილისაგან გადაერჩინა და ამისთვის ისე უყვარდა და უფრთხილდებოდა პატრონი, როგორც თავის თავს.

რაში იყო ჭკვიანი, მოაზრებული და თითქოს ადამიანის ლაპარაკი და გულის პასუხი ესმოდა, ამასთანავე ისეთი ჩქარი და ისეთი ფეხ-მალი იყო, რომ ხალხი ნიავ-ქარს ეძახდა. ყოველ დილით, რა წამსაც კი მეფე გაიღვიძებდა, მაშინვე რაშს მოიკითხავდა. მოუყვანდნენ ჭკვიანს ცხენსა; მეფე ორივე თვალებში აკოცებდა, აჭმევდა ნუშსა და ქიშმიშსა და შემდეგ სხვა საქმეებს მიჰყოფდა ხელსა.

მეფე ყმაწვილი იყო, ახლად აშლოდა წვერ-ულვაში და ნადირობა უყვარდა.

ერთ დღეს მას ეწვია დიდძალი საპატიო ხალხი, რომელთაც უნდოდათ ქვეყნის მფლობელი დაეთანხმებინათ, რომ ცოლი შეერთო.

მეფემ მიიღო ისინი ჯეროვანის პატივით, გაუმართა მეჯლისი, მაგრამ ცოლის შერთვაზე კი უარი უთხრა.

შესწუხდენ ყველანი, რადგანაც სამეფოს მემკვიდრე არა რჩებოდა და მის გარდაცვალების შემდეგ უეჭველათ არეულობა მოხდებოდა. ამისთვის ხელმწიფეს კიდევ მიუგზავნეს კაცები და ევედრებოდნენ, რომ ხალხი ასე უნუგეშოთ არ დაეყარა. მათმა მფლობელმა უპასუხა:

– ხვალ სანადიროთ მივდივარ და მაგ საქმისთვის არა მცალიანო. ხოლო როცა დავბრუნდები, მაშინ მოვიფიქრებ და გარდაწყვეტილს პასუხს მოგცემთო.

როგორც ბრძანა, ისეც აღასრულა; მეორე დღეს გაიმართა დიდი ნადირობა. იმ

დღეს იმოდენა მშველი, ირემი და ჯეირანი დახოცეს, რომ მნახველნი იძახდნენ: „მთელს დედამიწაზე მცხოვრებ ხალხს საკვებათ ერთ წელიწადს ეყოფოდაო“!

საღამოზე დაანთეს ცეცხლები, შემოიკრიბენ მონადირეები და მთელი ღამე ლხინსა და ქეიფში გაატარეს.

როდესაც გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ სხივით მოჰფინა იქაური არემარე, მეფემ ჩვეულებისამებრ თავისი რაში მოიკითხა. წავიდა ერთი მხლებელთაგანი ბრძანების აღსასრულებლათ, მაგრამ კარგა დრომ გაიარა და რაშისთვის წასული აღარ დაბრუნდა. მეფემ გაგზავნა მეორე კაცი, მაგრამ აღარც ის დაბრუნდა; მეფე აღშფოთდა და კიდევ რამდენიმე კაცი გაგზავნა, მაგრამ ამაოთ; ვინც მიდიოდა, აღარ ბრუნდებოდა!

ამ დროს მეფემ დაინახა, რომ იქ მყოფ მონადირეთა შორის რაღაცა არეულობა და ჩოჩქოლი იყო, ეტყობოდა, რომ რაღაც არა ჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო. გულმა ვეღარ გაუძლო და ჩქარის სიარულით ხალხში მიიჭრა.

– რა ამბავია? – განრისხებულმა მეფემ იკითხა. ხალხი გაჩუმდა, ხმა ვეღარავინ ამოიღო.

– რა ამბავია-მეთქი?! – განიმეორა მეფემ, მაგრამ ისევ სიჩუმე დახვდა.

– არ მეტყვით? – განრისხებით დაუყვირა მან იქ მდგომებს და ხმალს ხელი გაივლო.

– მოგახსენებთ, დიდებულო ხელმწიფევ! – წარმოსთქვა ერთმა ფრიად მოხუცმა და საპატიო კაცმა, მივიდა მეფის წინ და დაჩოქილმა თავი ჩაჰკიდა.

– მითხარ, რა მოხდა?

– მოგვიტევე, დიდო მეფეო, – დაიწყო მოხუცმა წყნარათ. – თუ აქამდისინ ვერა ვბედავდით თქვენთან გხლებოდით, ამის მიზეზი იყო, რომ გვეშინოდა თქვენის შეწუხებისა და განრისხებისა!..

– ახ, ღმერთო! – მოუთმენლათ წამოიძახა ხელმწიფემ, – საქმე მითხარ!

– დიახ, მოგახსენებ, ჩემო მწყალობელო და მრავალჯერ დამხსნელო გაჭირვებიდან.

– თავი მომაბეზრა! – ჩაიქნია მეფემ ხელი, – დაანებე მაგ მადლობას თავი... გამაგებინე-მეთქი, რა მოხდა?

– იმას არ მოგახსენებთ... – დაიწყო ისევ გამოყეყეჩებულმა და განაგრძო: – თქვენს გაჯავრებას ვერიდებოდი-მეთქი.

– ღმერთო, დამიხსენ! – შეჰკივლა მოთმინება დაკარგულმა მბრძანებელმა და მთლათ აინთო: – მე რას გარდამეკიდე, რა გინდა ჩემგან?

– ისა, შენი ჭირიმე, რომა...

– არ მეტყვი? – მისწვდა საყელოში მეფე, რომელსაც სიბრაზემ მოაზრებაც კი დააკარგვინა.

– ვიტყვი, ვიტყვი! – ზეზე წამოვარდა მოხუცი.

– სთქვი და რაღა!

– გაცოფდა! – ერთბაშათ წამოიძახა მოხუცმა.

– რა, რაო!? – იკითხა ხელმწიფემ.

– გაცოფდა, გაცოფდა, შენი რისხვა არა მაქვს! – იძახდა შეშინებული ბებერი.

– რას ამბობს? ვინ გაცოფდა? სად გაცოფდა...

– თქვენი რაში, დიდებულო მეფევ! თქვენი რაში!..

– რას ამბობს, თქვენი ჭირიმე!?..

– თქვენი რისხვა არა მაქვს, გაცოფდა!

– როგორ თუ გაცოფდა? – გაოცებით იკითხა შეწუხებულმა მეფემ.

– დარბის, ჭიხვინებს, ტოტებს მიწასა სცემს, ტლინკებს იქნევს. – ზედიზედ მიაყარა შიშისაგან დაბნეულმა მოხუცმა.

– მე როგორცა გხედავ, შენა ხარ გაცოფებული და გამოჩერჩეტებული! – უთხრა მეფემ და სხვებს მიუბრუნდა: – ერთი, სწორე გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამსთ! მართლა გაცოფდა?

– კი არ გაცოფდა... – წამოიძახა ისევ იმ პირველმა მოსაუბრემ.

– შენ არ გელაპარაკები! – გააწყვეტინა მეფემ, მაგრამ ენამასწარი მოხუცი მაინც არ ჩუმდებოდა:

– არ გაცოფებულა, შენი ჭირიმე და რა ვქნა!

– მა რა მოუვიდა?

– გაგიჟდა.

– ეს უკეთესი! – დაიძახა მეფემ და მთლათ აენთო.

– კი არ გაგიჟდა, შენი ჭირიმე, – წამოდგა მეორე: – წუხელი მთელი ღამე ჭიხვინებდა.

– გაგიჟდი თუ რა მოგსვლიათ?!.. მერე რა მოხდა?

– დღეს დილით... – დაიწყო იმავე მეორემ...

– მომშორდი, თუ ღმერთი გწამს! – გააწყვეტინა იმასაც და მიუბრუნდა მესამეს: – თუ ღმერთი გწამს, შენ მაინც მიამბე, რა მოხდა?

– რა მოხდა და შენი ჭირიმე...

– ახა, ღმერთო! ჩემს ჭირს რას გადაეკიდეთ?.. რა გინდათ ჩემის ჭირისაგან? – თითქმის ხვეწნითა ჰკითხა შეწუხებულმა მეფემ.

– მე მოგახსენებთ, ბატონო! – ხალხიდან გამოვიდა ერთი მოწიფული ბიჭი.

– არიქა, შენს მზეს, გამაგებინე, თორემ დამტანჯეს ამ უღმერთოებმა.

– აი, ტყეში ერთი ვაშლი დგას და იმის ძირში ერთი ღრმა ორმო გახლავსთ...

– მერე?.. ჩემი რაში შიგ ჩავარდა? – ჰკითხა მეფემ და მთლათ გაფითრდა.

– არა, ბატონო!

– მადლობა ღმერთს! – თავისუფლათ ამოისუნთქა მბრძანებელმა. – მერე?

– მერე და შენი ჭირიმე!..

– ახ, ღმერთო! ჭირს თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს.

– თქვენი რაში იმ ორმოს პირზედა დგას, დახვიხვინებს და არავის ეჭერინება.

– მაშ, ეგ არის მხოლოთ?

– ეგ არის, შენი ჭირ... – გასწყვიტა ერთბაშათ მოსაუბრემ. გადააფურთხა: – ფუი, აი, დაგლახვრა ჩემმა ეშმაკმა, კიდევ, კიდევ არ წამომცდა უბედურს. – და ენაც ჩაუარდა.

– კარგი, კარგი! ეხლა ყველაფერი მესმის. – ბრძანა მეფემ და დაუმატა: – გამიძეღ, სად არის ის ორმო?

– სად მიბრძანდებით? – წაიბუტბუტა იმ მოხუცმა, რომელმაც პირველში თავი მოაძულა.

მბრძანებელი შესდგა და ვეღარ მოახერხარა; მხრები აიწია. – მომაშორეთ თავიდან, ეგ ტვინ-გამოცლილი, თუ ღმერთი გწამსთ! – წარმოსთქვა მან და გზას გაუდგა. მას მიჰყვა იქ მყოფი ხალხი და იქ დარჩა მხოლოთ ის მოუსვენარი მოხუცი, რომელიც მეფეს უკანასკნელათ დაელაპარაკა. ის იდგა თავისთვის და დუდუნებდა:

– მიბრძანდი, რა?.. მე რა მენაღვლება?.. ისეთი დაბურული ტყეა, ისეთი ღორღიანი, ისეთი ოღრო-ჩოღრო ხევები, რომ სადმე გადაიჩეხები.. თორემ მე რა?.. მე აგერ ნუნუას მივუჯდები.

მივიდა დოქთან, მოეწაფა და სანამ გონება მიხდილი იქავ არ გაგორდა არ მოეხსნა.

წუთს შემდეგ მოხუცი ისე ხვრინავდა, თითქოს მთელს წელიწადს არა სძინებიაო.

* * *

როცა იქნა, მეფემ თავის ამალით იმ მინდორს მიაღწია, სადაც ვაშლი იდგა და

საოცნებო ორმოს რაში დასჭიხვინებდა.

ხელმწიფემ დაშტვინა, რაშმა მოიხედა და თავის პატრონი რომ დაინახა, წამოვიდა მისკენ ხვიხვინით და ხტუნაობითა.

მეფემ უალერსა, წაუსვა შუბლზე ხელი, აკოცა ორივე თვალებში და უბრძანა კაცებს, ნუში და ქიშმიში მოეტანათ.

ამ ბრძანების გაგონებაზე ცხენი აიფხორა, დააცქვიტა ყურები და ტოტების მიწაზე ცემით ფრუტუნი დაიწყო.

მეფეს გაუკვირდა ცხენის საქციელი და წამოიძახა:

– უეჭველია, ორმოში რაღაცა უნდა იყოს! – ამ სიტყვებით ისევ ალერსი დაუწყო რაშსა და უთხრა: –იქ, ორმოსკენ წავიდეთ?

ცხენმა სიამოვნებით დაიხვიხვინა და თითქოს მიხვდა პატრონის კითხვას. გაბრუნდა ორმოსაკენ, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა, მოიხედა უკან და რა დაინახა რომ მას მიზდევენ, გასწორდა, გაიჭიმა და თავის ქნევით, წყნარათ გასწია დანიშნულს ადგილისაკენ.

ყველანი გაშტერებით უყურებდნენ ცხენსა და უკან მიზდევდნენ. რაში მიუახლოვდა ორმოს, დაიცქვიტა ყურები და ისე გაჩერდა, თითქოს მთლათ სმენათ გარდაიქცაო. როდესაც მიუახლოვდა მეფე და მისი მხლებლები, რაშმა ფეხით ცემა დაუწყო ორმოს ნაპირს.

– ეჭვი არ არის, რომ ამ ორმოში რაღაც უნდა იყოს!

ხელმწიფემ განკარგულება მოახდინა, რომ რამდენიმე კაცი ჩასულიყო და გაეშინჯათ ორმო.

მოიტანეს თოკები, აანთეს ჩირაღდნები და რამდენიმე კაცი შიგ ჩაუშვეს.

ორმო მეტათ ღრმა იყო და კაცების ჩაშვებას კარგა ხანს მოუნდნენ. ჩასვლის უმალ, მათ დაანძრიეს თოკები, ზემოდან ამოსწიეს. რამდენიმე წუთს შემდეგ ორმოს პირიდან ამოჩნდა ჯერ ერთ ქალი, ყმაწვილი და წარმოუდგენელის სილამაზისა; მას შემდეგ ამოჰყვა მეორე, პირველზე კიდევ უფრო ლამაზი და მას შემდეგ ორმოს თითქოს შუქი შემოადგა... გამოიარა წუთმაც და გამოჩნდა პირველებზე უფრო ყმაწვილი ქალი, მათზე ლამაზი, კეკლუცი და სხივმფენელის მომხიბლავის სახისა.

გაოცებული ხალხი შესცქეროდა მათ და ადიდებდა ღვთის სახელს, რომელმაც ქვეყნის დასამშვენებლათ ისეთი მშვენიერებანი გააჩინა. თვით მეფეც გაოცებული იდგა, შესცქეროდა მათ და ხმა ვეღარ ამოეღო.

– კეკლუცნო ქვეყნისანო! – ძლივს მოახერხა მეფემ, როდესაც ოცნებიდან გამოვიდა. –დიდება თქვენს სახელს!.. მითხარით ვინა ხართ, ან საიდან ჩაცვივდით

მაგ ორმოში?

ქალებმა უამბეს თავიანთი თავგადასავალი, შეატყობინეს, რომ აქამდის იმ ვაშლებითა სცხოვრობდნენ, რომელიც თან ჩაჰყვათ და ლოცავდნენ იმ გულკეთილ კაცს, რომელიც ღმერთმა აგულისხმიერა და მათ დასახსნელათ ამ ადგილს მოიყვანა.

– მე ნუ მეუბნებით მადლობას, – უთხრა მეფემ და დაუმატა: – თქვენის პოვნით ღმერთმა მეც დამასაჩუქრა და გამახარა; მე თითონაც ვალდებული ვარ, რომ თქვენის გადარჩენისთვის მადლობა ვუთხრა... – ამ სიტყვებით მეფემ ტაში დაჰკრა, ხალხის ჯგუფი გაიპო და მათ წინ მოვიდა რაში, რომელსაც სიხარულით თვალები გაბრწყინებოდა.

– აი, ამან გადაგარჩინათ, ამ რაშმა, ჩემმა ერთგულმა და დაუფასებელმა... მადლობის ნიშნათ, მე მის წინ ვიხრი მუხლსა და ქედსა...

მეფემ დაიჩოქა ცალ-მუხლზე, ხოლო ცხენი მივიდა, შუბლით და ტუჩებით წყნარათ შეეხო მეფეს და თან ფრთხილათ და ნაზათ შესთამაშ-შეხაროდა. ამის შემდეგ მეფე წამოდგა და ისევ ქალებს მიუბრუნდა:

– მე თუ მუხლი მოვიდრიკე ჩემის რაშის წინაშე, თქვენც ვალდებული ხართ, კეკლუცნო, თვალებში კოცნით გარდაუხადოთ ამ პირუტყვს, რომელსაც ბევრს კაცზე მომეტებული თავ-განწირულება, ერთგულება, სიყვარული და პატიოსნება აქვს... დაგიხსნათ განსაცდელისაგან და მუშაკი ღირსია სასყიდლისა.

ამ სიტყვებზე სამივე ქალი მისცვივდნენ რაშსა და ლოშნა დაუწყეს. პატიოსანი პირუტყვი იდგა მათ შორის წყნარათ, მშვიდობიანათ და უფრთხილდებოდა მოულოდნელის მოძრაობით ნაზ ქმნილებათათვის არა ევნორა.

მეფე შეჰყურებდა დიდებით და მშვენიერებით აუწერელს სურათს, თვალები სიხარულის და გრძნობის ცეცხლით გაბრწყინებოდა და სრულიად სტკბებოდა დღევანდელის შემთხვევით. ამ წუთებში მოაგონდა თავის გამოყრუებული მოხუცი, რომელმაც ძველ ბინაში მითრობა და მიგდება არჩია, ვიდრე ტყეში ხეტიალობა. მოაგონდა და გადაიხარხარა:

– არა, ბატონებო! ვინ უფრო გიჟი და რეტიანია: ჩემი რაში, თუ ჩვენი გამოყეყეჩებული მსაჯული?

ხალხმა სიცილით მისცა პასუხი და დიდხანს ხმაურობა ვეღარ შესწყვიტეს, ბოლოს მეფე მიუბრუნდა ქალებს და უთხრა:

– ღვთის განგებით და უზენაესის შთაგონებით, დღეს თქვენთან შეხვედრა შემემთხვა. მობრძანდით ჩემს სასახლეში და ჩვენ ჩვენს თავს ვალადა ვხდით, ვიზრუნოთ თქვენს მომავალზე.

ქალებმა მდაბლათ თავი დაუკრეს, მსახურთ მოამზადეს ტრახტევანები და ყველამ გასწია სასახლისაკენ.

* * *

ერთ დღეს, როდესაც რაოდენმა ხანმა გაიარა, ხალხი შეიყარა და მეფეს შუაკაცები მიუგზავნა. ხალხი სთხოვდა, ეზრუნვა მემკვიდრეზე და ცოლის შერთვის თაობაზე, დაპირებისამებრ, პასუხი ებრძანებინა. მასთანვე ერთათ შუაკაცებს ისიც მიანდვეს, რომ სიტყვა გაეტარებინათ ორმოში ნაპოვნს ქალების შესახებ, რომელნიც, მათის აზრით, ღვთის განგებამ შეჰყარა მირონცხებულს და უნდა ეთხოვნა კარზე მიმდგარი ბედი, თვით ზეციერის მამისაგან დედოფლათ დანიშნული არ უკუეგდო.

როდესაც შუაკაცები მივიდნენ, თავის ბატონს სალამი მისცეს და თაყვანი სცეს, გამოუცხადეს ხალხის ქვეშევრდომობის ერთგულება, გაუბედეს მოეგონებინათ, რომ მეფის დაპირების თანახმად, ხალხი პასუხს ელოდა.

მეფეს ეამა ამ საგანზე ლაპარაკის დაწყება, რადგანაც ახლათ ნაპოვნის ქალების ხილვის შემდეგ, მასაც ძილი დაჰკარგოდა და მათში ერთ-ერთთან შეერთების ფიქრით ხშირათ ოცნებობდა. მეფე თავათვე აპირებდა ამ საგანზე ხალხის შეყრას და მოლაპარაკებას, მაგრამ, რადგანაც ნაპოვნი ქალები კეთილშობილთ შთამომავლობისანი არ იყვნენ, ამისთვის ხალხის უკმაყოფილებისა ეშინოდა და ხელის შემწყობს შემთხვევას მოელოდა.

– თუმცა ჯერ ყმაწვილი ვარ, – ბრძანა მეფემ, – და ცოლ-შვილიანობა ჩემთვის ცოტა ადრეა, მაგრამ, როგორც მეფე, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი... აღსრულდეს ხალხის ნება და სურვილი!

– სცოცხლობდეს მეფე, სცოცხლობდეს მრავალ ჟამიერ! – ერთ ხმათ შესძახა ხალხმა.

– გყავთ ვინმე ამორჩეული? – იკითხა მეფემ და გულმა კანკალი დაუწყო: მას ეშინოდა ხალხს ისეთი ვინმე არ დაესახელებინა, რომლისკენაც მისი გული არ მიიბრძოდა.

– დიდებულო მეფევ! – მოახსენა ერთმა შუაკაცთაგანმა, – თქვენ ხართ არჩეული თვით ზეცისაგან... თქვენს აზრს და გონებას ხელმძღვანელობს მეუფე, თქვენი ფიქრები და აზრი ითვლება თვით ზეცის შთაგონებათ. თვალნი თქვენნი უკეთ განიხილავდენ, ყველა თქვენს ქვეშევრდომებზე, უკეთესათ გამოარჩევდნენ ღირსეულს დედოფალს, ღირსეულს მშობელს მემკვიდრისას და ღირსეულს

თქვენს დიდებულებასთან შეკავშირებისა!.. მაგრამ, ჰო, დიდებულო!.. ყეენთა ყეენო, შახთა შახო და მეფეთა მეფეო!.. ნუ გულისა წყრომითა მისცემ სმენასა ვედრებასა შენისა ფეხისა მტვერთასა!.. ისმინე ვედრება და მუდარა მათი... ხმა შენის ერისა არის, რომ თვით ზეცამ დაგინიშნა სადედოფლოდ ასარჩევი! სამი ობოლი მარგალიტი შენს ხელთ არიან, მათს სადარს ვარდს ფეროვნებით ვერ იხილავ ედემის წალკოტშიაც კი... მათს გონებრივ სჯას თვით სოლომონ მსაჯული ყურს მიაპყრობდა, მათს ხმას ბულბული დაენატრება და მათის კამკამით შემკრთალი მთვარე ღრუბელს მოეფარება!.. ნუ უგულისხმოდ ჰყოფ, მეფეო მირონ-ცხებულო! აჯასა შენთა მონათა, შენთვის თავგანწირულთა.

ამ სიტყვებით გაათავა შუაკაცმა, დაიკრიფა გულხელი და დაჩოქილმა შეწყალების მთხოვნელსავით თავი ჩაჰკიდა.

– კურთხეულიმც იქნება ერი და ხალხი, – წარმოსთქვა გახარებულმა მეფემ, რომელსაც სხვა არაფერი უნდოდა, როგორც ამ ერთ-ერთის მზეთ-უნახავის შეუღლება.

– ხმა ღვთისა, ხმა ერისა! თანახმა ვარ ყურადღება მივაპყრო მათს წადილს და მათს სურვილს უმსხვერპლო, შევსწირო წადილი ჩემი, ვითარცა ცოდვილს კაცისა... ხალხისაგან გამორჩეულის ქალის დედოფლობა იქმნეს ბედნიერ.

ვაშა, ვაშა მეფეს! სცოცხლობდეს დედოფალი, სცოცხლობდეს მეფე! – გრიალებდა ხალხი ჯერ სასახლეში და შემდეგ ქუჩებშიაც.

# მეოცდაცხრამეტე ჯოხი

ერთი ფაშა იყო ფრიად მდიდარი და შეძლებული. თვით სულთანსაც კი ენატრებოდა მისი ყოფა-ცხოვრება, მისი გარემო, სადაც ურიცხვი ცოლები ფაშისა სირინოზის ხმით გალობდნენ ხოლმე და სიკეკლუცით ემზგავსებოდნენ იმ სირინოზებს, რომელნიც საიქიოს ყველა ჭეშმარიტს მართლმორწმუნე მაჰმადიანს ემსახურებიან.

მაგრამ ყველა ეს ფაშისთვის ამაო შეიქნებოდა, თუ მას არა ჰყოლოდა არაბი „შალი“, რომელიც განთქმული იყო ახოვნებით, ძალით და ვაჟკაცობით. შალის შეეძლო ბრძოლა მთელს ხროვა მდევებთან, ჯადოებთან და, აბა, კაცთან რაღა გაუჭირდებოდა. თვით სულთანმა რამდენჯერმე მოიწადინა დაპატრონებოდა ფაშის ერთს მშვენიერს ცოლს, რომელიც ჯეირანსა ჰგავდა და შუქით მთვარეს აბნელებდა, მაგრამ ვერ გაებედა, რადგანაც ფაშას არაბი შალი ჰყვანდა და მისი ვაჟკაცობისა ეშინოდა.

„შალი, შალი“! – იტყოდა თურმე სულთანი. „შალი“ მისპობს ბედნიერებას, თორემ ჩემს გარემოს ედემად გადავაქცევდი, რომ თვით მაჰმადსაც სასურველად გახდომიყო!... მაგრამ შალი, შალი, რა უყო შალის?!“

ერთხელ იქამდისაც კი მივიდა სულთანი, რომ შემოკრიბა მთლად ცისქვეშეთიდგან რაც მწიგნობარნი, გრძნეულნი და ჯადონი მოიპოვებოდნენ და გამოუცხადა მათ, რომ ვინც შალის ან სიცოცხლით და ან სიკვდილით მოაშორებდა, მას ფაშობას მისცემდა და ყველა მოლებს შეუკვეთავდა მისი სულისთვის ეშუამდგომლათ მაჰმადის წინაშე. მაგრამ მწიგნობარნიც, გრძნეულნიც და ჯადოქარნიც – ყველანი იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ

ცდაზედაც, რადგანაც შალი უძლეველი იყო.

ამგვარად მიდიოდა ფაშას ცხოვრება ბედნიერებით და ვერავის დაერღვია. მას შეეძლო შალის წყალობით სულთანიც კი გადაეყენებინა, მაგრამ ფაშა კეთილი და მართლმორწმუნე მუსულმანი იყო.

ერთს დღეს იზმაილ ფაშას მთაში წასვლა მოუხდა, რადგანაც იქ ფირალები შეყრილიყვნენ და გზას აღარავის ანებებდნენ, ხალხსა სცარცვავდნენ და ხოცდნენ. ფაშას ურჩევდნენ ჯარი წაეყვანა თანა, მაგრამ მან ამაყად უპასუხა, რომ ძლიერთა-ძლიერი და ვაუკაცთა-ვაუკაცი შალი ეყოლება თან და სხვა რაღათ მინდაო? როგორცა სთქვა ფაშამ, ისეც აღასრულა.

დილაადრიან უბრძანა ბიჭებს ოთხი ცხენის შეკაზმვა, რომლითაც გამგზავრებას აპირებდა. ერთზედ თითონ შებრძანდა, მეორეზედ შესვა შეიარაღ-შეკარაპჭინებული შალი, მესამეზედ აჭკიდა ხარჯისთვის საჭირო ოქრო, ვერცხლი და მეოთხითაც ცხენების მომვლელი მეჯინიბე უნდა ჰხლებოდა. ამ სახით ისინი გავიდნენ თავიანთ სახლიდგან და მთებისკენ გაუდგნენ გზასა.

მთა, რომელშიაც მგზავრები შევიდნენ, იყო დაბურული ტყითა და ვიწრო დაკლაკნილი ხეობა ჩაბნელებული. ნისლი და ბურუსი ჩაწოლილიყო და იქაურობა ჩაეკუპრებინა. მოისმოდა წყლის ხუილი, რომელიც აქა-იქ ტყიდგან ამოგლეჯილის კლდეებიდგან გადმოდიოდა, მაგრამ ამ საოცნებო ადგილებში კაცს იმორჩილებდა და უბედურების მოლოდინში აგდებდა. რაოდენადაც უფრო შიგნით შედიოდნენ ხეობაში, იმდენად ბურუსი ხშირდებოდა, მიდამო ბნელდებოდა, ყოველი ხმა ყრუვდებოდა, ჰაერი ტენიანობდა, ყონამდა და საბაიყუშოდ თითქოს უბედურების მოქადაგედ დაჰქვითინებდა უბედურების წინამორბედი ბუ.

პირველსავე დაქვითინებაზედ ფაშა შეკრთა და რაღაც მოუსვენრობა იგრძნო. ბუნების მოწყობილებამ და მიდამოს მდგომარეობამ თავისებურობა დაატყო მგზავრებს და თვალთ უხილავის ძალით თავისებურადვე მომართა მათი გუნება და სულის მოძრაობა.

„ბუ!“ გაისმა შორს, სადღაც გამოქვაბულს კლდეში და ჰაერში რამდენჯერმე გამეორდა ეს შესაზარად უსიამოვნო ხმა. ფაშა უფრო აღელდა და დუმილმა აიტანა. იგრძნო, რომ გული უკანკალებდა და აღშფოთებული სული უთანასწოროდ შეიკუმშ-გაიშლებოდა. თითქოს სიცხეც მიეცა და სიცივის ჟრიამულსაცა ჰგრძნობდა სხეულში მიმავლობის დროს, ერთმა მგზავრთაგანმა თოფი წამოზდო გზაზედ გადმოშვერილს შტოს და ერთბაშად გაისმა შეშინებულის ყვავის სავალალო ჩხავილი და მისი ფრთხიალი შტოებს შორის. ფაშა შეჰკრთა და იქამდის შეშინდა, რომ უსიტყვოდ ხმაც კი აღმოახდინა.

ამ დროსვე თოფს მოდებული შტო ასხლტა და, შენძრევის გამო, ნამად მოგროებული ტენი მიმავლებს გადმოაბკურა. ფაშას ესღა აკლდა, რომ შიშს სრულიად დაემორჩილებინა და წვეთების მოხვედრისთანავე ალაჰის ძახილით ძირს დაეცა.

ბიჭები ჩამოხტნენ, მიეხვივნენ და მობრუნება დაუწყეს შეშინებულს.

– რა ამბავი იყო, რა მოჰხდა? – იკითხა ფაშამ ცახცახით, როდესაც სიტყვის წარმოთქმა მოახერხა.

– არაფერი არ მომხდარა, ფაშავ! – უპასუხა არაბმა.

– ჰო, დამავიწყდა... შენ ხომ ჩემთან იყავ... – ცოტა დამშვიდებით წარმოსთქვა ფაშამ და შემდეგ დაუმატა: – ყველა კარგი, მაგრამ მეტად დაბნელდა ამ ისეც ჯოჯოხეთის ადგილსა და გზას ვეღარ გავაგრძელებთ.

– რომ გინდოდესთ კიდეც, ვეღარ გააგრძელებდით, ფაშავ! – მოესმა ვიღაცა უცნობის ხმა და ამ წუთშივე ყველა მგზავრებმა იგრძნეს, რომ მათ ვიღაც უცნობები შემოეხვივნენ. გამოეღოთ ხელი და ხელ-ფეხს უკრავდნენ. ცოტა ბრძოლისა და მოძრაობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩვენი მგზავრები მეკობრეთ ჩაუცვივდნენ ხელში და ისე ადვილად შეიპყრეს, რომ განთქმულმა შალიმ ხელი ვერცკი გაანძრია.

ფირალებმა დაანთეს დიდი ცეცხლი. შეკრული ტყვეები იქვე ერთს ხის ძირს მიყარეს და თითონ კი საქეიფოდ დასხდნენ.

ფაშას კარგი სამზადისი მიჰქონდა და ფირალების გუნდი, თუმცა ორმოცი კაცისგან შესდგებოდა, მაგრამ მაინც დილამდის დროს გასატარებლად ეყოფინათ.

როდესაც დილა გათენდა, მეკობრენი გასამგზავრებლად მოემზადნენ. მათ გადასწყვიტეს, რომ ტყვის შეურაცყოფლად გაშვება შეუძლებელია და სამუდამო მოსაგონებლად ისეთი რამ უნდა ჩაედინათ, რომელიც არც ფაშას და არც მის ვაჟკაცად განთქმულს არაბს თავის დღეში არ დაივიწყებდნენ. იმ დროში ბევრი რამ წესი იყო ტყვის დასამცირებლად და მათაც სუყველაზედ საზიზღარი რაც იყო, ის ამოირჩიეს.

ამისთვის გააშიშვლეს ტყვეები, დააწვინეს პირქვე და ყველა ტყვესთვის თითოჯერ ჯოხი [უნდა] დაეკრა ყველა ავაზაკს. ტყვეების დაწვენა ისე მოჰხდა, რომ პირველად დაკრული შალის უნდა მოჰხვედროდა. ამგვარად დაიწყეს ეს უცნაური ჩვეულება. არაბი გაყუჩებულიყო და ხმას არ იღებდა, თითქოს ცოცხალის ადამიანის მაგივრად მკვდარი წოლილიყო. სრულიად სხვა რიგად იქცეოდა ნაზად აღზრდილი ფაშა. ის იკლაკნებოდა, ტიროდა და თრთოდა. გადაიარა ამ გვარის წკაპა-წკუპით პირველმა მეკობრემ, მეორემ, მესამემ და

მხოლოდ მეათის დაკვრაზედ შალიმ სიცოცხლის ნიშანი ძლივს გამოიჩინა. ის გაინძრა ოდნავ და ქეჩო მოიფხანა. ამ გვარად გადადიოდნენ მეკობრენი და საქმე ბოლოვდებოდა, რადგანაც ოცდამეთვრამეტეს დაეკრა კიდეც და ოცდამეცხრამეტე ემზადებოდა. ფაშა გონმიხდილი ძლივსღა ჰფეთქავდა და კვნესით იძახდა: „შალი, შალი! რა მიყავ, განა ეგ იმედი მქონდა შენგან?“ შალი იწვა გაუნძრევლად და თითქოს სრულიად მშვიდობიანად მოელოდა მეოცდაცხრამეტე და მეორმოცე ჯოხის დაკვრას. მივიდა მეოცდაცხრამეტე მეკობრე ხარხარით, დაუწყო სიცილი და მასხარად აგდება. შალი ჩუმად იწვა. დაუწყო გინება, შალი ხმას არ იღებს. დაუწყო ღუტუნი და ჯოხის წვერით ტოკვა. შალი ყურს არ უგდებს. ერთბაშად მოისმა ზუზუნი ჰაერში აქნეული ჯოხისა და შესწყდა წკაპანით.

ამ დაკვრაზე არაბი როგორღაც უცნაურად შეიკუმშა, დაიკლაკნა, დაიღრიალა დაჭრილს დათვსავით და გაიწოდა, გაიწოდა ისე ძრიელად, რომ ძვლებმა ჭახჭახი დაუწყო. გაიბრძოლა ერთიც და მისი დამკავებელი თოკები ნაწყვეტ-ნაწყვეტად აქეთ-იქით გადაცვივდა. დამშვიდებულის, დასუსტებულის და სიცოცხლე მოძულებული კაცი ერთბაშად ლომად წამოხტა. მივარდა პირველს ფირალს და გაფათრა, მეორეს გაუბრუნდა – გასრისა, მესამეს ვარიასავით კისერი წაჭგლიჯა და დანარჩენებსაც ელვა-ჭექად დაუტრიალდა!..

როდესაც ყველასაგან მოიცალა, მიფშვნიტ-მოფშვნიტა ყველანი და დაამტკიცა, რომ მისი ვაუკაცობის და ძალოვნობის ხმა ამაო არა ყოფილიყო, მივიდა ერთს ქვასთან და გულ-ხელ დაკრეფილი ისე დამშვიდებული ჩამოჯდა, თითქოს თითი არ გაუნძრევია. არცა ცახცახებდა და არცა დაღალვა ეტყობოდა, მხოლოდ თვალებიდგან თითქოს სიბრაზის ნაპერწკლებსა ჰყრიდა და ათასში ერთხელ მედგრად დაიღრიალებდა:

– ვინ არის კიდევ, სად არის?... მომეცით, კისერი მოუგრიხო!

იმ დროს, როდესაც ეს ღრიალებდა, მთანი შეძრწუნდებოდნენ და ბანად გრიალს მიაყოლებდნენ. ფაშა კი დაოსებული ჯერ კიდევ მინდორზედ ეგდო და დასუსტებული შალის შეჰკნაოდა:

– შე უღმერთო, თუ მართლა ეგეთი შეძლებული იყავ, პირველითგანვე რატომ არ დაიწყე!

– ოცდამეცხრამეტე კეტი მეჭირვებოდა, რომ გავჯავრებულიყავ! – ისეთის ხმით დაიღრიალა შალიმ, რომ მზე შვიდი ათასს აღაჯზედ მაღლა შეჰხტა, შვიდი ათასი მთა დაინგრა, შვიდი ათასი ვარსკვლავი მოსწყდა და ფაშას სული ამოჰხდა... ...

# გამოცანები

ხან ჭკვიანი, ხანაც ცხარი,
ყველა კაცის გასახარი,
მისგან მუდამ გაკეთდება,
თუნდ სადილი, თუნდ სამხარი,
სახელს ოთხჯერ გეუბნები
და პასუხი შენ მითხარი.

***

დღე და ღამე წელს იქლეთავს,
შუა ღამეს არის მყვირი,
უშნო მაშნოდ შეყრილია,
გრძელი ყური, სქელი ცხვირი,
პირუტყვობს და, აწ შენ მიხვდი,
აქ რა არის გასაკვირი.

ერთი რამ მუდამ დახტის
მისგან ხდება ხშირად სცენა,
ზოგს რო თავს სჭრის, ზოგს ატკბუნებს,
იცის თავის გამოჩენა.
ხან ტკბილობს და ხანა მწარობს,
ყრუობს მისგან კაცის სმენა,
მე გეტყვი და შენ გაიგე,
მხოლოდ ძილში დაისვენა.

***

უიმისოდ ვერ იცხოვრებ,
რაც თამაშობს მუდამ ნამზე,
სუყველაზედ გავლენა აქვს,
შეხურდება  იგი ლამზე,
პურის ჭამის დროს თუ შეგხვდა
დაგაძინებს სწორედ ჯამზე,
სახელს ვანბობ, მიპასუხე,
რა შეგათბობს შენ ერთს წამზე.

[illegible]

[illegible]

[illegible]

# პუბლიცისტიკა



## წერილები სხვადასხვა საკითხზე

Ֆ: 3987/ՀՍ.



+ Հ. Հրաֆեան։

Հայրենասէր սրտակիր ազգասէր Հրաֆեան
սիրելի՛ եղբայր ... Ի՞նչպէս գրեմ քեզի
ինչպէս սիրտս ... Ի՞նչպէս գրեմ քեզի, երբոր
տեսնում ես դու ինչպէս ամենայն սրտով
եւ հոգով ... Ինչպէս գրեմ քեզի ... Ինչպէս
գրեմ ինչպէս սրտիս ... Ինչպէս գրեմ
ինչպէս սրտիս ... Ինչպէս գրեմ ինչպէս
սրտիս ... Ինչպէս գրեմ ինչպէս սրտիս
գրեմ ինչպէս սրտիս ... Ինչպէս գրեմ
ինչպէս սրտիս ... Ինչպէս գրեմ ինչպէս
սրտիս ... Ինչպէս գրեմ ինչպէս սրտիս
գրեմ ինչպէս սրտիս ... Ինչպէս գրեմ
ինչպէս սրտիս ... Ինչպէս գրեմ ինչպէս
սրտիս ... Ինչպէս գրեմ ինչպէս սրտիս

Հ. 3147

Սիրելի Գրիգոր, ողջունում
եմ Ձեզ Սարգիսի-Սեբաստիայից
Այնտեղ հասանք Արմատովի, սիրելի
ողջ ազգակցաց ներկայությամբ... Սիրելի
Գրիգոր, ասեցեք Տիրոջ, որ ինձ
ողջ ազգակցաց հետ հոգեբուն արա
ինչ որ հոգ չունի ... Գրիգոր, ասա
ինչ ասելիք ունես ինձ հետ։ Ինչպես
ասեցի Ձեզ Սարգիսի-Սեբաստիայում
Ինչպես Ձեզ հայտնի է, Գրիգոր
Ինչպես ասեցի Ձեզ Սարգիսի-Սեբաստիայում
Ինչպես Ձեզ հայտնի է, Գրիգոր
Ինչպես ասեցի Ձեզ Սարգիսի-Սեբաստիայում
Ինչպես Ձեզ հայտնի է, Գրիգոր

# ბ. რედაქტორს

საკვირველს ბედზედა ვარ გაჩენილი, ღმერთმან იცოდეს!.. არ ვიცი, რა ვარსკვლავი მიშუქებდა ამ დღეს, რომელი იმ ღმერთაგანი თანაგრძნობის და რომელი უთანაგრძნობის სხივითა ჰფენამდა ჩემს მომავალს.

სადაც რა უნდა მოხდეს, სადაც რა რიგს უკულმართობაზედ უნდა დაუტრიალდეს ვისმეს ბედის ჩალხი, სადაც უნდა ცოფმორეული, დაბნედიანებული ხალხს საკბენათ ექნებოდეს, – უეჭველად მე შიგ ჩარეული უნდა შევიქნა! უეჭველათ უნდა აღიჭურვნენ ჩემს წინააღმდეგ სხვადასხვა ხარისხის და ღირსების გმირნი. ჩემზედ უნდა სცადონ თავიანთი ჭკუა-მახვილობის მჭრელობა, თავიანთი ხუმარ-მასხრობის ფხიანობა და ყველა მათგანი სცდილობს, უეჭველს თავის მოვალეობად ხადის, ცოცხლათვე მიწაში ჩამფლას, თუნდა თავის მოქმედების მიზეზად საბუთიც კი არა ჰქონდეს!.. ასე რომ, მე რომ ალთას ვიმყოფებოდე და რომელიმე ფხუკნაძემ ბალთაში ცხვირი დააცემონოს, მე უნდა დამბრალდეს ეს უბედური შემთხვევა! უნდა ჩემს წინააღმდეგ გამოირაზმონ და გამოილაშქრონ ყველა... ღმერთანი, არ ვიცი რა დავარქვა [ასეთ ქცევას] და ამისთვის სახელის გამორჩევა თითონ მკითხველისათვის მომინდვია.

მაგრამ განა მხოლოდ ამაზედა თავდება საქმე?.. სრულიადაც არა, ქვეყანა დიდია და ხალხი ბევრი, ბევრთა შორის ბევრი რამ და ქვეყნის მრავალს

სხვადასხვა ნაწილებში ხდება და თუმცა მე ვარ სრულიად ერთი ერთ სულ და ერთ ხორც, მაგრამ არის ადგილსმომხვდარს შემთხვევაში, ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ალაგებში მომხდარს, მე უნდა შემირიონ, მე უნდა დამაბრალონ. სწორედ „ურიისა და მაჩაბლის“ საქმე გახდა ჩემი საქმეც. იქ მაჩაბელმა, ამბობს ანდაზა, ვიღაც ქალს აკოცა და საცოდავს ურიას კი „ცხვირი“ მოსჭრეს ამ საქმისთვის თურმე“!!!

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ მართალს არ ვამბობდე?.. აი, ბატონო, ფაქტები – და წამკითხველმა თითონ გაშინჯოს ქართული დრამატიულის დასის არტისტნი, აწ ეხლა დასი ქართული დრამატიულის საზოგადოების მართველობისა, რომელთაც ფხუკიანობა ეხლა სრულიად გადაავიწყდათ. შეიგნეს თავიანთი მოვალეობა, გამოიცვალეს თავიანთი დამოკიდებულება ჰაეეებთან და ჰეებთან, გამოიჩინეს და დაიბრუნეს ის თავიანთი ციური სიტკბოებით აღსავსე წესდებულება და საზოგადო პირობათა მორჩილება, რომელსაც მოხევე თავის ძალდატანებით და თვალთმაქცობით ართმევდა. ამ არტისტებთაგან ქუთაისში წაიჩხუბნენ, მათ სადავოდ ვიღაც და რაღაც გაუხდათ, რომელზედაც „მოხევეს“ არავითარი „პრეტენზიის“ გამოცხადება არავითარის საშუალებით არ შეეძლო და გაიყარნენ. საქმე გათავდა და სრულიად სხვა პირთა ჩხუბი, სხვა პირთა შესახები სადავო საგნები „მოხევეს“ მოახვიეს თავზედ!!!... ვიღაცა „ლელოს“ მიუღწეველი „ლელო“ გამოხტა, წაავლო ჩემს თხზულებათა ხელი. ჯიჯგნა, ჯიჯგნა, ვერა გააწყორა და დააბოლოვა თავის მოცადინეობა იმით, რომ კაცის სულის მოძრაობას ნუ შეეხებით და რამდენიმე სიტყვის შემდეგ „შეხედე იმ მოთხრობასაო, სადაც თავის გმირს სულიერი მდგომარეობისა და მოძრაობისამებრ ერთი და იგივე პარიჟი ათს სხვადასხვაგვარს შთაბეჭდილების მომქმედათ წარმოგვიდგინაო. შეხედეო და ასე მოიქეცო“!! წაიკითხა ეს თავად და გაჯავრდა ჩემზედ, რომ თავისი ნაწერისა თითონვე ველარ გაიგო რა. ველარა გაიგო რა, რადგანაც იმ დროსვე, როდესაც სულის მოძრაობის აღწერის მიკარებას აღმიკრძალავდა, იქავ დაუდგომელად და ჯიუტად ითხოვდა, რომ ყოველივე შემთხვევაში პარიჟის ათ სურათად აღწერისათვის უნდა მიმეპყრო სრული ჩემი აზროვნობა და მხოლოდ მის ხელმძღვანელებით მეწერა!! ე. ი. ჩემს თავზედ მიმეღო, დამეხატა ფსიხიური მოთხრობანი!!?

ბატონი „ლელო“ განწყრა, რომ მისგანვე გამოურკვეველი აზრი ვერ გავიგე და ვერ მოვიაზრე, როგორ განვშორდე, როგორ განვშორდე წერის დროს მოთხრობის გმირების სულის მოძრაობას და იმავე დროს მხოლოდ იმ გვარს აღწერას და ხასიათების შემუშავებას მივყვე, სადაც სულიერი მოძრაობა კაცს ერთს და იმავე სურათს ათას გვარად მოაჩვენებს, ათს სხვადასხვა გვარად

აგრძნობინებს, აგემოვნებს. გაწყრა მოხევეზედ და იძახის: ბედის დამრიგებელმა ღმერთებმა ესა და ეს მისცა და ჩემის ნაწერების გაგების საშუალება კი მოუსპო. არა, რა ჩემი ბრალია, თქვენი ჭირიმეთ, რომ ბატ. „ლელოს“ თავად არ ესმოდეს, რასა მთხოვს და გამოურკვეველობის გამო მეც ვერ გავიგო?.. არავითარი, მაგრამ მაჩაბლის დანაშაულობისთვის ურიას ცხვირი მოსჭრეს და მე კი მის იღბალზე დავბადებულვარ. სცენიდგან, პიესის მოთხოვნილებისამებრ, არტისტკა საფაროვი-აბაშიძისამ წარმოსთქვა: „მერე მამაჩემს ხომ აღარ დაეძინება, სანამ „ივერიას“ არ წაუკითხავ და მე, რომელიც იმ დროს სცენაზედ არც კი ვიყავი, ხონელის სიტყვით, სამარე დავინახე იმ „ივერიის“ ქვეყნად გამოსვლით, რომელშიაც (ჩვენში იყო, ნათქვამი:) „საკმაოთ შრომისთვის სხვანი მშრომელობისათვის სასყიდელს იღებდენ“!!!

ესეც ისე უბედური ურია, ურია, რომელსაც ცხვირის მოჭრას უპირებენ სხვისგან ღალის მოლოკვისაგან...

# ბ. რედაქტორო

„ერთი უპირველეს ღირსება კაცისა“, ამბობენ მრავალნი, არის, რომ კაცმა დროზედ შედგომა იცოდეს“. სამწუხაროდ თქვენთვისვე, ეს პირობა კაცობრიული სახელმძღვანელოდ არა ჰქონია თქვენს რედაქციას.

რა მოხდა, რა ქვეყანა გადაბრუნდა, რომ ერთი ალიაქოთი ასტეხეთ თქვენს გაზეთში და არ აკმარეთ ახლად სატიტინოდ გამოსულს კორესპონდენტებს? საკვირველი საქმე რამ არის, რომ აქტიორმა როლი ვერ აღასრულა წესიერად? რა შუაშია აქ ავტორი, მისი უპატივცემლობა და ნამეტნავად ამ საქმის საქვეყნო კითხვად გადაქცევა. არა ვითარი დასი ბათუმში არ ყოფილა, რადგანაც ბათუმში მოვიდა სრულიად ცალ-ცალკე ამხანაგობა. სადაც ითვლებოდნენ საფაროვისა, ანტონოვისა, აწყურელი, მოხევე და მათგან დაქირავებული ტარიელოვისა, საფაროვი, სუფლიორი, პარიკმახერი და დეკორატორ-მორანჩალე. ამხანაგობას ჰქონდა გადაწყვეტილი, გაემართა ერთადერთი წარმოდგენა, რადგანაც არტისტების რიცხვი ნებას არ აძლევდა სხვა რამ წარმოედგინათ. გამოცხადდა აფიშა, რომელსაც მანდვე გიგზავნით, შიგა სწერია: „ერთადერთს წარმოდგენას გამართავს ქართული დრამატიული დასის ამხანაგობაო“. ეს წარმოდგენა გაიმართა და გათავდა ჩვენი ამხანაგობა. საქველმოქმედო მიზნით მართავდნენ საღამოს ბათუმის საზოგადოება, გვთხოვეს: ანდრონიკოვისას, მე

და აწყურელს, მონაწილეობა მიგვეღო და მივიღეთ. მართალია, დავდგით პეპოს ერთი მოქმედება იმისთვის, რომ აწყურელი როლში გამოგვეყვანა, რადგან „ეხლანდელის სიყვარულში“ იძულებული იყო ჟენპრემიერის როლი ეთამაშნა. ამ მოქმედებაში პეპოს განსაკუთრებითი ისეთი თავგამოსაჩენი როლი სრულიად არა აქვს, რომ ამ პიესის დადგმა თავის გამოსარჩევად მესურვა. არც არაფერი ისეთი განსაცვიფრებელი ზიმზიმოვის ცოლის როლი არის, რომ მისი ავტორის შეურაცხყოფა ყოფილიყო ანდრონიკოვისგან თამაშობით.

ეგ როლი უთამაშნია თბილისის სცენაზედ კორინთლის ქალს და კაცს თავში არავის მოსვლია, ავტორის შეურაცხობათ ჩაეთვალათ. მით უფრო გასაოცარია ამ გვარი ლაყბობა თქვენის კორესპონდენტისა და მისგან დაღეჭილის სცენის თქვენგან ხელ მეორედ ხონელისგან ამოცოხნა, რომ ანდრონიკოვის ქალი „სამშობლოში“ ქეთევანის როლს თამაშობს და კორინთლის ქალის ამ როლში გამოშვება-კი შეუძლებლად დაუნახა[ვ]თ. ახლა გვიბრძანეთ, რა დაგვიშავებია პროვინციის წინაშე?... რითი გაგვიუპატიურებია ვინ იცის ჩემგან მეტად პატივცემული ავტორი „პეპოსი“, თუ მთლად თქვენის რედაქციისაგან? მხოლოდ ერთს საგანში ხართ მართალი, თუმცა სახელნაცვალი სწორედ არ გიხმარიათ, მოჩხუვე გასამტყუნარი არ არისო, რადგანაც ისეთს ხალხ[შ]ი ჩავარდნილაო და სხვა.

მართალსა ბრძანებთ, - მოხევეც და მოჩხუბარიძეც უბედურია რომ თქვენში ჩავარდნილა. სწუხს და სდნება, რომ თქვენ, მისი თივინი და ტომნი, თქვენისავე მოქმედებით ლაფს ისხამთ თავზედ, გულითა და სულით სურს თქვენგან განშორება, მაგრამ გრძნობა თავისიანობისა კარგი იქნება, თუ ავი, ეს თავისიანი მას იკავშირებს და ვერ აურიდებია თქვენგან პირი.

***

თქვენს ჯანბაზობას არ ვჯავრობ,
ისემც მე გამიხარია!..
შესანიშს თქვენსა საქციელს
ტაშიც-კი დაუკარია!...

მე გამაკვირვა მხოლოდ იმან, რომ პატივსაცემმა გაზეთმა „ივერიის“ რედ. ადგილი მისცა ხსენებულის სტატიებს, რადგანაც ივერიამ თავადვე აღვიარა, რომ პირადობას პატივსა ვცემო და დაცული იქნებაო!.. ბ. ვალერიმ ჩვენი ლაპარაკის საბაბათ უბრალოდ მოიყვანა თავისი თავი, რადგანაც მისი სტატია გამო[წ]ვეულია წარსულის ჩემის სტატიით, რომლითაც მე მაშინ უშლიდი ზოგიერთს წარმოდგენებზედ მონაწილეობის მიღებას, რადგანაც ის წარმოდგენებით ღუპავდა მოსწავლე ყმაწვილკაცებს და რამდენიმეს სწავლაზედ ხელი კიდეც ააღებინა. ამ გვარის სტატიებისგან გამოწვეული პასუხები რაც უნდა ნიშადურ ამოსმულნი იყვნენ, ჩვენ სასახელოდაც-კი მიგვაჩნია.

ჩვენი დევიზია, არავისთვის და არაფრისთვის არ შევცვალო ჩემი გზა და ყოველთვის ვიმღერო ჩემი სიმღერა:

„რასაცა მხედავ, ესა ვარ,
ყოველთვის ერთი ფერია
და ერთად ერთი სიმღერა
ვიცი და იმას ვმღერია.
 რა მოიგონა ვალიკომ?
ვითომც მოხევე ჯავრობსო,
რეცენზიისა წაკითხვის
შემდეგ ველარა ხარობსო.
მწერალს არ რცხვენის ტყუილი?
არტისტს როგორა შარობსო?!...
თითონვე ძალზედ გულპიწობს
და სხვას უგონებს - ცხარობსო!

# ბ. რედაქტორს

თქვენმა პატივცემულმა გაზეთმა „ივერიამ“ ჯერ განცხადებითა და შემდეგ „რეცენზიით“ მაუწყა, რომ თბილისის დრამატულმა დასმა, დრამატიულის საზოგადოებამ ითამაშა ჩემგან გადმოკეთებული 5 მოქმედებიანი დრამა, სახელდობრ „ცოლი მეუღლე“ (?).

ფრიად გაოცებული დავრჩი ამ გვარის შემთხვევით, რადგანაც მე თავისდღეში არამცთუ არ დამირქმევია „ცოლი მეუღლე“ და დრამა ხუთს მოქმედებდ, არამედ ამისთანა საოცნებო სახელის დარქმევა თავის დღეშიაც არ მომსვლია თავში და უჭველია შემდეგშიაც არ მომივა.

მე პიესას მივეც სახელად „ცხოვრების თანამგზავრი“ და თანახმად ორიგინალისა და პიესის პირობათა, შიგ გამოყვანილთ პირთა ხასიათების გამომხატველობისა, - კომედია ოთხს მოქმედებად და ხუთს სურათად.

თქვენი გაზეთის რეცენზენტი სრულიად საბუთიანად იძძახის: „არ ვიცით, მთარგმნელმა რად უწოდა ამ კომედიას „ცოლი მეუღლეო?“

ვიმეორებ, რომ მე არ მიმიცია ჩემგან გადმოკეთებულის პიესისთვის ეგ სახელი და არც მესმის რას ნიშნავს აზრი სიტყვებისა „ცოლი მეუღლე“? და დღემდის ვერ მივმხვდარვარ, ვისი პეიტრობა, მასხარაობა იყო ამგვარ მოუპატიჟებელს ნათლიად გამოხტომა და უკვე მონათლულის, საზოგადოები-

საგან ცნობილის პიესის გადანათვლა?...

მაგის გარედ, ამავე რეცენზიაში არის ორი საყვედური, რომლითაც ბრალდებულად მე მხდიან და, მართლაც, დამნაშავე ვიქნებოდი, რომ ისეთი შესამჩნევი შემთხვევა უყურადღებოდ დამეგდო, როგორც აჩქარებული თანხმობა დედისა თავის ნაშობის იმ კაცზედ გათხოება, რომელსაც ისე ცივად და მკაცრად მოექცა.

მე მიკვირს, რომ რეცენზენტი ამას ანბობს, – რადგანაც წინადვე სვიმონის და ბარბარეს ლაპარაკიდგან საზოგადოება მზადდება, რომ ბარბარეს იმედი მიეცა ნინო მდიდარს ღენერალზედ გაათხოვოს და ამ მიზეზმა გაამპარტავნა გიორგის შესახებ სასიდრო. ამის გარედ, აი, სიტყვები სრულიად გამოსააშკარავებელი და საბუთი რეცენზიაში გამოთქმულის აზრის.

> სვი. მაშ გიორგი?
>
> ბარ. რას ანბობ? ვისი საკადრისია, რა სახსენებელია გიორგი?.. ღენერალს ვაძლევ მეთქი, ჩემს ქალს, ღენერალს!.. მაგრამ სუ–უ! ჯერ არავისთან წამოქცდეს!

ცოტა ხანს შემდეგ სვიმონ ანბობს თავისთვის: „ჩქარა გამოიცვალა!.. გესმისთ! ვისი საკადრისია გიორგიო?!.. ხა, ხა, ხა, ხა!.. ვარსკვლავიანმა რომ უარი უთხრას?.. ჰა, ჰა, ჰა!.. რამდენს ვიცინებ.

ამ სცენებში სრულიად საკმაოდ არის გამორკვეული დედის ხასიათი, რომელის ქარიანობაც და გამოუსვლელი მდგომარეობაც იძულებულსა ხდის, რაც ჩქარა შეიძლება ქალი თავიდგან მოიშოროს და ვიზედაც იქნება, იმაზედ გაათხოვოს.

თუ ბარბარე გიორგის ცივად მოექცა, ამის მიზეზი იყო მხოლოდ ღენერალშას ქარიანობა და უსაშუალობა, რომელსამე აზრს დიდხანს დამყარებოდა. მას მალე მიეცა იმედი, რომ ღენერალზედ ათხოვებს, მალე დარწმუნდა ამ საქმის შესაძლებლობაზედ. მალე დაჰკრა მის ამაყობას ღენერლის უარმა და გიორგისგან ქალის ხელის თხოვნამ საშუალობა მისცა იმ სულელის, უგულო ბებრისთვის გადაეხადა.

ასე არის ჩემს გადმოკეთებულს პიესა „ცხოვრების თანამგზავრში“ და რა ჰქონდა საზოგადოებას წარმოდგენილი „ქართულის დრამატიულის საზოგადოების მართველობის დასისაგან“ „ცოლი მეუღლეში“, არ ვიცი. შესაძლებელია, თვით პიესაც და შიგ გამოყვანილი აზრებიც ზოგ ზოგ ადგილას ისევე გადანათლული იყო, როგორც სახელი ამ პიესისა. ქვეყნად რა არა ხდება“!

და ეს უფრო მით არის შესაძლე[ბელი], რომ ჩემგან გადმოკეთებული პიესის ეგზემპლიარები ახლაც მე მაქვს სახლში. ჩემგან პიესა არავის უთხოვია (ეს არ ეთანხმება მართველთა თავმოყვარეობას). და როგორც აქ ანბობენ,

მანდ დადგმული პიესა როლებიდგან შეუდგენიათო“!.. სახელი მათაც ველარ მოჰგონებიათო და მანდ დაურქმევიათ „ცოლი მეუღლე“-ო!“.

კიდევ ერთი სიტყვა: რეცენზენტი ანბობს, რომ ვითომც ჩვენს ხალხში ბარბარესთანა ქალები არა ყოფილაო და გაბუნიამ მით ვერ ითამაშა როლიო და სხვა და სხვა.

„ცხოვრების თანამგზავრი“ ისტორიული პიესა არ არის და მხედველობაში ისტორიულის ქალის გამოყვანის უფლება არ მქონდა.

ბარბარე არის ერთი იმ დამახინჯებულთ წარმომადგენელთაგანი, რომელიც აღზარდა უკანასკნელმა დრომ.

არამც თუ ისეთი დედები არ მოიპოებიან, რომელნიც თავიანთ ნაშობს ეტყოდნენ: „წუხელ ბალში ისეთის თვალით გიყურებდა ეს და ეს საჟენიხო, შენმა გაზდამ, რომ და სხვა“... არამედ ისეთი ხალხის დედების მაგალითებიც - კი არის, რომელნიც ჰყიდიან თავიანთ ქალებს და, სავალალოდ, დიდფარდოვანს, ძველად საქართველოსთვის საამაყო გვარებს ეკუთვნიან. დაამახინჯა დრომ მრავალნი ქალიც და კაციც, თავის სიმცირეს სიამაყეთა სთვლის.

# ბ. რედაქტორო

რაოდენათაც შევიძელ, გამომეკვლია თქვენს გაზეთში ნაბეჭდები ჩემს შესახებ – მათი მიმართულება სდევნიდა მხოლოდ პირად ჩემს დამოკიდებულებას საზოგადოებასთან და ცდილობდა მოესპო ის თანაგრძნობა, რომელიც ჩემთვის აღმოუჩენიათ. ამ მიმართულებას თანაუგრძნობდა თქვენი საპატიო რედაქცია თუ არა, ეგ მე არ ვიცი და არც მინდა შევიტყო, რადგანაც ისიც საკმარისია ჩემთვის, რომ თქვენს საპატიო გაზეთში იბეჭდებოდა ყოველის მხრივ უსამართლობა ჩემს შესახებ, რომელსაც ცილისწამებამდისინაც მიაღწევინეს. ჩვენის ლიტერატურისათვის სხვადასხვა, და მასთანავე ერთად ჩემთვის, „გულისშემატკივართა“ ითხოვდა პასუხს. ყველგან, სადაც შრომა ფასობს, იქ მშრომელის ღირსების დამცველად გამოსვლა ვალად აძევს საზოგადოების წევრთა. ჩვენში ამ გვარი საქმე ვერ მოითხოვება, რადგანაც საზოგადოება მშრომელის პირადობას არ იცნობს. საზოგადოება კითხულობს ნაწერებს. ხანდისხან ამ კითხვაში რომელიმე სცენით ან აღტაცებაში მოვა, ან შეწუხდება და ან თავმობეზრებული გადააგდებს წიგნსა.

ეს ყველა ითხოვდა პასუხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გვარი პასუხები არ იბეჭდებოდა. წესიერი კრიტიკა ჩვენ არა გვაქვს დღემდის, რომელიმე შრომის სინდისიერად გარჩევა არ გვინახავს და მშრომელთა დაფასება და ბედ-იღბალი

სხვადასხვა ავანტიურისტებს ხელთ სათამაშებელს კრიალოსნად გახდომიათ.

როდესაც მოუწადინია ვისმეს პასუხის მიცემა თავის პირადობის დასაცავად რედაქციებს და, მათ შორის, თქვენსასაც უპასუხნია, „კრიტიკაზედ, განხილვაზედ და შენიშვნაზედ ავტორის პასუხის მიცემა შეუძლებელია, უწესობაა!!!“

გეთანხმებით, ბატონო! გემოვნება ხალხს სხვადასხვა გვარი აქვს და ერთმა რომ სთქვას: „ესა და ეს არ მეგემოვნებაო“, უაზრობა იქნება დაუჟინო: „ანაბრად უნდა იგემოვნო!“ მაგრამ, რა ქნას იმ კაცმა, რომელიც სულით და გულით შეზდგომია საზოგადოების რომელსამე საქმეს. ეს საქმე მიუღია წმინდა სალოცავად. მისი სამსახური დაუნახავს სანეტარო მოვალეობათ და ამ საქმისთვის უარუყვიათ ყოველივე პირადი განცხრობა და მოსვენება, თავი დაუნებებია პირადის სარგებლობისათვის და მოსვენება შეუწირავს ეკლით მოფენილის გზისათვის? რა უნდა ქნას მეთქი იმ კაცმა, ვინც ასე იქცევა და თავის კოლეგათაგან, ვისგანაც თანაგრძნობის მოლოდინი უნდა ჰქონოდა, ესმის: „ესა და ეს წიგნი დაიბეჭდა ამა და ამ ავტორისა, ფასი მისი 30 კ. ვისთვის რა საჭიროა ეს წიგნი, ან ასეთი ფასი რა ღვთის რისხვაა?!“ – რა უნდა სთქვას ამ გვარის შენიშვნის წამკითხავმა ავტორმა, როდესაც ეს ორი წელიწადია, რაც ეს სიტყვები გაზეთში იყო გამოცხადებული, მაგრამ წიგნი არამც თუ მაშინ, არამედ ეხლაც არ გამოსულა?!. ნუ მისცემს პასუხს? ნუ გამოიკვლევს ჭეშმარიტებას? მაგისთანავე იქონიეთ ისიც მხედველობაში, რომ ავტორი ხსენებულის წიგნისა დღემდის სრულიად უსასყიდლოდ მუშაობს ჩვენს ლიტერატურაში და შენიშვნის მიმცემს კი უსასყიდლოთ კალმისათვის ხელი არ მოუკიდია!..

რა უნდა ქნას ავტორმა, როდესაც მის თხზულებაზედ შენიშვნის მიმცემი, ამ ჩვენს ბედ უკუღმართის დროში ამბობს: „ბ. მოჩხუბარიძეს გამოჰყავს თავისი თხზულების გმირები და 97 წლის რევოლუციას აქადაგებს?“ რა უნდა ქნას ავტორმა, რომელსაც ეუბნებიან: „რაკი გრიგოლ ორბელიანს შემთხვევა ჰქონდა, წაეკითხა შენი ერთი თხზულება და მან მისი ქება წარმოსთქვა, მის შემდეგ ნუღარა შრომობ, რადგანაც მხოლოდ პირველის გამეორება იქნება. იშრომე უეჭველად, რადგანაც ზოლამ ათჯერ აღწერა პარიჟი ერთსა და იმავე წერილში და ათჯერვე სხვადასხვაობა დაატყო“. რა ქნას საზოგადოებრივმა მოღვაწემ, რომელსაც „ხონელისებრივ“ ცილის წამებას უგონებს და პასუხსაც არ უბეჭდავენ? რა ქნას მეთქი ამ გვარად წამებულმა თუ არ აიღოს ნასროლი ხელკავი და არ მიიღოს ის ბრძოლა, რომელიც მის წინააღმდეგ მიუღიათ? უკანასკნელს ჩემს შესახებ წერილში, დაბეჭდილს ამ წლის [1886] გაზ. „ივერიის“ № [91]-ში „მოძღვრის გამო“ ბ. მეუნარგია იმ სიბავშვემდისინაც კი მიდის, რომ საზოგადოების წინაშე მიჩივის: “ნაცნობ-მეგობრებისაგან მოჩხუბარიძეს რჩევით

თავი მობეზრებული აქვს, რომ ასე მოიქცეს და ისე არა, მაგრამ მოჩხუბარიძე ისეთი ჯიუტი რამ არის, რომელზედაც ლაპარაკს არავითარი გავლენა არა აქვს და იმოდენი სულის სიმაღლე, რომ საბუთიანი რჩევა მიიღოს“?!

ამ საჯაროდ გამოცემულს ატესტატს „მოძღვარის“, „ელგუჯას“, „ელისოს“ და სხვა მრავალთ მოთხრობის ავტორის შესახებ, იმის უსასყიდლო მოღვაწეობისათვის დასაფასებლად გამოცხადებულს, ნუთუ პასუხი არ უნდა? შეიძლება ჩემგან გამოურკვეველი დარჩეს?

არ შეიძლება და არცა მაქვს მაგის უფლება. არა მაქვს მისთვის, რომ კარგის მწერლის წინედ, მე მინდა ვიყო კარგი შვილი საქართველოსი. პირადად ღირსეული იმ წმინდა საგნებისა, რომელთაც მე შევდგომივარ და უეჭველად ჩემი საქმე ჩემს სიტყვას უნდა მიზდევდეს. მე სხვა რიგად კაცი არ მესმის და მწერლის შრომა 99 პროცენტს ჰკარგავს, თუ საქმით თავის სიტყვას განესხვავება.

მე არც ცოლი, არც შვილი, არც თუ სხვა რომელიმე გულის შემატკივარი არ დამრჩება. თუ საქართველოში ჩვენი დროის პირველის ბელეტრისტის სახელი არ დამრჩა – დამრჩება მისთვის პირველის გულის შემატკივარის სახელი!..

მაშ, უბრალოდ ვინმე შეეცდება თავმოსაბეზრებელის რჩევებით ჩემს შეჩერებას. ამაოდ ვინმე მიკიბ-მოკიბამს ჩემს გულის მოძრაობაზედ და პირადს მოქმედებაზედ. წმიდაა საგანი, რომელსაც მე ვემსახურები და ქვეყნად ვერც ცა თავისის მრისხანებით, ვერც ქვესკნელი ჯოჯოხეთის ქადილით, ვერ შეარყევს ჩემს გულის მოძრაობას!

საქმე, საქმე დაამტკიცებს სიმართლეს ჩემის სიტყვებისას და ჩემს თავგადასავალის აღწერას, დამტკიცებულს საფუძვლებზედ. ვსთხოვ მკითხველებს, თვალი გადაავლონ, რომელიც ამ მოკლე ხანში გამოვა პატარა ბროშურად...

[illegible]

[illegible]

[illegible]

# ჩანაწერები

# სურამის ბარაკები

გამოხვალთ თუ არა ვაგონებიდგან, ხელ მარცხნივ თქვენს თვალს წარმოუდგება მაღალი ფიცრულის სახლები, რომელიც თავის სიწმინდით აკვირვებს თქვენს თვალს, დაჩვეულს აქაურს საზოგადოთ [გახუზებულ] სახლებს.

ეს ბარაკები ისე რიგათ არის მოწყობილი, რომ ყოველთვისინ ჰაერი წმინდა იქნება, მაგრამ, საუბედუროთ, თუ ცოტა აცივდა, მე მგონია, რომ ავამტყოფ[ს] შეატყობინებს თავის ძალას. თითონ მოვლა მომეტებული ექიმებისგან და დანარჩენი მომლელებისგან საუცხოვო არის, ასე რომ, იმათ ჭამა და ტანთ ჩაცმა ბევრი აფიცერის სანატრელი არის. მაგრამ როგორც ყველა საქმეში, აქაც რამთვენიმე პირი მართველებისა იმ გვარები არიან, რომელნიც უფრო თვალყურს ადევნებენ, რაც კაცს პირველათვე თვალში ხვდება და არ უ[ფრ] თხილდებიან ფულებს, როგორც, მაგალითათ, ამ ბარაკების აშენებაში დახარჯეს.

ეს წარმოუთქმელი ხარჯია და ამ ფულებით ძალიან ადვილათ შეიძლებოდა, საზამთრო სრულებით გამართული სახლები დეედგათ და ეს სახლები სამუდამოთაც დარჩებოდა და უფრო სასარგებლოც იქნებოდა. არც მზე დაატანდა ძალიან ძალას და არც სიცივე. ეხლა ჰფიქრობენ, ვითომ საზამთროთ უნდათ ნაბადი გადააფარონ ამ ფიცრულებს, მაგრამ ამას წინაუდგებიან რამთვენიმე ექიმი, რომლებიც ხელმძღვანელობენ შემდეგით: უკეთუ ნაბადს გადააკვრენ, მაშინ პოლზედაც უნდა გადაეკრას ნაბადი, რომელზედაც ყოველთვის დაიწყებს ქცევას წყალი, სისხლი და ჩირქი. ეს დაიწყებს ლპობას, განწიდვას და ყოველთვის მოწამლულს ჰაერს შეინახამს ბალნიცებში არამც თუ ავათმყოფებისათვის, არამედ კარგა მყოფებისთვინაც.

მე ამ აზრთან სრულებით თანახმა ვარ და ამასთან დარწმუნებულიცა ვარ, საზოგადოების მართველები არ შევლენ მაგ შეცდომილებაში და საზამთროთ მონახვენ სახლებს და ეკონომიურის მდგომარეობითაც იხელმძღვანელებენ ადგილის ამორჩევაში.

წით. ჯ. საზოგადოე[ბა]მ ყველა მოიფიქრა და მოიაზრა, რათა ავათმყოფებს, დაჭრილებს მისცეს საშუალობა, ისარგებლონ შესაძლებელის სიამოვნებით. ამის გამოისობით, გაუმართა ბიბლიოტეკები, უგზავნის თამბაქოს, ჩაის და სხვას, რაც კი შეიძლება მისცენ და გაამხიარულონ ავათმყოფები. რასაკვირელია, დაჭრილებისათვის ყველაზედ სასიამოვნო არის ომის ანბების შეტყობა, რომელსაც მჟრჟოლარე ყურთა სმენას მიაქცევენ. მაგრამ იმათ, უეჭველია, შემთხვევით დაავიწყდათ, რომ სამსახურში და, მაშასადამე, დაჭრილებშიაც რუსების გარეთ ქართველებიც არიან და გაზეთები და წიგნები იმათ რუსულ ენაზე მოზდით და, მაშასადამე, ის ქართველები, რომლებიც დაჭრილნი არიან და არ იციან რუსული ენა, მოკლებულები არიან ამბის შეტყობას. მე მგონია, რედაქციებისთვის ძალიან შესავიწროებელი არ იქნებოდა, რომ რამთვენ – რამთვენიმე ეგზემპლიარები ეგზავნათ თავისი გაზეთებისა. აგრეთვე, ქართველის განსვენებულის საზოგადოებისათვისაც სირცხვილი არ იქნებოდა, ცოტაც არის თანაგრძნობით მოექცნენ თავიანთ მეომარ მოძმეთ და რამთვენიმე წიგნებით დაჭრილების ცხოვრება გაამხიარულონ.

მოჩხუბარიძე

18 სურამი 77

# მგზავრის წერილებიდამ

## I

ბათომი,[1] ბათომი, ეს საოცნებო ბათომი, რომელიც თითქოს მანქანებით იცვლება, შემკობლი ბუნებისაგან უწარჩინებულესი ნავთსაყუდარითა, ამ მხარის სიმდიდრეს შეადგენს. შემოზღუდული უზარმაზარი ტყით დაბურვილის მთებით დაუფასებელს სანახავად ხდის.

აქ მვლელნი ურიცხვი გემები სხვადასხვა ქვეყნებიდამ, ურიცხვის ხალხით, სხვადასხვა ფერ ტანისამოსებით თვალს ართობს და სურათების უწყვეტლივი ცვლილება მაყურებლის გონებას მასალას აძლევს.

ვისაც ბათომი ამ ერთს წელიწადის განმავლობაში არ უნახავს, იმას ეს ქალაქი სრულიად სხვა ქალაქად ეჩვენება, რადგანაც ურიცხვი სახლები აშენებულა და ქუჩები თვალს ეუცხოვება. მთელი ზღვის პირი, რომელიც უწინ ცარიელი იყო და ქალაქს მეტს ლაზათს აძლევდა, ეხლა უზარმაზარის შენობებით გაჭედილი და თვალისთვის ყველაზედ სასიამოვნო სანახავი – ზღვა, თავის დაუსვენარის, სიცოცხლით სავსე ნავ-ხომალდებით დაუფარავს. თითონ ზღვისკენ მიმავალი ქუჩებიც არ არიან სწორენი და მათ აქა იქ სახლები გასჩხირებია. ერთად ერთი ქუჩა, რომელიც ძველადგანვე ზღვამდი ჩადიოდა, ეხლა დამახინჯებულია, რადგანაც ზედ ზღვის ნაპირზედ, ქუჩის გარდი-გარდმო რაღაცა სახლი, რაღაცა

1 აქაურები ბათომ[ს] უწოდებენ და ამისთვის ბათუმად გადანათლულის მაგივრად მეც ბათომს ვეძახი [ავტ.].

საზოგადოებისა გაუჩხირავთ.

ამ გვარად სახლების არეულობა, სხვათა შორის, იმანაც გამოიწვია, რომ ომის შემდეგ მათი საკუთრება ძველის პატრონებისა, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ იყო კარგად გამორკვეული და ახლად შემოერთებულს ქალაქზედ დაცემულმა სხვადასხვა გაიძვერებმა მარდათ ჩაიგდეს ხელში.

ბათომმა ისეთი დღეები გამოიარა, რომ ვისაც უნდოდა და სადაც უნდოდა შაეძლო ადგილი ჯერ მფლობელობით ჩაეგდო ხელში და შემდეგ კიდეც დაესაკუთრა. გარმიანელი თათრები, სომხები და ზნეობას მოკლებულნი აქ გადმოხვეწილნი ქართველნი მემკვიდრეთ დავას უწევდნენ, საჩივარს უმართავდნენ და ბოლოს სრულიად გაღატაკებულს ძველს მემამულეს ილაჯს უწყვეტდნენ. მათ არ იცოდნენ ენა, წესი, კანონი და მისი გზა. ვერ ეშოვნათ ისეთი ვექილი, რომელსაც საქმის გაგრძელება არა ჰქონოდა მხედველობაში და უკანასკნელის საშუალების გამოწოვა მიმნდობთა. პატრონი ბოლოს სთანხმდებოდა მიეყიდა მოშარესათვის მამული, მიეყიდა რა ფასადაც უნდა ყოფილიყო, ოღონდაც თავი დაეღწია წიწიბურასავით ჩამოკიდებულს მოშარეს და დამშეულის სახლობისათვის ლუკმა სულის მოსაბრუნებელი მიეტანა.

ისინი იღებდნენ მთრთოლვარეს ხელით და ნაღვლით გავსებულის გულით თავიანთ საკუთრების ნაფასურის გროშებს და ცეცხლ წაკიდებულნი უკანასკნელს სალამს ეუბნებოდნენ თავიანთ ქვეყანას...

... რასაკვირველია, ქალაქის გაწილადებაში და გაყოფაში, ქუჩების გაყვანაში და სახლების აშენებაში დიდი ბრალი აწევს ბათომის არხიტექტორს და თითონ ქალაქის ამორჩეულთაც, მაგრამ როგორც არც პირველს, აგრეთვე მეორეებს, საერთო მსვლელობის წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ თავიანთ უზიანოთ და თავის განსაწირავად კი კაცი მომზადებული უნდა იყოს.

აქ ქალაქის წარმომადგენელთა უმეტესი რიცხვი ან სამსახურშია და ან რომელიმე დამოკიდებულებაში თითო ოროლა ძლევამოსილის პირისა, რომელთაც გასრესა ჭია-ღუისა ადვილად ძეუძლიანთ.

## II

ბათომის მიდამო მშვენიერი კაზმულობაა, შესაფერი მთელს დედამიწის ზურგზედ ყველაზედ ულამაზესი პატარძლისა, მაგრამ თითონ პატარძალი გულს გიკლავსთ. წარმოიდგინეთ დაოღროჩოღროებული სახე ადამიანისა!..

ცხვირი მრუდე, გრძელი და დაკლაკნილი, ზევით ტუჩმოკლე და მოკვნეტილი, რომელიც კბილებს ვეღარა მალავს და ქვეითი კი ჩამოვარდნილი, სქელი და დაშვებული. თვალები დიდრონი, შავი, ელვარე, მაგრამ სადღაც ჯურღმულში ჩავარდნილი, კილოები წუნ მორეული; ელფეროვანი ლოყები, მაგრამ გამხდარი, ჩაცვივნული და ღაწვები მეტის მეტად ამომჯდარი; კბილები წაღმა-უკუღმა გაბრუნებული, თუმცა თვითეულად ბროლის სითეთრისანი არიან და თქვენ დაგეხატებათ ბათომის სურათი. ასეთი შეჰქმნეს, ასე შეამკეს ამ საედემო მხარის სახე, რომელიც მაინც ისეთის დაყვავებით და ალერსით იზიდავს თქვენს გულს, გაგონებსთ ძველს, უწინდელს საქართველოს, თამარის სახელს ქართველთა გულზედ აღბეჭდილს, იმ თამარისა, რომელიც ამბობს:

„შავს ზღვაში რკინა ჩავაგდე, ხმელეთი ჩემკენ მოვიგდე...“ და სხვა.

## III

თუ პირველს შემთხვევაში ჩვენი წერილი შაეხებოდა ჩვენს საერთოს სენსა და სავარამოს, ამ წერილის მეორე ნაწილში ჩვენა გვსურს მოვილაპარაკოთ ჩვენის ბათომის სკოლის შესახებ.

ზემოთა ვსთქვით: ორასი წლის განმავლობაში, რაც ჩვენ სხვა ხალხის ბრძანებლობაში ვიყავით, ვერ გადაგვავიწყა გურჯობა, ვერ მოჰკლა ჩვენში ქართველის თავისებურობა, პირდაპირობა და გულგახსნილობა. ეს სიტყვები ჩვენ გვინდა ეხლა საქმით დავამტკიცოთ. ძმათ შორის მალულობა სამარცხვინოა და ხალხის დამღუპველი. მსხვერპლი ძმისგან ძმისთვის მოტანილი აღმოუგველი ბეჭედია მომავალთათვის!..

# მგზავრის წერილები

ივნისის 18-ს გამოველ თბილისიდგან და გავემგზავრე ვლადიკავკაზისაკენ. დიდი ხანი იყო, რაც რკინისგზამ შემთხვევა წამართვა, ვერის ბაღებზედ გამევლო, დავმტკბარიყავ იმათ გაცხოველებულის შეხედულებით, კიდევ მენახა გაჭიმული და კაცის მომწყენი დიღმის გაუთავებელი მინდორი, სადაც ტროიკის ზარებიც თითქოს ამ მდებარე[ო]ბას შესთანხმებია და მხიარული წკრიალის ხმის მაგიერ სევდიანად გამოისმოდა. გამხმარი, გაყვითლებული ბალახი სიცხისაგან მოფშვნეტილიყო და თვალის დამყვავებლის სიმწვანის მაგიერ გულს სევდით ავსებდა. თქვენს[ა]ვე უნებურად შავი ფიქრები მომდიოდა და მაგონებდა პოეტის დაუვიწყარს სიტყვებს:

„მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა ვხედავდე თავისუფალსა...“

და ამ სიტყვებს მსწრაფლად ემატებოდა სიტყვები:

„მინდა, რომ მთასა და ბარსა ვხედავდე მწვანედ გადაშლილსა...“

მაგრამ ფიქრი და ნატვრა ფიქრად რჩებოდა და გაბრაზებული გული მწარე ნაღველით [მევსებოდა].

ამ ხელის შემწყობ ჰაერში რა არ ინაყოფიერებდა, რა რიგიც სარგებლობით არ დასაჩუქრდებოდა კაცის შრომა, მაგრამ სად იყო გონიერი და თავისუფალი კაცი, რომლის შრომასაც ეს ადგილები ელოდონ?

მართლადაც, ეს ადგილები რომ შესაფერს პირობაში ჩაცვინულიყვნენ, ღირსეულნი მზრუნველნი აღმოჩენოდენ გულის სევდით ამავსებელი მინდვრები ედემად გადაიქცეოდნენ, ყოველმხრიდგან მოუგდებდნენ წყალს, და აკეთებდნენ არხებს და გაღვიძებული ბუნება მშობლიურის მზრუნველობით

ააბიბინებდა მცენარეთ, გადაშლიდა ათას ფერადს სურნელებას და, გამვლელის თვალის დატკბობასთან ერთად, ათასობით უსავანო მშიერებს კეთილდღეობას და მხიარულობას მიანიჭებდა. ასეთსავე შემაწუხებლად  მოჩანდა მტკვრის მეორე ნაპირი, რომელზედაც ბალახიც კი მოტვლეპილა, არამც თუ რიგიანი სოფლები, გარდა იმ ორიოდე ადგილისა, რომელიც ზედ მტკვარს მიჰკვრია და იმის სიოთი სულდგმულობენ. მაგრამ ვაი იმ სულდგმულობას, რომელიც კაცის ყოველივე კეთილდღეობა ბუნების გუნებაზედ არის დამოკიდებული და მასთან საბრძოლველად არავითარი ღონისძიება არ მიუღია! ყველაფერი კი შეიძლებოდა ისე ადვილად გაკეთებულიყო! ქვეყანას ქვეყნისა შეუძლიან, მხოლოდ მათ მიეც გზა, მიმართულება და გააგებინე აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ ერთი ყველასათვის და არა ყველა ერთისათვის!

ამ შთაბეჭდილების ქვეშ თვალწინ გამოგიჩნდებათ მცხეთა, ის მცხეთა,[1] რომელიც ოდესმე ქართველთა დიდება იყო და ეხლა კი ნანგრევ-ნუნგრევს ქოხების მეტს ველარას ნახავთ! ერთადერთი სობორო „სვეტი-ცხოველისა კი ამტკიცებს იმ დიდებას, სიძლიერეს და ხელოვნობას, რომელიც კაცს უფლებას ართმევს დაივიწყოს, ვინ არის და ვისი შთამომავალი და იძულებულს-ჰყოფს, მოიგონოს მათი გულის მოძრაობა, მათი რწმუნება, მათი შეხედულობა წმინდა მოვალეობის შესახებ და მოწიწებით მუხლი მოიდრიკოს წმინდა-მოვალეობის წინაშე. მაშინ მცხეთა ბიბინებდა, შვენოდა და კარგადმყოფის საქართველოს სულთქმად ამოიქშენდა; აქ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა; საერთო ძლიერების გრძნობაც თვითეულს წევრსაც აძლიერებდა და ასულდგმულებდა. ღმერთო! რა ბედნიერი უნდა ყოფილიყო მაშინდელი ქართველი!? ეხლა შეუძლებელია ამ ბედნიერების გადმოცემა. ეხლანდელს, ყველაზედ შეძლებულს სულის მოქცევა იმ დროის ყველაზედ შეუძლებელის სუნთქვით, კაცი მხოლოთ მაშინ გაიგებდა მის ფასსა და ძალას, წყყიერობას და შემრგებლობას...

ეხლა კი მცხეთაც გარეშემომყოფ ბუნებაზედ მეტად გახუნებულა, გალეულა და დაპატარავებულა. ასეთია კაცის ცხოვრება, როდესაც შემცდარს გზას ადგია, ანდა ბუნებრივ შეთვისებულის ცხოვრებით აღარა სცხოვრობს.

მცხეთასთან მოახლოებისთანავე ჩვენ შეგვაყენეს. ვიკითხე მიზეზი ჩვენის გაჩერებისა და მიპასუხეს, რომ ზასტავა არისო, გზის ხარჯი უნდა გადაიხადოთო.

რასაკვირველია, სახელმწიფოს გზის კეთებაზედ ფული დახრჯვია. გზა სიარულით ცვდება, ვინცა სცვეთავს და რამდენადაც სცვეთავს, საჭიროა იმან იმდენივე ხარჯი გადაიხადოს. ვიკითხე: რა ერგება? მკითხეს: სად მივდიოდი. შევატყობინე, რომ გზა მხოლოდ დუშეთამდის მქონდა“.

---

1 დედანში ყველგან არის ცხეთა.

# შურდული

ექიმები, ექიმები!.. გააჭირეს საქმე ამ ექიმებმა!..

„ნურასა სჭამ. ნურასა სვამ და კარგად იქნები!“ გესმით ყოველ მხარეს და თქვენცა მორჩილდებით, რადგანაც ექიმი, ყველასთვის გასაგებად ვსთქვათ: სიცოცხლის უფალი გიბრძანებს.

საკვირველია, ღმერთმანი, ქვეყანა გადაბრუნდა თუ რა მოხდა, რომ ყველას ერთსა და იმავე გვარის ავადმყოფათ სახავენ, ერთსა და იმავე ცხოვრებას ურჩევენ.

ნუ რასა სჭამ, ნუ რასა სვამ!... ადვილი სათქმელია, მაგრამ აღსასრულებლად კი რა მოგახსენოთ. კაცს საჭმელ-სასმელი ჰქონდეს და მის ხმარებას-კი უკრძალავდენ! სწორე და, ქვეყანა გადაბრუნებას აპირებს!

* * *

ნურასა სჭამ, როდესაც გშიან! კარგი შთაგონებაა, თქვენმა მზემ, ნამეტნავად ამ საერთო სიკოტრის დროს. მაგრამ რას იზამ, რომ მშიერიც მოუსვენებლათა ხარ და ჩვენი სიცოცხლის უფალთ – ექიმების ბძანება სულს აღარ გაქცევინებს და ხანდის ხან ფეხებსაც გაგაჭიმინებს?

მაგრამ ჯანი გაგვარდეს, თუ გასაჭირში ქვეყანას რას დაუდგები?.. ჩვენი სიცოცხლის უფლები დიდი ხნის გამოცდილებას დაურწმუნებია – დიეტის სარგებლობაში და იმისთვის, რომ აქო და ვიღაცა ივანემ და პეტრემ ფეხები გაჭიმაო, მთელის საუკუნოებით შრომით დამტკიცებული რწმუნობა უნდა შესცვალონ? რასაკვირველია, რომ არა ... ჩვენი ესკულაპები დარწმუნებული

არიან, რომ დიეტა მარგებელია და მისგან სიკვდინებამდის რა ხელი აქვსთ?..

* * *

ჯანი გავარდეს ერთს კაცს, ისევ მათის მეცნიერების მსხვერპლად შეიქნეს, მაგრამ რა ქნას წვრილ შვილის პატრონმა? დიეტა თითონ, დიეტა ცოლს, დიეტა შვილებს და არავის პირის გაცმაცუნების ნება არ უნდა ჰქონდეს?

რასაკვირველია, რომ არა, რადგანაც მეცნიერებისათვის არაფრად არა ღირს თითო ოროლა ოჯახობის მსხვერპლი, როდესაც მეცნიერება თავის ბუნებრივ კანონებსა სდევნის.

ნურასა სჭამ, ნურასა სვამ! – ჩამომძახიან ყველანი და უმატებენ: „ავათა ხარ, წამლობა გეჭირვება, შენი წამალი-კი უსმელ-უჭმელობაა“.

ძალიან კარგი, თუ შევეჩვიე შიმშილს, მაგრამ ერთმა ურიამაცა სცადა თავისი ცხენი შიმშილს დაეჩვია, მაგრამ მის მაგიერ მეშვიდე დღეს ფეხები გააჭიმინა. მეც რომ ისე მომივიდეს? რეებს ვლაპარაკობ, ისე მომივა და დამტკიც[დ]ება, რომ, როგორც მე, ისე მათ მკვდარმა ცხენმაც, ვერ ავიტანეთ. აქედგან კიდევ არა მტკიცდება, რომ სხვაც ვერ აიტანს და დასამტკიცებლად-კი გამოცდა და გამოცდა არის საჭირო. გამოვცადოთ.

* * *

ლიუქსემბურგში ერის გამოჩენილს ექიმს გაელო საავადმყოფო და დაუწყო ხალხის სრულ დიეტაზედ შენახვა. მოშივნულ[ი] ავათმყოფები მისცვივნიან ქვეყნისთვის თავ განწირულს ექიმს და ზოგს ცხვირი მოუჭამია, ზოგს ყური, – ზოგსაც ლოყები.

საწყალი ქვეყნისთვის თავგადადებული ექიმი, რომელიც თავის განსაცდელს ასეთს ქვეყნის სარგებლობისთვის ასეთს განსაცდელს აძლევდა! – სად იცის მუდამ უმადურმა ხალხმა კაცის დაფასება.

# პირადი წერილები

# წერილი დედისადმი

[საყვარელო დედავ!]

ათასჯერ ბოდიშს ვითხოვ, საყვარელო და დაუვიწყარო დედავ, რომ აქამომდის ჩუმათ ვიყავი და ჩემი დაწვრილებითი ამბავი ვერ შეგატყობინე. ვფიცავ ყველა ციურს და მიწიურს, რომ ჩემი გული და გონება მხოლოთ იმ აზრში არის, როგორ მოვაგვარო, მოვახერხო საქმე ისე, რომ ამ თქვენს სიბერეში მოგცეთ მშვიდობიანი ცხოვრება, პატივი და დიდება, როგორც შეეფერება თქვენს შთამომავლობას. ხელის-ხელდაჭერით ამ აზრს მოზდევს აზრი ჩემი ოჯახის ამაღლებისა, რომელიც გსურსთ თქვენცა, დამიჯერე, მუდამ დაუვიწყარო დედავ, რომ მზათა ვარ, ყოველთვისინ ჩემი თავი მსხვერპლათ მოგიტანოთ თქვენა და ზემოხსენებული აზრების აღსრულებას. აქამდისინ ჩემი საქმეები იმ მდგომარეობაში იყვნენ, რომ ჩემი სიტყვები არაფერი სანუგეშო იქნებოდნენ. ეხლა კი შემიძლიან წარმოვსთქვა თავამაღლებულმა, რომ ჩემი აზრები თავდება და ძლივს ჩემსა ბებერს დედას და ძველს ოჯახს ავაყვავებ იმ ბედნიერებით, რომლითაცა ჰყვაოდა მამიჩემის და პაპიჩემის დროს. ეხლა საქმეები იმ მდგომარეობაში არიან, რომ ყოველს ჩემს კეთილის მყოფს შეეძლება ჰქონდეს იმედი ჩემზედ. ნამეტნავათ შენ, ჩემო მარტო ერთო ნათესავო, შენა, ჩემის მამის სახსოვარო!

წიგნი თავისით არის მცირე ხმაურობა, მცირე სიტყვები იმასთან, რაც ჩემს გულში ტრიალებს, – გახსენი და ნახავ ამავე კარტინებს, მხოლოთ გაჩაღებულებს პატიოსანის ნათელით წმინდისა, როგორც მთის დაუჟღლელი ბროლი და

ცისკრის ალიონი, თეთრი და პატიოსანი, როგორც უპირველესი ყაბყი ზამთრისა, – უმტვერო, სპეტაკი და პატიოსანი, მუდამ ფარული უწმინდურობისაგან, მიხეილ მთავარანგელოზის ძალით. მაინც მაგის ფრთას უფარავს ყოველთვისინ ჩვენი ოჯახი იმ უბედურობის და დასანგრევის ქარებისაგან, რომელიც რამთვენჯერმე დასტრიალებდა თავზედ ჩვენს ოჯახს.

დიდება მაგის სახელს! დიდება მაგის ძალას!.. მუდამ ყველა კეთილ სურვილში დამხმარებელს. საკვირველმა სიზმარმა გამომიყვანა იმ მდგომარეობიდგან, რომელსაც ეძახიან დავარდნას, მხნეობის დაკარგვას. ვითომ ყაზბეგში ვიყავ ჩვენს ეკლესიაში, იქა ვლოცულობდი და ცრემლითა ვსთხოვდი, რომ რაღაც საქმე ესრულებინა ჩემთვის ღმერთსა (ეს იყო ის დრო, როდესაც გავიცანი ღენერალი გრაფი ჩერნიშოვი-კრუგლოვი თავის შეუდარებელის ქალით მოსკოვის პატიოსანთა სობრანიაში). ვითომ მთავარ ანგელოზმა გამოშალა თავისი ფრთა და მითხრა: „დედაშენის ლოცვა მივიდა ღმერთამდის, რომელმაც შეიწყალა იმისი მდგომარეობა და თხოვნა. გასწი და ჩემი ფრთა არ გაგიშვებს თავის მფარველობიდგან“. წამოვდექი რაღაც კეთილ გუნებაზედ და ვიზიტით წაველ. აქ ჭავჭავაძეები არიან ორნი, ძალიან მდიდრები, რუსის ქალები ჰყავთ ცოლებათ, – იმათთან, რომელთაც ძალიან უყვარვარ და ყველა საქმეში ხელს მიმართავენ. ჩერნიშოვი-კრუგლიკოვი იქ იყო. თურმე ერთი ჭავჭავაძიანთაგანი ისეთი დაახლოვებული მეგობარი ყოფილა, როგორც ძმა. რასაკვირველია, ქალიც იქ იყო. რასაკვირველია, მივესალმე როგორც სახლის პატრონებს, რომლებიც ის იყო სოფლიდგან მოვიდნენ და საშინლათ გაეხარდათ ჩემი ნახვა, ისე ჩერნიშოვ-კრუგლიკოვს თავისის ქალით. სულ მესამე დღე იყო, რაც ვიცნობდი უკანასკნელებს. სობრანიაში წარმადგინა იმათ[თ]ან ერთმა ჩემმა ნაცნობმა ყვაწვილმა კაცმა – კნიაზ გალიცინმა. მე, რასაკვირველია, ვთხოვე ქალს კადრილი, რომელზედაც მივიღე სრული თანხმობა. მაგრამ იმისმა მშვენიერმა სახემ და ტანმა კინაღამ იქვე არ დამათრო. ქალმა შემამჩნია. მხიარულათ იყო და მთხოვა, რომ ვიარო იმათას. კიდევ რამთენჯერმე ვიტანცავეთ ერთად და წავედით თავთავის სახლში. ამ შეხვედრის უკან ყოველთვისინ ვემზადებოდი, რომ ვიზიტი გამეკეთებინა, მაგრამ როგორღაც ბევრსა ვფიქრობდი და არ ვიცოდი, როგორ მივსულიყავი. ჭავჭავაძეებთან რომ ვნახე, იმან გამამიყვანა ფიქრიდგან და შევიწროებიდგან. აქ სუყველანი სადილათ დავრჩით და პირობა შევკარით, რომ საღამოზედ თიატრში ერთად წავსულიყავით. კაცები ვიყავით კრესლებში, ქალები კი – ლოჟაში. პირველი აქტის უკან სამს ქალთან გადაველ ლოჟაში და მთელი თიატრი მხოლოთ იმის ყურებაში გავატარე. თავისუფალ დროში კი ლაპარაკი არ გაწყვეტილა ჩვენში. აქედგან ჩავარდა

საძირკველი ჩვენის დაახლოვებისა. თიატრი როცა დაიშალა და სტუმრები წავიდნენ, მე ჭავჭავაძიანთას წაველი ვახშმათ. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩემი მდგომარეობა არავის არ შეემჩნივა, მაგრამ ვახშმის წინათ ერთმა ჭავჭავაძის ცოლმა გამიყვანა ცალკე ოთახში და პირდაპირა მკითხა: „ძალიან გიყვარს გრაფის ქალი“?. მე საშინლათ გავწითლდი. ბოლოს ლაპარაკი იმითი დათავდა, რომ მითხრა: „ძალიან მდიდარი არის, მაგის მეტი არავინა ჰყავს მაგის მამას. ეხლა აქვს მზითად დანიშნული ოცი ათასი თუმანი და მამის სიკვდილის უკან დიდი მამული და ფული დარჩება. ნახეთ, გაიცანით ერთმანერთი და თუ მოგეწონება, საქმე შეიძლება!“. ისეც მოხდა. მეორე დღეს გაუკეთე ვიზიტი, მერე კვირაობით დავიწყე სიარული, მერე უფრო ჩქარ-ჩქარ. ამაობაში საშინლათ დავახლოვდით. ერთს დღეს ჭავჭავაძეებთან მოიყვანა ქალი მამამ და თვითონ ისევ წავიდა. იმ საღამოზედ მეც იქ მიველი. მე ვთხოვე ქალს, დაეკრა ერთი სონატა ფორტოპიანოზედ, რომელიც მე მომწონდა ძალიან. ქალი გამოვიდა და დაუწყო ფორტოპიანის კლავიშებს გადარბენა. მე კედელზე მიყუდებული გულმღელვარებით უყურებდი ქალს. აქ უნდა აგიწეროთ იმისი სახე, რომელმაც ისე დამიმონავა და ნება აღარ მომცა თავისუფალი აზრისა. მშვენიერის მაღალის ტანისა, ამაყურათ ამაღლებულის მკერდი სუნთქამდა იმ სუნთქვით, რომელიც ამტკიცებს მცირე მღელვარებას. მშვენიერს თეთრს, უმტვერო პირისსახეზედ ეშლება ვარდსავით სიწითლე, ტუჩები ასის ფერი მარჯანსავით მომღელვარე, პატარები და მუდამ მოცინარი, ნიკაპი რგვლათ მოყვანილი, ცხვირი სწორე და რიგიან პირის სახესთან მშვენიერი, დიდი, ლურჯი თვალები, მოელვარე, თითქო ცეცხლი ეს არის უნდა ამოხდესო, რომელსაც იფარავენ გძელი მშვენიერი წამწამები. ზემოდან მშვენიერათ წამოზდგომიან შვილდსავით მოხრილი წარბები, მაღალი შუბლი და ხუჭუჭი თმები ამგზავსებენ ანგელოზს, დაუდარებელს გრაფინიას. მშვენიერი თითები, გძელი და თეთრი, როგორც ბროლი, უფრო მშვენიერდებიან ალის ფერის ფრჩხილებით. უკანასკნელი ამბავის დროს იყო თეთრს, უმტვერო ტანისამოსში მქრქალის ლენტებით მორთული და თმა გაშვებული ლოკნებით. არა, არ შემიძლიან აგიწერო იმისი მშვენიერება. ეს არი ციური უმანკოება! ამასთან სიკეთე იმისი, რომელსაც საზღვარი არა აქვს!.. ეს იჯდა და უკრავდა ფორტოპიანს, რომელმაც ერთბაშად სრულებით დამავიწყა ჩემი თავი და მივარდი ხელზედ საკოცნელათ სიტყვებით: „ნინო, მიყვარხარ, ნუთუ არა გრძნობ ამ ამბავს?“ ცოტათი შეკრთა ამ სიტყვებზედ, გაწითლდა, მაგრამ ხელი არ წამართო. მე დაუწყე ლოშნა და კიდევა ვკითხე: უყვარვარ მეცა, თუ არა? ამაზედ მიპასუხა მღელვარებით: „ისე, როგორც ჩემს სიცოცხლეში არავინ მყვარებია“. ამის უკან წამოდგა და ჩემ გულზედ გადმოდო

თავისი თავი. ერთმანერთი გვესმოდა ორთავ. მე მეჭირა ერთი ხელით იმისი ხელი და ვკოცნიდი, მეორე ხელი მქონდა შემოხვეული ტანზედ, აღგზნებულის თვალებით უყურებდი პირისახეში. წარმოვიდგინე ჩემი ბედნიერი მდგომარეობა იმ წამს. ქალი, რომელსაც თითქმის ღმერთადა ვთვლიდი, ქალი რომელისაც თითქოს მეშინოდა, რომელთანაც ვერა ვბედავდი მეტი სიტყვის თქმას, ეხლა იყო მოკრული ჩემ გულთან, იმისი ხელი მეჭირა ხელში და ვკოცნიდი იმთვენს, რამთენიცა მსურდა! ქალმა, რომელსაც გრაფებიც დაზდევდნენ, თავადებიც, ღენერლებიც და სხვებიც, ამოარჩია კაცი, ბევრით სხვებზედ ღარიბი, ბევრით სხვებზედ ულამაზო, ბევრით სხვებზედ უარესი! ჩემს სიხარულს არა ჰქონდა საზღვარი. ამ მდგომარეობაში მოგვასწრო ჭავჭავაძის ცოლმა, რომელმაც ნამდვილის მეგობრულის მხიარულებით მოგვილოცა. მაშინვე ყველამ შეიტყვეს, რომ მე და ნინოს ერთმანერთი გვიყვარს და გამოვუცხადეთ სიყვარული. ყველამ თვითეულად მოგვილოცა. ორი საათის განმავლობაში, ვიდრე მამა მოუვიდოდა ნინოს, მარტოკეები ვისხედით ოთახში, რომელშიაც სიჩუმეს დაშლიდა ხოლმე ალერსიანი სიტყვები და გატაცებულ ცეცხლით სამსე კო[ცნა... ორმა საათმა გაიარა ჩქარა, ნამეტნავათ ამ დროს და მოვიდა, რომელსაც ჭავჭავაძე ელაპარაკა. შეგვატყობინეს, რომ მამა თანახმა არის და თვითონ მოდის გასტინაში, რომელშიაც გამოველით. შემოვარდა მამა და ცრემლიანის აღელვებულის თვალებით ჯერ ქალი დაჭკოცნა, მერე მე. მერე ცოტა ხანს უკან მითხრა: „აი, შვილო, აღმიზდია ჩემი ქალი კეკლუცობაში და სიყვარულში: ჩემი სიცოცხლე გამიტარებია იმაში, რომ იმ ცოტა დღეების უკან, რაც მე დამრჩა საცხოვრებლათ, ჩემმა ნინომ იმავე მხიარულებაში გაატაროს, ღმერთს უნდოდა, რომ მე ჩემს სიბერეში შენ გამჩენოდი პატრონათ და ნინოს საყვარელათ“. ამ დროს გამოართვა ხელი ქალს და მე, შეაერთა და სთქვა: „აი ჩემი ქალის ხელი. ოცი ათასი თუმანი აქვს მზითვათ და მაგის გარდა, როცა მოვკვდები, სულ თქვენი იქნება. ნინოს მშვენიერობა და კეთილ-გულობა არის შენთვის უკეთესი სიმდიდრე. ღმერთმა ისე გაგაბედნიეროთ, როგორც ჩემი ბებერი, დაფერფლილი გული სთხოვს“. ეს სიტყვები გაწყვიტა შამფანსკის პროპკების ხმაურობამ და რამდენსამე მინუტს უკან ყველამ მოგვილოცეს ბედნიერობა. ეხლა ამ მდგომარეობაში ვარ, არავინ სხვებმა ჯერ არა იცის რა. შობის მესამე დღეს დიდი ბალი ექნება ჩერნიშოვ-კრუგლიკოვს, რომელშიაც გამომაცხადებენ აშკარა სასიძოთ.

მაქვს იმედი, რომ თქვენი ლოცვაც არ მამაკლდება ამ სრულს და ნამდვილს ბედნიერებასთან, რომელზედაც თქვენის ნების დართვისაც უნდა ჩქარა შემატყობინოთ. კიდევ გაგიმეორებ და დაგარწმუნებ, რომ რამთვენსაც ჩემს

სიამოვნებაზედა ვფიქრობ, იმთვენს თქვენზედა და ჩემს ოჯახზედ. ეხლა უნდა გითხრათ, რომ ჩემი მდგომარეობა იმ მიმართულებაში არის, ამ საქმის დაშლა და ჩემი უბედურობა ერთი იქნება... დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ძნელი იქნება ჩემი გამოცხადება შენთან, რომ ამ საქმისთვის ერთი ასი თუმანი მომინდება. გეფიცები პატიოსანს სიტყვას, რომ უკეთუ შეიძლებოდეს როგორმე სხვა მხრიდან შოვნა, მე შენ არ შეგაწუხებდი. აქ ყველანი მიყურებენ მეც როგორც შეძლებულს კაცსა და, უკეთუ სომხებისაგან ვისესხე, მაშინვე ხმა გავარდება და შენი მტერი. ჭავჭავაძეები მაძლევენ, მართალია, ფულს, მაგრამ იმათიცა მრცხვენიან. არც იმათ უნდა შეიტყონ ჩემი მდგომარეობა. იანვრის გასულს ქორწილი იქნება და მაშინ ნახავთ, რა პატივით გადაგიხდი მაგ ხელის გამართვას. ანგარიშში მიიღე, აგერ, იანვრიდგან არა მომსვლია აქ ფული. ისესხეთ, დააგირავეთ, თუ ძალიან გაჭირდა. გაყიდეთ რაც შეგხვდესთ. უთუოდ ასი თუმანი გამომიგზავნეთ. ამასთან გამომიგზავნე ბეჭედი პრინც-ალბერტმა რომ მაჩუქა და შენი ბროშკა, თუ არ გენანება, რომ ნიშნათ მივცე. ესენი ყველაფერი ჩემთვის ისე საჭირო არის, როგორც ავათმყოფისათვის წამალი. უკეთუ ესენი არ გამომიგზავნე, ჩემი საქმე საშინლათ გაძნელდება, მაგრამ თუ სულ ჩაიფუშა, გაძლევ პატიოსანს სიტყვას, რომ ჩემს თავს აუტეხავ რასმე. ვიცი, საყვარელო დედავ, რომ როგორც ძნელი უნდა იყოს შენთვის ფულისა და ბროშკის გამოგზავნა, ჩემს დაღუპვას არ მოინდომებ. დაგიკოცნი იმ ტკბილ ძუძუებს, რომელიც ყოველთვისინ მახარებდნენ ხოლმე და გთხოვ, უეჭველათ გამომიგზავნო ნივთები და ფული.

შენი სიკვდილამდის
ა. ყაზბეგი.

# წერილი გამზრდელისადმი

ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო!

ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს ან სახსოვრათ და ან მოგიძღვნას?! ამაზედ უძვირფასესი მე არა მქონდარა და, ამის გამოისობით, შენ გიძღვნი ემ რამთვენიმე ჩემი გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის აღზრდაშიაც შენ ისეთს მონაწილეობას იღებდი. აბა, მოიგონე ის დროება, როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე, როგორც მეფის შვილს. მანებივრებდნენ უკანასკნელ გარყვნილებამდინ. მასწავლიდნენ შურს, ამპარტავნობას და სიძულვილს! ხელის-ხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეკობრეები“ და სხვადასხვა... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდბოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. გახსოვს რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურის და ყმების მდგომარეობაზედ ბატონების ხელში?.. გახსოვს, შენმა სიტყვებმა რამთენჯერ დამაღვრევინა მდუღარე ცრემლები და თანამაგძნობინა ტანჯული, ხალხის უსამართლოებისაგან, პირებისათვის?

შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთათ და აქ დაიმარხა ჩემს გულში... და ეხლა ამთვენი ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემიძლიან ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიძლიან, სიამაყით გითხრა, შენს გაზდილში თუ იპოვება რამე რიგიანი ბავშვობიდგანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმადლობს წარმოუთქმელად.

შენი აკაკია მოჩხუბარიძე.

# უძღვნი მეცხვარეს სვიმონა ჩეკიაშვილს ნამეცხვარალი ავტორი

ძმაო სვიმონა!

გახსოვს, რამდენი ღამეები გაგვიტეხია მე და შენ ერთად. რამდენი ავდრიანი დღე, ჭექა, ქუხილი, რამდენი შარი მოუკიდნიათ ყაზახებს, რამდენჯერ წინააღვდგომილვართ იმათ უსამართლობას?.. გახსოვს, როგორ გაკვირვებდა შენ და დანარჩენს ჩვენს ამხანაგებს, რომ მე, ნებიერად აღზდილმა მებატონემ, კაცმა, რომელსაც შემეძლო მოსვენებითი ცხოვრება, შინაურს კერას ვირჩიე მოუსვენარი მინდორში და მთაში ხეტება, ხეტება სავსე განსაცდელით და შემთხვევებით. მაშინ ბევრს არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცხოვრებისა. ბევრნი მძრახავდნენ ამისთვის და მიგონებდნენ ათას ცილის წამებას. მაგრამ შენ, ჩემო მეგობარო, მაშინაც გესმოდა ჩემი გულის მიმართულება და ეხლაც კიდევ მოიგონებ. თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ ჰპოულობს იმაში რასმე გულის გასართობს, თუ არა სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შვიდი წლის განმავლობში, რომელმაც ერთი და იგივე გვაგრძნობინა, ერთი და იგივე კვნესით დააკვნესა ჩვენი გული, ერთი და იგივე მიზანი დაგვანახვა.

არ ვიცი, ძმაო, შენ და დანარჩენი ჩვენი ნაამხანაგრები რასა ჰგრძნობთ, მაგრამ მე კი ბევრს საღამოს მომაგონდება ჩეჩნის მინდვრები, გაჩაღებული ცეცხლი, რომელსაც გარს შემოსხდომიან მწყემსები დ მთელი დღის სიჩუმისა და დუმილის შემდეგ, გამხიარულებულნი, მოლაჟღანდარენი... იქვე დაყრილი ცხვარი და იმათ იქით, აქა-იქ ყარაულად მდგარი მწყემსები, რომლებიც

გაქვავებულ სურათებს მიემგზავსებოდნენ. გახსოვს ერთგული ბროლია, მურა, ფარეხა, რომელიც ისე ფრთხილად გვინახავდნენ ჩვენც და ჩვენს საქონელსაც, რომ არც ერთი ჩვენთაგანი პირში ლუკმას ისე არ ჩაიდებდა, რომ პირველი ლუკმა ამ ძაღლებისათვის არ მიგვეცა.

მერე?.. დამშვიდებული ჩუმი ღამე, მთვარე, რომელიც გედსავით მოცურავდა ცაზედ და ნაზს, მოალერსე სხივებს გვესვროდა ჩვენ, თეოზედ გასულს მწყემსებს. ღმერთო, რაოდენი გრძნობა იღვიძებდა მაშინ, რაოდენი სურათები იხატებოდა თავში?! აი, იმ დროს ითქმოდა: „კაცის გული ზღვაა, რას რა გაჰფიქრებს“?

გახსოვს ჩეჩნელი ელბერდ, ჩვენი მასპინელი? გახსოვს იმისი სახლობა? გახსოვს ყაზახების სტანიცები, ჩეჩენთ სოფლები, გროზნა, მინდორი, მთა, ტყე? გახსოვს, რამდენი მშვენიერი სურათებად ეხატებოდა ჩვენს თვალებს და ისე აკვირვებდა ბუნების სიმდიდრე? მე ყველა ეს ისე ცხოვლად მეხატება თვალწინ, ისე ცხოვლად მაგონდება, თითქოს გუშინ იყოს მომხდარი!..

ნუ დაივიწყებ შენც, ნუ დაივიწყებ, რადგანაც ეს წუთები იყო წმინდა, პატიოსანი, რომელსაც კაცი, ისიც ზოგიერთი, ერთხელ შეხვდება თავის ცხოვრებაში და ეს სანატრელი წუთები აღარ გამეორდება.

მშვიდობით, ჩემო სვიმონა, გულითადს მშვიდობას გეუბნება ის კაცი, ვინც ინატრის შენთვის და შენთან ერთად ყველა შენის მეზობლისათვის ყოველგვარს მშვიდობას და ცხოვრებაში უკეთეს პირობას.

თქვენი სიკვდილამდე ავტორი.

# წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი

ძმაო სოფრომ!

ჩვენმა ახლად შედგენილმა მგალობელთა დასმა აქ, ქუთაისში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მოვალედ ვრაცხ, ჩემი სიხარული განგიზიაროთ გორელებს, არამცთუ მხოლოდ აღსრულება სხვადასხვა ხმებისა იყო სასიამოვნო და აღტაცებაში მომყვანი მსმენელისა, არამ[ედ] მთელმა საზოგადოებამ იგრძნო ამ დასაწყისის სარგებლობა, სწორეთ და ჭეშმარიტის თვალით შეხედა და გარდა დასაჩუქრებისა მოთავეთა, დღეს კიდევ თხოვნით გაამართინა საღამო! მომილოცავს ამგვარი გამარჯვება, როგორც პირადათ შენთვის, აგრეთვე დანარჩენის ყმაწვილებისთვის.

მასთანვე გილოცავთ ახალწელიწადს და ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს შემდეგის სიტყვებით:

ვისაც სურს, შენი სისხლი დალიოს,
ისეთ[ი] მტერი ნუ დაგილიოს,
დიდხანს იცოცხლოს, თუმცა ვერ გძლიოს
და შენზე უწინ სული დალიოს!

შენი სანდრო ყაზბეგი.

# წერილი ან. ფურცელაძისადმი

ძმაო ანტონ!

ბოლნი[ცაში] ჩავარდი კარგათმყოფი და მარწმუნებენ, გიჟი ხარო! ვეფიცები, თქვენზედ ჭკვიანი ვარ–მეთქი და არ მიჯერებენ. ერ[თი], შემო, უთხარ და და[ა]რწმუნ[ე], არ ვარ გაგიჟებული, არამედ ისინი გაგიჟებულან, ვინც მე მხედავ[ენ გიჟათ], ხუმრობა[ა]. შენი ნახვა ჩემთ[ვ]ის ძალიან საჭიროა და მაგასთანავე ფულ[ი]საც. გა[ჭივ]რებული ვარ და მაქვს რამ ვაქვს [ე.ი და თუ რომ გაქვს]. შენ [რომ] მოსულიყავ, ჯახი[რი]სგან დავიხსნებ[ო]დი.

შენი მოხე[ვე], მოჩხუბ[ა]რიძ[ე].

[illegible]
[illegible]
[illegible]

პროექტი „ნაცნობი და უცნობი ყაზბეგი“

პროექტის ხელმძღვანელი - მაკა ელბაქიძე

მთავარი რედაქტორი - ირმა რატიანი

შემდგენლები - ელზა ზარდიაშვილი, ნანა ლატარია

პროექტის კურატორი - ალექსანდრე გრიგალაშვილი

ტექნიკური რედაქტორი - მირანდა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა - თინათინ დუგლაძე

დიზაინი და დაკაბადონება - ნინი ფალავანდიშვილი

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა სამინისტროს მხარდაჭერით
თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია GCLA

წიგნში გამოყენებული საარქივო მასალა დაცულია:
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლე
სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი

დაიბეჭდა სტამბაში „სეზანი“

ISBN